საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.net
№7 (145)
22 - 28 თებერვალი, 2012

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
info@geworld.net

## მთავარ როლში: ელჩი რიჩარდ ნორლანდი




2

# ახალ «ძიძას» გილოცავთ!

«გეგმა B»

## სრული სვლით თურქმენეთისკენ 4

## ცხვართა დუმილი 6



## ბურიდანის ვირები 7




// გიორგი თარგამაძე:

ნატოში საქართველოზე ნაკლებდემოკრატიული ქვეყნებიც მიუღიათ და ჩვენზე კორუმპირებულებიც 12

// ლია მუხაშავრია:

მივმართავ ყველა პატიმარს — ნუ ხართ ჩუმად! 8

// უჩა ნანუაშვილი:

სააკაშვილი უკვე ველარ ატყუებს დასავლეთს, რომ ჩვენთან დემოკრატია შენდება 9

// დავით რობაქიძე:

10 აჭარაში თურქეთის რელიგიური და ფინანსური ექსპანსია მიმდინარეობს

// გურამ ფირცხალავა:

11 პოლიციას ნაბრძანები აქვს — ბავშვის მოკვლაც რომ დაგჭირდეთ აკვანში, «ნაციონალებმა» არჩევნები უნდა მოიგონ!

// ელისო ჩაფიძე:

14 ჩვენ მოვალთ ხელისუფლებაში

ქრონიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ანტიამერიკული განწყობები კიდევ უფრო გაიზარდა არამხოლოდ უბრალო მოქალაქეებში, არამედ (რაც შტატებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია) ნაცხელისუფლების საშუალო და ქვედა რგოლებშიც. მიუხედავად იმისა, რომ ისინი კვლავ დასაქმებულები არიან, კარგად ხვდებიან, რომ 26 მაისს ჯერ დარბევით, შემდეგ სისხლით მორწყული ასფალტის გადარეცხვითა და რამდენიმე საათში იქ საზეიმო აღლუმის ჩატარებით სააკაშვილმა რაღაც უფრო მეტს გადააბიჯა, ვიდრე უბრალოდ საპროტესტო აქციის დაშლაა. არამხოლოდ ისინი, ხელისუფლების მაღალი ეშელონებიც დააფიქრა 26 მაისმა. ისინიც მიხვდნენ, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება.**




# ახალ «ძიძას» გილოცავთ!

**საქართველო მეშვიდე ელჩს ელოდება ამერიკის შეერთებული შტატებიდან. რიჩარდ ნორლანდი სექტემბერში შეუდგება საქართველოს ხელისუფლების „ძიძის“ უფლებამოსილების განხორციელებას, თუკი აშშ-ის კონგრესის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი მის კანდიდატურას მოიწონებს. „ბავშვის“ ჭირვეული ხასიათი უკვე გამოკვეთილია, თუმცა ელჩ ნორლანდს გაკვალულ გზაზე მოუწევს სიარული. ისიც უნდა ითქვას, რომ წინააღმდეგობების გადალახვას მიჩვეულისთვის არც დაბრკოლებები წარმოადგენს დიდ პრობლემას. ელჩი ნორლანდი ზუსტად წინასაარჩევნოდ ჩამოდის. მისი წინამორბედებიდან, ბასის გარდა, ყველა ჩართული იყო საარჩევნო კამპანიაში. „ჩართული იყო“ რბილად ნათქვამია, ისინი უშუალოდ მონაწილეობდნენ პოლიტიკურ პროცესებში არჩევნებამდეც და არჩევნების დროსაც. არჩევნების შედეგების „გაპრავება“ ხომ თავისთავად საკუთარ მოვალეობად მიაჩნდათ, როცა საქმე შეერთებული შტატების ინტერესების ერთგული მსახურებისთვის ძალაუფლების განმტკიცებას ეხებოდა.**

გავიხსენოთ ეს ადამიანები მათი დამსახურებების მიხედვით.

**დიპლომატიური ურთიერთობები საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის 1992 წლის 23 აპრილს დამყარდა და პირველი ნაბიჯი კენთ ბრაუნმა გადმოდგა.** მის „ზურგზე გადაიარა“ სამოქალაქო ომმა, ომებმა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში და არჩევნებმაც, რომელიც 1991-92 წლების სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ ხელისუფლებაში მოსული ადამიანების ლეგიტიმაციის საფუძველი გახდა. **შემდეგი იყო ვილიამ ქორთნი, რომელსაც საქართველო 1995 წლის აგვისტოს ტერაქტის შედლუხით დახვდა და რომლის დროსაც შევარდნაძე პრეზიდენტი გახდა. მის მემკვიდრე კენეტ იალოვიცს „ძალიან გაუმართლა“ — 1999 წლის პარლამენტისა და 2000 წლის პრეზიდენტის არჩევნების დასტურყოფა არც ისე ადვილი საქმე იყო.** ეს არჩევნები ელექტორატის მანამდე არნახული პასიურობით გამოირჩეოდა, მაგრამ შტატების წარმომადგენლისთვის ეს არაფერს ნიშნავდა, თუკი მისი ინტერესები კვლავ პრიორიტეტული იქნებოდა. **ამის შემდეგ საქართველოში ყველასთვის ცნობილი „გადამტრიალებელი“ რიჩარდ მაილსი ჩამოვიდა და დაიწყო მზადება შევარდნაძის მემკვიდრეობისთვის. 2002-2005 წლებში მაილსმა ყველაფერი მოასწრო – შევარდნაძეც გაისტუმრა გარანტირებულ პენსიაზე, სააკაშვილის ინაუგურაციაზეც იგრძნო თავი მასპინძლად, ჟვანიაც დაიტირა ფარისევლის მოთქმით და პრეზიდენტ ბუშსაც დახვდა წარმატებით შესრულებული დავალებებით გაბადრული** (სხვათა შორის, მაილსს ძალიან გაუმართლა: ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ამერიკის პრეზიდენტის მასპინძლობა ძალიან ცოტა ელჩს მოუწია შტატების არსებობის მანძილზე).

**დატოვა ბედნიერმა მაილსმა „ბედნიერი“ საქართველო და ჩამოვიდა „უბედური“ ჯონ ტეფტი,** რომელსაც, მისი წინამორბედებისა თუ მემკვიდრისგან განსხვავებით, ერთი წლით გაუგრძელეს მისია, რაც დიდი გამონაკლისია აშშ-ის დიპლომატიაში. ჩვენთან ერთად ტეფტმაც „იწვნია“ 2007 წლის მოვლენები, სააკაშვილის გადადგომა, მისი ხელახალი გაპრეზიდენტება, 2008 წლის პარლამენტის არჩევნები და, რაც ჩვენთვის ყველაზე ტრაგიკულია, აგვისტოს ომი! **ტეფტმა თავი ვერ გაართვა ძალაუფლებით გარყვნილი „ბავშვების“ მოთვინიერებას. ხელისუფლებაში მეორედ მოსული სააკაშვილი კი „ჭირვეული ბავშვი“ აღარ იყო, იგი „გაიზარდა“ და უფრო მეტი „ნივთის“ დამტვრევა დაიწყო.**

ამერიკელებს აქვთ ასეთი პრაქტიკა: თავიანთ ფავორიტს ყველაფრის უფლებას აძლევენ, ამერიკის ინტერესების ღალატის გარდა! სააკაშვილსაც პატიობდნენ, თუმცა კარგად ხვდებოდნენ, რომ „ბავშვობაში ჩარჩენილის“ ჭირვეულობა უკვე სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა შეერთებულ შტატებს და ანტიამერიკული განწყობებიც სწრაფად იზრდებოდა. ამას საფუძვლად დაედო, აგრეთვე, აგვისტოს ომის დროს აშშ-ის მხოლოდ „აღშფოთებით“ შემოფარგვლა (გემებით შემოტანილი სასმელი წყალი უბრალოდ დაცინვად აღიქვეს დამარცხებით და, განსაკუთრებით, აშშ-ის ფავორიტი მთავარსარდლის სამარცხვინო საქციელით გამწარებულმა ქართველებმა). 2009 წლის მოვლენებისას საპროტესტო აქციებზე გამოსული ადამიანები ღიად აცხადებდნენ, რომ არა ამერიკის მფარველობა, სააკაშვილს აქამდეც გავუშვებდით მოუსავლეთშიო.

**ამ ფონზე გვესტუმრა მორიგი „ძიძა“ ჯონ ბასი.** მას, ალბათ, ყველაზე მეტად არ გაუმართლა. **თავი რომ დავანებოთ საქართველოში ერთგვარი შაყირის ობიექტად ქცევას, სახელისუფლო ტელევიზიებმაც დიდი თავსატეხი გაუჩინეს.** მის კომენტარებს იმგვარ ინტერპრეტაციებს უკეთებდნენ, რომ იძულებული გახდა, ვიდეომიმართვა ჩაეწერა, ამ მიმართვის ტექსტი ქართულად ეთარგმნათ და ტიტრებით გაევრცელებინათ. **ბასის დიპლომატიურ „აქტივიზმია“ 2011 წლის 25 მაისის საღამოს მის მიერ გაკეთებული განცხადება, რაც სააკაშვილის ხელისუფლებამ დარბევისთვის „მწვანე შუქის“ ანთებად მიიღო და შედეგი ყველას კარგად გვახსოვს.** ნებიერა „ბავშვებმა“, ელჩის თქმით, ძალას გადაამეტეს. ეს აღარ გამოდგება თავის სამართლებლად, რადგან ხალხმა სწორედ ბასს დააკისრა პასუხისმგებლობა მისი მფარველობის ქვეშ მყოფთა ავკაცობაზე.

**ანტიამერიკული განწყობები კიდევ უფრო გაიზარდა არამხოლოდ უბრალო მოქალაქეებში, არამედ** (რაც შტატებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია) **ნაცხელისუფლების საშუალო და ქვედა რგოლებშიც.** მიუხედავად იმისა, რომ ისინი კვლავ დასაქმებულები არიან, კარგად ხვდებიან, რომ 26 მაისს ჯერ დარბევით, შემდეგ სისხლით მორწყული ასფალტის გადარეცხვითა და რამდენიმე საათში იქ საზეიმო აღლუმის ჩატარებით სააკაშვილმა რაღაც უფრო მეტს გადააბიჯა, ვიდრე უბრალოდ საპროტესტო აქციის დაშლაა. მით უფრო, რომ აქციის მონაწილეებს არც ვინმეს დამხობა შეეძლოთ და ვერც მოძალადე ხელისუფლების შეიარაღებულ მომხრეებს გაუწევდნენ სრულფასოვან წინააღმდეგობას. **არამხოლოდ ისინი, ხელისუფლების მაღალი ეშელონებიც დააფიქრა 26 მაისმა. ისინიც მიხვდნენ, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება.** მხოლოდ მძიმე დანაშაულით უშუალოდ ერთმანეთს გადაჯაჭვული რამდენიმე ადამიანისთვის კი არა, ყველასთვის ცხადია, რომ ძალიან ბევრი დანაშაული დაგროვდა და შორს აღარ არის ის დრო, როცა პასუხისგება მოუწევთ. მოკლედ, „ხოხბებზე ნადირობის“ სეზონის გახსნამდე არც ისე შორია და ამას კარგად აცნობიერებენ.

**სწორედ ასეთ ვითარებაში ჩამოდის რიჩარდ ნორლანდი — ახალი „ძიძა“ სააკაშვილისთვის, რომლის მთავარი საზრუნავი არამხოლოდ თავგასული „ბავშვისთვის“ აღვირის ამოდება და ძალაუფლების გადაცემის შესახებ პრეზიდენტ ობამას გაფრთხილების სრულფასოვანი აღსრულება, არამედ (და, ალბათ, ამ გზითაც) საქართველოში ანტიამერიკული განწყობების შეცვლა იქნება.** თუკი ახალი „ძიძის“ უზბეკურ გამოცდილებას გავიხსენებთ, იგი მცდელობას არ დაიშურებს. ასევე უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოებები, რომ ნორლანდი 1993 წელს საქართველოში ეუთოს მისიაში ამერიკულ მხარეს წარმოადგენდა, მანამდე კი მოსკოვში აშშ-ის საელჩოში მუშაობდა. უეჭველია, მან კარგად იცის, რომ საქართველოში ელჩობისას მხოლოდ საელჩოს საიტზე გამოქვეყნებული მისიის შესრულება არ მოუწევს.

**„ამერიკის ელჩი არის ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში. მისი მოვალეობაა აშშ-ის დიპლომატიური მისიის წარმართვა საქართველოში აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ეფექტურად განხორციელებისათვის. მისი ძალისხმევა მიმართულია, აგრეთვე, იქით, რომ საქართველოში უფრო მეტად გასაგები იყოს შეერთებული შტატების ოფიციალური ინტერესები, და პირიქით, აშშ-ის პოლიტიკოსებს მიეწოდოს საქართველოში არსებული სიტუაციის სწორი და ნათელი სურათი“,** – ნათქვამია ოფიციალურ განმარტებაში. საქართველოში, უკვე დიდი ხანია, ყველამ გავიგეთ, რა არის **„შეერთებული შტატების ოფიციალური ინტერესები“.** არც იმის მიხვედრაა ძნელი, მიეწოდება თუ არა აშშ-ის პოლიტიკოსებს **„საქართველოში არსებული სიტუაციის სწორი და ნათელი სურათი“.**

ამის ვალდებულება ყველა ელჩს ჰქონდა და აქვს, მაგრამ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში სააკაშვილის მფარველები ყოველთვის ახერხებდნენ მათი ფავორიტისთვის ნამუსის მოწმენდას. **„ვიკილიქსის“ მიერ გამომზეურებული ტეფტის გზავნილების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დაუკვირვებლობას ვერ დავწამებთ ჩვენთან გამოგზავნილ ზედამხედველებს. ვნახოთ, რას იზამს ახალი „ძიძა“, რომელსაც არამხოლოდ წმინდად კაბინეტური, არამედ მძიმე პირობებში მუშაობის გამოცდილებაც აქვს.** იგი უფროს დიპლომატად მსახურობდა მაზარი-შარიფში (აშშ-ის შეიარაღებული ძალების სამოქალაქო საქმეების ჯგუფთან ერთად, რომლის მიზანი პოლიტიკური და ეკონომიკური რეკონსტრუქციის ხელშეწყობა იყო) და ორი წლის მანძილზე (2005-2006 წლებში) იყო მისიის მთავარი წარმომადგენელი ამერიკის საელჩოში ქაბულში.

მოგეხსენებათ, საომარ ვითარებაში მიღებული გამოცდილება ძალიან მნიშვნელოვანია არა მხოლოდ დიპლომატებისთვის და, ალბათ, ამიტომაც გაემგზავრა (დიდი ფიქრისა და ყავისფერი შარვლის შეკერვის შემდეგ) პრეზიდენტი სააკაშვილი ავღანეთში. ჯობდა, არ წასულიყო, რადგან, მართალია, მხოლოდ ქართველი ჯარისკაცები უსმენდნენ, მაგრამ თავისი გამოსვლით ამჯერად აზიის მასშტაბითაც მოგვჭრა თავი. მოუსმინეთ და თავად განსაჯეთ:

**„აქაც კი, ავღანეთის მიწაზე, შუა საუკუნეების შემდეგ შემორჩა სოფლები, სადაც ცხოვრობენ ქართველები, გურჯები, როგორც აქ ეძახიან. ისინი ითვლებოდნენ აქ რუსული ოკუპაციის დროს ყველაზე გაბედულ მებრძოლებად საბჭოთა კავშირის ჯარების წინააღმდეგ, მათთან ყველაზე მეტად უჭირდათ საბჭოთა ჯარებს ბრძოლა...“**

**ძნელი წარმოსადგენი არ არის, რა შთაბეჭდილებას დატოვებდა მიბარებული პრეზიდენტის ეს (და სხვა) სიტყვები ახალ „ძიძაზე“. თუმცა მას ჩამოსვლამდე აქვს დრო, კარგად გაეცნოს საქართველოს ისტორიას და დარწმუნდება, რომ მხოლოდ ერთი ჭირვეული ადამიანის ახირებების მიხედვით არ უნდა იმსჯელოს მთელ ერზე. საქართველო კი მასაც ისევე მიიღებს და გაისტუმრებს, როგორც მის წინამორბედებს უმასპინძლა.**

ზემოთ ვთქვი, ელჩი ბასი ერთგვარი შაყირის ობიექტად იქცა მეთქი. იგი ბლანჟეთი იქცევდა ყურადღებას. ელჩ ნორლანდსაც „ემუქრება“ ქართველების შაყირის ობიექტად გადაქცევა, რადგან ძალიან ჰგავს ცნობილი ფილმის პერსონაჟს — „მისის დაუთფაიერს“. მაგრამ მას წინამორბედებთან შედარებით უპირატესობაც აქვს და ეს ნამდვილად მისასალმებელია: ფლობს ინგლისურ, ფრანგულ, რუსულ, ნორვეგიულ და ლატვიურ ენებს. ასე რომ, ქართულსაც მალე ისწავლის. მანამდე კი სააკაშვილის აღზრდა მისივე მშობლიური ამერიკული ინგლისურით მოუწევს. არა მგონია, რამე გამოუვიდეს, მაგრამ სცადოს მაინც... რა ვიცი, რა ვიცი...

**რიჩარდ ნორლანდს ჩამოსვლამდე აქვს დრო, კარგად გაეცნოს საქართველოს ისტორიას და დარწმუნდება, რომ მხოლოდ ერთი ჭირვეული ადამიანის ახირებების მიხედვით არ უნდა იმსჯელოს მთელ ერზე**

**ბონდო მძინარაშვილი**

ელჩის შეცვლა, როგორც ჩანს, ყველაზე დაძაბულ მომენტში მოხდება, როდესაც ქართული შიდაპოლიტიკური კრიზისი პიკს მიაღწევს. საინტერესოა, ხომ არ ვარაუდობენ ვაშინგტონში, რომ საქართველოში ისეთი პროცესები დაიწყება, რომლებზეც ჯონ ბასი, მისი მწირი გამოცდილებიდან გამომდინარე, სათანადო რეაგირებას, უბრალოდ, ვერ მოახდენს?



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მალე «მთავარ ფსიქიატრს» გამოგვიცვლიან



## აშშ ახალ ელჩს გვიგზავნის

**შეერთებული შტატები საქართველოში ელჩს ცვლის. ბარაკ ობამამ სენატს დასამტკიცებლად რიჩარდ ნორლანდის კანდიდატურა წარუდგინა. ჯონ ბასი მალე საქართველოს დატოვებს.**

რიჩარდ ნორლანდს, წინამორბედთან შედარებით, გაცილებით დიდი გამოცდილება აქვს. ის 1955 წელს დაიბადა და ძია სემის ინტერესებს საზღვარგარეთ 1980 წლიდან იცავს. 2007 წლის სექტემბრიდან 2010 წლის აგვისტომდე ის უზბეკეთში აშშ-ის ელჩი გახლდათ. როდესაც ნორლანდი ტაშკენტში ჩავიდა და მოვალეობის შესრულებას შეუდგა, ორი ქვეყნის ურთიერთობა ულრუბლო ნამდვილად არ იყო.

კრიზისი 2005-ში დაიწყო, როდესაც ვაშინგტონმა ანდიჯანის სისხლიანი მოვლენების დამოუკიდებელი გამოძიება მოითხოვა. ამის შემდეგ უზბეკეთის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ქვეყნის ტერიტორიაზე ამერიკელი სამხედროების შემდგომ ყოფნას აღარ დაუშვებს. იმავე წლის ნოემბერში აშშ-ის ძალებმა დატოვეს ხანაბადის ბაზა, სადაც 2001 წლიდან ანტიტერორისტული კოალიციის ეგიდით იმყოფებოდნენ და ავღანეთში განხორციელებული ოპერაციების საჰაერო მხარდაჭერას უზრუნველყოფდნენ. ამავე დროს უზბეკეთიდან მთელი რიგი ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაციები და მასმედიის წარმომადგენლები გააძევეს. **დონალდ რამსფელდმა, რომელიც იმ დროს თავდაცვის მდივანი იყო, თავის მემუარებში აშშ-ის რეაქციას ანდიჯანის მოვლენებზე ბუშის ადმინისტრაციის ნაკლებად შესამჩნევი, თუმცა „ერთ-ერთი ყველაზე დასანანი შეცდომა" უწოდა.** უზბეკეთის საგარეო კურსი მაშინ მკვეთრად შეიცვალა, ის რუსეთის მოკავშირე გახდა და პეკინს დაუახლოვდა.

2006-2007 წლებში აშშ-უზბეკეთის ურთიერთობა ნაკლებად კონფრონტაციული გახდა, თუმცა მაინც საკმაოდ გართულებული იყო და ნორლანდი მოვალეობის შესრულებას მძიმე სასტარტო პირობებში შეუდგა. ცხადია, „ანდიჯანის გარდატეხის" შემდეგ, საუბარი იმაზე, რომ უზბეკეთი მყისიერად ისევ აშშ-ის გამორჩეული პარტნიორი გახდებოდა, როგორც ეს 2001-2005 წლებში იყო, არ შეიძლებოდა. საქმე, სავარაუდოდ, უზბეკეთის ხელისუფლებაზე ფრთხილი, თანმიმდევრული ზემოქმედების მოხდენას ეხებოდა, რომელიც ნელ-ნელა დააშორებდა მას ევრაზიულ ვექტორს და თანდათან („ბალანსის პოლიტიკის" გავლით) ისევ აშშ-ის გავლენის ქვეშ დააბრუნებდა.

**განაწყენებული აზიელი დესპოტები მშიერ ვეფხვებს ემსგავსებიან და ის ფაქტი, რომ კრიტიკულ მომენტში ვაშინგტონმა ისლამ ქარიმოვის კარზე სწორედ ნორლანდი მიავლინა, მის პროფესიულ და პიროვნულ თვისებებზე საკმაოდ ნათლად მიუთითებს. მისი ელჩობის პერიოდში აშშ-უზბეკეთის ურთიერთობა ნამდვილად გაუმჯობესდა, თუმცა სასურველი შედეგის მისაღწევად ვაშინგტონს მომავალშიც საკმაო შრომა მოუწევს.**

არის კიდევ ერთი ნიუანსი: **იმ მომენტში ტაშკენტში არ შეიძლებოდა ისეთი ელჩის გაგზავნა, რომელიც (თუნდაც ტალეირანის გამჭრიახობა ახასიათებდეს) ადგილობრივ სპეციფიკაში არ ერკვეოდა და, ამასთანავე, არ ესმოდა რუსების, რომლებმაც 2005 წლის მოვლენების შემდეგ უზბეკეთში პოზიციების სწრაფი გაფართოება დაიწყეს.** ნორლანდი აშშ-ის საელჩოში მოსკოვში 1988-90 წლებში მუშაობდა, იმ მშფოთვარე პერიოდში სსრკ-ში მყოფ ამერიკელ დიპლომატებს უნიკალური გამოცდილების მიღება შეეძლოთ. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ის, პენტაგონის ეგიდის ქვეშ, პოსტსაბჭოთა სივრცეში აშშ-ის პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობდა. სრული ჩამონათვალი, რომელიც ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან და შესაბამის პრობლემატიკასთან ნორლანდის შეხებას ასახავს, ძალზე ვრცელია, ამიტომ მოვიყვანოთ ერთი ფრაზა მისი ბიოგრაფიიდან სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურ საიტზე: **„ელჩმა ნორლანდმა კარიერის დიდი ნაწილი აშშ-ის რუსეთთან და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებთან ურთიერთობებს დაუთმო".**

საქართველოში მუშაობა რიჩარდ ნორლანდს საკმაოდ რთულ პერიოდში, 1993-ში მოუწია, როდესაც ეუთო-ს სადამკვირვებლო მისიაში აშშ-ს წარმოადგენდა; ვერ გამოვრიცხავთ, რომ აქ ძველი კონტაქტები დარჩა. მოგვიანებით, ანალოგიური სტატუსით ის ჩეჩნეთში ჩავიდა. თუ ამას დავუმატებთ იმ ფაქტს, რომ 2002 წლის მიწურულს და 2005-07 წლებში ის ავღანეთში (მაზარი-შარიფსა და ქაბულში) მოღვაწეობდა, შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ ნორლანდი „დედიკოს ბიჭი" ნამდვილად არ არის და კრიტიკულ სიტუაციებში წარმატებული მუშაობა შეუძლია.

პოსტსაბჭოთა სივრცით რიჩარდ ნორლნდის შრომითი ბიოგრაფია ნამდვილად არ შემოიფარგლება. იყო მისიები ბაჰრეინსა და ირლანდიაში, მუშაობა არქტიკის პრობლემებზე; კარიერის დასაწყისში ის ნორვეგიულ ტრომსეში მიავლინეს, ჩრდილოეთ პოლუსთან უფრო ახლოს განლაგებული აშშ-ის წარმომადგენლობა ბუნებაში, უბრალოდ, არ არსებობს.

ყურადღებას ნორლანდის ბიოგრაფიაში ორი რამ იქცევს: **მან არაერთგზის იმუშავა იქ, სადაც საჭირო იყო ამერიკელი დიპლომატებისა და სამხედროების ეფექტური თანამშრომლობის მიღწევა;** ზოგიერთი დეტალი გვაფიქრებს, რომ ის თავდაცვის საკითხებში კარგად ერკვევა. როდესაც ნორლანდი ლატვიაში (2003-05წწ.) მოღვაწეობდა, ამ ქვეყნის ხელისუფლებამ ის „შეიარაღებული ძალების განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის" დააჯილდოვა. ლატვიის თავდაცვის სამინისტროს ცნობით, „ნორლანდმა მისიის დაწყებისთანავე გამოავლინა დიდი ინტერესი ლატვიის თავდაცვის სისტემის მიმართ და თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებთან მჭიდრო კონტაქტები დაამყარა". ამასთანავე, მან აშშ-ის მიერ ლატვიის არმიის მოდერნიზებისთვის აუცილებელი დახმარების გამოყოფაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

მეორე მომენტი, რომელიც ამ დიპლომატის ბიოგრაფიაში ყურადღებას იზიდავს, ისაა, რომ **მისი კარიერული წინსვლა შედარებით ნელია და მას უცნაური ნახტომები არ ახასიათებს.** ნორლანდს, შესაძლოა, არ ჰყავს მოკავშირე აშშ-ის ხელისუფლების ზედა ეშელონებში, რომელიც მის სწრაფ აღმასვლას უზრუნველყოფდა (ნუ წარმოვიდგენთ, რომ შტატებში ამ პრაქტიკას ადგილი არ აქვს), ან კიდევ, ის ინტრიგებით ვაშინგტონის დერეფნებში თავს დიდად არ იწუხებს. როგორც ჩანს, **ის სანდო პროფესიონალია, რომელსაც ზღვარგადასული ამბიციები არ ახასიათებს;** „არასანდო არაპროფესიონალს" კრიტიკულ მომენტში უზბეკეთში ელჩად არ დანიშნავდნენ.

დიპლომატის ოჯახში დაბადებული რიჩარდ ნორლანდი ფრანგულ, რუსულ, ნორვეგიულ და ლატვიურ ენებს ფლობს. მას მეუღლე და ორი შვილი ჰყავს.

სააგენტო „პირველის" ცნობით, მას „ამერიკის საელჩოში განუცხადეს, რომ ჯონ ბასს ამ თანამდებობაზე მუშაობის ვადა მიმდინარე წლის შემოდგომაზე ეწურება. „ახალი ელჩის დანიშვნა გარკვეულ პროცედურებს მოითხოვს და **რიჩარდ ნორლანდი საქართველოში ელჩად, სავარაუდოდ, მიმდინარე წლის სექტემბერში ან ოქტომბერში დაინიშნება",** — აღნიშნეს საელჩოში". ამ ინფორმაციას თუ დავეყრდნობით, **ახალი ელჩი საქართველოში გადამწყვეტ მომენტში — საპარლამენტო არჩევნებისთვის ჩამოვა.** ეს თითქოსდა არ არის საუკეთესო მომენტი ელჩის შეცვლისთვის. ერთი შეხედვით, უფრო ლოგიკური იქნებოდა, ბასისთვის შესაძლებლობა მიეცათ, იმ ციკლის დასრულებას დალოდებოდა, რომელშიც დღევანდელი ეტაპი, საკუთრივ არჩევნები და შემდგომი მოვლენები შედის ან პირიქით, ნორლანდი უფრო ადრე დაენიშნათ (პლუს-მინუს 2-3 თვე ამ შემთხვევაში არაფერს წყვეტდა). თუმცა **ელჩის შეცვლა, როგორც ჩანს, ყველაზე დაძაბულ მომენტში მოხდება, როდესაც ქართული შიდაპოლიტიკური კრიზისი პიკს მიაღწევს. საინტერესოა, ხომ არ ვარაუდობენ ვაშინგტონში, რომ საქართველოში ისეთი პროცესები დაიწყება, რომელზეც ჯონ ბასი, მისი მწირი გამოცდილებიდან გამომდინარე, სათანადო რეაგირებას, უბრალოდ, ვერ მოახდენს?**

საელჩოს კომენტარში აღნიშნული იყო, რომ ჯონ ბასს ვადა ეწურება. ეს შეიძლება განსაკუთრებულს არაფერს ნიშნავდეს, თუმცა გამორიცხული არაა, რომ ეს იყო ერთგვარი რეაქცია იმ მრავალრიცხოვან კომენტარებზე სოციალურ ქსელებში, რაც ნორლანდის წარდგენას მოჰყვა. ბევრი ინტერნეტ-მომხმარებელი ამტკიცებდა, რომ ბასს ვადის გასლაზე ადრე ცვლიან. იმის გარკვევის ნაცვლად, თუ როდის ხდება აშშ-ის ელჩების როტაცია, 3 თუ 4 წლის გასვლის შემდეგ (ბასი თბილისში 2009 წლის ოქტომბრიდან მოღვაწეობს, მისმა წინამორბედმა ჯონ ტეფტმა საქართველოში აშშ-ის ელჩის პოსტზე ოთხი წელიწადი იმუშავა), უფრო საინტერესო, ალბათ, იმის დადგენა იქნება, თუ რამ გამოიწვია ინტერნეტ-კომენტატორებში ამ გარემოების ხაზგასმის სურვილი.

ჯონ ბასის 25 მაისის განცხადების შემდეგ, მასა და ქართულ საზოგადოებას შორის ნაპრალი გაჩნდა. მაშინ საკმარისზე მეტმა ქართველმა, მათაც კი, ვინც პარლამენტთან შეკრებილი მომიტინგეების იდეებს არ იზიარებდა, ჩათვალეს, რომ ბასმა თავისი განცხადებით სააკაშვილს სადისტურ დარბევაზე „მწვანე აუნთო"; ამას ანტიამერიკული განწყობის სწრაფი ზრდა მოჰყვა. მართალია, ელჩი უარყოფდა მიზეზ-შედეგობრივ კავშირს მის განცხადებასა და დარბევას შორის, მომდევნო თვეებში მაქსიმალურად ცდილობდა, ქართული საზოგადოების გული მოეგო და გარკვეულ წარმატებას ამ მიმართულებით მიაღწია კიდეც, მაგრამ განაწყენება მაინც დარჩა და ბასის გამოჩენა ეკრანზე ბევრ მოქალაქეს მაინც ნეგატიურად განაწყობდა. სავარაუდოდ, სწორედ ეს დამოკიდებულება აისახა კომენტარებში „ბასის მოხსნის" თაობაზე, რომელიც გასულ კვირას სოციალურ ქსელებში გავრცელდა.

სხვათა შორის, ვარაუდი იმის თაობაზე, რომ ჯონ ბასს „ახლო პერსპექტივაში სხვა დიპლომატით ჩაანაცვლებენ", „საქართველო და მსოფლიომ" 8 ივნისს გამოთქვა, თუმცა დავუშვათ, რომ ვაშინგტონში არავინ დაფიქრებულა იმაზე, რომ ბასის მოქმედებამ საქართველოში ანტიამერიკული განწყობის ზრდა გამოიწვია, რომ მას სახელმწიფო დეპარტამენტში სააკაშვილის ხელისუფლების გავლენისგან თავისუფალ, ძლიერ დიპლომატად თვლიან, რომ მისი შეცვლის სხვა მიზეზი, ვადის ბანალური ამოწურვის გარდა, უბრალოდ, არ არსებობს. მოკლედ, თეთრ სახლამდე გზა ჰქონია, კეთილი მგზავრობა ვუსურვოთ. გაცილებით აქტუალური ისაა, რა სიტუაციაში აღმოჩნდება რიჩარდ ნორლანდი ჩვენს ქვეყანაში ჩამოსვლის შემდეგ.

**საქართველო ფორმალურად დამოუკიდებელი სახელმწიფოა, თუმცა ქართული ელიტის უდიდესი ნაწილი აშშ-ის ელჩს საქართველოში ერთგვარ ზედამხედველად და არბიტრად, ძველად რომ იტყოდნენ, „მაყურებლად" აღიქვამს; სამედიცინო მეტაფორას თუ მოვიშველიებთ, მას შეიძლება „მთავარი ფსიქიატრი" ვუწოდოთ. ეს საამაყო ვითარება ნამდვილად არ არის, თუმცა ის რეალურად არსებობს და ამას ვერსად გავექცევით. რიჩარდ ნორლანდს არ უნდა გაუკვირდეს, რომ მისგან გაცილებით მეტი პრობლემის გადაწყვეტას მოითხოვენ, ვიდრე წარმოუდგენია.** რაოდენ დეტალური ინსტრუქციებიც უნდა მიიღოს მან ვაშინგტონიდან (და რაც არ უნდა უთხრან სააკაშვილის ამერიკელმა მეგობრებმა), მთელ რიგ სიტუაციებში იმპროვიზება მაინც მოუწევს, თანაც იმ დროს, როდესაც ქუჩაში, ძალიან დიდი ალბათობით, ერთმანეთის პირისპირ გაგიჟებამდე მისული მომიტინგეები და პოლიციელები იდგებიან, ხოლო მიხეილ სააკაშვილი, სავარაუდოდ, გაწყვეტს უკანასკნელ ძაფს, რომელიც კეთილგონიერებასთან აკავშირებს. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება საქართველოში და მის პოლიტიკურ საგიჟეთში, ბატონო რიჩარდ; ძნელი წარმოსადგენია, რომ რომელიმე კოლეგას თქვენი ახალი დანიშვნის შეშურდეს.



**საქართველო ფორმალურად დამოუკიდებელი სახელმწიფოა, თუმცა ქართული ელიტის უდიდესი ნაწილი აშშ-ის ელჩს საქართველოში ერთგვარ ზედამხედველად და არბიტრად, ძველად რომ იტყოდნენ, «მაყურებლად» აღიქვამს; სამედიცინო მეტაფორას თუ მოვიშველიებთ, მას შეიძლება «მთავარი ფსიქიატრი» ვუწოდოთ.**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ნაციონალურმა მოძრაობამ“ არჩევნებში რომც გაიმარჯვოს (რა გზით, სხვა საკითხია), ხოლო პოლიციამ პოსტსაარჩევნო საპროტესტო გამოსვლების ჩახშობა შეძლოს, სააკაშვილის ხელისუფლების ლეგიტიმურობა (ამ ტერმინის ფართო და არა ვიწრო იურიდიული გაგებით), ნებისმიერ შემთხვევაში, ძალიან სერიოზული ეჭვის ქვეშ დადგება. რეჟიმს თავის გადასარჩენად, სავარაუდოდ, ერთადერთი გზა — საქართველოს სწრაფი და საბოლოო თურქმენიზაცია დარჩება.**

## გაერომ სირიასთან დაკავშირებით რეზოლუცია მიიღო

**გაეროს გენერალურმა ასამბლეამ სირიაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით რეზოლუცია მიიღო.** დოკუმენტის მიხედვით, გაერო სირიის ლიდერ ბაშარ ასადს სისხლისღვრის შეწყვეტისა და გადადგომისაკენ მოუწოდებს. დოკუმენტის ტექსტი არაბული ლიგის ინიციატივით შემუშავდა. მას მხარი 137 ქვეყანამ დაუჭირა, რეზოლუციის წინააღმდეგ მხოლოდ 12 სახელმწიფო გამოვიდა. რეზოლუციას მხარი კვლავ არ დაუჭირეს რუსეთმა და ჩინეთმა, რომლებმაც თავის დროზე უშიშროების საბჭოში ასადის რეჟიმის წინააღმდეგ სანქციები დაბლოკეს.

## ანტირუსული ფრონტი

**რუსეთში ირანის ელჩის — რეზა საჯადის განცხადებით, დასავლეთის ქვეყნების მიერ ირანის დაპყრობის შემთხვევაში ფართო ანტირუსული ფრონტი გაიხსნება.** „არავისთვის უნდა იყოს საიდუმლო, რომ ირანი რუსეთს სამხრეთიდან იცავს“, — განაცხადა ელჩმა და დასძინა, რომ ირანის მარცხის შემთხვევაში ყველაფერი შეიცვლება. გარდა ამისა, ირანელი დიპლომატის თქმით, მის ხელისუფლებას პროგრესირებადი ბირთვული პროგრამა ენერგეტიკული მიზნებისთვის სჭირდება და მის საბრძოლო იარაღად გამოყენებას არ აპირებს. რეზა საჯადის მტკიცებით, ირანს თავდასხმის შემთხვევაში საპასუხო ქმედებების განხორციელების რესურსი გააჩნია.

## რუსეთს ორი ატომური წყალქვეშა ნავი შეემატება

**რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტს ორი ატომური წყალქვეშა ნავი შეემატება.** ამის შესახებ რუსეთის თავდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ ალექსანდრ სუხოპუკოვმა განაცხადა. მისი თქმით, 2012 წლის ზაფხულში სამხედრო-საზღვაო ფლოტში ორი ახალი წყალქვეშა ნავი — „იური დოლგორუკი“ და „ალექსანდრ ნევსკი“ გამოჩნდება. მისივე ინფორმაციით, ამ დროისთვის, რუსეთის პრეზიდენტის ბრძანების თანახმად, რუსული არმიისთვის სარაკეტო კომპლექს „ბულავას“ შექმნაც მიმდინარეობს.

«გეგმა B»

**„ჩვენ ვაშენებთ ყველასთვის, თითოეული თქვენგანისთვის“... „ჩნდება ახალი საცხოვრებელი უბნები, სკოლები, საავადმყოფოები, მუზეუმები და სტადიონები. დღეს მთელი ქვეყანა ხარაჩოებშია და მალე ქალაქად და სოფლად უფრო მეტი ახალშენი გაჩნდება!“ — ვინც იფიქრა, რომ ეს მიხეილ სააკაშვილის ერთ-ერთი ბოლო მცდელობაა — საკუთარი ფანტაზიის ნაყოფი ობიექტურ რეალობად წარმოაჩინოს, ოდნავ შეცდა: სააკაშვილი მხოლოდ პირველი ფრაზის ავტორია, ხოლო მეორე თურქმენეთის პრეზიდენტს, გურბანგული მიალიკგულის ძე ბერდიმუხამედოვს ეკუთვნის, რომლის მორიგი ინაუგურაცია გასულ კვირას გაიმართა. თურქმენეთში, სხვათა შორის, ბევრი სერიოზული პროექტი მართლაც ხორციელდება. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, იქ დენი, წყალი და გაზი უფასოა, თუმცა ეს დიქტატურის არსებობას, ცხადია, ვერ გაამართლებს. რაღა გაამართლებს სააკაშვილის რეჟიმს, რომელსაც მსგავსი არაფერი შეუძლია? რა იდეას შეიძლება დაეფუძნოს მისი არსებობის გახანგრძლივების გამართლება?**





# სრული სვლით თურქმენეთისკენ

### ძალაუფლება ისე არ მოდის

არც ერთი ერი არ შეეგუება მმართველებს, რომლებიც იტყვიან, **„ხელისუფლებაში იმიტომ ვართ, რომ თქვენს ხარჯზე ჩვენი პარაზიტული ცხოვრება მოვიწყოთო“.** ისინი ოდითგანვე გაცილებით მოქნილ ფორმულებს იყენებენ, მაგალითად: **„იმიტომ, რომ ღვთის რჩეულები ვართ“, „იმიტომ, რომ მოსახლეობის უმრავლესობამ ხმა მოგვცა“, „იმიტომ, რომ ქვეყანას სასიკვდილო საფრთხე ემუქრება“, „იმიტომ, რომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან რეფორმებს ვატარებთ“** და ა. შ. საკუთარი ლეგიტიმურობის ეჭვქვეშ დაყენებას ხელისუფალნი მსგავსი პასუხებისა და მათი მრავალფეროვანი კომბინაციების მეშვეობით იგერიებენ. დღეს საქართველოში ყოველივე ამას პასუხის კიდევ ერთი ვარიანტი ემატება: **„იმიტომ, რომ ვაშინგტონს ასე ნებავს“; ცხადია, პოლიტიკოსები ეროვნული თავმოყვარეობისთვის ამ შეურაცხმყოფელ გზავნილს სათანადოდ ფუთავენ, მაგრამ არსებითად ეს არაფერს ცვლის.**

სააკაშვილის ხელისუფლების მდგომარეობა ამ მხრივ საკმაოდ მძიმეა. მას არ აქვს პასუხები, რომელთაც საზოგადოების დიდი ნაწილი მიიღებს. მისი გამარჯვება არჩევნებში ნებისმიერ შემთხვევაში ეჭვქვეშ დადგება, თანაც ნეგატიურ რეაქციას, სავარაუდოდ, გაცილებით სერიოზული მასშტაბი ექნება, ვიდრე 2008-ში; დღეს უკვე ბევრი ადამიანი მიიჩნევს, რომ ხელისუფლება არჩევნების შედეგებს აუცილებლად გააყალბებს. ასე რომ, სერიოზული საუბარი „ნდობის მანდატზე“ ამ შემთხვევაში არ გამოვა.

სავარაუდოდ, **ეფექტურად ვერ იმუშავებს რეფორმებთან და გარე საფრთხესთან დაკავშირებული რიტორიკაც, რადგან პირველ შემთხვევაში საკმარისზე მეტი კრიტიკოსი იმ სოციალურ-ეკონომიკურ კოშმარზე მიუთითებს, რომელშიც საქართველო ცხოვრობს, ხოლო მეორეში — ძნელად თუ მოიძებნება ვინმე, ვინც, მწარე გამოცდილების გათვალისწინებით, ჩათვლის, რომ სააკაშვილის ხელისუფლება გადამწყვეტ მომენტში ქვეყნის დაცვას შეძლებს; ეროვნული კონსენსუსის მიღწევა ვერც ამ ნიადაგზე მოხერხდება.**

რაც შეეხება ამერიკულ ფაქტორს: საკუთარი ლეგიტიმურობის საგარეო მხარდაჭერაზე დაფუძნება მეტად სარისკო რამ არის, თანაც ვაშინგტონს ჯერჯერობით არ გაუჟღერებია არაფერი ისეთი, რაც შეიძლება რეჟიმის უპირობო მხარდაჭერად წარმოჩინდეს, მეტიც ამერიკელი მაღალჩინოსნების (და მედიის) ბოლო განცხადებები უფრო საპირისპიროზე მიუთითებს.

მართალია, მიხეილ სააკაშვილი თავის ფსიქოლოგიურ ევოლუციაში, სავარაუდოდ, უკვე მივიდა იმ კონდიციამდე, როდესაც შეიძლება თავი ერის ღვთივკურთხეულ მამად გამოაცხადოს, რომელსაც საქართველოს მართვის ექსკლუზიური უფლება ეკუთვნის, თუმცა ამ ვარიანტზე სერიოზული მსჯელობით, ალბათ, უმჯობესია, შესაბამისი დარგის სპეციალისტები დაკავდნენ, რომელთაც თეთრი ხალათები აცვიათ და კეთილი თვალები აქვთ.

**„ნაციონალურმა მოძრაობამ“ არჩევნებში რომც გაიმარჯვოს (რა გზით, სხვა საკითხია), ხოლო პოლიციამ პოსტსაარჩევნო საპროტესტო გამოსვლების ჩახშობა შეძლოს, სააკაშვილის ხელისუფლების ლეგიტიმურობა (ამ ტერმინის ფართო და არა ვიწრო იურიდიული გაგებით), ნებისმიერ შემთხვევაში, ძალიან სერიოზული ეჭვის ქვეშ დადგება. რეჟიმს თავის გადასარჩენად, სავარაუდოდ, ერთადერთი გზა — საქართველოს სწრაფი და საბოლოო თურქმენიზაცია დარჩება, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ვეღარ გაუმკლავდება პროტესტს, რომელსაც საზოგადოების უკიდურესი გაღიზიანება და საერთაშორისო სტრუქტურების უკმაყოფილება გამოკვებავს.** ამ ახალ რეალობაში ხელისუფლება, სავარაუდოდ, ვეღარ შეეგუება ძლიერი, მისი გავლენისგან თავისუფალი ოპოზიციის ან მედია-საშუალებების არსებობას, მიტინგებსა და მანიფესტაციებს, მოკლედ, ყოველივე იმას, რაც, თუნდაც შეზღუდული სახით, ჯერჯერობით გვაქვს. **სააკაშვილის ჯგუფის ხელისუფლებაში დარჩენის ერთადერთი გამამართლებელი არგუმენტი ამ შემთხვევაში გახდება ქვის ხანის დროინდელი „გმართავთ იმიტომ, რომ შეგვიძლია თავში ჩაგარტყათ“.**

ნიაზოვისა და ბერდიმუხამედოვის ხელისუფლებისგან ამ რეჟიმს, სავარაუდოდ, მხოლოდ ის განასხვავებს, რომ თურქმენეთის ლიდერს ენერგომატარებლების გაყიდვიდან მიღებული ამონაგები შესაძლებლობას აძლევს მოსახლეობას მნიშვნელოვანი სოციალური შეღავათები შესთავაზოს და ამით უკმაყოფილება გაანეიტრალოს. საქართველოს ეკონომიკურ კრახს კი ხუთიოდე წუთი აკლია. ასე რომ, სააკაშვილის სახეცვლილ რეჟიმს, ტერორის გარდა, საზოგადოებაზე ზემოქმედების სხვა, რამდენადმე წონადი ბერკეტი არ ექნება.

### ახალი ღვინო, ძველი ტიკი

**ძალადობაზე დაფუძნებული მიდგომა დომინანტური გახდა. ხელისუფლებაში, როგორც ჩანს, ფეხი მოიკიდა სახიფათო მოსაზრებამ იმის თაობაზე, რომ შექმნილი სიტუაციიდან „ლამაზად“ გამოსვლა უკვე აღარ გამოვა და ნებისმიერ შემთხვევაში ოპონენტებთან ძალისმიერი ანგარიშსწორება მოუწევს.** რეჟიმი „სახის შენარჩუნებაზე“ თითქმის აღარ ზრუნავს; ის, რასაც „ნაციონალური მოძრაობა“ ბოლო თვეებში კანონმდებლობას უშვებოდა, ტრადიციულ შენიღბვას მოკლებული იყო, პრაქტი- ▶

**ხელისუფლებაში, როგორც ჩანს, ფეხი მოიკიდა სახიფათო მოსაზრებამ იმის თაობაზე, რომ შექმნილი სიტუაციიდან «ლამაზად» გამოსვლა უკვე აღარ გამოვა და ნებისმიერ შემთხვევაში ოპონენტებთან ძალისმიერი ანგარიშსწორება მოუწევს**

მოკლედ

## ბაშარ ასადი: სირიის გახლეჩა სურთ

**„ახლა სირიის გახლეჩა სურთ“, — ეს განცხადება სირიის პრეზიდენტმა ბაშარ ასადმა დამასკოში ჩინეთის დელეგაციასთან შეხვედრის შემდეგ გააკეთა.** ბაშარ ასადი ასევე აცხადებს, რომ 11-თვიანი პროტესტის განმავლობაში, რომელსაც ოფიციალური დამასკო პროვოკაციას უწოდებს, არის მცდელობა რეგიონში სირიის გეოპოლიტიკურ და ისტორიულ როლზე გავლენის მოხდენისა.



## სირიაში რეფერენდუმი 26 თებერვალს გაიმართება

სირიაში კონსტიტუციის შესახებ რეფერენდუმი პრეზიდენტმა ბაშარ ასადმა 26 თებერვალს დანიშნა. ინფორმაციას ამის შესახებ სირიის სახელმწიფო ტელევიზია ავრცელებს. „პრეზიდენტმა ბაშარ ასადმა რეფერენდუმის ჩატარების თარიღად მიმდინარე თვის 26 რიცხვი მიუთითა. რეფერენდუმი სირიის არაბული რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტს ეხება“, — იუწყება არაბული ტელევიზია.

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ივანიშვილი არა მხოლოდ ძლიერდება, არამედ ნელ-ნელა ეუფლება ინიციატივას. ასეთ დაძაბულ ატმოსფეროში თამაშის წესების რადიკალურ შეცვლაზე ორიენტირებული, ერთობ ავანტიურისტული გეგმის დაბადება, ალბათ, სავსებით ბუნებრივი იყო, მიუხედავად იმისა, რომ მის განხორციელებას მთელი რიგი რისკებისა უკავშირდება.**



**ხელისუფლება, სავარაუდოდ, ვეღარ შეეგუება ძლიერი, მისი გავლენისგან თავისუფალი ოპოზიციის ან მედია-საშუალებების არსებობას, მიტინგებსა და მანიფესტაციებს, მოკლედ, ყოველივე იმას, რაც, თუნდაც შეზღუდული სახით, ჯერჯერობით გვაქვს. სააკაშვილის ჯგუფის ხელისუფლებაში დარჩენის ერთადერთი გამამართლებელი არგუმენტი ამ შემთხვევაში გახდება ქვის ხანის დროინდელი «გმართავთ იმიტომ, რომ შეგვიძლია თავში ჩაგარტყათ»**

◀ კულად აღარავინ უარყოფდა იმას, რომ ახალი დრაკონული ნორმების შემოღება მმართველი ჯგუფის ტაქტიკური ინტერესების უზრუნველყოფას ემსახურება. ალბათ, ცოტა ვინმეს თუ ეპარება ეჭვი იმაში, რომ საკუთარი მიზნების მიღწევისთვის მან ყველა კანონი, კონსტიტუციის ჩათვლით, შეიძლება კიდევ რამდენიმეჯერ შეცვალოს. ამასთანავე, გასულ კვირას გაჩნდა მყარი ეჭვი, რომ მანიპულაციის ობიექტად შეიძლება არჩევნების გამართვის თარიღიც იქცეს.

**16 თებერვალს არასამთავრობო ორგანიზაციამ „ახალი თაობა — ახალი ინიციატივა“ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ის საკონსიტუციო სასამართლოს მიმართავს; თუ სარჩელი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების კონსტიტუციით დადგენილი ვადების დარღვევის თაობაზე დაკმაყოფილდებოდა, საპარლამენტო არჩევნები, სავარაუდოდ, არა ოქტომბერში, არამედ მაისში ან ივნისში გაიმართებოდა. 17 თებერვალს ხსენებულმა ორგანიზაციამ თავის განზრახვაზე უარი თქვა, რადგან** (მის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად) **„კონსულტაციებმა აჩვენა, რომ საქართველოს პოლიტიკური სპექტრი, ისევე, როგორც ყველა დაინტერესებული საზოგადოებრივი ჯგუფი, ამ პროცესის თუნდაც წარმოების დაწყების წინააღმდეგია“.**

ამ უცნაურ ეპიზოდზე ყურადღების გამახვილება, ალბათ, არ დაგვჭირდებოდა, რომ არა ერთი გარემოება: კომენტატორების საკმაოდ დიდმა ნაწილმა ჩათვალა, რომ „ახალი თაობა — ახალი ინიციატივა“ ამ შემთხვევაში ხელისუფლების დაკვეთას ასრულებდა (ეჭვი ამასთან დაკავშირებით პირველად არ გაჩენილა). ეს მოსაზრება საკმაოდ ფართოდ გავრცელდა. ასე რომ, ამ ვერსიის განხილვა, ისევე როგორც ხელისუფლების სავარაუდო მოტივების დადგენა, ალბათ, მაინც ღირს.

ვარაუდი იმის თაობაზე, რომ სააკაშვილმა არჩევნები შეიძლება არა ოქტომბერში, არამედ უფრო ადრე დანიშნოს, რათა ივანიშვილის კოალიციას „ფრთების გაშლის“ საშუალება არ მისცეს, ჯერ კიდევ გასული წლის ბოლოს გამოითქვა. მართალია, ეს ვარიანტი არ განიხილებოდა როგორც ძირითადი, მაგრამ მოვლენების განვითარება ამ სცენარით სავსებით შესაძლებელი იყო (და დღესაც არის). აქედან გამომდინარე, ალბათ, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ბიძინა ივანიშვილმა ამ შემთხვევისთვის ადაპტირებული სათადარიგო გეგმა შეიმუშავა; ამას მსგავს სიტუაციაში არა მხოლოდ გამოცდილი ბიზნესმენი, არამედ ნებისმიერი, თუნდაც საშუალო კლასის პოლიტიკოსი, გააკეთებდა.

**თეორიულად, საკითხის „ჰაერში გამოკიდება“ ხელისუფლებას გარკვეულ ბონუსს აძლევს იმ პერიოდში, როდესაც ოპონენტი ბოლომდე დარწმუნებული არ არის, რომელი გეგმა აამოქმედოს. არჩევნების გადმოტანით სააკაშვილი, ერთი შეხედვით, ოპონენტს ცაიტნოტში აგდებს და, ამასთანავე, არჩევნების წინარე პერიოდში „ნაცმოძრაობის“ რღვევის დაწყების ალბათობას ამცირებს. თუმცა ეს აქსიომა არ არის, რადგან ივანიშვილის „გეგმა ბ“ შეიძლება არასტანდარტულ სვლებს შეიცავდეს, რომელიც ამ გათვლებს თავდაყირა დააყენებს.**

ამავე დროს, 16-17 თებერვლის კაზუსი შეიძლება განვიხილოთ როგორც ერთგვარი ტესტი, რომლის მეშვეობით ხელისუფლებამ იმის დადგენა სცადა, თუ რა რეაქცია ექნებათ შესწორებული კონსტიტუციით განსაზღვრული ვადების „გადათამაშებაზე“ ოპონენტებს და უცხოელ პარტნიორებს. ასევე, არსებობს მეტ-ნაკლებად კონსპიროლოგიური ვერსია იმის თაობაზე, რომ უთანხმოებამ წინასაარჩევნო სტრატეგიაზე მმართველი ძალის შიგნით პიკს მიაღწია და ერთ-ერთმა სახელისუფლო ჯგუფმა საკუთარი სცენარის ხორცშესხმა მეორესთან შეთანხმების გარეშე დაიწყო, რის შემდეგაც ის მყისიერად და, სავარაუდოდ, უხეშად გააჩერეს. აქ ჩვენ საინტერესო კითხვას ვუახლოვდებით: **რამდენად მომგებიანი იქნებოდა ეს სცენარი „ნაციონალური მოძრაობისთვის“?**

## რაც მალე, მით უარესი

**ერთი შეხედვით, ეს ცინიკური, პირდაპირ რომ ვთქვათ, ბინძური ვარიანტი არჩევნების გადმოტანით ხელისუფლებას, საზოგადოების განრისხების, უცხოელი პარტნიორების ზიზღნარევი შეშფოთებისა და სამოქალაქო დაპირისპირების გარდა, არაფერს მოუტანდა. მაგრამ პარადოქსულად ეს სცენარი მისცემდა ხელისუფლებას (საეჭვო) გამართლებას იმ ფანტასტიკური ციფრებისთვის, რომელსაც მის მიერ კონტროლირებადი ცესკო გამოაქვეყნებდა.** „ივანიშვილმა ვერ მოასწრო კამპანიის ჩატარება და საორგანიზაციო საკითხების მოგვარება“, — მორცხვი ღიმილით იტყოდნენ ამ შემთხვევაში ხელისუფლების წარმომადგენლები. ეს, ერთი შეხედვით, თითიდან გამოწოვილი არგუმენტია, თუმცა ოქტომბერში ის სააკაშვილს აღარ ექნება.

**მმართველი ჯგუფისთვის არჩევნების „მოგება“, თანმდევი პროტესტის ჩახშობა და სასტიკი დიქტატურის დამყარება (რის გარეშეც ის ხელისუფლების შენარჩუნებას, სავარაუდოდ, ვერ მოახერხებს) შედარებით მარტივია დღეს და ახლო პერსპექტივაში, შემოდგომაზე კი ეს გაცილებით რთული იქნება. ამ დროისთვის ივანიშვილი თავის პოზიციებს (როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ) მნიშვნელოვნად გააფართოებს და მისი სავარაუდო განცხადება არჩევნების გაყალბების თაობაზე უფრო წონადი გახდება.** ამასთანავე, შემოდგომამდე რღვევის პროცესმა მმართველი ძალის შიგნით შეიძლება შეუქცევადი ხასიათი მიიღოს. ასე რომ, გარკვეული ცინიკური (დანაშაულებრივის ზღვარზე) ლოგიკა განხილული გეგმის ავტორების გათვლებში ნამდვილად იყო, მითუმეტეს, რომ ბიძინა ივანიშვილი იძულებული გახდება, გამოწვევა მიიღოს და არჩევნებზე ნებისმიერ შემთხვევაში წავიდეს — ივნისში იქნება ეს თუ აგვისტოში; შესაბამისი სულისკვეთების განცხადება — „როცა უნდა იყოს, მაინც მოვიგებთ“ — კოალიციაში უკვე გაკეთდა.

გამორიცხული არაა, რომ „ნაცმოძრობის“ ზოგიერთ წარმომადგენელს გაუჩნდა შეგრძნება, რომ **ივანიშვილი არა მხოლოდ ძლიერდება, არამედ ნელ-ნელა ეუფლება ინიციატივას. ასეთ დაძაბულ ატმოსფეროში თამაშის წესების რადიკალურ შეცვლაზე ორიენტირებული, ერთობ ავანტიურისტული გეგმის დაბადება, ალბათ, სავსებით ბუნებრივი იყო, მიუხედავად იმისა, რომ მის განხორციელებას მთელი რიგი რისკებისა უკავშირდება.** ძალიან შორს თუ წავალთ და პარალელების მოძებნას სამხედრო ისტორიაში შევეცდებით, შეიძლება მივიდეთ დასკვნამდე, რომ მსგავს კრიტიკულ სიტუაციაში შლიფენი და იამამოტო გარისკავდნენ, მოლტკე-უმცროსი და ნაგუმო კი — ვერა (ან ერთი სად ჰყავთ, ან მეორე).

„ნაცმოძრაობის“ თავკაცთა ვნებებს ნუღარ ჩავუღრმავდებით, უბრალოდ, აღვნიშნოთ, რომ მათი დიდი ნაწილი მიმდინარე პროცესებს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლად აღიქვამს და გადარჩენისთვის იბრძვის. ასეთ მდგომარეობაში ადამიანი რეალობას ერთობ განსხვავებულად აღიქვამს. **ისინი, შესაძლოა, ფიქრობენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ ივანიშვილის ფაქტორის განეიტრალებას მოახერხებენ, კიდევ ერთი ასეთი მასშტაბის ფიგურა საქართველოს პოლიტიკურ არენაზე მინიმუმ 10-15 წლის განმავლობაში არ გამოჩნდება და სერიოზულ საფრთხეს აღარავინ შეუქმნის. ამიტომ ისინი, როგორც ჩანს, შინაგანად მზად არიან, ნებისმიერ ხერხს მიმართონ და ისეთი გეგმა აამოქმედონ** (ვერ გამოვრიცხავთ, რომ სხვა, განხილულთან შედარებით გაცილებით ბრუტალურ ვარიანტებზე არ მუშაობენ), **რომელიც ჩვეულებრივი ლოგიკის გადასახედიდან შეიძლება აბსოლუტურად არანორმალური ჩანდეს. თუ ოპოზიციურ საზოგადოებას გაისად ახალ თურქმენეთში გაღვიძება არ სურს, ალბათ, ამ თემაზეც უნდა დაფიქრდეს.**

**დიმიტრი მონიავა**

**მმართველი ჯგუფისთვის არჩევნების «მოგება», თანმდევი პროტესტის ჩახშობა და სასტიკი დიქტატურის დამყარება შედარებით მარტივია დღეს და ახლო პერსპექტივაში, შემოდგომაზე კი ეს გაცილებით რთული იქნება**

## მექსიკაში დიდი ოცეულის არაფორმალური სამიტი ჩატარდა

**საკურორტო ქალაქ ლოს კაბოსში დიდი ოცეულის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრის მთავარი თემა კლიმატური ცვლილებები და უსაფრთხოება გახდა.** სამიტი ორ დღეს გაგრძელდება. უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში დიდ ოცეულს მექსიკამ უკვე მეორედ უმასპინძლა. შეგახსენებთ, რომ დიდი ოცეული მსოფლიოში ეკონომიკურად წამყვან და სწრაფად განვითარებად ქვეყნებს აერთიანებს და მისი წევრები აშშ, კანადა, ავსტრალია, არგენტინა, ბრაზილია, მექსიკა, რუსეთი, ჩინეთი, იაპონია, სამხრეთი კორეა, სამხრეთ აფრიკა, თურქეთი, საუდის არაბეთი, ინდოეთი, ინდონეზია, იტალია, დიდი ბრიტანეთი, გერმანია და საფრანგეთი არიან.



## ლეონ პანეტა ყველა ვარიანტს განიხილავს

**ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მდივნის, ლეონ პანეტას განცხადებით, „თუ თეირანი საერთაშორისო სამართლის ფარგლებში არ იმოქმედებს, ირანის მიმართ მოქმედების ყველა შესაძლო ვარიანტი განიხილება“.** პანეტას თქმით, ამერიკისთვის ირანის ხელში ბირთვული იარაღი მიუღებელია. „აშშ-სა და ისრაელს, ისევე, როგორც საერთაშორისო საზოგადოებას ირანთან დაკავშირებით საერთო ინტერესები აქვთ. ჩვენი პოზიცია აბსოლუტურად ნათელია. იმ შემთხვევაში, თუ ირანი ბირთვულ იარაღს შექმნის, ამას არ შევეგუებით. ჩვენ არ მოვითმენთ, რომ ირანმა ორმუზის სრუტე ჩაკეტოს, რადგან მსოფლიოს ქვეყნებს ნავთობის უმეტესი ნაწილი სწორედ ამ სრუტიდან მიეწოდება. არ გვსურს და მხარს არ დავუჭერთ, რომ ირანმა, რომელიც ტერორიზმს ღიად უჭერს მხარს, ძალადობრივი პოლიტიკა მსოფლიოში გაავრცელოს“, — განაცხადა პანეტამ.

მოკლედ

## ისრაელი ირანზე დარტყმისთვის მზად არ არის

**აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს სადაზვერვო სამმართველოს ხელმძღვანელის, გენერალ-ლეიტენანტ რონალდ ბერჯესის განცხადებით, „ისრაელი ჯერჯერობით მზად არ არის, ირანის ბირთვულ ობიექტებზე დარტყმა განახორციელოს“.** პენტაგონის წარმომადგენლის თქმით, „ირანი, თავის მხრივ, მზადაა, მასზე თავდასხმის შემთხვევაში საპასუხო დარტყმა განახორციელოს“. ამასთან, მისივე თქმით, „თეირანი სავარაუდოდ, სამხედრო კონფლიქტს დამოუკიდებლად არ დაიწყებს და არც მის პროვოცირებას მოახდენს“. „ირანმა შესაძლოა, ორმუზის სრუტე დროებით დაკეტოს, ან აშშ-ის, ან მისი მოკავშირეების მიმართ რაკეტები გაუშვას, თუმცა — მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მასზე თავდასხმა განხორციელდება. ასევე არ არის გამორიცხული, თეირანმა საპასუხოდ მსოფლიოს მასშტაბით ტერორისტების მოქმედების ხელშეწყობა სცადოს, თუმცა ნაკლებ სავარაუდოა, რომ ირანი კონფლიქტის ინიციატორი თავად იყოს, ან ის თავად დაიწყოს“, — განაცხადა ბერჯესმა.



ნანა დევდარიანის
საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, ცოცხალი ცხვრის ექსპორტი 2011 წელს, 2010 წელთან შედარებით, 90 პროცენტით გაიზარდა და 15 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. მათივე ცნობით, 2011 წელს, წინა წელთან შედარებით, 65 ათასით მეტი ცოცხალი ცხვრის ექსპორტი განხორციელდა და მთლიანობაში 165 ათასი სული შეადგინა. ბექა გონაშვილი ამტკიცებს, რომ საზღვრებს გარეთ გასული ცხვრის ოდენობა გაცილებით მეტია. ის ვარაუდობს, საქართველოდან გასულ წელს 177 ათასზე მეტი ცხვარი უნდა გასულიყო.**

ყველაზე მდგრადი მინისტრის განცხადებით, საქართველოში ტურისტებს განსაკუთრებით ფულის დახარჯვა უჭირთ. „როდესაც ჩვენ ვაკეთებთ გამოკითხვებს, რომ დავადგინოთ, რა შენიშვნები ჰქონდათ, რა მოეწონათ, რა არ მოეწონათ ტურისტებს და ა.შ., იმისთვის, რომ შემდეგ გავაუმჯობესოთ და განვავითაროთ ჩვენი სერვისები, პირველ ადგილზე არის ის, რომ ვერ შეძლეს ფული დაეხარჯათ საქართველოში. ასე რომ, კერძო სექტორმა ამაზე უნდა იმსჯელოს“, — განაცხადა ვერა ქობალიამ კახეთის ტურისტული რეგიონის განვითარების პროექტის პრეზენტაციაზე.



# ცხვართა დუმილი

ჩვენმა მაღალმა მთავრობამ 2012 წელი კახეთის ტურისტული განვითარების წლად გამოაცხადა. ზოგი სამყაროს აღსასრულს ელის, ზოგიც — არჩევნებს (მაგალითად, — ობამა და სარკოზი, პუტინზე რომ არაფერი ვთქვათ), კახეთის გუბერნატორ გიორგი ღვინიაშვილის თქმით კი, წელს ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტიდან 100 მილიონი აშშ დოლარი დაიხარჯება. თელავის, ყვარლისა და დართლოს რეაბილიტაციას მსოფლიო ბანკი 50 მილიონი აშშ დოლარით დააფინანსებს.

მსოფლიო ბანკს არც ჩვენი მთავრობა ჩამორჩა. **„ჩვენი შეპირებისამებრ, ვზრდით მუნიციპალიტეტების რწმუნებულების ხელფასებს“**, — გამოუცხადეს სხვადასხვა დონის საკრებულოების თავმჯდომარეებმა საკრებულოს წევრებს ერთი და იმავე სიტყვებით. 2012 წლის 30 იანვრის პრეზიდენტის №70-ე ბრძანების თანახმად, ცვლილებები შევიდა საჯარო მოხელეთა შრომის ანაზღაურების შესახებ 2005 წლის №726-ე ბრძანებაში. ცვლილების თანახმად, თბილისისა და ბათუმის გარდა, ყველა თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ზედა ზღვარი იზრდება. ზრდა კი განსაკუთრებულად მუნიციპალიტეტებისა და სოფლების რწმუნებულების ხელფასებს შეეხო. მუნიციპალიტეტების რწმუნებულებს დაახლოებით 400 ლარი ჰქონდათ ხელფასი. ამ თვის ჩათვლით კი 800 ლარი ექნებათ. სოფლის რწმუნებულების სახელფასო სარგოს ზედა ზღვარი კი 700 ლარით განისაზღვრა.

**ინტერნეტ გაზეთ „ქიზიყის“ ინფორმაციით, რწმუნებულებისთვის ხელფასების გაზრდის გარდა სხვა სიახლეებიცაა, კონკრეტულად კი, თუ თებერვლამდე საკრებულოს წევრები საწვავისა და კომუნიკაციისთვის სპეციალურ ტალონებს იღებდნენ, ამიერიდან ისინი მსგავსი სახის ხარჯებისთვის არა ტალონებს, არამედ შესაბამისი ოდენობის თანხას მიიღებენ.**

ვერონიკა ქობალიას, ეტყობა, მოსაზრება არ ჰკითხეს, თორემ ეტყოდა, ამდენი ფული რაში უნდა დახარჯოთო და კერძო სექტორს მოუწოდებდა, იმაზე იფიქრეთ, ამ ხელფასტალონმომატებულ ხალხს როგორმე ფული დაახარჯვინეთო. ვერონიკას არც სააკაშვილმა ჰკითხა ჭკუა და აჭარაში სტუმრობისას სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის დამატებითი ენერგოვაუჩერების დარიგების ინიციატივით გამოვიდა. სააკაშვილმა მთავრობას დაავალა, თანხები გამოყონ ბიუჯეტიდან, რომ მკაცრი ზამთრის გამო დენის გაუთვალისწინებელი, 20-30%-ით გაზრდილი ხარჯების გამო სოციალურად დაუცველი მოსახლეობა შესაბამისი ვაუჩერებით უზრუნველყონ. ესენი, ვაუჩერებს თუ მიიღებენ, ქობალიას პროგნოზის მიუხედავად, მის დახარჯვას ნამდვილად მოახერხებენ, მაგრამ სააკაშვილმა ბერიძეების ოჯახში კიდევ ერთი „აღმოჩენა“ გააკეთა:

ბერიძეების ოჯახი სოციალურად დაუცველთა სიაში იყო და არსებული 42 ქულიდან მათი ქულები 61-მდე გაიზარდა, რის გამოც ოჯახს ყველანაირი სოციალური დახმარება მოეხსნა და ბავშვი, რომელსაც ძვლის ტვინი გადაუნერგეს, ჯანდაცვის ვერც ერთ პროგრამაში ვერ მოხვდა. პრეზიდენტის აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა: **„ოჯახი დაბალშემოსავლიანია, ბავშვი, რომელიც მკურნალობდა იტალიაში, ძვლის ტვინის გადანერგვა სჭირდებოდა და ბოლო ერთი წელია, იქ არის, დაზღვევიდან მოხსნეს მაშინ, როცა ასეთი რთული დიაგნოზით იყო იტალიაში წასული. ოჯახმა ბინა დააგირავა, ამ დროს ჩვენი სოციალური სააგენტო ოჯახს უხსნის სოციალურად დაუცველის სტატუსს. რა კრიტერიუმებით ვსარგებლობთ, მაინტერესებს? ეს ნიშნავს, რომ ვიღაც ზის თბილისში და წარმოდგენა არ აქვს, რას აკეთებს“.**

არჩევნებთან არავითარ კავშირში არ არის, მაგრამ ჩვენმა პარლამენტმაც არ დაუდო ტოლი სააკაშვილს და მსოფლიო ბანკს; მომავალი კვირიდან ახალი საპენსიო პაკეტის განხილვას იწყებს. საპარლამენტო მდივანმა გია ხუროშვილმა განაცხადა, რომ ნებისმიერმა ადამიანმა უნდა იცოდეს, რა დახმარება ეკუთვნის სახელმწიფოსგან და ამ დახმარების მისაღებად მას სხვადასხვა უწყებებში „სირბილი“ არ უნდა უწევდეს. ხუროშვილს ჰგონია, რომ ხალხის გაჭირვების ძირითადი მიზეზი იმის არცოდნაა, თუ რას იმეტებს მისთვის სახელმწიფო. რომ იციან და არ ჰყოფნით, ეს ხუროშვილს აინუნშიც არ მოსდის და აგრძელებს: „ცვლილებებით იქნება ორი სახის პაკეტი — საპენსიო და სოციალური, რომლებშიც თავმოყრილი იქნება როგორც ფულადი, ისე არაფულადი დახმარებები. ამ დახმარებების მისაღებად „ერთი ფანჯრის“ პრინციპი იმოქმედებს. გარდა ამისა, ცვლილებებით იქმნება ბენეფიციართა რეესტრში, საიდანაც ნებისმიერ პირს, ნებისმიერი საჯარო ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა ექნება“.

რის ფანჯარა, რა სარკმელი! **მართალი უთქვამს სააკაშვილს იმის შესახებ, რომ „თბილისში ვიღაც ზის და წარმოდგენა არ აქვს, რას აკეთებს“, თუმცა ამის შესახებ საქართველოს მოსახლეობამაც ძალიან კარგად იცის. ეგ კი არა, სახელები და გვარებიც ვიცით, მაგრამ ისინი არც ნებით და არც არჩევნებით წასვლას არ აპირებენ. ვიდრე ივანიშვილის მეგობრები ქართულად ოცნებობენ, შორეულ ამერიკაში „ძირითადი ინსტინქტის“ გმირი — შერონ სტოუნიც კი მიხვდა, რომ საქართველოში ხალხს ძალიან უჭირს.** იტალიურ ტელეკომპანიას მან გულისწუხილი გაუზიარა: **„ჩემი მოგზაურობებიდან დამამახსოვრდა აფრიკა და საქართველო, სადაც ძალიან გაჭირვებული ხალხი ცხოვრობს“...**

ამას ქართული ფორუმების აფეთქება მოჰყვა: **„სად ნახა გაჭირვებული ხალხი, ნეტავ! ქუჩებში მაგას არ გაუვლია, მანქანიდან პირდაპირ ნომერ 1 სასტუმროში ამოყოფდა ხოლმე თავს, ხალიჩები დავუგეთ, „გამოჩისტულ“ ელიტაში ეგ დადიოდა და სად მოჰკრა თვალი გაჭირვებულ ხალხს, ნეტავ?.. ეცი ახლა პატივი“. „მაგის დედა ვატირე, 3 ლიმონი დაჯდა მაგის ჩამოყვანა. კიდო ჩვენ ვართ ზანგები, ტო?“, „შერონა ჰოლივუდის ერთ-ერთ ყველაზე ინტელექტუალურ და ჭკვიან მსახიობად ითვლება. ჰოდა, არ შეეშლებოდა და არ დაბოლდებოდა „მი–შანელ ნომერ ხუთის“ სურნელითა და „მდიდრულ“ შარდენზე გასეირნებით. იმ წყეულ შარდენზე... როგორ მეზიზღება“.**

ამ ხალხს წარმოდგენა არ აქვს, რომ **საქართველოში ყველაზე დიდი გაჭირვება ფულის დახარჯვაა,** თორემ ამდენს არ ინერვიულებდნენ შერონის სიტყვებზე. სამაგიეროდ, ფორუმელებს სულაც არ ანერვიულებთ მეცხვარეთა პრობლემები. ალბათ, იმიტომ, რომ სააკაშვილი ავლაბრის რეზიდენციის მინის გუმბათზე მეცხვარეებს არ პატიჟებს. მეცხვარეთა ასოციაციის თავმჯდომარე ბექა გონაშვილმა კი „საქსტატის“ „ერთი ფანჯრის“ მიერ ცხვრის ექსპორტთან დაკავშირებით გავრცელებული ინფორმაცია გააპროტესტა. მან ინტერნეტ გამოცემა „ქიზიყს“ განუცხადა, რომ ოფიციალური მონაცემები ხელოვნურად არის შემცირებული და, სავარაუდოდ, ეს გარკვეული ძალების მხრიდან გადასახადებისთვის თავის არიდებას ემსახურება.

**საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, ცოცხალი ცხვრის ექსპორტი 2011 წელს, 2010 წელთან შედარებით, 90 პროცენტით გაიზარდა და 15 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. მათივე ცნობით, 2011 წელს, წინა წელთან შედარებით, 65 ათასით მეტი ცოცხალი ცხვრის ექსპორტი განხორციელდა და მთლიანობაში 165 ათასი სული შეადგინა. ბექა გონაშვილი ამტკიცებს, რომ საზღვრებს გარეთ გასული ცხვრის ოდენობა გაცილებით მეტია. ის ვარაუდობს, საქართველოდან გასულ წელს 177 ათასზე მეტი ცხვარი უნდა გასულიყო.** „2010 წელს საქართველოდან გავიდა 177 ათასი სული. ოფიციალურ მონაცემებში დაწერეს 100 ათასი გავიდა, 2011 წელს კი 165 ათასი და ამხელა ზრდა დაფიქსირდაო. შარშანდელი თანხა სულზე საშუალოდ დაახლოებით 95-100 დოლარის ფარგლებში მერყეობდა, წელს ცხვარი უკვე გაძვირდა და 110 დოლარს მიაღწია. ჩემს ხელთარსებული მონაცემებით, გასულ წელს ექსპორტზე გაყვანილი ცხვრიდან შემოსულმა თანხამ 17 მილიონს გადააჭარბებდა,“ — ამბობს გონაშვილი.

მეცხვარეთა ასოციაციის თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ წელს არათუ ექსპორტის ზრდა, არამედ კლება ფიქსირდება, ამის მიზეზი კი მრავალია. ბექა გონაშვილი ერთ-ერთ შემაფერხებელ ფაქტორად საძოვარ ტერიტორიებზე გადასახადის ზრდას ასახელებს და მიიჩნევს, რომ ფერმერს ცხვრის გამრავლება გაცილებით ძვირი უჯდებათ, რაც თვითღირებულებას ზრდის.

„წელს ექსპორტმა იკლო, რადგან ლოჯისტიკაში ცუდი ვითარება გვაქვს, ასევე იმიტომაც იკლო, რომ ცხვრის ფასმა მოიმატა. თავად გლეხს წვრილფეხა პირუტყვის შენახვა გაუძვირდა. როგორც ცნობილია, **საძოვრის გადასახადი დედოფლისწყაროში 3 ლარიდან 17 ლარამდე გაიზარდა** და ეს ხომ შესაბამისად აისახება ცხოველის ღირებულებაზე? საძოვრის გადასახადი რამდენიმე თვის წინ გაზარდეს. სახელმწიფომ 15 ლარით განსაზღვრა და ადგილობრივმა საკრებულოებმა კი დამატებით კიდევ 2 ლარით გაზარდეს. თვითმმართველობის ორგანოს მხოლოდ გადასახადის მომატება შეეძლო. ამას ისიც ემატება, რომ საქართველოში არის უამრავი ბროკერი, რომელთა არაპროფესიონალიზმისა და თაღლითური ფაქტების გახშირების გამო ინვესტორი საქართველოში აღარ ჩამოდის,“ – განაცხადა ბექა გონაშვილმა. მეცხვარეთა ასოციაციის ინფორმაციით, 2012 წლისთვის ექსპორტზე არაუმეტეს 5-6 ათასი სული ცხვარია გასული, მათ შორის 1 ათასი – ყატარში.

ჯერ ერთი, ინვესტორი იმიტომ აღარ ჩამოდის, რომ საქართველოში ფულის დახარჯვას ვერ ახერხებს (იხ. ვ. ქობალიას დასკვნა), მეორეც, შე კაი კაცო, ამომრჩეველი თუ 3 მილიონ 700 ათასი გახდა, ცხვარი ველარ გამრავლდებოდა? და მესამეც: ამ მთავრობამ ექსპორტზე გაყვანილი ცხვრის რაოდენობა თუ გააყალბა, არჩევნებში მიღებულ ხმებს ველარ გააყალბებს? თუ ლოჯისტიკაში აქვს ცუდი ვითარება და საკუთარ ამომრჩეველს კინწისკვრით ვერ მიიყვანს საარჩევნო უბნებზე?

**P.S.** ნიკუშა შენგელაიამ ახლახან განაცხადა, რომ „ერთი ადამიანის ცრემლადაც არ ღირს მთელი პოლიტიკა“. დოსტოევსკიც ასე ფიქრობდა, ოღონდ აქცენტს ბავშვის ცრემლზე აკეთებდა. საქართველოში ბავშვებიც ტირიან და ექსპორტზე გასაყვანი ცხვრებიც, ამდენი ფულის დახარჯვა კი მაინც ვერ ხერხდება.

მოკლედ

## რუსეთი ბირთვული იარაღის გამოყენებას არ გამორიცხავს

**რუსეთი საჭიროების შემთხვევაში ბირთვული იარაღის გამოყენებას არ გამორიცხავს. ამის შესახებ რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა ნიკოლაი მაკაროვმა განაცხადა.** „რა თქმა უნდა, არ ვაპირებთ, მთელი ნატოს წინააღმდეგ ვიომოთ. ასეთი მიზნები და ამოცანები არ გვაქვს. მაგრამ ჩვენ დოქტრინაში გაწერილი გვაქვს, როდის გვაქვს ბირთვული იარაღის გამოყენების უფლება. თუ რუსეთის ფედერაციის მთლიანობას საფრთხე დაემუქრება, უფლება გვაქვს, ბირთვული იარაღი გამოვიყენოთ. ამიტომ ასეთ შემთხვევაში მას გამოვიყენებთ“, — განაცხადა მაკაროვმა. მისივე თქმით, რუსეთი ესაზღვრება რიგ „არასტაბილურ ქვეყნებს, სადაც ბირთვული იარაღი არ არის საჭირო“.



## ალექსანდრე ვერშბოუ ნატოს გენერალური მდივნის მოადგილედ დაინიშნა

**ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის გენერალურ მდივან ანდერს ფოგ რასმუსენს ახალი მოადგილე ჰყავს.** ნატოს პრესცენტრის ცნობით, ამ თანამდებობაზე იტალიელი კლაუდიო ბიზონერო ალექსანდრე ვერშბოუმ შეცვალა. როგორც ცნობილია, ბოლოს ვერშბოუ საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწე იყო.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ სააკაშვილის რეჟიმს განდგომილი ყოფილი „ნაციონალებისთვის“, ყველასთვის, ივანიშვილის კოალიციაში ადგილი არ იქნება და ამიტომ ისინი უპირატესობას არა თამაშგარე მდგომარეობაში დარჩენას, არამედ ისევ სააკაშვილის გვერდით, თუნდაც პასიურ მდგომარეობაში ყოფნას მიანიჭებენ და დაელოდებიან, ბედი როდის გაუღიმებთ.

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

სააკაშვილის რეჟიმის წარმომადგენლები მუდმივად ამტკიცებენ, რომ „ნაციონალური“ მოძრაობა ერთიანი, მონოლითური გუნდია და მისი დაშლის ალბათობა არ არსებობს, თუმცა გასულ კვირას ხელისუფლებას ორი დეპუტატი გამოაკლდა: უმრავლესობიდან გარიცხეს ბეჟან ხურციძე (ვანის მაჟორიტარი), ხოლო კობა კურდღელაშვილი (კასპის მაჟორიტარი) თავად გადაბარგდა „ქრისტიან-დემოკრატებთან“. მიუხედავად ამისა, ცალსახად უნდა ითქვას, რომ ხელისუფლების პასიური წევრები, მაჟორიტართა კორპუსი, რომლებიც არ არიან „ნაციონალური მოძრაობის“ პარტიული აქტივისტები, მაგრამ სააკაშვილის რეჟიმის მთავარ ფინანსურ საყრდენს წარმოადგენენ, დღეს ბურიდანის ვირის მდგომარეობაში არიან, რომლებსაც ბოლომდე ვერ გადაუწყვეტიათ: დარჩნენ სააკაშვილის გვერდით და ჩაჰყვნენ მას პოლიტიკურ საფლავში თუ გადავიდნენ ახალი პოლიტიკური ძალის — ივანიშვილის კოალიციაში. ეს ერთგვარი პარადოქსული სიტუაციაა და, თუ ისინი დროზე არ გააკეთებენ არჩევანს, შეიძლება ბევრი რამ დაკარგონ.




# ბურიდანის ვირები

**დღეს განსაკუთრებით სახიფათოდ არიან გაჩუმებულნი მაჟორიტარი დეპუტატები, რომლებისთვისაც მთავარი არა პოლიტიკური ამბიციები, არამედ საკუთარი ოჯახების კეთილდღეობა და პირადი ბიზნესის უსაფრთხოებაა.** მითუმეტეს, რომ ისინი არ წარმოადგენენ და არც არასოდეს ყოფილან აქტიურ პოლიტიკაში მოდრეიფე ფიგურები. შეიძლება ითქვას, რომ მაჟორიტართა უდიდესი უმრავლესობა „შეცდომით“ მოხვდა პარლამენტში. უბრალოდ, მათ ერთ ნაწილს სააკაშვილის რეჟიმმა ბიზნესის წართმევის მუქარით, იძულებით მიაღებინა მონაწილეობა საპარლამენტო არჩევნებში, მეორე ნაწილმა კი საკანონმდებლო ორგანოდან საკუთარი ბიზნესის „დაკრიშვა“ თავად გადაწყვიტა. არადა, წესით, ყველა მაჟორიტარისთვის ცხოვრების დევიზი უნდა იყოს გენიალური კოლუმბიელი მწერლის, მარკესის სიტყვები: **„მე ვემსახურები ჩემს ხალხს და არა ჩემი ხალხის მთავრობას“**, ვინაიდან ისინი კონკრეტული რაიონის მოსახლეობის ხმას წარმოადგენენ პარლამენტში, შესაბამისად, უნდა ზრუნავდნენ საკუთარი ამომრჩევლების ყოფისა და მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს **საქართველოს მაჟორიტართა კორპუსი არანაირ პროდუქტს არ ქმნის ქვეყანაში. უფრო მეტიც, ისინი ქართულ რეალობაში პარაზიტის როლს ასრულებს.**

ერთი შეხედვით, „ნაციონალური“ ხელისუფლება დღემდე მართლაც ინარჩუნებს მონოლითურობას. თითქოს გაცილებით უფრო მეტად შეიკრა „საერთო მტრის“ — ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენის შემდეგ და მის წინააღმდეგ დაირაზმა, რაც გარკვეულწილად გვაფიქრებინებს იმას, რომ მისი გახლეჩა არჩევნებამდე წარმოუდგენელია. თუმცა **პოლიტიკურ პროცესებში ივანიშვილის კოალიციის აქტიურად ჩართვის, ახალი ოპოზიციური ტელეკომპანიის — „მე-9 არხის“ ამოქმედებისა და რეგიონებში მოსახლეობის გააქტიურების შემდეგ აუცილებლად მოხდება ხელისუფლებისა და მმართველი პარტიის ჩამოშლა, მაგრამ მთავარი ახლა ის არის, ექნება თუ არა ამ პროცესს სტიქიური ხასიათი.** ალბათ — არა, რადგან ბევრ სახელმწიფო მოხელეს თუ დეპუტატს არც თუ ისე სუფთა წარსული აქვს, რის გამოც ისინი ხელისუფლებას გამოჭერილი ჰყავს და ოპოზიციის სასარგებლოდ თავისუფლად მოქმედების საშუალებას არ აძლევს. მაგრამ, **ვინც შეძლებს სააკაშვილის რეჟიმისგან თავის დაღწევას და ოპოზიციურ ბანაკში გადაბარგებას, მას კიდევ ექნება რეაბილიტაციისა და პოლიტიკაში დაბრუნების შესაძლებლობა.**

რაც შეეხება მმართველ პარტიაში შიდა განხეთქილების ალბათობას და ფრაქციებად დაშლის შესაძლებლობას, **„ნაციონალური მოძრაობის“ არსებობა დღესდღეობით დამოკიდებულია სააკაშვილის ავტორიტეტზე, მისი წასვლა პოლიტიკიდან კი პარტიის რღვევას გამოიწვევს, რომელიც, შესაძლოა, გაქრეს კიდეც, როგორც პოლიტიკური სუბიექტი. ამის მიზეზი კი არის ის, რომ დღემდე არ გამოკვეთილა ისეთი ლიდერი რომელსაც პარტიის ძირითადი ნაწილი უპრობლემოდ გაჰყვებოდა. ხოლო ხელისუფლებაში არსებულ „მიკრო“ ლიდერებს — ბაქრაძეს, უგულავას, ბოკერიას — შეუძლებელია, ეყოთ იმის გამბედაობა და რესურსი, რომ გაემიჯნონ სააკაშვილს და „ნაციონალური მოძრაობის“ ნანგრევებზე ახალი სახელისუფლო პარტიის შექმნა სცადონ.** ბაქრაძე-უგულავას შემთხვევაში, მთავარი პრობლემა პარტიის შიგნით ავტორიტეტის არარსებობაა, რომელიც ძლიერი გუნდის შექმნის საშუალებას არ იძლევა. რაც შეეხება „რუხ კარდინალად“ წოდებულ გიგა ბოკერიას, რომელიც უდიდესი გავლენით სარგებლობს საკუთარი პარტიის წევრებს შორის, მისი შანსები — გახდეს სააკაშვილის მემკვიდრე და „ნაციონალური მოძრაობის“ ახალი ლიდერი — პრაქტიკულად ნულის ტოლია, ვინაიდან საზოგადოებაში მიუღებელი პოლიტიკური ფიგურაა.

**ასეთ შემთხვევაში, ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის პოლიტიკური მომავლის გადარჩენისა და პირადი უსაფრთხოების ერთადერთი გზა არის ოპოზიციის მხარეს გადასვლა.**

გასათვალისწინებელია ისიც, რომ სააკაშვილის რეჟიმს განდგომილი ყოფილი „ნაციონალებისთვის“ ივანიშვილის კოალიციაში ადგილი ყველასთვის არ იქნება და ამიტომ ისინი უპირატესობას არა თამაშგარე მდგომარეობაში დარჩენას, არამედ ისევ სააკაშვილის გვერდით, თუნდაც პასიურ მდგომარეობაში ყოფნას მიანიჭებენ და დაელოდებიან, ბედი როდის გაუღიმებთ.

უფრო რთული ვითარებაა ძალოვან სტრუქტურებთან დაკავშირებით. **დღევანდელი გადმოსახედიდან, რა თქმა უნდა, არ არსებობს ძალოვანი სტრუქტურების გახლეჩისა და ოპოზიციის მხარეს გადასვლის შესაძლებლობა,** ვინაიდან ხელისუფლებამ ყველა ზომა მიიღო, რომ ეს არ დაეუშვას. განსაკუთრებით ეს ეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს და მის დაქვემდებარებაში მყოფ ორგანოებს.

**ვინც შეძლებს სააკაშვილის რეჟიმისგან თავის დაღწევას და ოპოზიციურ ბანაკში გადაბარგებას, მას კიდევ ექნება რეაბილიტაციისა და პოლიტიკაში დაბრუნების შესაძლებლობა**

ამ სიტუაციის გამოსწორება ბიძინა ივანიშვილმა რამდენიმე დღის წინ სცადა, როდესაც პოლიციასა და ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებს საზოგადოების თვალში მისთვის არამომგებიანი მესიჯი გაუგზავნა: **„მე ვფიქრობ, რომ სულ რაღაც 50 თანამშრომელი ჰყავს დღეს პოლიციას, რომლებიც ნებისმიერ ბრძანებას ასრულებენ. მაგრამ არ მინდა, რომ ეს საზოგადოებამ გაავრცელოს მთლიანად ჩვენს პოლიციაზე, იქ ძალიან ბევრი ღირსეული მოქალაქე მუშაობს და მათ დიდი სურვილი აქვთ, დაიცვან ჩვენი უფლებები. ერთადერთი კაცი, ეს გახლავთ სააკაშვილი, ეს არის მისი პოლიტიკა – ძალადობის პოლიტიკა და ამას უსრულებს მას რამდენიმე შემსრულებელი“.**

ეს მიმართვა შეიძლება ითქვას, რომ „წყლის ნაყვაა“, რადგან საქართველოში ძალოვანი სტრუქტურები სრულიად პოლიტიზებულია და გადაქცეულია ავტორიტარიზმის ბრმა იარაღად, ვინაიდან დღეს ამ უწყების ძირითადი „ფუნქცია“ არა ადამიანის უფლებებისა და კანონის, არამედ სააკაშვილის რეჟიმის უსაფრთხოების დაცვაა. შესაბამისად, მათი ოპოზიციის სასარგებლოდ მუშაობის შანსი პრაქტიკულად მინიმალურია.

**მართალია, ივანიშვილი და მისი კოალიციის წარმომადგენლები ლამის ბიბლიაზე დაფიცებით ამტკიცებენ, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში სააკაშვილის გუნდის წევრებს არ დაიჭერენ და არ მისცემენ ამ პროცესს რეპრესიულ ხასიათს, მაგრამ იქვე დასძენენ, რომ მათ დანაშაულს თუ უდანაშაულობას სამართლიანი სასამართლო გადაწყვეტს.** მაგალითად, რამდენიმე დღის წინ პოლიტიკური მოძრაობა „ქართული ოცნების“ საინიციატივო ჯგუფის წევრმა ირაკლი სესიაშვილმა გააცხადა: **„ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ სააკაშვილისა და მისი გუნდის წევრების დაჭერას არ ვაპირებთ. აუცილებელია, შევქმნათ სახელმწიფო სისტემა, რომლითაც დამოუკიდებელი სასამართლოს გარანტორები ვიქნებით. თავად სასამართლო გადაწყვეტს, ვინ არის დამნაშავე. მკაცრი სადამსჯელო გარემოს პოლიტიკის გატარებას არ ვაპირებთ“.** მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, სააკაშვილმა და მისმა უახლოესმა გარემოცვამ, რომლებსაც საქართველოში დღეს არსებულ უკანონობასა და ავტორიტარული რეჟიმის ჩამოყალიბებაში მიუძღვით წვლილი, სამართლიან სასამართლოს თავი უპრობლემოდ აარიდონ, თუ, რა თქმა უნდა, მათ მიმართ არ იქნა დაშვებული განსაკუთრებული „კომპრომისი“, რაც თავისთავად სამართლიანი სასამართლოს პრინციპის დარღვევა და კანონის შერჩევით გამოყენება იქნება. ეს კი კატეგორიულად დაუშვებელია.

დაბოლოს, ერთი რამ ნათელია: „ნაციონალური მოძრაობა“ დღეს მხოლოდ ვირტუალურად არის მონოლითური, რომელიც სააკაშვილის პოლიტიკიდან წასვლამდე თუ არა, წასვლის შემდეგ მაინც აუცილებლად დაიშლება ისევე, როგორც თავის დროზე დაიშალა „მოქალაქეთა კავშირი“, ხოლო **ხელისუფლებაში მყოფ პოლიტიკოსებს, რომლებსაც აქვთ სურვილი, პირადი და პოლიტიკური მომავლის უსაფრთხოება ხელშეუხებელი დარჩეს, დროზე უნდა გააკეთონ არჩევანი ნარიყალასა და ავლაბრის სასახლეებს შორის, ვინაიდან ბურიდანის ვირის მდგომარეობაში ყოფნა მათ კარგს არაფერს უქადის.**

**ზურაბ ჯამბურია**

**P.S. ბურიდანის ვირი ეწოდა ფილოსოფიურ პარადოქსს ფრანგი ფილოსოფოსის — ჟან ბურიდანის სახელის მიხედვით, თუმცა ის ჯერ კიდევ ცნობილი იყო არისტოტელეს ნაშრომებიდან. ამ პარადოქსის მიხედვით, ვირს ორ თივის ზვინს შორის ვერ აურჩევია, რომელი შეჭამოს და ამის გამო შიმშილით სიკვდილი ელის.**

**დღეს ხელისუფლების წარმომადგენლების ძირითადი ნაწილი სწორედ ამ მდგომარეობაშია.**

**თუმცა ხელისუფლების წარმომადგენლებს ვინ ჩივის, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჯონ ბასი ბიძინა ივანიშვილს, მთელ დიპკორპუსთან ერთად, შინ ეწვია და ამის შემდეგ მათ შორის კიდევ ერთი შეხვედრაც შედგა, ხოლო „ქართულმა ოცნებამ“ არაერთი რევერანსი გააკეთა დასავლეთის მიმართულებით — ჩვენ არა ვართ ისეთი ანტიდასავლური, როგორადაც სააკაშვილი ცდილობს, წარმოგვაჩინოსო, ცხადია, რომ თეთრი სახლიც ერთგვარი ყოყმანით ცდილობს მარტივი და ფორმალური არჩევანის გაკეთებას ივანიშვილისა და სააკაშვილის პროდასავლურ ბანაკებს შორის.**

მოკლედ

## თურქმენეთში პრეზიდენტი აირჩიეს

**გურბანგულ ბერდიმუჰამედოვი თურქმენეთის პრეზიდენტი კიდევ ერთი ვადით იქნება. ქვეყნის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ იგი გამარჯვებულად ოფიციალურად გამოაცხადა.** თურქმენეთის ცესკოს მონაცემებით, საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა ამომრჩეველთა 96,7 პროცენტმა მიიღო, ხოლო ბერდიმუჰამედოვს, რომელიც ქვეყნის პრეზიდენტი 2007 წლიდანაა, ხმა მათმა 97,14 პროცენტმა მისცა.



## აშშ ფაშისტურ სახელმწიფოდ იქცევა

**აშშ-ის ხელისუფლება დემოკრატიის პრინციპებს შორდება და რისკავს, გადაიქცეს ფაშისტურ სახელმწიფოდ.** ამის შესახებ განაცხადა წარმომადგენელთა პალატის წევრმა რონ პოლმა, რომელიც რესპუბლიკური პარტიიდან პრეზიდენტობის კანდიდატად პრემერიზში მონაწილეობს. „ჩვენ დავშორდით რეალური რესპუბლიკის პრინციპებს. ამჟამად ჩვენ ვმოძრაობთ ფაშისტური სისტემის ფორმირებისკენ, რომლის დროსაც ქვეყანას ერთობლივად მართავენ მთავრობა და ყველაზე მსხვილი ბიზნესმენები. ჩვენ შეიძლება შევეჯახოთ მართვის ავტორიტარულ ფორმას ყველა ამერიკელი მოქალაქის უფლებების დარღვევით“, — განაცხადა რონ პოლმა მისურის შტატში საკუთარ ამომრჩეველთან შეხვედრისას.

## სამართალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„საზოგადოებაში არის შიში, რომ, თუ ვიჩივლებ ან მივმართავ რომელიმე უფლებადამცველ ორგანიზაციას, ამით შეიძლება საქმე კიდევ უფრო გავართულოო. ამიტომ უამრავი ადამიანი ვიცი, რომელთა მიმართაც კანონი უხეშად დაირღვა, მაგრამ ხმას ვერ იღებენ იმის გამო, რომ ეშინიათ, უარესი არ დაემართოთ."



ლია მუხაშავრია:

# მივმართავ ყველა პატიმარს — ნუ ხართ ჩუმად!

**პატიმართა მიმართ არაადამიანური მოპყრობის ფაქტებსა და ზოგადად, ციხეებში არსებულ მდგომარეობაზე „საქართველო და მსოფლიოს" ესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა პრიორიტეტის" ხელმძღვანელი, ადვოკატი ლია მუხაშავრია.**



**— ქალბატონო ლია, ის, რაც ჩვენს ქვეყანაში ადამიანის უფლებების კუთხით ბოლო დროს ხდება, უკვე საქართველოს მასშტაბებს გასცდა და საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემებში აისახა. განსაკუთრებით ეს ეხება ციხეებში არსებულ მდგომარეობას, რაზეც ჩვენი და უცხოელი უფლებადამცველებიც მუდმივად საუბრობენ. თქვენ რა მონაცემები გაქვთ, რა კუთხით ირღვევა ჩვენთან ყველაზე მეტად ადამიანის უფლებები?**

— სამწუხაროდ, დღეს საქართველო მთლიანად დაემსგავსა ერთ დიდ საპყრობილეს და ქვეყანაში პრაქტიკულად აღარ დარჩა არც ერთი სფერო, რომელშიც რეჟიმმა არ შეაღწია, მაგრამ ყველაზე მეტად სადაც იგრძნობა ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, არის სასჯელაღსრულებითი სისტემა. მეტიც, უკვე იმდენად თვალშისაცემია ამ სისტემის უფუნქციობა, რომ, როგორც თქვენ აღნიშნეთ, ამაზე საუბრობს მთელი მსოფლიო. ეს აისახება ისეთი ავტორიტეტული საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციის მონაცემებში, როგორიცაა „ჰუმან რაიტს ვოტჩი"; თომას ჰამერბერგმა საგანგებოდ აღნიშნა ამის შესახებ, და მიმაჩნია, რომ ეს არის ჩვენი სირცხვილი.

ადამიანის უფლებები ყველგან ირღვევა, ყველაზე განვითარებული დემოკრატიის ქვეყნებშიც კი ხშირია ასეთი შემთხვევები, მაგრამ იქ, უბრალოდ, წარმოუდგენელია, დაირღვეს კანონი, მითუმეტეს, შეილახოს ადამიანის უფლებები და ეს ფაქტი დარჩეს გამოუძიებელი, ანუ დაუსჯელობის პრეცედენტი არ იქმნება. ჩვენთან, სამწუხაროდ, პირიქითაა — დასჯის პრეცედენტი არ არსებობს, ამიტომ იგივე ის **პროკურორი, პოლიციელი თუ ციხის რიგითი თანამშრომელი, რომელიც მსჯავრდებულს უდიერად ეპყრობა, თავისუფალია ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან და, ბუნებრივია, დანაშაულს თავისუფლად სჩადის.**

ეს არის შედეგი, ანუ რეალობა, რომელიც გვაქვს. რაც შეეხება მიზეზს, არაერთხელ მითქვამს და კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ თავი და თავი ყველა იმ უბედურებისა, რაც ციხეებში ხდება, არის სასამართლო სისტემა. მოგეხსენებათ, ხელისუფლების ეს შტო, რომელიც უნდა იყოს სამართლიანობის სიმბოლო და გარანტი ქვეყანაში, დღეს, ფაქტობრივად, არ ფუნქციონირებს. აქედან გამომდინარე, მოქალაქე, რომელიც ხდება არასათანადო მოპყრობის მსხვერპლი, ვერ იცავს თავის უფლებებს და ვერ აღწევს სამართალს. პირიქით, საზოგადოებაში არის შიში, რომ, თუ

## რაც უფრო მორჩილია მსჯავრდებული და თავს უხრის უსამართლობას, მით უფრო მკაცრია რეჟიმი მის მიმართ

ვიჩივლებ ან მივმართავ რომელიმე უფლებადამცველ ორგანიზაციას, ამით შეიძლება საქმე კიდევ უფრო გავართულოო. ამიტომ უამრავი ადამიანი ვიცი, რომელთა მიმართაც კანონი უხეშად დაირღვა, მაგრამ ხმას ვერ იღებენ იმის გამო, რომ ეშინიათ, უარესი არ დაემართოთ. აი, სწორედ ამას უნდა ებრძოლოს ჩვენი საზოგადოება. **სასამართლო სისტემა უნდა გახდეს თავისუფალი და, თუ ამას მივაღწევთ, ვერც ერთი თანამდებობის პირი, რიგითი პოლიციელი იქნება ეს თუ მაღალ პოსტზე მყოფი ჩინოვნიკი, ვერ გაბედავს, გადააბიჯოს კანონს, როგორც დღეს ხდება და, სამწუხაროდ, არავის უკვირს იმიტომ, რომ საზოგადოებაც თითქმის მიეჩვია ამ ყველაფერს...**

**— სააკაშვილი ვაშინგტონში ამასწინანდელი ვიზიტისას მუდმივად ხაზს უსვამდა იმას, რომ საქართველოში ადამიანის უფლებები დაცულია. თუ ესაა ჩვენი ყველაზე პრობლემური მიმართულება, რატომ მაინცდამაინც ამაზე ცდილობს ხელისუფლება პიარის აწყობას? დასავლეთისთვის ხომ ისედაც ნათელია, რა მდგომარეობა გვაქვს?**

— ამერიკას და მით უფრო ევროპას ველარ მოატყუებს ეს ხელისუფლება. ამიტომ სააკაშვილის ის გამოსვლები, რომლებზეც მან ადამიანის უფლებების კუთხით არსებულ მდგომარეობაზე ისაუბრა, ჩემი აზრით, ერთგვარ თავის მართლებას უფრო ჰგავდა, ვიდრე პიარს. სხვათა შორის, მას წამოსცდა კიდეც ვაშინგტონში, რომ მან, როგორც რევოლუციით მოსულმა ახალგაზრდა რეფორმატორმა, ჯერ აქცენტი გააკეთა ქვეყნის აღმშენებლობაზე, კორუფციის აღმოფხვრაზე და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო ფიქრი დემოკრატიის დამყარებაზე. ამით **სააკაშვილმა ფაქტობრივად აღიარა, რომ დემოკრატიული პროცესებისათვის მას ჯერ არ მოუცლია და, შესაბამისად, არცაა ქვეყანაში არანაირი ნიშანი დემოკრატიისა; სხვა შინაარსის განცხადებებს ის, უბრალოდ, ვერც გააკეთებდა დასავლელი ლიდერების წინაშე, ვინაიდან, მოგეხსენებათ, ამ ვიზიტამდე დაახლოებით ერთი კვირით ადრე გამოქვეყნდა „ჰუმან რაიტს ვოტჩის" ანგარიში, რომელშიც პირდაპირ, ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ საქართველოში ადამიანის უფლებების მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა...**

**— დავუბრუნდეთ ციხეებში არსებულ მდგომარეობას. თითქმის ყოველდღიურად გიწევთ ურთიერთობა მსჯავრდებულებთან, ძირითადად რა მიზეზით მოგმართავენ ხოლმე ისინი, როგორც უფლებადამცველს?**

— მთავარ პრობლემას, რაც მსჯავრდებულის ციხეში შესვლის წუთიდანვე ხვდება და უქმნის გაუსაძლის პირობებს, წარმოადგენს ციხის გადატვირთულობა, რომლის გადაჭრაც დღემდე ვერ ხერხდება. არის საკნები, სადაც ერთ კვადრატულ მეტრზე მოდის დაახლოებით სამი-ოთხი პატიმარი და, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამ ადამიანებს, უბრალოდ, ჰაერი არ აქვთ, რომ ნორმალურად ისუნთქონ. გარდა ამისა, თავის მხრივ, ეს გადატვირთულობა იწვევს სხვა არანაკლებ მძიმე პრობლემებსაც, ვთქვათ, როგორიცაა ეპიდემიის გავრცელება პატიმრებში, ჰიგიენური პირობების არარსებობა და, ვინაიდან ადმინისტრაცია ამ პრობლემებს ვერ უმკლავდება, მსჯავრდებულებში რომ რამე უკმაყოფილებამ არ იფეთქოს, ხდება მათი დატერორება მუდმივად, ანუ პერიოდულად ტარდება ე. წ. სადამსჯელო ოპერაციები და აბსოლუტურად უმიზეზოდ განურჩევლად ყველას სცემენ. არის შემთხვევები, როცა სწორედ ასეთი მოპყრობის გამო პატიმარი აღმოჩნდება საავადმყოფოში; რას აკეთებს ამ პრობლემების გადასაჭრელად სასჯელაღსრულების სამინისტრო, სიმართლე გითხრათ, ჩემთვის უცნობია, მაგრამ ერთი რამ ფაქტია, **ამ ხელისუფლებამ მოსვლის დღიდან გამოაცხადა, რომ ებრძვის ე. წ. შავ სამყაროს, მაგრამ საპყრობილეების შიგნით მან რეალურად ვერ ჩაანაცვლა ისეთი არაოფიციალური, ფორმალური კონტროლის მექანიზმი, როგორიც იყო სწორედ ეს „შავი სამყარო". ამიტომაც მიმართავს ციხის ადმინისტრაცია დატერორების პოლიტიკას და ამიტომ ჰყავს დღეს საქართველოს ამდენი ნაცემი და დასახიჩრებული პატიმარი. არაფერს ვამბობ დაავადებულ მსჯავრდებულებზე, რომელთა რაოდენობაც დღითიდღე იზრდება...**

**— პატიმრების უმეტესობა ვერ ბედავს თავის პრობლემებზე საჯაროდ საუბარს. თქვენი დაცვის ქვეშ მყოფი მსჯავრდებულები რამდენად ახერხებენ ამას? თუ შეგიძლიათ დაგვისახელოთ წამების ან არაადამიანური მოპყრობის კონკრეტული ფაქტები?**

— სამწუხაროდ, ასეთი ფაქტები იმდენია, რომ ზოგჯერ უფლებადამცველები ფიზიკურად ვერ ვახერხებთ ყველა მათგანზე რეაგირებას. მიუხედავად ამისა, ამ ფაქტების უმეტესობა გაუხმაურებელი რჩება, ვინაიდან თვითონ მსჯავრდებულების მოთხოვნაა, რომ მათ შესახებ ღიად არ ვისაუბროთ. მათ უნდათ, რომ დავეხმაროთ იურიდიულად, მივმართოთ სხვადასხვა შესაბამის ორგანიზაციას, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ სურთ ფაქტის გამჟღავნება; აქედან გამომდინარე, ჩვენც, უფლებადამცველები და ადვოკატები, შეზღუდულები ვართ და ვერ ვახერხებთ სრულყოფილად მუშაობას.

რაც შეეხება წამების კონკრეტულ შემთხვევებს, ერთადერთი პატიმარი, რომელმაც ბოლო დროს გაბედა და დაუფარავად ისაუბრა ამ თემაზე, იყო გლდანის მერვე საპყრობილის მსჯავრდებული კახა ბარათაშვილი; სხვათა შორის, ამის გამო ეს ადამიანი აღმოჩნდა საშინელ წნეხში და იმდენად გაუსაძლისი პირობები შეუქმნეს მას, რომ სასწრაფო ოპერაცია დასჭირდა, მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, ის არ გაჩუმდა და ამხილა ადმინისტრაციის ყველა თანამშრომელი, რომლებიც მონაწილეობდნენ მის წამებაში. ეს იყო სამაგალითო ფაქტი და **მინდა მივმართო ყველა პატიმარს, რომლის მიმართაც რაიმე მსგავსი ზემოქმედება ხორციელდება, რომ ნუ ხართ ჩუმად. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ არანაირი სასიკეთო შედეგი ამას მათთვის არ მოაქვს, პირიქით, რაც უფრო მორჩილია მსჯავრდებული და თავს უხრის უსამართლობას, მით უფრო მკაცრია რეჟიმი მის მიმართ და ეს ბუნებრივიცაა...**

**— როცა პატიმრები გთხოვენ, მოახდინოთ რეაგირება მათ მიმართ განხორციელებული უფლებადარღვევის ფაქტზე, რა ბერკეტები გაქვთ ამისთვის?**

— გამომდინარე იქიდან, რომ არც ერთი შესაბამისი უწყება, როგორც წესი, მსგავს ფაქტებზე საერთოდ არ რეაგირებს ხოლმე, პრევენციის ზომები მაქსიმალურად შეზღუდულია. მეტიც, ფაქტობრივად, აზრი არ აქვს ვინმესთვის განცხადებით მიმართვას, იმიტომ, რომ სასჯელაღსრულების სამინისტრო ფაქტობრივად გახდა მონსტრი, რომლის უკანონო ქმედებები უკვე ცნობილია მთელი ევროპის მასშტაბით. საერთოდ, **ჩვენი ხელისუფლება, რაც დრო გადის, სულ უფრო მიდრეკილია დიქტატურისკენ, ამიტომ გასაკვირი, ალბათ, არც არაფერია იმაში, რომ პატიმართა რაოდენობა კატასტროფულად იზრდება. ამიტომაა თვალსაჩინო ისიც, რომ ამ სისტემაში ყოველდღე, ყოველ წუთს ირღვევა ადამიანის უფლებები. რიგითი მოქალაქე ვერ ახერხებს თავის დაცვას იმიტომ, რომ სასამართლო სისტემა არ არსებობს. სხვათა შორის, ამას ვერ გამოასწორებს ვერც კარგი მინისტრი, ვინაიდან მარტო მინისტრის დონეზე არ დგას ეს პრობლემა, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენ გვყავს ყველაზე ცუდი მინისტრი, რაც კი შეიძლება წარმოიდგინოს ადამიანმა. ეს არ არის მხოლოდ ჩემი აზრი, ამაზე უკვე ღიად საუბრობენ უცხოური ორგანიზაციებიც და მათ დასკვნებსა და ანგარიშებში ეს ყველაფერი ნათლადაა ასახული...**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

„მარტო შარშან ოთხასამდე საჩივარი იყო პატიმართა მიერ სტრასბურგის სასამართლოში გაგზავნილი და მათი ოთხმოცი პროცენტი უკანვე გამოითხოვეს, ანუ ისეთი სასტიკი ზეწოლა განხორციელდა ამ ადამიანებზე, რომ მათ უარი ათქმევინეს თავიანთ გადაწყვეტილებაზე...“

სამართალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



უჩა ნანუაშვილი:

# ამ ხელისუფლებას დასავლეთში ისე უყურებენ, როგორც უიმედო ავადმყოფს, რომელსაც არაფერი ეშველება

**ბოლო დროს განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ადამიანის უფლებათა ცენტრის ხელმძღვანელი უჩა ნანუაშვილი.**

**— ბატონო უჩა, ეს ერთი თვეა, წამყვანი საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციები ერთმანეთის მიყოლებით აქვეყნებენ დასკვნებსა და ანგარიშებს, რომლებშიც ადამიანის უფლებების კუთხით საქართველოში არსებული მდგომარეობა ერთობ კრიტიკულადაა შეფასებული. თქვენი აზრით, რითაა ეს ყველაფერი განპირობებული? რამ გამოიწვია უცხოური ორგანიზაციების ესოდენ მყისიერი გააქტიურება მაინცდამაინც ახლა, როცა არჩევნები, სადაცაა, კარს მოგვადგება?**

— ვფიქრობ, ამაში გასაკვირი არაფერია, ვინაიდან მდგომარეობა დღითიდღე უარესდება და, როცა ქვეყანაში ასეთი მძიმე ვითარებაა, ცხადია, ამას ხედავს მთელი მსოფლიო. რაც შეეხება თქვენს კითხვას, რატომ მაინცდამაინც ახლა გააქტიურდა დასავლეთი, მარტივად შეიძლება ამის ახსნა: ამ ხელისუფლებამ ისეთი საოცრებები გააკეთა და იმხელა მასშტაბს მიაღწია ამ რეჟიმის სისასტიკემ რომ ეს ყველაფერი უკვე ცდება ქვეყნის ფარგლებს და საერთაშორისო ყურადღების ცენტრში ექცევა. ეს ბუნებრივია, იმიტომ, რომ, როცა მიიღებ ისეთ კანონს, რომელიც პირდაპირ ზღუდავს შეკრებებისა და მანიფესტაციების ჩატარებას, როცა საარჩევნო კოდექსს მოარგებ პირად ინტერესებს და კონსტიტუციას ფაქტობრივად აქცევ შენს გასართობ სათამაშოდ, რომელსაც, როცა გინდა, გადააკეთებ-გადმოაკეთებ, რა თქმა უნდა, ცივილიზებულ სამყაროს ამაზე ექნება ადეკვატური რეაქცია და ჩვენ ეს დავინახეთ.

ახლა თქვენ, ალბათ, იკითხავთ, რატომ აქამდე არ საუბრობდა ასე მწვავედ იმაზე, რაც აქ ხდება, იგივე „ჰუმან რაიტს ვოჩი“, „თომას ჰამერბერგი“ და ა.შ. სწორედ ესაა დასავლური ღირებულებების თვისებურება, — ისინი მყისიერად და იმპულსურად არ რეაგირებენ, ჯერ აკვირდებიან, იკვლევენ და, როცა გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ კრიტიკული მდგომარეობაა, მხოლოდ ამის შემდეგ დებენ ისეთ დასკვნებს, როგორიც ჩვენ შემთხვევაში გამოაქვეყნეს ამ ორგანიზაციებმა. ამით იმის თქმა მინდა, რომ, **თუ აქამდე დასავლეთს რაღაც იმედი ჰქონდა, რომ აქ არსებული მდგომარეობა მომავალში ნაწილობრივ მაინც გამოსწორდებოდა, დღეს უკვე ეს იმედი გადაწურულია, ამიტომ, შეიძლება ითქვას, ამ ხელისუფლებას ახლა ისე უყურებენ, როგორც უიმედო ავადმყოფს, რომელსაც არაფერი ეშველება.** აქედან გამომდინარე, ნამდვილად არ უნდა გვიკვირდეს ის, რომ სხვადასხვა ავტორიტეტული ორგანიზაციების მიერ მომზადებულ კრიტიკულ ანგარიშებში ბოლო დროს მოწინავე პოზიციებზე ვხვდებით, ეს სავსებით ლოგიკურია და დარწმუნებული ვარ, მომავალშიც კიდევ არაერთ ანგარიშში მოგვიხსენიებენ უარყოფით კონტექსტში, თუ, რა თქმა უნდა, ეს მდგომარეობა არ შეიცვლება.

**— ბოლო დროს რამდენიმე ისეთი კანონი იქნა მიღებული, რომლებმაც საზოგადოების შეშფოთება გამოიწვია. მაგალითად, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების, შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ და ა.შ. საინტერესოა, მსგავსი კანონები რომელიმე ცივილიზებული ქვეყნის მაგალითზე დაყრდნობით მიიღება ხოლმე თუ პიონერები ვართ ამ საქმეში?**

— ჩვენდა სამარცხვინოდ, ასეთი რამ არა თუ ცივილიზებულ ქვეყნებში, შუა აზიის ავტორიტარულ სახელმწიფოებშიც არ ხდება, არაფერს ვამბობ პოსტსაბჭოთა სივრცეზე, სადაც მსგავსი პრეცედენტები, ფაქტობრივად, არ არსებობს. აზერბაიჯანშიც კი, სადაც მიტინგები იკრძალება და ხალხს არანაირი პროტესტის გამოხატვის უფლება არ აქვს, მსგავსი რამ არავის ახსოვს. ეს ხდება მარტო საქართველოში. ასე რომ, შეიძლება ითქვას, ის მდგომარეობა, რაც დღეს ჩვენ გვაქვს, უპრეცედენტო შემთხვევაა. სხვათა შორის, იმავე გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა მაინა კიაიმაც აღნიშნა, რომ ყველა ის საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც ბოლო დროს განხორციელდა საქართველოში, იყო ერთი ადამიანის პირად ინტერესებზე მორგებული. მეტიც, მან პირდაპირ განაცხადა, რომ ზოგადად ასე ხდება საქართველოში კანონების მიღება, რაც, ჩემი აზრით, ძალიან მწვავე და, მე ვიტყოდი, კრიტიკული შეფასება იყო ამ ხელისუფლებისთვის...




«სააკაშვილი უკვე ველარ ატყუებს ცივილიზებულ სამყაროს, რომ ჩვენთან ჭეშმარიტი დემოკრატია შენდება»

**— გეთანხმებით, მაგრამ, შედეგის თვალსაზრისით, რამდენად მნიშვნელოვანია ასეთი განცხადებები? რამდენად ითვალისწინებს ჩვენი ხელისუფლება ამ ყველაფერს?**

— შედეგი შეიძლება არ არის დღეს, მაგრამ, ვფიქრობ, ძალიან მალე აქ ბევრი რამ შეიცვლება. ნუ დაგვავიწყდება, რომ არჩევნები წინაა და ხელისუფლებას საერთაშორისო მხარდაჭერის იმედი აქვს, ანუ ის, ფაქტობრივად, მთლიანად დამოკიდებულია იმაზე, თუ რა პოზიციას დაიკავებს დასავლეთი. აქედან გამომდინარე, დღეს შეიძლება გასდის „ნაციონალურ მოძრაობას“ რაღაც-რაღაცების იგნორირება, მაგრამ მერწმუნეთ, ეს დიდხანს ვერ გაგრძელდება; თუ გაგრძელდება, ამით მისი სიმყარე უფრო მეტად შესუსტდება და ხელისუფლებამ ეს ძალიან კარგად იცის.

**— თქვენ ფიქრობთ, რომ ამ პოლიტიკური კურსით ხელისუფლებას მომავალ არჩევნებში დასავლეთი მხარს არ დაუჭერს?**

— ეს გამორიცხულია, იმიტომ, რომ დღესდღეობით ქვეყანა არის კრიტიკულ ზვარზე. ამის თაობაზე მაინა კიაიმაც აღნიშნა თავის გამოსვლაში, რომ საქართველოში კატასტროფული მდგომარეობაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამის მერე ქვეყანა განვითარდება ან დემოკრატიული გზით, ან მთლიანად დაკარგავს დასავლურობის ყველა ნიშანს და, ფაქტობრივად, იქცევა ტიპიურ ავტორიტარულ, დიქტატორულ სახელმწიფოდ. ეს იყო ძალიან მკაფიოდ მიმანიშნებელი სიგნალი ხელისუფლებისთვის, რომ აქ უნდა მოხდეს ძირეული ცვლილებები, რომ ასე გაგრძელება, უბრალოდ შეუძლებელია.

**— რაც შეეხება ციხეებში არსებულ მდგომარეობას: რამდენად დადებითად აისახება ხოლმე მსჯავრდებულთა პირობებზე საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციების მხრიდან ხელისუფლების კრიტიკა?**

— საერთოდ ჩვენი ხელისუფლების პოლიტიკა მდგომარეობს იმაში, რომ ვინც რაც უნდა ილაპარაკოს, ის მაინც თავისას შვრება, ამიტომ რამე შედეგი მოაქვს-მეთქი, რომ გითხრათ თუნდაც ისეთ მნიშვნელოვან ანგარიშებს, როგორიც ვთქვათ, ამასწინათ ციხეების საერთაშორისო ორგანიზაციამ გამოაქვეყნა, ასე ნამდვილად არ არის, მაგრამ ზოგადად ასეთი დოკუმენტის გამოქვეყნება, რა თქმა უნდა, მისასალმებელია. **ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამით, ფაქტობრივად, მთელი მსოფლიო იგებს, აქ რა ხდება და, რაც მთავარია, ასეთი ანგარიშების გამოქვეყნების შემდეგ სააკაშვილი უკვე ველარ ატყუებს ცივილიზებულ სამყაროს, რომ ჩვენთან ჭეშმარიტი დემოკრატია შენდება. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ხელისუფლების შეცვლის პროცესს ქვეყნის შიგნით თუ საზოგადოება, ხალხი წარმართავს, საერთაშორისო ასპარეზზე ამას სწორედ ასეთი საყურადღებო დოკუმენტები აკეთებენ;**

ასე რომ, მნიშვნელობა ამ ყველაფერს ძალიან დიდი აქვს და მე ვისურვებდი, რომ სულ უფრო ხშირად დადოს ხოლმე იმავე „ჰუმან რაიტს ვოჩმა“, „თომას ჰამერბერგმა“ ან რომელიმე სხვა ავტორიტეტულმა ორგანიზაციამ მსგავსი ანგარიშები...

**— ბევრი თქვენი კოლეგისგან მომისმენია არაერთხელ, რომ ხელისუფლების მიერ გატარებულ რეფორმებს სასჯელაღსრულებით სისტემაში მთელი რიგი მიმართულებებით მნიშვნელოვანი გაუმჯობესება მოჰყვა. რამდენად შეესაბამება ეს ყველაფერი რეალობას?**

— ჩვენ მუდმივად ყურადღებით ვაკვირდებით ამ სისტემაში მიმდინარე რეფორმებს და თვალ-ყურს ვადევნებთ აბსოლუტურად ყველა ცვლილებას, მაგრამ, სამწუხაროდ, მე დღემდე ვერ დავინახე ვერანაირი სასიკეთო შედეგი, რომელიც ამ ყველაფერს მოჰყვა. კი, შენდება ახალი საპყრობილეები, რემონტდება საკნები და ერთის შეხედვით უმჯობესდება მსჯავრდებულთა პირობები, მაგრამ სინამდვილეში ეს არის პოტიომკინის სოფელივით შეკოწიწებული რაღაც ფასადური ცვლილებები, რომლის იქით არ კეთდება არაფერი. ბოლოსდაბოლოს რომელ შედეგებზეა საუბარი, როცა ციხეებში გადატვირთულობის პრობლემა დღემდე გადაუჭრელია? როცა ამის გამო ჯანმრთელი პატიმარი სასჯელს იხდის ავადმყოფთან ერთად, რომლის გვერდითაც ყოფნა ერთი წუთითაც საფრთხისშემცველია? რომელ გაუმჯობესებულ პირობებზეა საუბარი, როცა საპყრობილეებში არ არსებობს ელემენტარული სამედიცინო მომსახურება და პატიმარი ნებისმიერმა ავადმყოფობამ, სურდომაც კი, შეიძლება მოკლას?! არაფერს ვამბობ არაადამიანური მოპყრობის ფაქტებზე, რომლებიც უკვე ისეა გახშირებული, რომ აბსოლუტურად ყველა მსჯავრდებული, ვისაც არ ეშინია, ამაზე საუბრობს; **მარტო შარშან ოთხასამდე საჩივარი იყო პატიმართა მიერ სტრასბურგის სასამართლოში გაგზავნილი და მათი ოთხმოცი პროცენტი უკანვე გამოითხოვეს, ანუ ისეთი სასტიკი ზეწოლა განხორციელდა ამ ადამიანებზე, რომ მათ უარი ათქმევინეს თავიანთ გადაწყვეტილებაზე...**

მოკლედ, პრობლემები იმდენია, რომ დაუსრულებლად შეიძლება ვისაუბროთ ამაზე, მაგრამ რეალურად ეს არაფერს ცვლის, ცვლილება დამოკიდებულია მხოლოდ პოლიტიკურ ნებაზე, რომელიც, სამწუხაროდ, დღეს არ გააჩნია ამ ხელისუფლებას და ამიტომაც არ მოაქვს მის მიერ გატარებულ არც ერთ რეფორმას, არც ერთ ცვლილებასა თუ ე. წ. ნოვაციას ამ სისტემაში რაიმე დადებითი შედეგი.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

«რომელ გაუმჯობესებულ პირობებზეა საუბარი, როცა საპყრობილეებში არ არსებობს ელემენტარული სამედიცინო მომსახურება და პატიმარი ნებისმიერმა ავადმყოფობამ, სურდომაც კი, შეიძლება მოკლას?!»

ნაც-რეალობა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„დამერწმუნეთ, იმდენად „დარეხვილი“ ხელისუფლება გვყავს, რომ გამორიცხული არაფერია. მაშინ, როდესაც ხელისუფლებამ დავით აღმაშენებლის ძეგლი გადაიტანა დიღომში, ქუთაისში დიდების მემორიალი დაანგრია და ახლა ბათუმშიც ანგრევს, ბათუმშივე დადგა სამარცხვინო ქანდაკებები — კვერცხებზე ფლოსტები შემოდო, ილია ჭავჭავაძის ძეგლი ბოთლის ქანდაკებით შეცვალა, ამ ქმედებების მერე ამ ხელისუფლებისგან მე ნამდვილად არაფერი გამიკვირდება!“

# «საქართველო და მსოფლიოს» პროგნოზი გამართლდა — სააკაშვილი ავღანეთში ჩავიდა

**20 თებერვალს მიხეილ სააკაშვილი ავღანეთში, ჰელმანდის პროვინციაში ჩავიდა და იქ მყოფ ქართველ სამხედროებს შეხვდა. „ინტერპრესნიუსის“ ცნობით, სააკაშვილმა ოფიციალური მიმართვის შემდეგ ჯარისკაცებთან ერთად ისადილა და მათი თანხლებით „ჯავშანტექნიკით კონკრეტული მონაკვეთის პატრულირება მოახდინა“.**

ის, თუ რა სარგებელი შეიძლება მოიტანოს მიხეილ სააკაშვილმა კონკრეტული ან თუნდაც აბსტრაქტული მონაკვეთის პატრულირების დროს, ჯავშანტექნიკით იქნება ეს თუ მის გარეშე, სამხედრო ექსპერტები, ალბათ, მოგვიანებით გაარკვევენ. ჩვენს მთავარ მიზანს ამ შემთხვევაში იმ მოტივების დადგენა წარმოადგენს, რომელმაც სააკაშვილს ავღანეთში წასვლისკენ უბიძგა. **აქამდე მან წლების განმავლობაში ვერ მოძებნა საკუთარ თავში საიმისო ძალა, რომ კოალიციის სხვა სახელმწიფოების მეთაურებისთვის მიებაძა და ავღანეთში თუნდაც რამდენიმე საათით ჩასულიყო. მართალია, მას უნდოდა დაემტკიცებინა, რომ სინამდვილეში ის მამაცია და 2008-ში გორში მომხდარი ინციდენტი საპირისპიროზე არ მიუთითებდა, მაგრამ ავღანეთში არა და არ ჩადიოდა, მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ის შეიარაღებულ ძალებს მისი აბსოლუტურად უსაფრთხო მგზავრობის უზრუნველყოფა შეეძლოთ.** თუმცა ბოლოს, მეტად გაწელილი პაუზის შემდეგ, ის ავღანეთში მაინც აღმოჩნდა და ამის მიზეზი, სავარაუდოდ, არა მხოლოდ წინასაარჩევნო პროპაგანდის გაძლიერების აუცილებლობა ან საზოგადოებისთვის რაღაცის დამტკიცების სურვილი იყო, არამედ, შესაძლოა, არსებობდა მესამე (და მთავარი) ფაქტორი, რომლის შესახებ „საქართველო და მსოფლიო“ ჯერ კიდევ გასული წლის მარტში წერდა, მას შემდეგ, რაც სააკაშვილმა ერთ-ერთი გამოსვლის დროს ავღანეთის თემაზე ვრცლად ისაუბრა. ერთი ციტატა „საქართველო და მსოფლიოს“ 2011 წლის 9-15 მარტის პუბლიკაციიდან „რატომ უწოდა ლუკაშენკომ სააკაშვილს ძაღლიშვილი?!“:

**„ნამდვილად ვერ გამოვრიცხავთ, რომ ავღანურ ოპერაციებში მონაწილეობის აუცილებლობაზე საუბარი სააკაშვილს ამერიკელმა პარტნიორებმა ურჩიეს, რადგან გააცნობიერეს, რომ საქართველოში ეს ომი ძალიან არაპოპულარული ხდება. სხვა ქვეყნის მეთაური, რომელსაც შიშთან პრობლემები არ აქვს, ალბათ, ავღანეთშიც ჩავიდოდა (კოალიციის წევრი სახელმწიფოების ლიდერები სწორედ ასე იქცევიან) და ჯარისკაცებს (ირიბად კი მთელ საზოგადოებას) ადგილზევე გაამხნევებდა, თუმცა სააკაშვილს ამის გაკეთება დღემდე აზრად არ მოსვლია და ამის მიზეზი, ალბათ, არც ისე რთული ამოსაცნობია. გამორიცხული არაა, რომ ამერიკელები ავღანეთში ჩასვლას მალე ისეთი დაჟინებით ურჩევენ, რომ სააკაშვილი უარს ვერ ეტყვის. იმედია, ამ შესაძლო ვიზიტის დროს სააკაშვილს არ მოეჩვენება, რომ მას ყოველი მხრიდან გამძვინვარებული თალიბების მასა უტევს, ისე, როგორც ეს გორში, ჰიპოტეტურ რუსულ თვითმფრინავთან დაკავშირებით (სავარაუდოდ) მოხდა და ყველაფერი ზედმეტი ექსცესების გარეშე ჩაივლის. თუმცა კითხვა ,,რას ვაკეთებთ ავღანეთში?“ ნებისმიერ შემთხვევაში აქტუალური დარჩება“.**

ძნელი სათქმელია, რა არგუმენტების მოყვანა დასჭირდათ ამერიკელ პარტნიორებს იმისთვის, რომ სააკაშვილი ამ ვიზიტის აუცილებლობაში დაერწმუნებინათ, თუმცა **ფაქტი სახეზეა, „საქართველო და მსოფლიოს“ პროგნოზი გამართლდა: სააკაშვილი, როგორც იქნა, ავღანეთში ჩავიდა.**



# დავით რობაქიძე: თუ სამამულო ომში დაღუპულთა «დიდების მემორიალს» ვანგრევთ, ოსმალეთის იმპერიის დიდების ძეგლს რატომ ვაშენებთ?

**ლეიბორისტული პარტია ქალაქ ბათუმში „დიდების მემორიალის“ დანგრევის გადაწყვეტილებას აპროტესტებს. პარტიის აჭარის ორგანიზაციის წევრები, რამდენიმე დღეა, ცდილობენ, ობელისკის დემონტაჟს ხელი შეუშალონ და მემორიალის ირგვლივ შემოვლებული ღობეც არაერთხელ დაანგრიეს. რატომ აპროტესტებენ „დიდების მემორიალის“ დანგრევას და რა ხდება ფერიის მთაზე, ასევე აჭარის რეგიონში მიმდინარე მოვლენებზე ლეიბორისტული პარტიის აჭარის ორგანიზაციის ხელმძღვანელი დავით რობაქიძე გვესაუბრება.**





## «აჭარაში თურქეთის რელიგიური და ფინანსური ექსპანსია მიმდინარეობს»

**— ბატონო დავით, ლეიბორისტული პარტიის აჭარის ორგანიზაციის წევრებმა ბათუმში „დიდების მემორიალის“ ირგვლივ შემოვლებული ღობე დაანგრიეს. რა მიზანს ისახავდა თქვენი ქმედება?**

— რამდენიმე დღის წინ, ბათუმის საკრებულოს გადაწყვეტილებით, დიდების მემორიალის შემოღობვა დაიწყეს, ვინაიდან მემორიალის დანგრევა და მის ადგილას საბაგირო გზის გაყვანა სურთ, რომელიც ფერიის მთაზე მშენებარე სასტუმრო და ე. წ. გასართობი ტიპის ობიექტებს დაუკავშირდება. სხვათა შორის, ეს ის ფერიის მთაა, რომელზეც თავის დროზე ეკლესია დაანგრიეს, მაგრამ მისი ბედი დღესაც გაურკვეველია და არც არავის აინტერესებს, ვინაიდან აჭარაში მხოლოდ და მხოლოდ სასტუმროებსა და გასართობ კომპლექსებს აშენებენ.

აღსანიშნავია, რომ **ფერიის მთაზე გასართობ კომპლექსს ერთ-ერთი თურქული კომპანია აშენებს, რომელსაც მიწის ნაკვეთი ლევან ვარშალომიძემ, პირდაპირი მიყიდვის წესით — 1 ლარად მიჰყიდა.**

ჩვენ რამდენიმეჯერ მივმართეთ ბათუმის მერიას, შეეცვალათ გადაწყვეტილება და აღნიშნული საბაგირო გზა სხვაგან გაეყვანათ, „დიდების მემორიალისთვის“ კი თავი დაენებებინათ, მაგრამ მათგან პასუხი არ მიგვიღია. ხელისუფლებას, როგორც ყოველთვის, პასუხი ამჯერადაც არ აქვს. ამიტომ იძულებულები გავხდით, მემორიალისთვის შემოვლებული ღობე დაგვენგრია. თავიდან ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ ობელისკის სხვა ადგილას გადატანა სურდათ, მაგრამ ახლა ცნობილი გახდა, რომ მის დანგრევას აპირებენ, ვინაიდან ობელისკის სხვაგან გადატანა შეუძლებელია. ფაქტობრივად, ობელისკის კარკასის დანგრევა უკვე დაწყებულია.

**მემორიალის დემონტაჟს სამშენებლო კომპანია „გზები“ აწარმოებს. აღნიშნული კომპანია ბათუმში თითქმის ყველა მნიშვნელოვან სამუშაოს ახორციელებს, იქნება ეს ქანდაკების დემონტაჟი თუ რაიმე ობიექტის მშენებლობა. სწორედ ეს კომპანიაა „ნაციონალების“ მთავარი დამფინანსებელი. 2010 წლის არჩევნებზე კომპანიამ „ნაციონალებს“ 250 000 ლარი გადაურიცხა. „გზები“ ლევან ვარშალომიძის ძმის — ირაკლი ვარშალომიძისაა. აქედან გამომდინარე, ადვილი მისახვედრია, თუ რატომ იგებს ყოველთვის ეს კომპანია ქალაქ ბათუმის მერიაში ტენდერებს.**

**— თქვენ განაცხადეთ, რომ ხელს შეუშლით მემორიალის დანგრევას. თუ ხელისუფლებამ მართლაც გადაწყვიტა მისი დემონტაჟი, როგორ მოახერხებთ ხელის შეშლას, რას აპირებთ?**

— უკვე მესამეჯერ დავანგრიეთ მემორიალისთვის შემოვლებული ღობე. ვცდილობთ, ხელი შევუშალოთ ხელისუფლებას, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მოქალაქეების პოზიცია ობელისკის დემონტაჟისადმი ცალსახად უარყოფითია და ყველა ამბობს, რომ „დიდების მემორიალი“ ხელისუფლებამ არ უნდა დაანგრიოსო, თავს არავინ იწუხებს და პროტესტის ნიშნად ქუჩაში არავინ გამოდის. ჩვენ, რაც შეგვეძლება, მაქსიმუმს გავაკეთებთ, მაგრამ, სამწუხაროდ, მოსახლეობა პასიურია.

**— საზოგადოების ნაწილი, საპატრიარქო აღშფოთებულია ბათუმში აზიზიეს მეჩეთის მშენებლობით, რასაც თქვენც აპროტესტებდით. რატომ ეწინააღმდეგებით მეჩეთის მშენებლობას?**

— საინტერესოა, რომ ჩვენთვის ცნობილი ხელშეკრულების ერთ-ერთ ნაწილში წერია, რომ აზიზიეს მეჩეთი იქნება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, რომელსაც მუზეუმის სახე ექნება და არანაირ რელიგიურ სალოცავზე არაა საუბარიო. ამიტომ ჩემთვის გაუგებარია, თუ მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა დიდების მემორიალს ვანგრევთ, ოსმალეთის იმპერიის დიდების ძეგლს რატომ ვაშენებთ? ხელისუფლების მხრიდან ეს არის სირცხვილი და ვანდალიზმი და, თუ მაინცდამაინც გვინდა, ვიღაცას ძეგლი ავუშენოთ, ბათუმელებმა კარგად იციან, რომ დღევანდელი სასტუმრო „ინტურისტი“ დანგრეული ტაძრის ქვებითაა აშენებული და მაშინ ეს ტაძარი აღადგინონ.

**— საზოგადოების ნაწილი, მათ შორის თქვენც, ხელისუფლებას აჭარის გათურქებაში ადანაშაულებთ. თუმცა ხელისუფლება განხორციელებული ქმედებების მიზეზად აჭარის თანამედროვე ტურისტულ ცენტრად გადაქცევას ასახელებს.**

**— ახლა 21-ე საუკუნეა და თურქები იარაღით ვერ დაგვიპყრობენ, ამიტომ თურქების მიერ მთელ აჭარაში რელიგიური და ფინანსური ექსპანსია მიმდინარეობს. საქართველოს მოქალაქეს ლარად ტერიტორიას არავინ მისცემს, მაგრამ, როგორც კი თურქი მოვა, ნებისმიერ ტერიტორიას 1 ლარადაც სიხარულით აძლევენ.**

**— თქვენ ცოტა ხნის წინ აცხადებდით, რომ ხელისუფლება ბათუმში ეროტიკული სცენების ამსახველი ქანდაკების დადგმას აპირებდა, რასაც ბათუმის მერია კატეგორიულად უარყოფს...**

— დამერწმუნეთ, იმდენად „დარეხვილი“ ხელისუფლება გვყავს, რომ გამორიცხული არაფერია. მაშინ, როდესაც ხელისუფლებამ დავით აღმაშენებლის ძეგლი გადაიტანა დიღომში, ქუთაისში დიდების მემორიალი დაანგრია და ახლა ბათუმშიც ანგრევს, ბათუმშივე დადგა სამარცხვინო ქანდაკებები — კვერცხებზე ფლოსტები შემოდო, ილია ჭავჭავაძის ძეგლი ბოთლის ქანდაკებით შეცვალა, ამ ქმედებების მერე ამ ხელისუფლებისგან მე ნამდვილად არაფერი გამიკვირდება!

ესაუბრა **შორენა ციცქარაშვილი**

„ახლა რომ ვფიქრობ, კომუნისტები ყველაფერში მართლები იყვნენ. მეტიც, ისინი კიდევ არ გვეუბნებოდნენ, თუ რა მონსტრს წარმოადგენდა რეალურად აშშ, თორემ ჩვენც შეიძლება ცოტა უფრო მეტი სიფრთხილე გამოგვეჩინა და მაშინ, ალბათ, ამდენ შეცდომასაც არ დავუშვებდით. ისე, ზოგადად, კაცმა რომ თქვას, ჩვენი საზოგადოებაც დამნაშავეა იმაში, რომ დამოუკიდებლობის შემდეგ ქვეყანა ერთბაშად ამერიკაზე გახდა დამოკიდებული. გვახსოვს, მაშინ რა განწყობაც სუფევდა — ოღონდ რუსეთი არა, ოღონდ საბჭოთა კავშირი არა და ნებისმიერი გზით წავალთო, ვიძახდით. ეს, რა თქმა უნდა, დიდი შეცდომა იყო...“

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გურამ ფირცხალავა: პოლიციას ნაბრძანები აქვს — ბავშვის მოკვლაც რომ დაგჭირდეთ აკვანში, «ნაციონალებმა» არჩევნები უნდა მოიგონ!

**ყველასთვის საყვარელ მსახიობსა და ჭეშმარიტ ქართველს, გურამ ფირცხალავას ინტერვიუს ჩასაწერად რამდენიმე დღის წინ შინ ვეწვიე. მიმდინარე მოვლენებზე სასაუბროდ მისულს მოულოდნელი ვითარება დამხვდა, — ჩემს საპატიო რესპონდენტს იმ დღეს (18 თებერვალს) სამოცდათორმეტი წელი შესრულებოდა და, ეს რომ გავიგე, თავი ერთი-ორად ამაყად ვიგრძენი, რადგან, ბევრი მისი ახლობლისგან განსხვავებით, რომელთაც იუბილარი თავს შეგნებულად არიდებდა, მქონდა პატივი, მასთან ერთად ვყოფილიყავი... სატელეფონო ზარები წუთითაც არ შეწყვეტილა, მეც გულითადად მივულოცე უფროს მეგობარს ეს ღირსშესანიშნავი თარიღი და დიდხანს სიცოცხლე ვუსურვე; თან მოვუბოდიშე, რომ დაბადების დღეს მისთვის ერთგვარად უნდა გამეფუჭებინა განწყობა ქვეყნის ჭირ-ვარამთან დაკავშირებული კითხვებით, მაგრამ, როგორც ჩანს, ერის სატკივარს გვერდს ვერ ავუვლით. თავადაც ამით დაიწყო მასპინძელმა საუბარი, ისეთ საქართველოში მინდა ვიცხოვრო, საიდანაც ხალხი მუდმივად გაქცევასა და გადახვეწაზე არ იფიქრებსო...**



**«ვინც უნდა გახდეს საქართველოს პრეზიდენტი, მისი პოლიტიკა წარმატებული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის საერთო ენას გამონახავს რუსეთთან»**

— ხანდახან, როცა ვფიქრობ, რა ხდება და რა უბედურება ტრიალებს დღეს ჩვენს თავს, ერთი ძველი ამბავი მახსენდება ხოლმე: დიდი ხნის წინ მთაში ვიყავით და ისეთ ადგილას აღმოვჩნდით, სადაც ზვავსაშიშროება იყო. მოვიდა ვიღაც ადგილობრივი და გვეუბნება, რაც შეიძლება ჩუმად ილაპარაკეთო. თორემ რამეთქი, რა და გაზაფხულამდე შეიძლება ვერც გიპოვონო. მთელი დღე ხმა არ ამოგვიღია, გასუსულებმა ვიარეთ. აი, ასეთი მდგომარეობაა დღეს საქართველოში.

ამას, რა თქმა უნდა, აქვს თავისი მიზეზიც: საზოგადოება კარგად აცნობიერებს, რომ საქმე გვაქვს ყველაფერზე წამსვლელ, უკონტროლო რეჟიმთან, ამიტომ თავი არავის ემეტება გასაწირად. ეს არცაა გასაკვირი, იმიტომ, რომ ასეთ ვითარებაში გმირობას ვერავის მოსთხოვ...

**კარგად მესმის ბიძინა ივანიშვილისაც, რომელიც მუდმივად სიმშვიდისკენ მოუწოდებს საზოგადოებას; მას მიაჩნია, რომ ახლა სიტუაციის დაძაბვა კარგს არაფერს მოიტანს. შეიძლება მართალიცაა, მაგრამ, მეორე მხრივ, მინდა, მივმართო მას, რომ ასე ჯენტლმენურად და ზედმეტად „ცივილიზებულად“ ამ კაციჭამიებთან ვერაფერს გავხდებით...**

**— მაშ, რა უნდა ქნას საზოგადოებამ?**

— მოთმინებასაც უნდა ჰქონდეს საზღვარი; როცა საარჩევნო კანონს თავიანთი ნება-სურვილის მიხედვით ცვლიან, განსხვავებული აზრის მქონე ადამიანებს პირდაპირ ციხეში უშვებენ და ქვეყანაში ისეთ ტერორს თესავენ, რომლის მსგავსიც ჯერ არ ახსოვს ჩვენს ისტორიას, საზოგადოებამ ხმა უნდა ამოიღოს. იმის თქმა მინდა, რომ უნდა არსებობდეს გარკვეული ზღვარი, რომლის იქითაც ხალხი არ უნდა გაჩერდეს და არ უნდა შეეგუოს უსამართლობას.

ამასწინათ ერთი ჩემი ნაცნობი მიყვებოდა, პოლიციელებისთვის უთქვამთ რაიონებში, ბავშვის მოკვლაც რომ გახდეს საჭირო აკვანში, „ნაციონალებმა“ არჩევნები უნდა მოიგონო. აი, ამ ლოგიკით მოქმედებს დღეს ხელისუფლება. ამიტომ, ერთი მხრივ, მესმის, რომ ასეთ პირობებში ძნელია ბრძოლა რეჟიმის წინააღმდეგ, მაგრამ დუმილითა და უმოქმედობით ხომ უკეთესობა არ გვაქვს. აქედან გამომდინარე, **საზოგადოებამ უნდა გააკეთოს არჩევანი: ან ვამთავრებთ არსებულ რეჟიმს და, თუ სხვა გამოსავალი არ არის, ამისთვის ნებისმიერ მსხვერპლზე მივდივართ, ან ველოდებით, როდის დაინგრევა ეს სისტემა თავისით.** სხვა გზა აქ არ არსებობს და უბედურებაც სწორედ ისაა, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ვერ გადაგვიწყვეტია, საით წავიდეთ...

**— ანუ მიგაჩნიათ, რომ საზოგადოება პასიურია?**

— ორი აზრი არ არსებობს. ნახეთ, დღეს რა ხდება? — ყველანი მივჩერებივართ ივანიშვილს და ველოდებით არჩევნებს, გვგონია, რომ ეს რეჟიმი თავისით დაემხობა. ხელის განძრევა არავის უნდა. თითქოს გარანტირებული გვაქვს გამარჯვება. სხვათა შორის, ივანიშვილმა განაცხადა, ხუთ პროცენტზე მეტს თუ მოიპარავს ხელისუფლება, არ ვაპატიებო, ჭკვიანი კაცია ბიძინა და ჩემგან არაფერი ესწავლება, მაგრამ, რაც ამათმა აქამდე მოიპარეს და წაართვეს ქვეყანას, არ ეყოფათ?! ეს ხუთი პროცენტი რა არის, ვერ გავიგე, ძლიერად უნდა გავატანოთ საკაშვილს?! თან **ჩვენ თუ ესენი თავიანთ ნებაზე მივუშვით და მშვიდად დავაკვირდით, როგორ ჩაატარებენ არჩევნებს, რომ გააყალბებენ, მერე უნდა ამ ოპოზიციას, იყვიროს?! ასე არაფერი გამოვა, ამიტომ, სანამ არჩევნების დღე მოვა, მანამდეა მთავარი ბრძოლა მოსაგები, თორემ ყველაფერი რომ დამთავრდება და ამერიკა რომ „გაუპრავებს“ სააკაშვილს შედეგებს, მერე, რამდენიც გინდა, იყვირე და იყაყანე ქუჩაში, გაგვიყალბეს არჩევნებიო...**

**— და რატომ გგონიათ, რომ ამჯერად „გაუპრავებს“ ამერიკა „ნაცმოძრაობას“ გაყალბებულ არჩევნებს? ობამას ბოლოდროინდელმა განცხადებებმა საპირისპირო შთაბეჭდილება დაუტოვა საზოგადოებას.**

— იმ განცხადებას თუ გულისხმობთ, სააკაშვილთან შეხვედრის დროს რომ გააკეთა, დემოკრატიული არჩევნები უნდა ჩაატაროთო, სასაცილოდაც არ მყოფნის. მსგავსი გამოსვლები და უფრო ხმამაღალიც ადრეც ბევრი მოგვისმენია, მაგრამ გვახსოვს, მერე რა გაბრწყინებული სახეებით ულოცავდნენ იგივე დიპლომატები ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლებს გამარჯვებას. საერთოდ, მიმაჩნია, რომ ეს რეჟიმი დიდი ხნის წინათ იქნებოდა პოლიტიკურ მოუსავლეთში გასტუმრებული, რომ არა ვაშინგტონის ღია მხარდაჭერა მისადმი და, სამწუხაროდ, მე ვერც ახლა ვატყობ ამერიკას, რომ სააკაშვილის მიმართ პოზიცია შეცვლილი ჰქონდეს. ასე რომ იყოს, მერწმუნეთ, ესენი იმის მეასედ სიმყარესაც ვერ შეინარჩუნებდნენ, რაც დღეს აქვთ და შეიძლება ვერც კი მოეღწიათ აქამდე.

**— ამ ლოგიკით, გამოდის, რომ დიდწილად ამერიკის ხელისუფლებაცაა დამნაშავე იმ უკანონო ქმედებებში, რომლებიც „ნაცმოძრაობამ“ ჩაიდინა.**

— ამიტომაც მძლავრობს დღეს საზოგადოების უდიდეს ნაწილში ანტიამერიკული განწყობა.

ჩემს ახალგაზრდობაში, მახსოვს, რადიოს ვიყავი აკრული, „ამერიკის ხმას“ ვიჭერდით, „თავისუფლებას“ ვუსმენდი და მეგონა, რომ ეს ქვეყანა ჭეშმარიტი დემოკრატიის სავანე იყო. ერთი სიტყვით, შევნატროდით ამერიკას. აქეთ კიდევ საბჭოთა პროპაგანდა გვეუბნებოდა, რომ იქ სოციალური უთანასწორობაა, რომ უბრალო ადამიანებს არაფრად თვლიან და ა.შ. მაშინ ამაზე გვეცინებოდა, მაგრამ, **ახლა რომ ვფიქრობ, კომუნისტები ყველაფერში მართლები იყვნენ. მეტიც, ისინი კიდევ არ გვეუბნებოდნენ, თუ რა მონსტრს წარმოადგენდა რეალურად ეს ქვეყანა, თორემ ჩვენც შეიძლება ცოტა უფრო მეტი სიფრთხილე გამოგვეჩინა და მაშინ, ალბათ, ამდენ შეცდომასაც არ დავუშვებდით.**

**ისე, ზოგადად, კაცმა რომ თქვას, ჩვენი საზოგადოებაც დამნაშავეა იმაში, რომ დამოუკიდებლობის შემდეგ ქვეყანა ერთბაშად ამერიკაზე გახდა დამოკიდებული.** გვახსოვს, მაშინ რა განწყობაც სუფევდა — ოღონდ რუსეთი არა, ოღონდ საბჭოთა კავშირი არა და ნებისმიერი გზით წავალთო, ვიძახდით. ეს, რა თქმა უნდა, დიდი შეცდომა იყო...

**— საუბრობენ იმაზეც, რომ საქართველოს მომავალი პრეზიდენტი იქნება ის, ვისზეც ამერიკა და რუსეთი შეთანხმდებიან. ივანიშვილი სწორედ ასეთ ლიდერად განიხილება. თქვენ რა აზრის ხართ ამაზე?**

— ასეთ საკითხებზე, ალბათ, უფრო პოლიტიკაში მეტნაკლებად გარკვეულმა ადამიანებმა უნდა იმსჯელონ და გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები, მაგრამ ერთი რამ ნამდვილად ცხადია: **ვინც უნდა გახდეს საქართველოს პრეზიდენტი, მისი პოლიტიკა წარმატებული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის საერთო ენას გამონახავს რუსეთთან.** ეს, როგორც ორჯერ ორი — ოთხი, ისეა და დღეს ამაზე არავინ დავობს. **თურქეთი გამომიცხადე ისტორიულ მეგობრად და ირანთან გამიხსენი უვიზო მიმოსვლა, რუსეთია ჩვენი მოსისხლე მტერი?! რა ლოგიკაა ამაში?!** აი, სწორედ ასეთმა აბსურდულმა მიდგომამ მიგვიყვანა აქამდე და ეს მიდგომა დაღუპავს საქართველოს, თუ აქ ყველაფერი ძირეულად არ შეიცვალა და უფრო ნორმალური, დალაგებული ხალხი არ მოვიდა ქვეყნის სათავეში...

**— რამდენიმე ხნის წინათ ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ არ არის გამორიცხული, ხელისუფლების შესაცვლელად ქუჩის გამოსვლები. თქვენ რამდენად ხედავთ ამის აუცილებლობას?**

— ეს აუცილებლობა იმ დღიდან არსებობს, რაც ესენი მოვიდნენ ქვეყნის სათავეში, მაგრამ მეორე საკითხია, ვინ იზამს ამას. საზოგადოება, რომელმაც 7 ნოემბერი აპატია ხელისუფლებას, აპატია 26 მაისი და დღემდე პატიობს უამრავ უსამართლობას, ვფიქრობ, ამის გამკეთებელი ნაკლებადაა, ამიტომ ქუჩის გამოსვლებიდან რაიმე დიდი მოლოდინი ნუ გვექნება; ისე, თუ საჭირო გახდება, რა თქმა უნდა, ქუჩაშიც უნდა გავიდეთ, მაგრამ, თუ ამ გზას ავირჩევთ, ხალხი ყველაფრისთვის მზად უნდა იყოს, მათ შორის, იმ პირისპირ ჯალათებთან შესახვედრადაც, რომლებმაც ოცდაექვსში მშვიდობიანი მანიფესტაცია დაარბიეს და ათობით უდანაშაულო ადამიანი ჩახოცეს, პირდაპირ ქუჩაში...

**— თქვენი აზრით, არსებობს იმის საფრთხე, რომ მსგავსი რამ კიდევ განმეორდეს?**

— რა თქმა უნდა, არსებობს. თქვენ რა გგონიათ, ეს ხელისუფლება, რომელიც ამდენი ხანია, საარჩევნო კოდექსს ჭრის და კერავს, აძლიერებს პოლიციას და ციხეებს უდანაშაულო ადამიანებით ავსებს, ასე ადვილად დათმობს ძალაუფლებას?! ეს გამორიცხულია! ასე რომ, როცა ხელისუფლების შეცვლაზეა საუბარი, ჩვენ მზად უნდა ვიყოთ ყველაზე სასტიკი ბრძოლისთვის, დაპირისპირებისთვის, რომელმაც შეიძლება შეიწიროს უამრავი ადამიანის სიცოცხლე. მზარავს, ამას რომ ვამბობ და ღმერთმა ნუ ქნას, მართლა ასე მოხდეს, მაგრამ, ვიმეორებ, ამისთვის მზად უნდა ვიყოთ. **ყოველ წუთს შეიძლება, აფეთქდეს ეს რეჟიმი, იმიტომ რომ, რაც დრო გადის, ესენი სულ უფრო მეტად გრძნობენ აღსასრულის მოახლოებას და სულ უფრო მეტად უკონტროლო ხდებიან.**

— დასაწყისში თქვენ თქვით, რომ საზოგადოება არ არის საკმარისად აქტიური, ამერიკამ კი ადრინდელივით ისევ შეიძლება „გაუპრავოს“ ხელისუფლებას არჩევნები. ასეთ ვითარებაში რა გაძლევთ იმის საფუძველს, იმედი იქონიოთ, რომ 2012-13 წლებში ხელისუფლება შეიცვლება?

— დღევანდელი მოცემულობით ამის არანაირი წინაპირობა არ არსებობს, ამიტომაც ვამბობ, რომ **უნდა მოხდეს საზოგადოების მაქსიმალური კონსოლიდაცია, ვინაიდან ერთიანობის გარეშე ამათი დამარცხება შეუძლებელია. ამას თუ მივაღწევთ, მერწმუნეთ, ამ რეჟიმის რღვევას ვერაფერი შეაჩერებს, ვერც ის ნიღბიანი ჯალათები, რომელთაც ნაბრძანები აქვთ, ჩვილი ბავშვიც კი არ დაინდონ.** სხვა გზა ჩვენ არ გვაქვს და ამ ვითარებაში არც შეიძლება გვქონდეს, ამიტომ ყველა უნდა მივიდეს იმ დასკვნამდე, რომ, სანამ ხალხი ერთ მუშტად არ შეიკვრება, თითო-თითოდ, რაღაც კასტებად დაყოფილი საზოგადოების დაპირისპირებას მმართველ გუნდთან, უბრალოდ, აზრი არ აქვს; პირიქით, ასეთ შემთხვევაში ასიდან ასივე ბრძოლას ხელისუფლება იგებს და ჩვენ ამის მაგალითები არაერთხელ ვნახეთ წინა არჩევნების სახით, რომლის შემდეგაც ეს რეჟიმი ერთი-ორად უფრო გაძლიერებული და გამყარებული სახით მოგვევლინა პოლიტიკურ ასპარეზზე...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„სასაცილოა, როდესაც „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები ცდილობენ, საზოგადოება დაარწმუნონ, თითქოს მათ საქართველოს საპატრიარქოზე მეტად შესტკივათ გული ოშკის, იშხნის, ხახულისა თუ თურქეთის ტერიტორიაზე არსებული სხვა უძველესი ძეგლების ბედზე. ამ ადამიანებს შორის არიან ისეთებიც, რომლებსაც არაერთხელ უთქვამთ, რომ ეს ტაძრები მხოლოდ ქვების გროვაა და საქართველოში ეკლესიების მშენებლობაც არაერთხელ გაუპროტესტებიათ. ახლა კი სიტუაციის ისე წარმოჩენა, თითქოს ვინმე წინააღმდეგი იყოს ქრისტიანული კულტურის საამაყო ძეგლების გადარჩენისა, უზნეო საქციელია.“

## გიორგი თარგამაძე:

# ნატოში საქართველოზე ნაკლებდემოკრატიული ქვეყნებიც მიუღიათ და ჩვენზე კორუმპირებულებიც



**«ის, რომ არ უნდა იყო ზედმეტად აგრესიული რუსეთთან დაკავშირებით და დათვს გალიაში არ უნდა შეუვარდე, ელემენტარული კეთილგონიერებაა, მაგრამ დათვზე რომ არ თქვა, დათვიაო, ესეც სისულელეა»**

**რას პასუხობს ოპოზიციონერი კოლეგების ბრალდებებს, ვინ მიაჩნია მთავარ კონკურენტად და, პროდასავლური ორიენტაციის მიუხედავად, რატომ აღმოჩნდა ბიძინა ივანიშვილისთვის მიუღებელი პოლიტიკური ფიგურა — ამ და სხვა მნიშვნელოვან მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი გიორგი თარგამაძე ესაუბრება.**

**— ბატონო გიორგი, პარტია თავისუფალი საქართველოს წევრმა გია ყრუაშვილმა ჩვენს გაზეთთან ინტერვიუში რკინიგზის ხელმძღვანელობასთან გარიგებაში დაგადანაშაულათ. როდესაც თქვენ გადაცემა „დროებას“ ხელმძღვანელობდით, „საქართველოს რკინიგზაში“ მომზადებული სიუჟეტი ეთერში არ გაუშვით, რის სანაცვლოდაც 300 000 აშშ დოლარი აიღეთ რკინიგზის ხელმძღვანელობისგან. რა პასუხს გასცემთ ბრალდებებს?**

— ბეჭდურ მედიას, ელექტრონულისგან განხვავებით, ერთი ნაკლი აქვს, ჩემს ხმამაღალ სიცილს გაზეთის ფურცლებიდან თქვენი მკითხველი ვერ გაიგებს, თუმცა ასეთი არასერიოზული ბრალდებების მოსმენა უკვე სასაცილოც აღარ არის. **ბატონ გია ყრუაშვილს ამ წლების განმავლობაში არაერთხელ შევხვედრივარ და ეს ისტორია მას რატომღაც არც ერთხელ არ გახსენებია. ყველას კარგად ახსოვს, „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ პერიოდში სატელევიზო სივრცეში თუ რაიმე კრიტიკული სიუჟეტი გადიოდა, ეს სწორედ გადაცემა „დროებასა“ და ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში ხდებოდა. ასე რომ, ბატონი გია ვიღაცამ შეცდომაში შეიყვანა ან არ მინდა ვიფიქრო, რომ შეგნებულად ავრცელებს დეზინფორმაციას.**

**— რატომ არ გავიდა ეთერში მომზადებული სიუჟეტი? გია ყრუაშვილი ამბობს, რომ მან რკინიგზაში არსებულ დარღვევებზე სერიოზული მასალები გადმოგცათ, რასაც თქვენ თავიდან სიხარულით შეხვდით, თუმცა შემდეგ სიუჟეტი ეთერში აღარ გაუშვით..**

— ბატონ გიას საგანგებოდ არასდროს შევხვედრივარ. მე ის გავიცანი, როცა უკვე „თავისუფალი საქართველოს“ წევრი იყო. პოლიტიკური პარტიების კონსულტაციების დროს სხვა პოლიტიკოსებთან ერთად რამდენიმეჯერ შევხვდით ერთმანეთს.

**— გია ყრუაშვილმა მოგიწოდათ, პარტიას სახელი შეუცვალოთ, ვინაიდან, მისი აზრით, თქვენ რელიგიით სპეკულირებთ...**

— რა პასუხი უნდა გავცე მსგავს გაუგებარ განცხადებებს?! მე ყოველთვის ვერიდები ადამიანების შეურაცხყოფას და შესაბამისად, მის შეურაცხმყოფელ განცხადებებზე იმავე ფორმით რეაგირებას არ ვაპირებ. მის არაკორექტულ განცხადებებს ისეთივე განცხადებებით რომ დავუპირისპირდე, გამოდის, მართალი ყოფილა ბატონი გია, მაშინ მართლა არ უნდა ერქვას ჩვენს მოძრაობას „ქრისტიან-დემოკრატიული“, ვინაიდან ერთ-ერთი მთავარი ღირებულება ჩვენთვის არის — სხვა ადამიანს არ მივაყენოთ შეურაცხყოფა, არ ვიძიოთ შური. მე რომ არ ვიყო პოლიტიკოსი, „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ თავმჯდომარე, სხვანაირად მოვიქცეოდი, მაგრამ ახლა მაქვს ვალდებულებები, რომლებიც „ქრისტიან-დემოკრატების“ ლიდერზე არსებულ წარმოდგენებს უნდა შეესაბამებოდეს. შემთხვევით არ აგვირჩევია ეს სახელი, ეს სერიოზული ფიქრის, განსჯისა და ჩვენი ცხოვრების წესის ნაწილია. დასკვნები მკითხველმა და საზოგადოებამ გამოიტანოს და სიმართლეც განსაჯოს.

**— ახლახან ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფებოდით. გავრცელებული მოსაზრებით, „ქრისტიან-დემოკრატებს“ აშშ-ის ხელისუფლება „სათადარიგო ნაცმოძრაობად“ გამზადებთ და თქვენი შტატებში ვიზიტებიც სწორედ ამას უკავშირდება.**

— მე შეიძლება ამერიკის შეერთებულ შტატებშიც წავიდე, ბრიუსელშიც და ბერლინშიც და ყველგან ნორმალურად მხვდებოდნენ, მაგრამ ამ ყველაფერს მხოლოდ ქართველი ერის ინტერესების დასაცავად ვაკეთებ, ვინაიდან ვფიქრობ, რომ ამ ეტაპზე, დასავლეთის მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და ქვეყანაში დემოკრატიის განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. სწორედ ამ ჩვენს თანმიმდევრულ მცდელობასა და დემოკრატიული პრინციპებისადმი ერთგულებას აფასებენ ჩვენი დასავლელი კოლეგები.

**ეს აშშ-ში კადრების განყოფილებასთან ორგანიზებული შეხვედრა ხომ არ არის, რომ „სივებითა“ და ბიოგრაფიებით დავრბოდეთ გასაუბრებისთვის და „ქასტინგი“ ეწყობოდეს საქართველოდან წასული პოლიტიკოსებისთვის?**

**ყველა სხვა საკითხთან ერთად, აშშ-ში ჩემი შეხვედრების დროს საუბარი, რა თქმა უნდა, მიმდინარეობდა „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ სამომავლო გეგმებზეც, მაგრამ ეს განიხილებოდა მხოლოდ საქართველოსთვის მნიშვნელოვან საკითხებთან კავშირში.**

**— საზოგადოების ნაწილი დარწმუნებულია, რომ ობამა-სააკაშვილის შეხვედრისას საუბარი სწორედ ირანის კონფლიქტს შეეხებოდა, ვითარების გამწვავების შემთხვევაში კი, შესაძლოა, საქართველო ძალიან რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდეს. თქვენ როგორ ფიქრობთ: რამდენად რეალურია დღეს საფრთხე?**

— **ეჭვი არ მეპარება, რომ პრეზიდენტების შეხვედრის დროს რეგიონული უსაფრთხოების საკითხებიც განიხილეს. მეტსაც გეტყვით, ყველა შეხვედრაზე, რომლებიც ვაშინგტონში პოლიტიკურ დონეზე გაიმართა ჩემთან, რეგიონული უსაფრთხოება და, მათ შორის, ირანის საკითხიც იყო ნახსენები. მე მაინც ვიმედოვნებ, რომ ირანზე სამხედრო შეტევა მხოლოდ უკიდურესი ნაბიჯი იქნება ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან, თუმცა, როცა ასე იძაბება სამეზობლოში ვითარება, ჩვენ სირაქლემის მდგომარეობაში ვერ ვიქნებით და ადეკვატურად უნდა ვიმოქმედოთ.**

ვინც ოდნავ მაინც ერკვევა თანამედროვე სამხედრო შესაძლებლობებში, არც საქართველოს და არც ერთი ჩვენი მეზობელი სახელმწიფოს ტერიტორია ამერიკის შეერთებულ შტატებს არ სჭირდება ირანზე დარტყმების განსახორციელებლად. ვფიქრობ, ერთადერთი საფრთხე, შესაძლოა, დაგვემუქროს სწორედ იმ არასტაბილურობითა და ქაოსით, რომელიც, ირანში ომის დაწყების შემთხვევაში, რეგიონში შეიქმნება. სამხედრო გეგმები ქართულ მხარესთან არ განიხილება და ქართველი პოლიტიკოსების მხრიდან ამ საკითხის გაზვიადება არასერიოზულობის გამოვლინება მგონია.

**— რაც შეეხება საგარეო ორიენტაციას, რამდენად რეალურად მიგაჩნიათ**

**ბიძინა ივანიშვილისა და მის კოალიციაში გაერთიანებული პარტიების განცხადება, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, საქართველო ნატოშიც გაწევრიანდება და რუსეთთანაც მოაგვარებს ურთიერთობას?**

— ის, რომ არ უნდა იყო ზედმეტად აგრესიული რუსეთთან დაკავშირებით და დათვს გალიაში არ უნდა შეუვარდე, ელემენტარული კეთილგონიერებაა, მაგრამ დათვზე რომ არ თქვა, დათვიაო, ესეც სისულელეა. საერთოდ კი, ბოლო თვეების განმავლობაში იმდენად წინააღმდეგობრივია მათი განცხადებები, რომ რთულია, ამ ჯგუფის პოზიციაზე კომენტარი გააკეთო.

**ბატონმა ივანიშვილმა ერთადერთი რაც გასაგებად თქვა, ის იყო, რომ თურმე რუსეთში უფრო დიდი დემოკრატიაა, ვიდრე საქართველოში. საქართველომ დაიწყო ომი რუსეთთან და ის არ აპირებს ამერიკას და ევროპას საქართველოს დეოკუპაციის მოთხოვნით თავი მოაბეზროს, ხოლო, აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი მხარეებად უნდა განვიხილოთ.**

ჩვენი ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხის „გაყინვა“ გაცილებით საფრთხის მომტანი აღმოჩნდა საქართველოსთვის, ვიდრე ის, რომ თავიდანვე ეთქვათ, არ მიგიღებთო. ვინაიდან განცხადებამ, რომ საქართველო აუცილებლად გახდება ნატოს წევრი ქვეყანა, ჯერ ერთი, ქვეყნის შიგნით განვითარების ტემპი შეანელა და მეორეც, რუსეთი ძალიან გაღიზიანებულია ამით. მე ვფიქრობ, რომ სწორედ ნატოში ჩვენი ინტეგრაციის შემდეგ Gგახდება შესაძლებელი რუსეთთან ურთიერთობის დალაგება. ამის ნათელი მაგალითია ბალტიისპირეთის ქვეყნები, რომლებსაც ძალიან დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ რუსეთთან, მაგრამ ამ ქვეყნების ნატოში გაწევრიანების შემდეგ რუსეთი შეეგუა ახალ რეალობას და მათ შორის ახალი ურთიერთობა ჩამოყალიბდა.

**მიმაჩნია, რომ საქართველოში მომავალი არჩევნების სამართლიანად ჩატარება დიდ გავლენას მოახდენს იმაზე, მიგვიღებენ თუ არა ევროატლანტიკურ ალიანსში, მიუხედავად იმისა, რომ ნატოში საქართველოზე ნაკლებად დემოკრატიული ქვეყნებიც მიუღიათ და ჩვენზე კორუმპირებულებიც. მართალია, ჩვენს შემთხვევაში ცოტა სხვა რეალობაა.** საქართველოს ნატოში გაწევრიანებისადმი სკეპტიკურად განწყობილი ევროპული სახელმწიფოები ღიად არ ამბობენ, რომ სერიოზული პრობლემები აქვთ ევროკავშირში, სჭირდებათ ახალი დიდი გასაღების ბაზრები, მათ შორის — რუსეთის ფედერაციაშიც, რათა ევროპაში არსებულ უმუშევრობას, მათ შორის, წარმოების მაჩვენებლების კლებას რამენაირად უშველონ და ამით დააბალანსონ სოციალური და ეკონომიკური პრობლემები. ასევე, ღიად არ ამბობენ, მაგრამ ვიცით, რომ ევროპის საკმაოდ დიდი ნაწილი რუსულ ბუნებრივ აირსა და ენერგომატარებლებზეა დამოკიდებული, სწორედ ეს ფაქტორები განსაზღვავს ამ ურთიერთობებს. რაც უნდა გავითვალისწინოთ.

**— როგორც ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, კოალიციის გარეთ დარჩენილი პარტიები არაპროდასავლური ორიენტაციის გამო დაიწუნა. თქვენ, პროდასავლური ორიენტაციის პოლიტიკოსი, რატომ აღმოჩნდით მისთვის მიუღებელი?**

— ბატონი ივანიშვილის ფსიქოლოგიური პორტრეტის გათვალისწინებით, მისი გემოვნების ანალიზი ძალიან შორს წაგვიყვანს. სიმართლე გითხრათ, ბევრი არ მიფიქრია ამ საკითხზე, რატომ აღმოვჩნდი მისთვის მიუღებელი, ჩვენ არც გვითხოვია, მათთან მჭიდრო-პოლიტიკური თანამშრომლობა. ჩვენ ძალიან მნიშვნელოვანი და სპეციფიკური ნიშა გვიკავია ქართულ პოლიტიკაში, ჩვენ ვართ ზომიერი პოლიტიკური ძალა, რომლის მხარდამჭერთა რაოდენობაც იზრდება.

**— და მაინც, არ ფიქრობთ, რომ ივანიშვილის ქართულ პოლიტიკაში გამოჩენით, სერიოზული კონკურენტი გაგიჩნდათ?**

— რა თქმა უნდა, ვფიქრობთ, მაგრამ ჩვენი მთავარი კონკურენტი ივანიშვილი კი არ არის, არამედ ის პრობლემები, რაც ქვეყანაშია. **ამ ეტაპზე მას უზარმაზარი ფინანსური რესურსი და ძალიან დიდი ხიბლი აქვს, მაგრამ, თუ ივანიშვილი იმავე მეთოდებით ფიქრობს ქვეყნის პოლიტიკაზე გავლენის მოხდენას, რაც „ნაციონალებისა“ და მიხეილ სააკაშვილისთვის** ▶

**«თავად სააკაშვილმა შექმნა ისეთი გარემო, ივანიშვილი რომ არ გამოჩენილიყო, ვიღაც სხვა აუცილებლად გამოჩნდებოდა. არ იქნებოდა ბიძინა ივანიშვილი? — იქნებოდა მინდია გულუა!..»**

„თუ საქართველო გახდება სამართლებრივი სახელმწიფო, ხელისუფლებამ პასუხი უნდა აგოს „ბანკ ქართუს“ წინააღმდეგ განხორციელებულ ამ უკანონო ქმედებაზე. თუმცა ამ ოპერაციაში, რომელიც სკრუპულოზურად არის დაგეგმილი, ხელისუფლების გარდა მონაწილეობს კონკრეტული ბიზნესსტრუქტურებიც, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი უშუალოდ არის დაკავშირებული ხელისუფლების ოდიოზურ ფიგურებთან, მაგრამ არა ყველა. პასუხისმგებლობა მათაც დაეკისრებათ.“

კომენტარი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ **იყო დამახასიათებელი, მალე ისიც ისეთივე მიუღებელი გახდება.** ხელისუფლებამ ჩამოაყალიბა გარემო, რომელშიც ჯანსაღი პოლიტიკური პროცესისთვის სასიცოცხლო სივრცე არ დატოვა. სააკაშვილის მთელი ეკონომიკური პოლიტიკა ხალხის გაღატაკებისკენ და მხოლოდ 1%-ის გამდიდრებისკენაა მიმართული, რაც შემთხვევით არ ხდება. ღარიბ-ღატაკი მოსახლეობით მანიპულირება გაცილებით ადვილია და უფრო იაფიც ჯდება. თავად სააკაშვილმა შექმნა ისეთი გარემო, ივანიშვილი რომ არ გამოჩენილიყო, ვიღაც სხვა აუცილებლად გამოჩნდებოდა. არ იქნებოდა ბიძინა ივანიშვილი? — იქნებოდა მინდია გულუა!...

**— თავადაც ბრძანეთ, ზომიერები ვართო, თქვენ ყოველთვის კონსტრუქციულ ოპოზიციონერად მოგიხსენიებენ, მეტიც, ოპოზიციონერი კოლეგები ხელისუფლებასთან გარიგებაშიც გადანაშაულებენ. თქვენ მართლაც არასდროს მდგარხართ ოპოზიციის გვერდით და მისი არც ერთი ინიციატივისთვის მხარი არ დაგიჭერიათ... რა არის ამის მიზეზი?**

— სწორედ ამ ოპოზიციასთან ერთად ჩვენ მოვახერხეთ, ხელისუფლება საკმაოდ მნიშვნელოვან დათმობებზე წამოგვეყვანა. *ხელისუფლებას* **ძალაუფლება ვერ დავათმობინეთ, თუმცა „ქრისტიან-დემოკრატები“ ხალხს ამას არც ვპირდებოდით. ჩვენ არასდროს გვითქვამს, რომ ახლა შევიკრიბებით და სააკაშვილი გაიქცევაო, განსხვავებით სხვა ოპოზიციური პარტიებისგან, რომლებიც ხალხს უამრავ რამეს ჰპირდებოდნენ და შემდეგ საკუთარ თავზე ისეთ რისკებს იღებდნენ, რომელთა საფასურის გადახდის უნარი მათ აღარ შესწევდათ. დღეს ისინი, ყველანი, კარგად არიან. ჯიბეებითაც დაბრძანდებიან, ახალი ფინანსური შემოსავლებიც იპოვეს და მომავალ პარლამენტში მათმა ნაწილმა ადგილებიც გაინაღდა. დაზარალებული კი ხალხი აღმოჩნდა, რომელიც ზოგიერთი ოპოზიციონერის ფუჭ დაპირებებს აჰყვა.** რაც არ უნდა აგრესიისა და რადიკალიზმისკენ მიბიძგონ, იმისთვის, რომ დღეს ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით ვიღაცას თავი მოვაწონო და მიტინგზე ტაში დამიკრან, ასე ვერ მოვიქცევი. ეს ძალიან ამორალური და უზნეო საქციელია ქართველი პოლიტიკოსების მხრიდან.

**— როგორ წარმოგიდგენიათ არჩევნებში გამარჯვება არსებული კანონმდებლობის პირობებში?**

— ჩვენი გუნდი ახლაც მუშაობს იმ ხარვეზებზე, რომლებიც მიღებული ცვლილებების შედეგად კანონმდებლობაში გაჩნდა. კონტროლის პალატას და ხელისუფლებას აბსოლუტურად დაუსაბუთებელი და არაადეკვატური უფლებამოსილება მიენიჭა, რომელმაც, ფაქტობრივად, შეუძლებელი გახადა, საერთაშორისო ორგანიზაციების საქართველოში მუშაობა. მე პირადად რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელს შევხვდი, რომლებიც შეშფოთებულები არიან და უარს აცხადებენ საქართველოში პროგრამების გაგრძელებაზე. მაგალითად, **ცოტა ხნის წინათ შევხვდი ჰოლანდიის მულტიპარტიული დემოკრატიის განვითარების ინსტიტუტის პრეზიდენტს, რომელმაც განაცხადა, რომ, სანამ კანონმდებლობასთან დაკავშირებით ყველაფერი არ გაირკვევა, მათი მუშაობა საქართველოში შეჩერდება.**

**— საზოგადოების დიდი ნაწილი, მათ შორის საპატრიარქო, საქართველოში მეჩეთების მშენებლობას აპროტესტებს, თუმცა ხელისუფლება ამას ოშკისა და იშხნის გადარჩენის მიზნით ხსნის. თქვენ როგორ ფიქრობთ: უნდა აშენდეს მეჩეთები საქართველოში?**

— სასაცილოა, როდესაც „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები ცდილობენ, საზოგადოება დაარწმუნონ, თითქოს მათ საქართველოს საპატრიარქოზე მეტად შესტკივათ გული ოშკის, იშხნის, ხახულის და თურქეთის ტერიტორიაზე არსებული სხვა უძველესი ძეგლების ბედზე. ამ ადამიანებს შორის არიან ისეთებიც, რომლებსაც არაერთხელ უთქვამთ, რომ ეს ტაძრები თურმე მხოლოდ ქვების გროვაა და საქართველოში ეკლესიების მშენებლობაც არაერთხელ გაუპროტესტებიათ. ახლა კი სიტუაციის ისე წარმოჩენა, თითქოს ვინმე წინააღმდეგი იყოს ქრისტიანული კულტურის საამაყო ძეგლების გადარჩენისა, უზნეო საქციელია.

საქართველოს ხელისუფლებამ თურქეთის მთავრობას უნდა მოსთხოვოს, რომელიც ჩვენი მეგობარი ქვეყანაა, საერთაშორისო ვალდებულებებით ნაკისრი მოვალეობა შეასრულოს. ამას გარდა, თურქულ მხარესთან მოლაპარაკებები ისე მიმდინარეობს, თითქოს საქართველოს საპატრიარქო საერთოდ არ არსებობდეს. თურქეთის სახელმწიფომ შარშან მიიღო გადაწყვეტილება, ებრაული, კათოლიკური, გრეგორიანული, ბერძნული დენომინაციებისათვის საკულტო ნაგებობების ნაწილის დაბრუნების თაობაზე, მაგრამ საქართველო ამ სიაში საერთოდ არ მოხვდა. შესაბამისად, ცალმხრივი მეგობრობა მე არ გამიგია. თუ ვსაუბრობთ იმაზე, რომ თურქეთი ჩვენი დიდი სავაჭრო-ეკონომიკური პარტნიორია, კი ბატონო, მაგრამ ისიც გავითვალისწინოთ, რომ თურქეთმაც არანაკლები სარგებელი ნახა საქართველოსთან ღია სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობებით. მთელი საქართველოს ბაზარი თურქული იაფფასიანი პროდუქციის გასაღების ბაზრადაა ქცეული.

მე აჭარას კარგად ვიცნობ და მიმაჩნია, რომ საერთოდ, რელიგიური თემატიკით სპეკულირება ხელოვნურად ხდება, ვინაიდან არც ქართველ და არც თურქ მაჰმადიანებს მეჩეთებიც აქვთ და ყველა პირობა გააჩნიათ, რომ რელიგიური რიტუალები შეასრულონ. დღეს საუბარი მიმდინარეობს ძველი, უკვე დანგრეული და პანთურქისტული იმპერიალიზმის სიმბოლოს აღდგენაზე. აჭარაში ათეულობით მეჩეთია, იქვე მედრესეებიც მოქმედებს, სადაც ქართველ ბავშვებს ასწავლიან. ეს განსაკუთრებული მონდომება რელიგიური სწავლების რამდენად ჯანსაღი და ბუნებრივი მოვლენაა, ეს კითხვები რომ გაჩნდეს საზოგადოებაში, ამაში მოულოდნელი არაფერია.

**— რას იტყვით ვალერი გელბახიანის დაკავებასა და უეცარ გათავისუფლებაზე, ხომ არ დაგრჩათ შთაბეჭდილება, რომ ეს ყველაფერი წინასწარ შეთანხმებული სცენარით გათამაშებული სპექტაკლია?**

— თუ ეს სპექტაკლი იყო, მაშინ გამოდის, რომ ამ სპექტაკლში ქართული მედიაც მონაწილეობდა, ვინაიდან სწორედ მედიის წარმომადგენლებმა მიმართეს პოლიტიკურ პარტიებსა და საზოგადოების წარმომადგენლებს, ვალერი გელბახიანის გასათავისუფლებელ კამპანიაში სერიოზული მონაწილეობა მიეღოთ. სწორედ საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებამ, ქართული პრესის აქტიურობამ, პოლიტიკური პარტიების თანადგომამ და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის შუამდგომლობამ, ასევე იმ ინტერესმა, რომელიც ჩვენ გავაღვივეთ უცხოეთის საელჩოების წარმომადგენლებში ამ საქმისა და სასამართლო პროცესისადმი, განაპირობა ვალერი გელბახიანის გათავისუფლება.

გარდა ამისა, ჩვენ საქართველოში ვცხოვრობთ, სადაც ადამიანურ მოტივებს ანგარიშს უწევენ. იცით, რომ ჯერ ბატონი ვალერის მამა გარდაიცვალა, ტვინში სისხლის ჩაქცევით და ახლა მისი დედაა უმძიმეს მდგომარეობაში? მიმაჩნია, რომ შვილს უნდა მისცე მომაკვდავი დედის მონახულების საშუალება, ვფიქრობ, ეს ფაქტი სასამართლოსთვის ანგარიშგასაწევი არგუმენტი აღმოჩნდა. აღარაფერს ვამბობ იმ საქმეზე, რომელიც თავიდანვე პოლიტიკურად მოტივირებული იყო. ვალერი გელბახიანი არანაირი შეთქმულების ორგანიზატორი არ ყოფილა, ისევე, როგორც დამნაშავეები არ ყოფილან ის ადამიანები, რომლებსაც ხელისუფლებამ ბრალდებები წაუყენა. ბადრი პატარკაციშვილი, ვის წინააღმდეგაც ეს საქმე იყო აღძრული, ცოცხალი აღარ არის. ამდენად, სასამართლოს არც სამართლებრივი, არც ადამიანური ფაქტორების გათვალისწინებით, არანაირი წინაპირობა არ ჰქონდა, რომ სხვა განაჩენი გამოეტანა.

**— თქვენ ბადრი პატარკაციშვილი ახსენეთ... მისმა გარდაცვალებამ დღემდე უამრავი პასუხგაუცემელი კითხვა დატოვა და ჩრდილი თქვენს სახელსაც მიაყენა. როგორ ფიქრობთ, ვინ უღალატა ბადრი პატარკაციშვილს?**

— უღალატეს მათ, ვინც მისი გარდაცვალების შემდეგ წლებში გარდაცვლილი ბადრი პატარკაციშვილის სახელით სპეკულირებდნენ და დღესაც ყველაზე მეტს ყვირიან, თუმცა, როცა ბადრის ყველაზე მეტად უჭირდა, მე მის გულშემატკივართა რიგებში ეს ხალხი არ მინახავს. მე ყველაფერი კარგად მახსოვს და არც საზოგადოებას გაუჭირდება გახსენება — ვისი იმედი შეიძლებოდა ჰქონოდა ბადრის და შემდეგ როგორი დამოკიდებულება გამომჟღავნდა მათი მხრიდან.

**მოსაყოლი და სათქმელი ძალიან ბევრი მაქვს, მაგრამ რამდენიმე გარემოებას ვუწევ ანგარიშს, პირველ რიგში კი იმას, რომ თავად ბატონი ბადრი აღარ არის ცოცხალი და შეიძლება არასწორად გამოჩნდეს იმ საკითხებზე საუბარი, რასაც თავად ვერ დამიდასტურებს. თუმცა, მე მიმაჩნია, რომ, როცა მან პოლიტიკაში მოსვლის გადაწყვეტილება მიიღო, ცალკეული პოლიტიკური ნაბიჯები უფრო მეტად გახდა განმსაზღვრელი პოლიტიკური მარცხისა, ვიდრე ადამიანური ურთიერთობები.**

უზნეო ხალხის, მათ შორის ხელისუფლების მხრიდან, იყო მცდელობა 2007 წლის ნოემბერში და შემდეგ დღეებში დატრიალებული უბედურების მსხვერპლნი წარმოვეჩინეთ არასასურველ მდგომარეობაში, მაგრამ ცილისწამება ნახშირივითაა — ვერ დაგწვავს, მაგრამ გაგმურავს, თუმცა ის მურიც დროთა განმავლობაში აუცილებლად მოგშორდება.

ესაუბრა **შორენა ციქარაშვილი**

# ამერიკის სავაჭრო პალატა საქართველოს საბანკო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებებით დაინტერესდა

**რადიო „კომერსანტმა“ გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმად, ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო პალატა დაინტერესდა საქართველოს საბანკო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებებით, რის საფუძველზეც ბიძინა ივანიშვილის „ქართუ ბანკს“ არაუზრუნველყოფილი სესხების ჩამოწერა მოუხდა. „საუბარია ცვლილებებზე, — იტყობინება „კომერსანტი“, — რის მიხედვითაც საგადასახადო სამსახური იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციისას ბანკზე უპირატეს მდგომარეობაშია“.**

**წყაროს მიხედვით, ამ საკითხის შესწავლას ამერიკის სავაჭრო პალატა შეუდგა, თუმცა თავად პალატას ოფიციალური კომენტარი არ გაუკეთებია.**

**კომენტარის გაკეთება „საქართველო და მსოფლიომ“ „ბანკი ქართუს“ პრეზიდენტ ნოდარ ჯავახიშვილს სთხოვა.**

**მაგრამ სანამ მის პასუხებს გაგაცნობთ, — ორიოდ სიტყვა აშშ სავაჭრო პალატის შესახებ.**

**აშშ სავაჭრო პალატა მსოფლიოში უდიდესი არაკომერციული, ლობისტური ორგანიზაციაა, რომელიც გამოხატავს აშშ-ის ფართო საქმიანი წრეებისა და ასოციაციების ინტერესებს. დაარსებულია 1912 წლის 12 აპრილს, მისი შტაბბინა ვაშინგტონშია. მასში გაერთიანებულია 300 ათასზე მეტი წევრი, 3 ათასი რეგიონული და შტატების პალატა, 90-ზე მეტი უცხოეთის ქვეყნების სავაჭრო პალატა.**

**თავის მისიად მიიჩნევს „კაცობრიობის პროგრესისთვის მხარდაჭერას ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური სისტემის შექმნის გზით, რომელიც დაფუძნებული უნდა იყოს თავისუფლების, წახალისების, ინიციატივის, შესაძლებლობათა და პასუხისმგებლობის ბაზაზე.**

**მისი მოღვაწეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანია საგადასახადო დატვირთვის გაძლიერებისგან ბიზნესის დაცვა.**

— მივესალმები ნებისმიერი საერთაშორისო ინსტიტუტის, საქართველოში მოქმედი ნებისმიერი ავტორიტეტული ორგანიზაციის დაინტერესებას ამ საკითხით. არაერთხელ განმიცხადებია, რომ კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებები არის დანაშაულებრივი მოქმედება ქართული საბანკო სისტემის ერთ-ერთი წამყვანი წარმომადგენლის — „ბანკი ქართუს“ მიმართ, მაგრამ არაერთხელ აღვნიშნე ისიც, რომ **ეს ძალიან ცუდ მდგომარეობაში აყენებს ყველა დანარჩენ ბანკს, მთლიანად ქვეყანას, მათ საკრედიტო რეიტინგს, უპირველეს ყოვლისა, სირთულეებს გამოიწვევს ინვესტორებთან ურთიერთობაში, მნიშვნელოვნად დაზარალდება ქვეყნის საერთაშორისო იმიჯი.**

მაგრამ მინდა გითხრათ, ამ პალატასთან არსებობს საგადასახადო და იურიდიულ საკითხთა კომიტეტი, რომელშიც თავის დროზე გავაკეთე განცხადება, თუ რა ხდებოდა ოქტომბრის ბოლოს და ნოემბრის დასაწყისში „ბანკ ქართუსთან“ დაკავშირებით. ეს კომიტეტი დაკომპლექტებულია მაღალი დონის იურისტებით, მათ შორის არიან ძალიან საინტერესო ქართველი ახალგაზრდები. ყურადღებით მომისმინეს, ჩაუღრმავდნენ საკითხებს, ფაქტობრივად, გაიზიარეს ჩვენი შეშფოთება. მათ მსჯელობაში გამოჩნდა, რომ ჩვენი ხელისუფლების „კანონშემოქმედებაში“ საშიშროება უფრო მეტია, ვიდრე მე და ჩვენი ბანკის ხელმძღვანელებმა დავინახეთ. მათი ოფიციალური რეაქციის შესახებ მე ცნობა არ მაქვს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი სერიოზული კომიტეტი მხოლოდ თანაგრძნობის გამოხატვით არ შემოიფარგლება.

**— რადიო „კომერსანტის“ ცნობით, „საკითხის შესწავლას ამერიკის სავაჭრო პალატა შეუდგა“.**

— თუ ამერიკის სავაჭრო პალატა დაინტერესდა, კიდევ უკეთესი, რადგან საკითხის დაყენების წონა მნიშვნელოვნად გაიზრდება და, ალბათ, ჩვენი ხელისუფლებაც იძულებული იქნება, რაღაც რეაქცია გააკეთოს. ვნახოთ.

თუმცა იმასაც გეტყვით, რომ მე ჯერ ნამდვილად ვერ ვგრძნობ, რომ რომელიმე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტიდან, რომელიმე ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციიდან რაიმე ზემოქმედება ჩანდეს ჩვენს ხელისუფლებაზე. გარდა ერთისა, რომელიც თქვენი გაზეთის მეშვეობით მივაწოდე საზოგადოებას ჩვენი ბანკისთვის წართმეული ფულის დაბრუნებასთან დაკავშირებით. ესეც მხოლოდ ჩემი ვარაუდია, რადგან ოფიციალურად ამის თაობაზე არავის არაფერი შეუტყობინებია.

**— აშშ-ის სავაჭრო პალატის მხრიდან დაინტერესება ემთხვევა აშშ-საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებაზე მუშაობის დაწყებას. არის ეს ორი ფაქტი ურთიერთდაკავშირებული?**

— არაფერი გამორიცხული არ არის. ეს შემადგენელი ელემენტია ქვეყნებს შორის ვაჭრობის ორგანიზების საკითხის: სადაც ფული ერევა, ურთიერთობის რეგულირება, როგორც წესი, ბანკების მეშვეობით ხდება. ამიტომაა, რომ საბანკო სისტემის სტაბილურობა და სწორად განვითარება ყველა ჩვენი პარტნიორისა და მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის ინტერესის საგანია. **გაოცებული და აღშფოთებული ვარ იმ უმოქმედობით, რომელსაც ბევრი ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაცია და, უპირველეს ყოვლისა, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი, რომელთა წარმომადგენლობები საქართველოში არის, იჩენენ საქართველოში არსებული ბაქკანალიის მიმართ. რაც „ბანკ ქართუს“ წინააღმდეგ ხდება, პოლიტიკურად მოტივირებული ტერორია. ამ საერთაშორისო ინსტიტუტებს არც მორალური, არც იურიდიული უფლება არ აქვთ, შორიდან უყურონ ასეთ ტერორს საბანკო სისტემის წინააღმდეგ...**

**— რის შედეგადაც ათეულობით მილიონი დოლარი იზარალეთ. შესაძლებელია ვილაპარაკოთ იმ ზარალის ანაზღაურებაზე?**

— თუ საქართველო გახდება სამართლებრივი სახელმწიფო, ხელისუფლებამ პასუხი უნდა აგოს „ბანკ ქართუს“ წინააღმდეგ განხორციელებულ ამ უკანონო ქმედებაზე. თუმცა ამ ოპერაციაში, რომელიც სკრუპულოზურად არის დაგეგმილი, ხელისუფლების გარდა მონაწილეობს კონკრეტული ბიზნესსტრუქტურებიც, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი უშუალოდ არის დაკავშირებული ხელისუფლების ოდიოზურ ფიგურებთან, მაგრამ არა ყველა. პასუხისმგებლობა მათაც დაეკისრებათ. **სასამართლოში ვჩივით დღესაც, მაგრამ ყველა სარჩელი დაუკმაყოფილებელი გვიბრუნდება, აბსურდული და უსაფუძვლო ახსნა-განმარტებებით. როცა პასუხისმგებლობის საკითხი დადგება, ჩვენ სახელმწიფოსთან ერთად პრეტენზია გვექნება კონკრეტულ კომპანიებთან და მათ დამფუძნებლებთან, რომლებიც დანაშაულებრივად მონაწილეობდნენ ჩვენ წინააღმდეგ განხორციელებულ ოპერაციებში და აქედან სერიოზულ ფინანსურ სიკეთესაც იღებდნენ.**

**— თქვენი პრეტენზია ზარალის ანაზღაურებასაც გულისხმობს?**

— ზარალის ანაზღაურებას, უპირველეს ყოვლისა, მაგრამ არა მარტო იმისას, რაც კონკრეტულ სიტუაციაში დავკარგეთ, არამედ გათვლილ შესაძლო მოგებასაც. სამართლიან სახელმწიფოში ჩვენ ძალიან მოგებულები დავრჩებით.

**— ჯერ კი დაველოდოთ ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო პალატის ოფიციალურ განცხადებას.**

— მივესალმები ასეთი განცხადების გაკეთებას. ეს ლოგიკური სვლა იქნება პალატის მხრიდან.

ესაუბრა **არმაზ სანებლიძე**

დებიუტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„კოლეგები დავიცავი, მაგრამ ისიც ვთქვი, რომ მივესალმები ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლას იმიტომ, რომ მას უყვარს თავისი ქვეყანა და კეთილი საქმეების კეთებას აპირებს. განვაცხადე, რომ არ ვეთანხმები მედიისადმი მის დამოკიდებულებას, თუმცა შეიძლება ყველა ჩვენგანს ჰქონდეს კრიტიკული აზრი ამა თუ იმ მედიასაშუალებაზე."

## ელისო ჩაფიძე:

# ჩვენ მოვალთ ხელისუფლებაში



**«აშკარად დავინახე, რომ ახალ ამპლუაში გაცილებით მეტი რამის გაკეთებას შევძლებ იმ ადამიანებისთვის, რომლებიც რედაქციაში თავიანთი პრობლემებით მოდიოდნენ»**

**ელისო ჩაფიძე, ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, უკვე სახელმოხვეჭილი ჟურნალისტია, მებრძოლი და უშიშარი, პრინციპული და, რაღა თქმა უნდა, მაღალი რანგის პროფესიონალი. 2004 წელს ოსლოში საზეიმოდ მიენიჭა აღმოსავლეთ ევროპის საუკეთესო ჟურნალისტის წოდება. მაგრამ დღეს, ყოფილი ჟურნალისტი ვარო, აცხადებს. რატომ? იმიტომ, რომ პოლიტიკაში წავიდა, მიიწვიეს, დათანხმდა — „ქართული ოცნების" საინიციატივო ჯგუფის წევრია. ამაზე ვილაპარაკებთ. მაგრამ სად? ეგაა პრობლემა, რადგან „რეზონანსიდან" უკვე წამოსულია, „ქართული ოცნების" ახალ ოფისში, ერეკლეს მოედანზე თბილისის ბედნიერი მერია ნორმალურად მუშაობის არავითარ საშუალებას არ აძლევს ბიძინა ივანიშვილის გუნდში მოხმობილ ადამიანებს: სამშენებლო ნაგავი აღმართეს თანამედროვე მანერჰეიმის ზოლად, მუნიციპალური საკუთრების ხელშეუხებელ ზღუდედ — ხელი არ ახლოთ, სასიკვდილოა! ამიტომ ვსხედვართ სპორტის სასახლესთან, „მაკდონალდსის" აივანზე და მაინცდამაინც ვერ ვიჯერებთ, რომ თებერვლის ბოლო კვირის ყინვა გატყდა და ხეში ჩადგა წყალი. ვსაუბრობთ „არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში" გაცილებით რთულ პოლიტიკურ პრობლემებზე ადამიანურ ჭრილში.**

**— ძნელად დაემშვიდობა ელისო ჩაფიძე ნალოლიავებ პროფესიას...**

— ძალიან.

**— ჟურნალისტობაზე ადამიანი ხელს რომ აიღებს, ან დიდი მიზეზი აქვს, ან უფრო დიდი მიზანი... თუ „ერთი ნახვით შეყვარების" ბრალია?**

— ბოლო პერიოდში ისეთი შთაბეჭდილება მექმნებოდა, რომ ის, რასაც ვაკეთებდი ან ვწერდი, პრაქტიკულად, შედეგის მომტანი არ იყო. ისე გამოდიოდა, რომ მე მხოლოდ საკუთარი სიმპათიებისა და სიამოვნებისთვის ვირჯებოდი. ეს ერთი.

მეორე, — ბიძინა ივანიშვილისადმი დამოკიდებულება. ყოველთვის ვიცოდი, რომ არსებობს ასეთი ადამიანი, მეცენატი, რომელიც ძალიან ბევრ კარგ საქმეს აკეთებს და ვხუმრობდი, რომ მისგან არაფრით არ ვარ დავალებული, პირიქით — იგი ერთადერთი მილიარდერია, რომელიც ჩემგან შეიძლება იყოს დავალებული, იმიტომ, რომ, როცა ვინმე მომმართავდა მისი ქველმოქმედების შესახებ მიმეწოდებინა ინფორმაცია, ან მადლობის გადახდა სურდა, ან პროტესტის გამოხატვა მისთვის შექმნილი პრობლემების გამო, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე ვწერდი და ჩვენს მკითხველს ვატყობინებდი.

როცა მან პირველი განცხადება გააკეთა, პრესაზეც რომ ილაპარაკა, ბუნებრივია, დავიცავი ჩემი კოლეგები, თუმცა, სამწუხაროდ, მაშინ ჩემი კომენტარები დაამახინჯეს...

**— გულისხმობთ, როცა გამიჯნა...**

— დიახ, როცა გამიჯნა და თქვა, რომ ვიღაც არის სახელისუფლო, ვიღაც არის ოპოზიციური და, მათ შორის, კრიტიკულად განწყობილი ტელეკომპანიებიც კი ხელისუფლების ინტერესების გამტარებლებად მოიხსენია. **კოლეგები დავიცავი, მაგრამ ისიც ვთქვი, რომ მივესალმები ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლას იმიტომ, რომ მას უყვარს თავისი ქვეყანა და კეთილი საქმეების კეთებას აპირებს. განვაცხადე, რომ არ ვეთანხმები მედიისადმი მის დამოკიდებულებას, თუმცა შეიძლება ყველა ჩვენგანს ჰქონდეს კრიტიკული აზრი ამა თუ იმ მედიასაშუალებაზე.**

მე, როგორც უკვე პოლიტიკოსს, მომიწევს შევეგუო ჩემი კოლეგებისგან კრიტიკას, ხაფანგის დაგებას, ციტატის ამოგლეჯას და ა.შ., მაგრამ ასეთია თმენის ვალდებულება.

შემომთავაზეს ბიძინა ივანიშვილის მრჩევლობა, რასაც უყოყმანოდ დავთანხმდი. ბუნებრივია, რომ არანაირი საუბარი არ ყოფილა ანაზღაურებაზე, საუბარი იყო მხოლოდ იმაზე, რომ ჩემი მოსაზრებები მიმეწოდებინა ამ ადამიანისთვის, საზოგადოებრივი მოძრაობისთვის. ამაზე უარს დედამიწის ზურგზე არავის ვეტყვი, მათ შორის, არც ახლანდელ ხელისუფლებას, მიუხედავად იმისა, რომ არა მგონია, ჩემი რჩევა გაითვალისწინონ.

პოლიტიკაში წასვლის შემოთავაზება შარშან, დეკემბრის ბოლოს მივიღე. პრინციპულად, ეს ჩემთვის მისაღები იყო. მეგონა, რომ ეს მოხდებოდა მარტ-აპრილში და, სიმართლე რომ გითხრათ, არ ვჩქარობდი კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებას.

**— თქვენ თავს იყავით მინდობილი?**

— რა თქმა უნდა, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაში ძალიან დამეხმარა ბატონ ბიძინასთან პირადი შეხვედრები. რამდენჯერმე შევხვდი. **პირველ შეხვედრაზე ვუთხარი: თქვენ კი მეპატიჟებით პოლიტიკაში, მაგრამ მე ჩემი სახელისა და გვარის და ერთოთახიანი ბინის გარდა არაფერი გამაჩნია, და როგორ უნდა ვიყო-მეთქი თქვენი თანამებრძოლი? მივიღე გასაოცარი პასუხი.**

საერთოდ ძალიან ცუდად მესმის, რას ნიშნავს მილიონერი, მილიარდერი, ვის რამდენი აქვს და ა.შ. ჩვენთვის 1000 ლარიც უკვე ძალიან ბევრია *(იცინის)*. ჰოდა, **მან ასე მიპასუხა: მილიარდერები საერთოდ არ არიან საინტერესო ადამიანები, შენ ხომ იცი, ელისო, ეს აფორიზმი: „თუ შენი თავი თან გახლავს, ღარიბად არ იხსენები".**

მასთან შეხვედრების შედეგად დავინახე, რომ ეს ის ადამიანია, რომელიც არაფერს გპირდება, განსაკუთრებულ ილუზიებს არ გიქმნის და რეალურად აპირებს ბევრი კარგი საქმის გაკეთებას.

**— თქვენ რა შესთავაზეთ?**

— თუ ჩვენ მოვალთ-მეთქი ხელისუფლებაში, თუ კი არა, ჩვენ მოვალთ ხელისუფლებაში, ჯანდაცვის პროგრამები, განათლება, რომელიც უმთავრესია, რადგან უდიდეს პრობლემად უდგას საქართველოს, სახელმწიფომ მოსახლეობისთვის უნდა განახორციელოს.

მან მითხრა, რომ ამას ერთი კომპონენტით უნდა დავუმატოთ — სოფლის მეურნეობა. თუ გლეხი არ დაამუშავებს მიწას, თუ წარმოება არ განვითარდება, თუ პროდუქცია საქართველოში არ შეიქმნება, მთელი ჩემი ქონება რომც დავარიგო, მდგომარეობა მაინც არ გამოსწორდება, რადგან ეს ფული ბოლოს და ბოლოს დაიხარჯება. ინვესტიცია სოფლის მეურნეობაში უნდა ჩაიდოსო, უწინარეს ყოვლისა.

**ბატონ ბიძინას ესმის, რომ საქართველოს ბიუჯეტში შექმნილია ძალიან რთული მდგომარეობა და ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების გარეშე რაიმე გაუმჯობესებაზე ლაპარაკი ზედმეტია. მან მითხრა, რომ აბსოლუტურად მეთანხმება, მაგრამ არ უნდა გავცეთ ამასთან დაკავშირებით დაპირებები. ადამიანებმა რეალურად უნდა იგრძნონ ის სიკეთე, რომელსაც ახალი ხელისუფლების მოსვლით მიიღებენ.**

ასეთი არაპოპულისტური დამოკიდებულება ძალიან მომეწონა. ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, ძალიან ეჭვიანი ვარ, ნაკლებად მჯეროდა, რომ შევხვდებოდი ადამიანს, რომელიც ომში პირველი წავა, თვითონ, თავისით, თანამებრძოლის ყველა ტვირთს საკუთარ თავზე აიღებს და ჩვენ ვიქნებით მის ზურგს უკან.

**— წინ არ გადაეფარებით?**

— წინაც გადავეფარები და დავდგები, სადაც საჭიროა. მაგრამ ვამბობ აზრობრივი თვალსაზრისით: იგი არის წინამძღოლის ტიპი და მე შემიძლია ვაღიარო მისი უპირატესობა.

**— მოკლედ, მიხვედით გუნდში.**

— ასე იოლად არა. თანხმობა რომ განვაცხადე, მას შემდეგაც ბევრი ვიფიქრე, გამოცხადების წინა დღეებში განსაკუთრებით ვნერვიულობდი, ვაიმე, ღმერთო, სად მივდივარ! ეს ხომ პოლიტიკაა, ინტრიგებია და მე ხომ არაფერი არ გამეგება ამ ყველაფრისა და ა. შ. ბოლო წუთამდე ვფიქრობდი: ხომ არ დავრეკო და ვუთხრა, რომ ჟურნალისტიკაში დარჩენა გადავწყვიტე?

მაგრამ ეს უკვე გადალახული ეტაპია.

**აშკარად დავინახე, რომ ახალ ამპლუაში გაცილებით მეტი რამის გაკეთებას შევძლებ იმ ადამიანებისთვის, რომლებიც რედაქციაში თავიანთი პრობლემებით მოდიოდნენ.** ვწერდი, როგორ არ ვწერდი. მაგრამ მათ სჭირდებათ მეტი, ვიდრე მხოლოდ ამ პრობლემებზე წერა. თუმცა სიტყვას აქვს ძალიან დიდი ძალა. მაგრამ რას ვფიქრობ, იცით? **პოლიტიკაში ჩემი წასვლა ერთგვარი გამოწვევაც არის: ჩემი ცხოვრების ნახევარი გავატარე ჟურნალისტიკაში. შემიძლია თუ არა სხვა სფეროში, სხვა საქმიანობაშიც მოვსინჯო ჩემი ძალა?!** ერთადერთი, რაც ზუსტად ვიცი, პოლიტიკურ ინტრიგებში არ და ვერ ჩავებმები, ჩვენს გუნდში, იმედი მაქვს, ეს არც არის შესაძლებელი. ვინ რომელ პარტიაში იქნება, სიაში ვის რომელ ადგილზე ჩაწერენ, ამაზე ვაჭრობა ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელია, რადგან საერთო საქმე გვაქვს გასაკეთებელი, რომლის სარეალიზაციოდ მაქსიმალურად უნდა ვიყოთ შეკავშირებულნი.

ძალიან მიხარია, რომ ამ დღეებში ისეთი ადამიანები მიკავშირდებიან, რომლებიც, შესაძლოა, ამ პოლიტიკური გუნდის მიმართ ცუდად არიან განწყობილნი, პროტესტის გრძნობაც კი აქვთ, მაგრამ მაინც წარმატებას გვისურვებენ.

**— მაგალითად?**

— მაგალითად, **ჩემთვის ძალიან მოულოდნელი იყო, რომ ფეისბუკით დამიკავშირდა ირაკლი ოქრუაშვილი და წარმატება მისურვა.**

**— მიუხედავად იმისა, რომ ბატონ ბიძინასგან კომპლიმენტები არ მოუსმენია?**

— დიახ. მაგრამ მე არანაირად არ ვეცდები, ბატონ ბიძინას რომელიმე პოლიტიკოსი ან ნებისმიერი ადამიანი დავუპირისპირო. პირიქით, დაძაბულობის შემთხვევაში, როგორც ქალი, ჩავდგები შუაში და თეთრი მანდილით დავამშვიდებ სიტუაციას.

**— შალვა ნათელაშვილის შემთხვევაშიც?**

**— ჩემი მოკრძალებული სურვილია, მოვუწოდო ყველა ქალას, ჩვენი ურთიერთ „შემკობის" ტერმინოლოგია უფრო ცივილიზებული გახადონ. სამწუხაროდ, ჩვენთან ისეთი შეურაცხმყოფელი სიტყვებით მივმართავთ ერთმანეთს, რომ შემდეგ გვიჭირს ერთმანეთთან შეხვედრა და ერთმანეთისთვის თვალებში შეხედვა.**

ბატონი შალვასი მიკვირს, რადგან მე მას ვიცნობ, პატივს ვცემ როგორც პიროვნებას, ვთვლი, რომ ლეიბორისტულ პარტიას ჰყავს თავისი ამომრჩეველი, მათი იდეები შრომის კოდექსთან, ადამიანის შრომის უფლებებთან, მათი პრაქტიკული საქმიანობა გადასახადებთან დაკავშირებით ძალიან მნიშვნელოვანია და ვთვლი, რომ ბატონი შალვა თავისი მხარდამჭერების წყალობით ჩვენთან ერთად იქნება მომავალ პარლამენტში და კონსტრუქციულად ვითანამშრომლებთ.

**— რომელ სფეროში აპირებთ მოღვაწეობას?**

— ნებისმიერში, რომელიც საჭირო იქნება ჩვენი საერთო საქმისთვის — **დაგეგმილი მაქვს, ვიბრძოლო მედიის უფლებებისთვის, რათა ჩვენმა გუნდმა მოახერხოს დატყვევებული ქართული მედიის, განსაკუთრებით, ტელევიზიების გათავისუფლება პოლიტიკური წნეხისგან, საზოგადოებრივი მაუწყებლის გამოხსნა ხელისუფლების კონტროლისგან.** ვიცით, რომ მომავალი ხელისუფლება ვიქნებით ჩვენ და გვინდა, რომ საზოგადოებრივ მაუწყებელში იმუშაონ თავისუფალმა ჟურნალისტებმა. რაც შეეხება კერძო კომპანიებს, გვინდა, რომ მათი მფლობელები, ფინანსური შემოსავლები იყოს გამჭვირვალე და ა.შ.

**— თქვენი ეს მოსაზრებები ბატონ ბიძინას გააცანით?**

— დიახ! მისი ინიციატივაც და სურვილიცაა, რომ მე მედიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ვიმუშაო. მედიასთან ურთიერთობის ჯგუფთან, რომელშიც კომპეტენტური ადამიანები არიან გაერთიანებული, ვთანხმდებით ურთიერთობის ფორმებზე.

ეს ერთი სფერო. მეორე სფერო ადამიანის უფლებებია, სადაც არასამთავროებთან ერთად განვაგრძობ თანამშრომლობას.

ამისთვის გადავდგი ეს ნაბიჯი. ვხედავდი, რომ კანონპროექტების შეთავაზებით, საპროტესტო აქციების გამართვით და ასე შემდეგ გარკვეულ შედეგებს კი ვაღწევდით, მაგრამ ახლა მინდა, რომ გამარჯვება, ლოკალური კი არა, მთელი ქვეყნისთვის იყოს.

**როგორც ვატყობ, ხელისუფლებაში მყოფთაგან ბევრს გაცლა უნდა, მაგრამ ვერ მიდის. ჩვენ გვინდა, რომ ამ სისტემის ნანგრევებში ძალიან ცოტა ადამიანი მოჰყვეს.**

**— ერთი შეკითხვა საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით. ერთ-ერთ სატელევიზიო საუბარში ამ თემას გაკვრით შეეხეთ: არის რუსეთი ჩვენი პირველი მტერი?**

— არ ვარ მომხრე, რომ რომელიმე ქვეყანა მტრად გამოცხადდეს და საგარეო პოლიტიკა ამის შესაბამისად წარიმართოს. **მე იმის მომხრე ვარ, რომ ყველა ქვეყანასთან ნორმალური, დაბალანსებული ურთიერთობა გვქონდეს, ამას უნდა ვესწრაფოდეთ. ეს არ ნიშნავს, რომ არ ვაღიარებ საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტის ოკუპაციას. პირიქით. დარწმუნებული ვარ, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში ეს პრობლემა სულ მალე მოიხსნება, თუმცა ამისთვის თავაუღებელი მუშაობა დაგვჭირდება.**

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

„დღეს ამერიკა ახერხებს ირანის ბირთვული ამბიციების შეკავებას იმის მუქარით, რომ პარალიზების ძალის მქონე პასუხი იქნება. დარწმუნებული ვარ, თუ ჩვენ საკუთარ თავზე ავიღებთ საჯარო ვალდებულებას, როგორიც ევროპაში ნატოს მოკავშირეების დასაცავად ავიღეთ, მაშინ ნებისმიერი მუქარა ირანის მხრიდან... აშშ-ის მიერ განხილული იქნება როგორც შეტევა თავად აშშ-ზე. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ ბირთვული იარაღის პოტენციური ფლობა წონადი მიზეზია, რის გამოც ამერიკა წინდახედული უნდა იყოს, სანამ ამ რეგიონში ომს წამოიწყებს.“

გეოპოლიტიკა
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ზბიგნევ ბჟეზინსკი:

# ამერიკამ საგარეო პოლიტიკაში ზომიერების გრძნობა დაკარგა

**პრეზიდენტ კარტერის ყოფილმა მრჩეველმა ეროვნული უსაფრთხოების დარგში, ზბიგნევ ბჟეზინსკიმ გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ ექსკლუზიური ინტერვიუ მისცა. სულ ახლახან ნიუ იორკში ბჟეზინსკის ახალი წიგნის პრეზენტაცია გაიმართა. წიგნში სახელწოდებით „სტრატეგიული ხედვა: ამერიკა და გლობალური ძლიერების კრიზისი“ ზბიგნევ ბჟეზინსკი იმაზე წერს, რაც მას თანამედროვე მსოფლიოში აშფოთებს.**

**— თქვენს წიგნში აპოკალიფსურ სურათს ხატავთ, რომლის მიხედვითაც ამერიკა ეკონომიკურ ვარდნასთან ერთად პოლიტიკურ უძლურებასა და სტრატეგიულ იზოლაციაშია, მაშინ, როცა ჩინეთი ისტორიულ ნახტომს აკეთებს.**

— მართლაც, თუ ამერიკა განაგრძობს დაქვეითებას საშინაო პოლიტიკაში და გაუაზრებელ საგარეო პოლიტიკას მიჰყვება, მისი დაისი გარდაუვალია. თუმცა საბოლოო ჯამში მოგებული ჩინეთი როდი აღმოჩნდება. გაიმარჯვებს ქაოსი. ჩემი აზრით, უახლოესი 20 წლის განმავლობაში მსოფლიო არენაზე ვერ გამოჩნდება ზესახელმწიფო, რომელიც უკანასკნელი წლების ამერიკას შეედრება, ვინაიდან **მსოფლიოში დეცენტრალიზაციის პროცესი მიმდინარეობს. სიმძლავრე, ძალა, გავლენა გარდაუვალად ინაცვლებს დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ. საჭიროა გონივრული კომპრომისის მიღწევა. თუ ამას ვერ შევძლებთ, მსოფლიო ქაოსი გველის, რომლის იქით შეიძლება საკაცობრიო ცივილიზაციის დასასრულიც იყოს.**

**— მაინც რატომ კარგავს ასე სწრაფად მსოფლიოში მიმზიდველობას ამერიკა? იქნებ იმიტომ, რომ ამერიკამ საკუთარ თავზე „მსოფლიო ჟანდარმის“ ფუნქცია აიღო?**

— იმას ვერ ვიტყვით, რომ ამერიკა სრულიად არაპოპულარულია მსოფლიოში, მაგრამ, სამწუხაროდ, უნდა ვთქვათ, რომ უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში ჩვენ შემოგვეხარჯა უნიკალური კრედიტი, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლამ მოგვანიჭა. არადა, 90-იანი წლების დასაწყისში ხომ თითქმის ყველა პოლიტოლოგი ერთხმად ამბობდა, რომ მსოფლიოში ამერიკის უდავო დომინირება იწყება. ჩვენ გვქონდა საშუალება, დაგვეწყო მსოფლიოს გარდაქმნა, მაგრამ შედეგად კიდევ უფრო რთული და მშფოთვარე ვითარება მივიღეთ, ვიდრე მანამდე.

**— მიზეზი რა არის?**

— ჯერ ერთი, მხედველობაში უნდა მივიღოთ გლობალური პოლიტიკური გამოღვიძების ფენომენი. მანამდე არასოდეს ასე ღიად ხალხებს არ გამოუხატავთ საკუთარი პოლიტიკური თვითშეგნება და პოლიტიკური მისწრაფებები. ამან მსოფლიო რთულად სამართავი გახადა. მეორეც, დასავლეთის დომინირების ფენომენმა არსებობა შეწყვიტა. ყველაფერი ხომ შუა საუკუნეებში, ესპანეთის, როგორც მსოფლიო იმპერიის აღმავლობით დაიწყო, რომელიც საფრანგეთმა შეცვალა, მას ბრიტანეთი მოჰყვა და ბოლოს და ბოლოს, არენაზე ჩვენ, ამერიკელები გამოვჩნდით, თუმცა უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში მეტად სამწუხარო მოვლენები მოხდა. პირველ რიგში, ამერიკამ საკუთარ შიდასახელმწიფოებრივ განვითარებას არ მიაქცია სათანადო ყურადღება. ჩვენ დავუშვით, რომ ჩვენს საზოგადოებაში სოციალური უთანასწორობა გაღრმავებულიყო. თუ 1990 წელს საწარმოთა დირექტორების ხელფასები 70-ჯერ მეტი იყო საშუალო ამერიკელის ხელფასზე, ახლა ეს განსხვავება 325-ჯერაა გაზრდილი. ამით საზოგადოებაში სამართლიანობა გაითელა, ეს კი სტაბილური სახელმწიფოს ფუნდამენტია.

**ჩვენ ისეთი ფინანსური სისტემა განვავითარეთ, როდესაც უზარმაზარი ტრანზაქციები სრულიად უკონტროლოდ ხორციელდება მთელ მსოფლიოში, რასაც წარმოუდგენელ სპეკულაციებამდე და ერთეულების უზომო გამდიდრებამდე მივყავართ.**

**ჩვენ მივუშვით ინფრასტრუქტურა: ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, განათლება, ჯანდაცვა, რადგან მათში ინვესტირებას არ ვახდენთ.**

**ჩვენ ომებს ვაწარმოებთ, ოღონდ საკუთარი ბიუჯეტიდან კი არ ვაფინანსებთ, არამედ გაუთავებელ სესხებს ვიღებთ, რამაც გადახდისუუნარო მოვალედ გვაქცია.**

შიდა სირთულეები საგარეოპოლიტიკურ პრობლემებთან ურთიერთქმედებს. **უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში ჩვენ ზომიერების გრძნობა და მორიდება დავკარგეთ.** ჩვენი წინა პრეზიდენტი (მხედველობაში ჰყავს ჯორჯ ბუშ-უმცროსი) ცდილობდა, თავი ემართლებინა ფრაზით: „ღმერთმა აირჩია ამერიკა მთელი მსოფლიოს ბელადად“! გაითვალისწინეთ, რომ ეს მსოფლიო ბევრად უფრო რთული გახდა.

**— თქვენი თანამემამულეებისგან გვსმენია, რომ გამოთქმა „ამერიკული ოცნება“ ცარიელ სიტყვებად იქცა.**

— ამერიკა ყოველთვის იყო შესაძლებლობათა ქვეყანა და ყველა თაობას ჰქონდა იმედი, რომ მამების თაობაზე უკეთესად იცხოვრებდა, მაგრამ სულ ახლახან ეს პროცესი დამუხრუჭდა. დღეს, მაგალითად, საშუალო ევროპელს მეტი შანსი აქვს, წარმატებას მიაღწიოს ცხოვრებასა და კარიერაში, ვიდრე ამერიკელს.

**— ბევრი პოსტსაბჭოთა ქვეყანა ამერიკის საშუალო და უმაღლესი განათლების სისტემაზე გადადის: სწავლა ფასიანი ხდება, მცირდება სავალდებულო საგნების სია, უმაღლესში ჩასაბარებლად ერთიანი ეროვნული გამოცდები ტარდება...**

— თქვენ ამერიკისთვის მეტად მტკივნეულ თემას შეეხეთ. ძალიან მაწუხებს განათლების პრობლემა ჩვენს ქვეყანაში. დიახ, ჩვენ დემოკრატია ვართ, რომელიც რთულ სამყაროში გადარჩენას ლამობს გონივრული საგარეო პოლიტიკის განხორციელებით. მაგრამ ეს იმ პირობით არის შესაძლებელი, თუ ქვეყნის მოსახლეობა გონიერი და ჯანსაღად მოაზროვნეა. სხვაგვარად ჩვენ წინაშე მდგომ ამოცანებს ვერ გადავჭრით.

**უნდა ვაღიარო, რომ ამერიკელი ხალხი უვიცია. მას არავითარი წარმოდგენა არა აქვს გარე სამყაროზე. ჩვენს სახელმწიფო სკოლებში არ არის საგანი „მსოფლიო ისტორია“. ჩვენ ბავშვებს ამერიკის პატრიოტულ ისტორიას ვასწავლით, სინამდვილეში კი ეს შელამაზებული „საშობაო“ ისტორიაა, რომელიც შორს არის წარსულის რთული და წინააღმდეგობრივი რეალიებისგან.**

მაგალითად ავიღოთ, თუნდაც დამოკიდებულება ამერიკის მკვიდრ მოსახლეობასთან — ინდიელებთან. როგორი საწყენიც უნდა იყოს, უნდა ვაღიაროთ, რომ პირველი ეთნიკური წმენდები „კანონის სახელით“ სწორედ ამერიკულ მიწაზე მოხდა! ათასობით ინდიელი აყარეს საკუთარი მიწებიდან პრეზიდენტ ჯეკსონის დროს...

გეოგრაფია ავიღოთ. ჩვენ მას არ ვასწავლით! ამერიკული კოლეჯების ახლანდელი აბიტურიენტების 52%-ს არ შეუძლია რუკაზე გაჩვენოთ, სად მდებარეობს ნიუ იორკი. 2003-2010 წლებში უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა 70%-ს რუკაზე ერაყის პოვნა არ შეეძლო, ეს კი ის ქვეყანაა, რომელშიც ვომობდით! ერთხელ მომავალ სტუდენტებს შესთავაზეს რუკაზე ცისფრად დატანილი ტერიტორიის იდენტიფიცირება. მათგან 30% ვერ მიხვდა, რომ ეს წყნარი ოკეანე იყო! თქვენ გეღიმებათ, მაგრამ ეს სულაც არ არის სასაცილო. აქედან მოდის ამერიკელების დიდი ნაწილის მეტისმეტად მსუბუქი დამოკიდებულება საგარეო პოლიტიკის საკითხებისადმი. თანაც, როგორი სახით სთავაზობენ საერთაშორისო პრობლემატიკას საჯარო დისკუსიებში? ზედაპირულად, შავ-თეთრ ტონებში, დემაგოგიის პრევალირებით.

**— მოძრაობას „დაიკავე უოლ სტრიტი“ როგორ შეაფასებთ?**

— ემოციურ დონეზე მათ მიმართ სიმპატიები მაქვს. ვეთანხმები მათ, ვინც ამბობს, რომ ეს მოძრაობა ობიექტური შედეგია თანამედროვე საზოგადოებაში პოლიტიკური და სოციალური იდეების პოლარიზაციისა, სხვადასხვა ჯგუფის ინტერესების შეჯახებისა. შესაძლოა, ეს ჩინებული სიგნალია, რომელიც ხელისუფლებამ უნდა შეისმინოს... მაგრამ საკითხავია: რა საჭიროა საკუთარი ჯანმრთელობის საფრთხეში ჩაგდება სიცივეში კარვებში ღამისთევით? თანაც, მათი გამოსვლები უმართავ სოციალურ კონფლიქტში გადაზრდის საფრთხეს შეიცავს. და ის, რაც გასული წლის აგვისტოში ლონდონში მოხდა, — მასობრივი უწესრიგობა, დარბევები, მაროდიორობა, რასაც ადამიანების მსხვერპლი მოჰყვა, თვალნათლივ აჩვენებს უპასუხისმგებლობას და უკონტროლო სისასტიკეს, რომელშიც მშვიდობიანი პროტესტი შეიძლება გადაიზარდოს. და მაინც **ვფიქრობ, რომ ამერიკულმა დემოკრატიამ უნდა ნახოს საკუთარ თავში ძალა, რათა არ გამოიყენოს რეპრესიული ზომები ამ მოძრაობის მონაწილეთა მიმართ.**

**— 2007 წელს თქვენ მხარი დაუჭირეთ ბარაკ ობამას წამოყენებას პრეზიდენტის პოსტზე. ამბობენ, რომ თქვენ ახლა მისი საიდუმლო მრჩეველი ხართ საგარეო პოლიტიკის საკითხებში.**

— ეს ასე არ არის. მე დროდადრო საშუალება მაქვს, ამა თუ იმ პრობლემაზე ჩემი შეხედულება გავაცნო, მაგრამ, თუ ეს ყოველდღიურად, რეგულარულად არ ხდება, თუ არ არის კამათი მოწინააღმდეგეებთან, რომლებიც ასევე ცდილობენ პრეზიდენტზე ზეგავლენას, თქვენ სრულად ვერ აკონტროლებთ სიტუაციას. თუმცა ობამა ჭკვიანი კაცია და მშვენივრად ერკვევა, რა რას ნიშნავს.

**— როგორია, თქვენი აზრით, იმის შესაძლებლობა, რომ ამერიკამ უახლოეს ხანებში ირანის წინააღმდეგ ომი წამოიწყოს?**

— ირანი სერიოზული პრობლემაა, რომლის გადასაწყვეტად ბრძნული მიდგომაა საჭირო. უბრალოდ, ომში ჩათრევა არაგონივრულია, განსაკუთრებით, ავღანეთში ათწლიანი სამხედრო მოქმედებების გამოცდილების მიღების შემდეგ, მით უმეტეს, რომ ამგვარი ომის შედეგების განჭვრეტა რთულია. დღევანდელი ომები ამერიკას არცთუ იაფი უჯდება. ჩვენ მოვახერხეთ ნაცისტურ გერმანიაზე და მილიტარისტულ იაპონიაზე გამარჯვება ოთხი წლის შემდეგ, საბჭოთა არმიასთან ერთად, რა თქმა უნდა... თალიბანთან ახლანდელი ომი, უკვე ათი წელია, მიმდინარეობს და სიმართლე რომ ვთქვათ, ბოლო არ უჩანს. რამდენი წელი დასჭირდა ერაყის გაწმენდას? თუმცა იქ ახლაც არ არის სიმშვიდე.

**— როგორ აფასებთ სიტუაციას თეირანის ბირთვული პროგრამის ირგვლივ?**

— სიტუაცია გადაულახავი არ არის და შეკავებას ექვემდებარება. 40 წლის განმავლობაში, „ცივი ომის“ დროს ჩვენ საბჭოთა კავშირთან ბირთვული შეკავების პოლიტიკას ვატარებდით, ვაკავებდით ჩინეთსაც „უკანასკნელი არგუმენტის“ გამოყენებისგან. არ მინდა დაწვრილებით დაკონკრეტება, მაგრამ მე მევალებოდა აშშ-ის პრეზიდენტის პასუხის კოორდინირება ჩვენ წინააღმდეგ ბირთვული იარაღის გამოყენების შემთხვევაში. ერთხელ თანაშემწემ, რომელსაც გენერლის ჩინი ჰქონდა, გამაღვიძა და მითხრა, რომ ბირთვული შეტევა დაიწყო. უნდა გამოგიტყდეთ, რომ თავიდან გონს მოსვლა და ყურადღების მოკრეფა გამიჭირდა. ვიცოდი, რომ ჩემი ოჯახი, რომელიც ვაშინგტონში იმყოფებოდა, 20 წუთში დაიღუპებოდა. მთელი ჩემი გონება ამ ფაქტის გაცნობიერებისკენ იყო მიმართული. შემდეგ კი სიმშვიდის საოცარი გრძნობა მოვიდა: მორჩა, ეს დასასრულია ყველასთვის და, საითაც ჩვენ მივემართებით, ჩვენი მტერიც იქ აღმოჩნდება... საბედნიეროდ, ეს ცრუ განგაში აღმოჩნდა.

დღეს ამერიკა ახერხებს ირანის ბირთვული ამბიციების შეკავებას იმის მუქარით, რომ პარალიზების ძალის მქონე პასუხი იქნება. დარწმუნებული ვარ, თუ ჩვენ საკუთარ თავზე ავიღებთ საჯარო ვალდებულებას, როგორიც ევროპაში ნატოს მოკავშირეების დასაცავად ავიღეთ, მაშინ ნებისმიერი მუქარა ირანის მხრიდან (მის მიერ ბირთვული იარაღის მოპოვებისა და ახლო აღმოსავლეთში — ისრაელისა და არაბული სახელმწიფოების მიმართ მისი შემდგომი გამოყენების შემთხვევაში) აშშ-ის მიერ განხილული იქნება როგორც შეტევა თავად აშშ-ზე. ამასთანავე, **გასათვალისწინებელია, რომ ბირთვული იარაღის პოტენციური ფლობა წონადი მიზეზია, რის გამოც ამერიკა წინდახედული უნდა იყოს, სანამ ამ რეგიონში ომს წამოიწყებს. ამგვარ ომებს გამარჯვებული არა ჰყავს. არ ღირს ილუზიების ტყვეობაში ყოფნა.**

**— თქვენ ამერიკელი პოლიტოლოგი ხართ, რომლის სპეციალიზაცია, უკვე ექვსი ათეული წელია, რუსეთია. როგორ ხედავთ მის აწმყოსა და მომავალს?**

— ეჭვი არ მეპარება, რომ რუსეთი დემოკრატიისკენ მიდის. შეუძლებელია, არ აღინიშნოს თქვენთან სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების დაწყება. ოპოზიცია საკუთარ თავს ინტერნაციონალურ საშუალო კლასს აკუთვნებს, რომელიც ფინანსურად საკმარისად დამოუკიდებელია, რათა საზღვარგარეთ იაროს და იქ განათლება მიიღოს. იგი გრძნობს საკუთარ ნათესაობას ევროპულ კულტურასთან და თავს დასავლეთის ნაწილად მიიჩნევს. ამერიკის ამოცანაა, დაეხმაროს მათ ამაში. არ შეიძლება პარალელისთვის უკრაინა არ გაიხსენო. იქაც მსგავსი პროცესები მიმდინარეობს. მართებული იქნება, თუკი უკრაინა, რომელიც დასავლეთისკენ მიილტვის და ამავე დროს ახლოსაა რუსეთთან, მისი ანტაგონისტი კი არ გახდება, არამედ მასაც იმავე მიმართულებით წაიყვანს. თუ ამერიკა საკმარის სიბრძნეს გამოიჩენს, მაშინ შემდგომი 20-30 წლის განმავლობაში მსოფლიო მნიშვნელოვან ცვლილებებს დაინახავს დედამიწის ამ ნაწილში. მათი შედარება გასული საუკუნის 90-იან წლებთან იქნება შესაძლებელი, როცა სრულიად მოულოდნელად შობის დამდეგს საბჭოთა კავშირი დაინგრა...

საზოგადოება

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დუტა მხოლოდ შოუმენობით როდი ემსახურება ამ ხელისუფლებას; ისიც მათსავით მოურიდებლად ეუბნება კოლეგებს: „მე აქ განსხვავებული აზრის მქონე ადამიანი არ მჭირდებაო“! ისიც, როგორც ნაცისტებთან „მსუბუქად“ მოთანამშრომლე „მეფისტო“, ნელ-ნელა დაემსგავსა მათ, მათი მეთოდებით შეიარაღდა და მეგობარსა და კოლეგას – პაატა გულიაშვილს მამის სიკვდილში საჩუქარი უფეშქაშა: დაჰპირდა, რომ დასის შეკრებაზე გულგახეთქილი მამის სახელს თოჯინების თეატრს მიანიჭებდა.**

# დემეტრე თავდადებული და დუტა ჩამშვები

**ის შოუმენია, წარმატებული შოუმენი. წარმატებული იმიტომაა, რომ დიდ ფულს შოულობს. არც მალავს, რომ ხელოვნებისგან ისევე შორსაა, როგორც შორენა ბეგაშვილი. ამბობს, შორენა თავის სექსუალურობით შოულობს ფულს, მე კი – ჩემი იუმორითო. არც შორენას სწყინს და თავს უკანტურებს. „მე არ ვარ წარსულით ცხოვრების მომხრე. ვთვლი, რომ არც წინაპრების მაგალითებით ცხოვრება შეიძლება. ეს ადამიანის განვითარებას უშლის ხელს“, — ამბობს ის და ნათელი ხდება, რატომ აღარ ჰქვია მას დემეტრე და როგორ იქცა თავდადებული ქართველი მეფის სახელი ოთახის ფინიას თიკუნად — დუტა.**



თუმცა წარსულის აუცილებლობას ხვდება, მაგრამ ეს წარსული ისტორიული არ უნდა იყოს, რომ მის „განვითარებას არ შეუშალოს ხელი“. პირადი წარსული კი მდიდარი აქვს და კიდევ უფრო ამდიდრებს: **„მსახიობისთვის მთავარი სიმდიდრე წარსული, გამოცდილება, ბიოგრაფიაა. მსახიობს ერთი კი არა, რამდენიმე ბიოგრაფია უნდა ჰქონდეს. მე თავის დროზე რამდენიმე ადამიანის ცხოვრებით ვცხოვრობდი – დურგალიც ვიყავი, მტვირთავიც და ქუჩის მუსიკოსიც. აბსოლუტურად ყველაფერი ვცადე. ერთადერთი, რაც ვერ მოვახერხე, ჯარში წასვლა იყო. ამის გამოსწორებასაც ვცდილობ. ზამთარში თეატრის მუშაობა რომ შეჩერდება, მთელი დასით ჯარში რეზერვისტად წავალ. ამით მინდა, ჩემს თეატრში გუნდური პრინციპით მუშაობა უფრო გავამყარო. ვიცი, რომ ამასაც გავქაჩავ და საკუთარ თავზე ჯარისკაცურ ცხოვრებასაც გამოვცდი. მახსოვს, როცა სკოლაში სამხედრო გაკვეთილები გვქონდა, ძალიან კარგად ვისროდი. ყოველთვის მინდოდა, დესანტი გამოვსულიყავი“.**

**ვერ ხვდება, რომ მისგან დესანტი უკვე გამოვიდა. ახლაც კარგად ისვრის. „თეატრში გუნდური პრინციპით მუშაობა“ იმით გაამყარა, რომ თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის (მაშინ ჯერ კიდევ არ ჰქონდა დუტას ვაჟას ბარელიეფი შენობიდან ჩამოხსნილი) თეატრის მსახიობი, ავთო გულიაშვილი კოლეგების თვალწინ მოინადირა.**

დაპირისპირება თელავის თეატრის მმართველად დუტას დანიშვნისთანავე დაიწყო. თეატრის თანამშრომლები დუტა სხირტლაძეს ნეპოტიზმში, მოვალეობის შეუსრულებლობასა და უყურადღებობაში ადანაშაულებდნენ. მსახიობები ამბობენ, რომ დუტა უშვერი სიტყვებით ილანძღებოდა მათთან შეხვედრისას. დუტა პასუხობს, რომ მხოლოდ ორჯერ თქვა სიტყვა „დედაარღნიანი“:

**„მე ამ სიტყვას პირდაპირ ეთერშიც გავიმეორებ. თუ ვინმეს აინტერესებს, განვუმარტავ ამ სიტყვის მნიშვნელობას, ესაა „არღანი რომ უჭირავს დედას“. ამას ნიშნავს ეს. იყო წამოძახილები შეხვედრის დროს. ჩემმა ტექნიკურმა დირექტორმა უცენზურო სიტყვები მართლაც გამოიყენა, მაგრამ ამაზე თვალი დავხუჭე. არც იმას ვმალავ, რომ ბატონ გოგი ჩაკვეტაძესთან მქონდა შეხლა-შემოხლა, მაგრამ უწმაწური სიტყვებით არ მიმიმართავს. მე, როგორც მმართველს, მაქვს უფლება, მას ხელფასი დავუკავო სამუშაოს არშესრულებისთვის. მაგაზე მეკამათებოდა, რომ რა უფლება გაქვს, ხელფასი დამიკავოო. მე ავუხსენი, რომ ხელფასის დაკავება ნიშნავს იმას, რომ გსჯი-თქო. ამაზე გაცხარდა ისიც“,** — ამბობს სხირტლაძე.

კახეთში რომ გინება გაუკვირდებათ, ის, ალბათ, შორს უნდა სცილდებოდეს „დედაარღნიანის“ დეფინიციას, თუმცა ნუ დავწვრილმანდებით. **რა დროს გინებაა, როცა თელავის თეატრის დასთან ამ შეხვედრისას ადამიანი გარდაიცვალა!** ამ ფაქტს არც თავად დუტა უარყოფს:

„შეხვედრაზე ის კათეტერით მოვიდა. თავისი სიტყვა თქვა და დაჯდა იქვე. მასთან არანაირი საუბარი არ მქონია. მოულოდნელად ცუდად გახდა და ჩემს ხელში გარდაიცვალა. მე პაატას ამის შემდეგ დავურეკე და ველაპარაკე“, — აცხადებს დუტა სხირტლაძე. გარდაცვლილი ავთანდილ გულიაშვილი მსახიობ პაატა გულიაშვილის მამა იყო.

დუტა მხოლოდ შოუმენობით როდი ემსახურება ამ ხელისუფლებას; ისიც, მათსავით, მოურიდებლად ეუბნება კოლეგებს: **„მე აქ განსხვავებული აზრის მქონე ადამიანი არ მჭირდებაო“!** ისიც, როგორც ნაცისტებთან „მსუბუქად“ მოთანამშრომლე „მეფისტო“, ნელ-ნელა დაემსგავსა მათ, მათი მეთოდებით შეიარაღდა და მეგობარსა და კოლეგას – პაატა გულიაშვილს მამის სიკვდილში საჩუქარი უფეშქაშა: დაჰპირდა, რომ დასის შეკრებაზე გულგახეთქილი მამის სახელს თოჯინების თეატრს მიანიჭებდა:

**„მე საქმით გავცემ პასუხს... ძალიან ცუდია, რომ იმ ადამიანებთან მაქვს კონფლიქტი, რომელთა ხელშიც გავიზარდე. მე მაინც ამაყი ვარ იმით, რომ მოვახერხე, რათა ის მექანიზმი ამეწყო, რაც ადრე არ მუშაობდა. თელავში თაობა ვერ გაიზარდა კულტურულად, არადა, თეატრს აქვს ამის პასუხისმგებლობა. მომავალ თაობას უნდა შესთავაზო საბავშვო თეატრები... ავთო გულიაშვილი ხელზე დაიხვიეს. მე და ავთო გულიაშვილის შვილმა — პაატა გულიაშვილმა, გადავწყვიტეთ, მე შევთავაზე, რომ თელავის თოჯინების თეატრი გახდეს ავთო გულიაშვილის სახელობის“,** — განაცხადა დუტამ.

თავის დროზე ერთობ საეჭვო ვითარებაში მოკლული ლევან სამხარაულის სახელი ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს მიენიჭა. ზურაბ ჟვანიას ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ ეს ერთადერთი „უცნაური დამთხვევა“ როდი იყო: კახელებს **ის ამბავიც კარგად ახსოვთ, როცა ბავშვობის წყენის გამო საკუთარმა თანაკლასელმა ჯერ სამხარაული მოკლა, შემდეგ კი ერთდროულად ორი სხვადასხვა იარაღით მოიკლა თავი! იქნებ ამან ათქმევინა დუტას, რომ „თელავში თაობა ვერ გაიზარდა კულტურულად“? მაშ, თავად დუტა რაღამ გაზარდა?**

„მე პრობლემებით სავსე ბავშვობა მქონდა, თუმცა იმ წლებში ბევრი რაღაცით ვიყავი დაინტერესებული. ბავშვობაშიც კი ყველა მიმართულების, პროფესიის ინტერესი მკლავდა. სულ რაღაცას ვჩალიჩობდი, ხან ვხატავდი, ხან მუსიკას ვუკრავდი, ვმღეროდი, მაშინ ძველბიჭობაც მოდაში იყო და მეც ვძველბიჭობდი. ხან მშვილდ-ისრით დავრბოდი, ხან აკრობატი ვიყავი, კალათბურთითაც ვიყავი გატაცებული, რაგბითაც... მათემატიკა და ფიზიკა ყველაზე მეტად მიზიდავდა. „მაზიანი“ სანაძლეოებიც კარგად მახსოვს. ლექსებს, მოთხრობებს ვწერდით“.

**დუტას ბედმა გაუღიმა, რომ იმ წლებში „ძველბიჭობისა“ და „მაზავშიკობის“ გამო არ იჭერდნენ. იმაშიც გაუმართლა, რომ სამტრედიის სპეცსკოლაში არავინ გაუშვა.** თუმცა ახლა იგი დარწმუნებულია, რომ „საკუთარი თავი თვითონ შექმნა“ და რომ „მსახიობს საკუთარ ხელფასზე ცხოვრება შეუძლია“. მართალია, იგი მსახიობზე მეტად ბიზნესმენია, მაგრამ არ იმჩნევს და კვლავაც მსახიობობაზე დებს თავს. ყველამ იცის, რომ დუტა „ჯეოსელის“, „ჯეოსტარისა“ და ლატარიის კაცია, მას კი კვლავაც მსახიობი ჰგონია თავი, უფრო სწორად, თეატრის მმართველი და შეთავსებით – მსახიობი.

თელავის თეატრის ერთმა ხანდაზმულმა მსახიობმა გულდაწყვეტით მითხრა: **„შვილო, მაგას რომ ბებიამისი და პაპამისი ხედავდნენ, მეორედ მოკვდებოდნენო“!** იქნებ სწორედ ამიტომ გამწარდა ასე დასი, რომ თელავში თინა ბურბუთაშვილი და დოდიკა სხირტლაძე დღესაც ლეგენდები არიან. დუტასაც ახსოვს ისინი და მათი ხსოვნისთვის სპექტაკლის მიძღვნას აპირებს. კაბინეტშიც კი ეკიდა მათი სურათები, მაგრამ ჩამოხსნა. **„შარი მომდეს, – ბებია-პაპის სურათები დაკიდაო. სამი თვე ეკიდა და ჩამოვხსენი, მაგრამ მაინც დავკიდებ, ოღონდ ისეთ ფოტოებს, როგორებიც ჩემს მახსოვრობაში დარჩნენ“.**

**ბებია და პაპა მახსოვრობაში ფოტოდ კი არა, ზნეობრივ მუხრუჭად რომ უნდა ჰქონდეს, ეს დუტამ არ იცის, თორემ ისე არ მოექცეოდა ადამიანებს, როგორც მოექცა. „ნაციონალური“ მეთოდებით შეიარაღებულმა ფინანსური ლაგამი ამოსდო მსახიობებს და ტექპერსონალს. ყველაფერი კი იმიტომ მოხდა, რომ მათ სიმართლე გაახმაურეს.**

„9 თვეა, რაც თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია და 9 თეთრის საქმე არ გაუკეთებია. ყოველ თვე 700 ლარს იღებს, რაში — არ ვიცით. თეატრის მართვა საერთოდ არ იცის, თავის საქმეში ნიჭიერია, მაგრამ ამ საქმის უცოდინარია. საერთოდაც, უნიათო, უპასუხისმგებლო და არასერიოზული პიროვნებაა. ყველაფერი თავის ნებაზე მოაწყო, მცირე დარბაზი დაშალა, თეატრის ფოიეში ბარი გახსნა,“ – აცხადებდნენ თელავის თეატრის თანამშრომლები.

ისინი დუტას თელავის თეატრის ოჯახურ ბიზნესად გადაქცევაშიც სდებდნენ ბრალს. რამდენიმე წლის წინ, მისი დეიდა ლილი ბურბუთაშვილი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად დაინიშნა, რომელსაც რეჟისორის ცენზიც კი არ აქვს. მოგვიანებით კი მისი ბიძა (დეიდის ქმარი), ოთარ ბაღათურია მიიყვანა თეატრში, რომელიც პროფესიით მსახიობია, თუმცა ამჟამად რეჟისორის ამპლუაშია. **მსახიობები აცხადებენ რომ ბაღათურიას დადგმული სპექტაკლისთვის გამოყოფილი თანხები მთლიანად რეჟისორმა აიღო. თეატრის მსახიობებს კი რამდენიმე თვის სახელფასო დავალიანება ჰქონდათ ასაღები.**

დუტა გაგულისდა და ბრალდებებს ისე უპასუხა, რომ ისიც გაამჟღავნა, რაც დასის წევრებს არ უთქვამთ: **„ბებიაჩემი თინა გოგოტაშვილი თელავის თეატრის სახალხო არტისტი იყო. ის პირველი ქალი მსახიობი იყო თეატრში, მამაჩემიც ამავე თეატრის მსახიობი იყო. ოთარ ბაღათურია არის ბიძაჩემი, რომელიც რეჟისორია. რა ვქნა ახლა, მთელი ჩემი სანათესაო წრე მსახიობი ან რეჟისორია და არავის დავუძახო? ჭოლა რომ ჩამეყვანა, იტყოდნენ, პედაგოგი ჩამოიყვანაო“.**

ბებიის თემა უნებლიეთ მიხეილ სააკაშვილის თემას აცოცხლებს, არაბ შეიხებთან სტუმრად რომ ჩაიყვანა მადლიერმა შვილიშვილმა. დუტას შემთხვევაში ამგვარი ანალოგიები სრულიად გასაგებია; მან ხომ პრეზიდენტის ინაუგურაციების დამდგმელ ავთო ვარსიმაშვილის სამარცხვინო ფილმში „ყველაფერი კარგად იქნება“ სწორედ პრეზიდენტის როლი შეასრულა. შეასრულა და ისე შეისისხლხორცა, რომ სახიდან ამ ნიღბის ადღლეზა აღარაფრით გამოსდის.

**დუტაც, მიშასავით, არავის უნდა, მაგრამ თეატრიდან ვერა და ვერ მოიშორეს.** ამ კონფლიქტის დროს კახეთში ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით 43,7% მიიჩნევდა, რომ დუტა სხირტლაძემ თელავის თეატრის მმართველის თანამდებობა უნდა დატოვოს, 20,1%-ს მიაჩნდა, რომ მის წინააღმდეგ გამოძიება უნდა დაიწყოს და მხოლოდ გამოკითხულთა 22,9% ფიქრობდა, რომ დუტა სხირტლაძეს თელავის თეატრის მმართველად მუშაობა უნდა გაეგრძელებინა.

დუტაც, მიშასავით, თვითნებურად წყვეტს, უნდა იყოს თუ არა თელავის თეატრის შენობაზე ვაჟა-ფშაველას ბარელიეფი. ერთ მშვენიერ დღეს ადგა და ჩამოხსნა, ლოგოდანაც მოაშორა, მიზეზი კი ასე ახსნა: **„ვაჟა-ფშაველა თვითონ არის უკვე პორტრეტი და იმის იქით ვერსად წახვალ და თელავის თეატრი ცნობადი რომ გამხდარიყო... ვაჟა-ფშაველას პორტრეტი რომ დაინახო აფიშაზე, არასოდეს არ გაგახსენდება თელავის თეატრი, ვაჟა გაგახსენდება, რადგან ვაჟა თვითონ უკვე ვაჟაა... თელავში არის ჭადარი, ჭადრის თემიდან გამომდინარე წავედით ხმელ წიფელზე და რაღაცნაირად ძირძველი ხეა და ავიღეთ ლურჯი ფერი, ანუ თელავის თეატრის ლოგოზე, ვაჟას პორტრეტის მაგივრად, არის ლურჯი ჭადარი, რომელიც მოგვაგონებს წიფელს, თორემ თელავის თეატრს ისევ ვაჟა-ფშაველას სახელობის თეატრი ჰქვია. ძალიან კარგი ხეა ლოგოზე, ხე კიდევ იმიტომ, რომ ვაჟას უყვარდა ბუნება“.**

**თელავში არის ჭადარი, ჭადრიდან გადავდივართ ხმელ წიფელზე, მერე კი ლურჯ ფერზე და საერთოდ, ვაჟას უყვარდა ბუნება, დუტას კი — სააკაშვილი! აქ ლოგიკას ნუ ეძებთ, ეს ოდენ ემოციებია, თანაც — არარაციონალური.** დაახლოებით ისეთივე, როგორიც დუტას მიერ განსახიერებულ სტალინში (ფილმი „სტალინის ცოლი“), რომელიც სექსუალურ მანიაკად და მოძალადედ არის გამოყვანილი. ფორმულა მარტივია: მიშა კარგია, სტალინი — ცუდი! ისეთივე მარტივი, როგორც ლურჯი ხმელი წიფელი. ისეთივე, როგორც „დუტა პროდაქშნ“ — მისივე სახელობის სტუდია. ისეთივე, როგორც დუტას კაფე „თან წაიღე“ ან როგორც მისი მეუღლის „Spoon კაფე“. ისეთივე, როგორც თელავის თეატრის მსახიობების რთველში გადალება და 1000 ბოთლი ღვინის ჩამოსხმა:

**„მალე თელავის თეატრის ღვინოს ჩამოვასხამთ – რქაწითელს და საფერავს, სულ წელიწადში — 1000 ბოთლს. წელს პირველი რთველი გვექნება და ჩვენს მსახიობებს გადავიღებ რთველში. კახური წესით, ჩვენი ხელით დავწურავთ, ქვევრში ჩავასხამთ და მაისში გავხსნით. ბოთლზე ეტიკეტს მივაკრავთ, რომელსაც ხელით დავნომრავთ. ღვინო თეატრის ფოიეში გაიყიდება. ღვინო ხომ კულტურაა, შესაბამისად, კულტურულ დაწესებულებაში უნდა გაიყიდოს. აი, ასე“.**

ბიზნესმენია, აბა, რა არის?! ოღონდ მარცხენა ყურში საყურე აქვს, ნამდვილი ბიზნესმენებისგან განსხვავებით. მანქანაც ისეთი ჰყავს, როგორიც თვითონ არის: **„რითი მგავს? სწრაფია და ყველაფერს ასწრებს. თელავში 35 წუთში ჩავდივარ. რომ დამირეკავ, სად ხარო, გეტყვი, 40 წუთში შეგხვდებიმეთქი და თელავიდან ჩამოვალ“.** 2007 წელს ასეთი სწრაფი ვერ იყო. როცა მის საყვარელ ხელისუფლებას შეცვლის საფრთხე დაემუქრა, მანაც დაკარგა ხალისი. კოლეგებისა და საზოგადოების დიდი ნაწილი ბარიკადების ერთ მხარეს აღმოჩნდნენ, თვითონ კი — მეორე მხარეს. არც ბედის ნებიერობა ემეტებოდა და არც რისკის გაწევა სურდა. თუმცა მიშამ გაუმართლა და მას შემდეგ დუტაც მოფერიანდა. ახლა ზუსტად იცის, რომ ნებისმიერ ოპოზიციონერს „გაგვაუბედუროს, — უნდა!“, ამიტომ ყველა ღონეს ხმარობს, რომ სამი ხელფასი (თელავის თეატრში, „რუსთავი 2“-სა და „ჯეოსელში“) არ დაკარგოს და ბიზნესიც შეინარჩუნოს.

მომღერალმა და „ჯეოსტარის“ ერთ-ერთმა ყოფილმა წამყვანმა ანანო მჟავიამ კი ნამუსი არ შეუნახა და ყველას გააგებინა, რომ „ჯეოსტარიდან“ პოლიტიკური შეხედულებების გამო გამოაძევეს, ამ საქმეში კი სწორედ დუტამ ივაჟკაცა. 2011 წლის დასაწყისში მან თავის კოლეგა დუტა სხირტლაძეს გაანდო პოლიტიკური შეხედულებები, რის მერეც მას ნელ-ნელა შეუტიეს და ტელესივრციდან საერთოდ გააქრეს. ანანო მჟავია: **„2011 წელს საახალწლო ბანკეტზე ნასვამ მდგომარეობაში ვსაუბრობდით რამდენიმე ადამიანი პოლიტიკაზე. მათ შორის იყო დუტა სხირტლაძეც. მას შემდეგ, რაც დუტამ შეიტყო ჩემი პოლიტიკური შეხედულება, მითხრა, რომ ჯობდა, დავფიქრებულიყავი მომავალზე და უტაქტოდ მომმართა. წყნარი ლაპარაკი გადავიდა დაძაბულ ვითარებაში, რადგან ორივე შეზარხოშებულები ვიყავით, ვერ მოვზომეთ სიტყვები და გავლანძღეთ ერთმანეთი. ამ შემთხვევის შემდეგ დუტამ მითხრა, რომ გაგანადგურებო და, თავისი აზრით, აასრულა ნათქვამი. 2011 წლის თებერვლის შემდეგ მბლოკავენ ყველა გადაცემაში თუ სერიალში. პირად საუბრებში ყველა მეუბნება, რომ დიდ პატივს მცემს, მაგრამ... არავის არ უნდა დუტასთან დაჯახება. ყველა ერიდება მასთან ურთიერთობის გაფუჭებას, რადგან დუტა ცნობილია შოუბიზნესში, როგორც სახელისუფლო „ჩამშვები“. არ ვიცი, უნდა მეთქვა თუ არა ეს ყველაფერი. ჩემს მოთმინებასაც აქვს საზღვარი. დროა, ყველამ იცოდეს სიმართლე, რათა აუხდეთ ქართული ოცნება. ღმერთი იყოს ჩვენი და სრულიად საქართველოს მფარველი“,** — განაცხადა ანანო მჟავიამ.

ანანოს ჰგონია, რომ ეს ახალი ამბავი და აღმოჩენაა, სინამდვილეში კი **ყველამ კარგად იცის, რომ დუტა სხირტლაძე ისევე შორს არის კაცობისგან, როგორც დემეტრე თავდადებული — ღალატისგან.**

**თამარ დავითულიანი**

**ირანი ამ რეგიონში რუსეთისა და ჩინეთის მუდმივი და ყველაზე მნიშვნელოვანი მოკავშირეა და მასზე ისრაელის თავდასხმის შემთხვევაში სამივე სახელმწიფო კატასტროფულ მდგომარეობაში აღმოჩნდება.**
**დღევანდელ ვითარებაში ნებისმიერი თავდასხმა ირანზე რუსეთის ხელმძღვანელობის მიერ უნდა განიხილებოდეს, როგორც რუსეთის ფედერაციაზე თავდასხმა.**

კონსპიროლოგია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



### ეროვნებით ებრაელი მწერლისა და მკვლევარის, ლევ გუნინის სკანდალური ნაშრომი:

# კავკასია, როგორც ისრაელის ტერიტორიის ნაწილი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №2-6 (140-144)

**ისრაელი სხვებს ადანაშაულებს „ტერორიზმში“, თავად კი ათეულობით წლის განმავლობაში მსოფლიოს ყველა ქვეყნის ტერიტორიაზე დივერსიულ-ტერორისტულ აქციებს ახორციელებს. მხოლოდ ირანის ტერიტორიაზე ისრაელმა ასობით ტერორისტული აქტი განახორციელა. 2012 წლის დასაწყისში კიდევ ერთი ბოროტება ჩაიდინეს:**

„ირანი ისრაელს მორიგი ატომური ფიზიკოსის განადგურებაში ადანაშაულებს.

ირანელი მეცნიერი მუსტაფა ახმად რაშენი, რომელიც ქალაქ ნატანზის ატომური ობიექტის დეპარტამენტის უფროსად მუშაობდა, დღეს დილით ააფეთქეს უნივერსიტეტის კამპუსის მახლობლად, თეირანის ჩრდილოეთ ნაწილში.

ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, ნიღბიანი მოტოციკლისტი მეცნიერის მანქანას მიუახლოვდა და მის სახურავზე ასაფეთქებელი ნივთიერება დაამაგრა. როგორც კი მოტოციკლისტი ადგილს მოსწყდა და მანქანას დაშორდა, მძლავრი აფეთქება მოხდა.

თავად მეცნიერის გარდა, რომელიც თეირანის ტექნიკური უნივერსიტეტის ფიზიკის პროფესორი იყო, დაიღუპა იქვე მყოფი უცნობი მამაკაციც. ახლოს მდგომ მანქანაში მყოფმა მამაკაცმა მძიმე ჭრილობები მიიღო.

მკვლელობა იმ ტერაქტის ორ წლისთავზე მოხდა, რომელსაც 2010 წლის 11 იანვარს კიდევ ერთი ირანელი ატომური ფიზიკოსი მაჯიდ შაჰრიარი ემსხვერპლა. იმავე დროს მოხდა თავდასხმა ატომური ფიზიკის ცნობილ მკვლევარ ფერეიდუნ აბასიზე. იგი დაიჭრა, მაგრამ გადარჩა. ორივე შემთხვევაში საქმეში ფიგურირებდა მოტოციკლისტი, რომელიც მანქანის სახურავზე ასაფეთქებელ ნივთიერებას ამაგრებდა. 2010 წლის იანვარში, აგრეთვე, განხორციელდა თავდასხმა მესამე მეცნიერზე – ალი მოჰამადიზე. ის მანქანასთან დანაღმული მოტოციკლი აფეთქდა (Orbita.co.il 11.01.2012).

მსოფლიო მედიის უმრავლესობა თანხმდება, რომ ეს ტერაქტები მოსადის მოწყობილია.

ჯერ კიდევ 2010 წლის აპრილში ირანის პარლამენტმა მოისმინა მოხსენება ისრაელის მიერ სამხრეთ კავკასიის ქვეყნების საკუთარ კოლონიებად ქცევის შესახებ. უფრო ადრე, 2009 წლის მაისში, ბაქოში ისრაელის პრეზიდენტ შიმონ პერესის ვიზიტის საპასუხოდ (რომლის დროსაც სამხედრო და ეკონომიკურ ხელშეკრულებებს მოეწერა ხელი) ირანის გენშტაბის უფროსმა ჰასან ფირუზაბადიმ აზერბაიჯანი მოსალოდნელი შედეგების შესახებ გააფრთხილა და ისრაელის საკონსულოს დახურვისკენ მოუწოდა. ირანი, სადაც მოსახლეობის მესამედი (30 მილიონზე მეტი ადამიანი) აზერბაიჯანელია (3-ჯერ მეტი, ვიდრე თავად აზერბაიჯანში), ამის გამო მოწყვლადია. მაგრამ აზერბაიჯანიც სწორედ ამ მიზეზითაა მოწყვლადი. ირანელები სამართლიანად მიიჩნევენ თავს ბერძნებისა და სომხების ნათესავებად, ეს კი რეგიონში დაძაბულობას აძლიერებს.

მიუხედავად ამისა, 2004 წელს ორივე მხარეს თბილი და მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა. იგივე ხაზი განაგრძო მაჰმუდ ახმადინეჯადმაც და 2006 და 2007 წლებში ბაქოში ვიზიტითაც იმყოფებოდა. 2008 წელს აზერბაიჯანში ისრაელის აგრესიულმა შესვლამ ირანისა და აზერბაიჯანის მეგობრობას ბოლო მოუღო. სიტუაცია განსაკუთრებით გამწვავდა 2011 წელს, როცა ისრაელმა ბაქოსთან „ანტიირანულ“ სამხედრო შეთანხმებას მოაწერა ხელი.

2009 წლის მაისიდან ირანული გაზი სომხეთს გაზსადენით „ირანი-სომხეთი“ შემცირებული ფასით მიეწოდება. შენდება ნავთობსადენი („ირანი-სომხეთი“) „თებრიზ-ერასხი“, რკინიგზა „თეირანი-ერევანი“ (შეთანხმებას ხელი 2009 წლის აპრილში მოეწერა).

**თეირანსა და თბილისს შორისაც თბილი, მეგობრული ურთიერთობა იყო, ვიდრე ისრაელი საბოლოოდ დაიმორჩილებდა საქართველოს.** სააკაშვილის რეჟიმსა და თეირანს შორის ურთიერთობა საბოლოოდ გაცივდა მას შემდეგ, რაც ქართულმა სპეცნაზმა, ისრაელის თხოვნით, ირანის ოფიციალური პირი გაიტაცა და, აგრეთვე, დასავლეთ საქართველოში ისრაელის ორი სამხედრო აეროდრომი აშენდა, საიდანაც ისრაელის თვითმფრინავებს ირანზე ბომბების დაშენა შეუძლია.

2008 წლის შემდეგ საქართველოსა და ირანის ურთიერთობების აღდგენა დაიწყო, მაგრამ ისინი ძველ ნიშნულს ველარ დაუბრუნდება, რადგან ისრაელის ნესტარი (პოლიტიკური, ფინანსური, ეკონომიკური) საქართველოს გულშია ჩარჩენილი. **ადვილია ისრაელის მიღება, მაგრამ მოშორებაა შეუძლებელი!**

მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი ნატოს წევრია და ვალდებულია, მხარი დაუჭიროს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ისრაელს (რომლებიც ბრიტანეთთან ერთად ნატოს პატრონები არიან), ანკარასა და თეირანს შორის ურთიერთობა საკმაოდ მეგობრულია. თურქეთს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ ანტიირანულ და ანტირუსულ „ბაქო-ჯეიჰან-აშკელონის“ ნავთობპროექტი გარედან იყო თავსმოხვეული.

**რუსეთის წინააღმდეგ მიმართული ამ პროექტის ძირითადი ინიციატორები და დამფინანსებლები (თითქმის მონოპოლისტები) ისრაელი და როტშილდის „ბრითიშ პეტროლეუმი“ (ისიც ისრაელისაა). ვარაუდობენ, რომ აზერბაიჯანსა და საქართველოში ჩადებული თანხა მალე ასეულობით მილიარდ დოლარად იქცევა. ეს პროექტი ბაქოს ნავთობის ტრანსპორტირებას ითვალისწინებს საქართველოსა და თურქეთის გავლით აშკელონამდე და აშდოდამდე, აგრეთვე, ისრაელის პორტამდე წითელ ზღვაზე და კურორტ ეილატამდე, საიდანაც ებრაელები ნავთობს აზიის ქვეყნებს მიჰყიდიან. ამ ნავთობსადენს „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ სახელით იცნობენ.**

**საქართველო, რომელსაც მილიარდობით დოლარი შეეძლო მიეღო ნავთობის ტრანზიტისგან, ვერაფერსაც ვერ მიიღებს, რადგან ყველა კვანძის, სისტემისა და აქციის მფლობელები ისრაელი და პირადად სააკაშვილი არიან.**

მწერალმა და მკვლევარმა, ეროვნებით ებრაელმა ლევ გუნინმა სიონიზმის კვლევას უამრავი ნაშრომი მიუძღვნა. მას, წარმოშობის მიუხედავად, ზოგი ანტისემიტს ეძახის, ზოგი — იუდეველთა მოღალატეს, სინამდვილეში კი იგი ებრაელი ხალხის (და არა მარტო), მისი თვითმყოფადობის გადარჩენაზე ფიქრობს. იგი არ შეიძლება იყოს და არც არის ანტისემიტი, ანტისიონისტი კი ნამდვილად არის, რადგან მიაჩნია, რომ სიონიზმის პრაქტიკა ებრაელი ხალხის ინტერესებს ეწინააღმდეგება. ქართველი მკითხველისთვის კი უთუოდ საინტერესო იქნება ის ინფორმაცია, რომელიც საქართველოს, 2008 წლის ომს და დღევანდელი ქართული ყოფის პარადოქსებს ხსნის. „საქართველო და მსოფლიო“ გთავაზობთ მისი ნაშრომის თარგმანს, რომელიც გაგრძელებებით იბეჭდება.

2008 წლის 9 აგვისტოს ჟურნალმა globalresearch.ca-მ გადაბეჭდა ოტავის უნივერსიტეტის ეკონომიკის პროფესორის, გლობალიზაციის კვლევის ცენტრის დირექტორის, მიხეილ ხოდუსოვსკის სტატია „The War on Lebanon and the Battle for Oil“ („ომი ლიბანში და ბრძოლა ნავთობისათვის“). ეს სტატია 2006 წლის 26 ივლისს გამოქვეყნდა.

**რა კავშირია ლიბანის დაბომბვასა და მსოფლიოში სიდიდით მეორე სტრატეგიული ნავთობსადენის საზეიმო გახსნას შორის? იმ ნავთობსადენისა, რომელმაც დღეში მილიონ ბარელზე მეტი ნავთობი უნდა გადაქაჩოს ისრაელისა და დასავლეთ ევროპის ბაზრებზე?**

ხოდუსოვსკი ხაზს უსვამს, რომ ნავთობსადენის გახსნამ პრაქტიკულად „შეუმჩნევლად“, პრესაში გაშუქების გარეშე ჩაიარა. ისრაელის გაზსადენმა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი 2006 წლის 13 ივლისს კასპიის ზღვა აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვისპირეთს შეუერთა, რაც ლიბანის ბარბაროსულ დაბომბვას ზუსტად დაემთხვა.

ისრაელის მიერ ლიბანის დაბომბვამდე ერთი დღით ადრე ხსენებული ნავთობსადენის უმსხვილესი აქციონერები და პარტნიორები, რამდენიმე სახელმწიფოს მეთაურის ჩათვლით (პირველ რიგში, მხედველობაში გვყავს სააკაშვილი, ბრაუნი და ოლმერტი) და თავად სანავთობო კომპანიის დირექტორები კონფერენციისა და ზეიმისთვის თურქეთში, ჯეიჰანში, შეიკრიბნენ.

**გაზსადენის საზეიმო გახსნაზე ისრაელის, ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალური პირები დომინირებდნენ, აგრეთვე, ბრიტანეთის (როტშილდის) ნავთობკომპანია British Petroleum-ის წარმომადგენლები, რომლებიც ისრაელის უმაღლესი თანამდებობის პირებთან ხელკავით მოსიარულე ნახეს. კერძოდ, ისეთებთან, როგორიცაა ენერგიისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ბენიამინ ბენ-ელიაზარი. აღვნიშნავთ, რომ თუ გაზსადენის გახსნისთვის ნავთობის კონსორციუმის ლიდერი ბრიტანული ნავთობკომპანია იყო, რომელსაც Chevron, ConocoPhillips, France Total, Italy ENI მოსდევდნენ, 2007 წლისთვის ისრაელი უკვე პირველ ადგილზე გადის (თუ მხედველობაში ვიქონიებთ ისრაელისა და ებრაელების გავლენას ყველა ჩამოთვლილ კომპანიაში და აქციათა საკონტროლო პაკეტებს). ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი განზრახ გაიყვანეს რუსეთის ტერიტორიის გვერდის ავლით, ისრაელისა და აშშ-ის „პროტექტორატების“ — აზერბაიჯანისა და საქართველოს ტერიტორიებზე.**

თუმცა მთავარი, რაც ჩვენ გვაინტერესებს ხოდუსოვსკის სტატიაში, ის არის, რომ **საქართველომ (როგორც აზერბაიჯანმა) ისრაელთან ხანგრძლივ სამხედრო ხელშეკრულებას მოაწერა ხელი** („Moreover, both Azerbaijan and Georgia have longstanding military cooperation agreements with Israel). **ისრაელი ხომ ფსონს აზერბაიჯანის ნავთობზე ჩამოვიდა, რომლიდანაც 20%-ის მიღებას და მის გაყიდვას აპირებს.**

ისრაელის მორიგ თავდასხმაში ლიბანზე 2006 წელს ხოდუსოვსკი გულდასმით დაგეგმილ და გლობალურად კოორდინირებული (აშშ-თან თანამშრომლობით) სტრატეგიული პროექტის ნაწილს ხედავს ლიბიის, სირიისა და ირანის მიმართულებით ომის შემდგომი გაფართოების პესპექტივით (თუ გამოვა, — ბლიცკრიგით ლიბანის დაჩოქება, თუ არა — უახლოეს მომავალში ამის გაკეთება). ეს ომები პირდაპირ არის დაკავშირებული სტრატეგიულ ნავთობის საბადოებთან და ნავთობსადენებთან. მათ მხარს უჭერენ დასავლეთის გიგანტური ნავთობკომპანიები, რომელთაგან თითოეული ბარბაროსული, უმოწყალო და სასტიკი „სახელმწიფოა სახელმწიფოში“, საკუთარი არმიით, დაზვერვით, თავზეხელაღებული ბოევიკებით, კომანდოსებით, მონებით და ა. შ. მათ უზარმაზარი თანხები ჩადეს და კვლავაც დებენ და „ნავთობის დერეფნების“ კონტროლისკენ ისწრაფვიან. სწორედ ეს სტრატეგიული მიზნები დევს ლიბანის ახალი ომის კონტექსტში, რადგან ისრაელი ხმელთაშუა ზღვისპირეთის აღმოსავლეთ ტერიტორიის სრული კონტროლისკენ ისწრაფვის (ნავთობის მილი კასპიიდან ისრაელის პორტ ეილატამდე).

**დასავლეთის ქვეყნების ოფიციალური ცნობები და მათი მედია მხოლოდ იმას აღიარებს, რომ ეს ნავთობსადენი „ნავთობს დასავლეთის ბაზრებზე გადაქაჩავს“, მაგრამ სიტყვასაც არ ამბობენ იმაზე, რომ იგი კასპიიდან პირდაპირ ისრაელში გადაქაჩავს ნავთობს. არაფერი თქმულა ნავთობსადენის პროექტზე, რომელიც ხმელთაშუა ზღვის ფსკერზე უნდა გავიდეს და თურქეთის პორტი ჯეიჰანი ისრაელის სანაპიროზე აშკელონთან შეაერთოს. ისრაელის მიზანი არა მარტო საკუთარი მოთხოვნების ნავთობით დაკმაყოფილებაა, არამედ მისი გაყიდვაც აზიის ბაზრებზე – ეილატის პორტის გავლით წითელი ზღვის სანაპიროზე.**

**ბენზინის ფასის ნახტომისებური ცვლილებები პირდაპირ უკავშირდება ისრაელის მისწრაფებას – დაანგრიოს და დეზორიენტაცია შეიტანოს მსოფლიოს ქვეყნების ნავთობით უზრუნველყოფის დღევანდელ სისტემაში, რათა თავს მოახვიოს მსოფლიოს ისრაელის ნავთობი, რომელიც, ფაქტობრივად, კავკასიის რეგიონის ქვეყნებისგან არის მოპარული.** ისრაელში ფართოდ განიხილავენ პროექტს, რომლის თანახმად ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი აშკელონი-ეილატის ნავთობმაგისტრალს უნდა დაუკავშირდეს (eapc.co.il/pipelines.html). ინგლისურენოვან ქვეყნებში იგი Israel's Tipline-ის სახელით არის ცნობილი. 2006 წლის აპრილში ისრაელმა და თურქეთმა უკვე განაცხადეს ხმელთაშუა ზღვის ფსკერზე ნავთობსადენის ერთობლივი მშენებლობის შესახებ, სირიისა და ლიბანის ტერიტორიების გვერდის ავლით (რადგან ლიბანის ოკუპირება ვერ მოხერხდა). ერთსა და იმავე წყალქვეშა გვირაბში ნავთობი, გაზი, წყალი და ელექტროენერგია ერთად გაივლის. ამ ინფორმაციას, რომელიც გაზეთმა Jerusalem Post-მა გამოაქვეყნა, ადასტურებს regnum.ru/english/, ცბიერი და მტაცებლური პროისრაელური ახალი ამბების კომპანია.

**პროექტის დასრულება ვერ მოხერხდება უახლოეს მომავალში ლიბანისა და სირიის სანაპირო ზოლის ნაწილის ანექსიის გარეშე. ასე რომ, 2006 წელს ლიბანზე ისრაელის თავდასხმა მხოლოდ პრელუდია იყო. ამერიკულმა US WAR ACADEMY-მ უკვე შეადგინა და გამოაქვეყნა „დიდი ლიბანის“ შექმნის გეგმა, რომელშიც სირიის მთელი სანაპირო ზოლი შევა, ხოლო ის, რაც სადღეისოდ ლიბანსა და სირიის ნაწილს წარმოადგენს, ამ გეგმის განხორციელების შემდეგ ისრაელის „ანგლო-ამერიკულ“ პროტექტორატად იქცევა (DAILY TELEGRAPH, 22 JULY 2006).**

გაგრძელება იქნება

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„არავინ დამძრახავს, თუ ვიტყვი, რომ საქართველო არასოდეს ყოფილა პოლიტიკური ან ეკონომიკური გიგანტი, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ეპოქების ბედნიერ გამონაკლისს თუ არ ჩავთვლით. მაგრამ კულტურული ჰეგემონია მაინც გვქონდა, საბჭოთა პერიოდშიც — ნებისმიერ დარგში. როცა ამ ყველაფერს ძალიან დაბალი რანგის მასკულტურა ენაცვლება, სრულიად გაუგებარია!“



ჯემალ აჯიაშვილი:

# თითო საააკაშვილი

**ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის გენერალურ დირექტორს ჯემალ აჯიაშვილს მონუსხული ვუსმენდი. იგი ლაპარაკობდა სამოციანი წლების ირანზე, დღევანდელ ისრაელზე, ბიბლიაზე, პოეზიაზე... ვისაუბრეთ მის პოეტურ თარგმანებსა და ბოლო წლებში გამოქვეყნებულ ბრწყინვალე სონეტებზე. შემდეგ ისევ ირანს მივადექით, კერძოდ, ჯემალ აჯიაშვილის სპარსეთში მუშაობის პერიოდს — თეირანსა და ისპაჰანში მის მოღვაწეობას.**

## „პატრონი დიდი საქართველოდან“

— ირანში თარჯიმნად მუშაობისას ბევრი საინტერესო ამბავი გადამხდა. ერთხელ გავიგე, რომ ჩემგორდანის მახლობლად ქართულწარწერიანი საფლავები იყო. მძღოლს წაყვანა ვთხოვე.

საღამოვდებოდა, ირანში კი უცებ ღამდება. ვაჩქარებდი მძღოლს... და მოხდა საშინელი ავარია: ოთხნი ვიყავით, ერთი გარდაიცვალა, ორი მძიმედ დაშავდა, მე უვნებლად გადავრჩი. ბეწვზე. ერთი სიტყვით, ვერ ვნახეთ საფლავები. ალბათ, ღმერთს არ უნდოდა...

**უზარმაზარი რიგები იდგა მაშინ საბჭოთა კავშირის საელჩოსთან — ფერეიდნელი ქართველები სამშობლოში ჩამოსვლას ისწრაფოდნენ.**

**დიდი ტალღა იყო. ყოველ პარასკევს ჩამოდიოდნენ და მოსაკითხი ჩამოჰქონდათ ჩვენთან.**

**— პარასკევობით?**

— ჯუმე — პარასკევი, მუსლიმთა დასვენების დღეა; ებრაელებისთვის — შაბათი; ქრისტიანებისთვის — კვირა.

**— აწყობილი გვაქვს საათივით** *(ვიცინით).*

— ყურძენი ჩამოჰქონდათ.

**— აქვთ ვენახები?**

— კი. ყველაფერი აქვთ. „პატრონი, დიდი საქართველოდან არის პატრონი“, — იტყოდნენ ჩვენზე. პატრონებს გვეძახდნენ.

ასეთი შემთხვევაც მახსოვს. ჩემგორდანთან შემომაღამდა.

**— ჩემგორდანი?**

— პატარა დაბასავითაა. მის ახლომახლო შენდებოდა უზარმაზარი ქალაქი — არიაშაჰრ. შაჰი აშენებდა — რეზა ფეჰლევი. „შაჰრ“ სპარსულად ქალაქია, ე.ი. არიას ქალაქი. არია — არიელები, მოგეხსენებათ, რასაც ნიშნავს. ხშირად მიხდებოდა იქ ჩასვლა. ჰოდა ერთხელ შემომაღამდა. მანქანა მჭირდებოდა. შუაღამისას მივადექი ავტოსადგომს და მორიგე გავაღვიძე.

— სადაური ხარო? — მეკითხება.

— შურავი, — ვუპასუხე (შურავი საბჭოელს ნიშნავს).

**— ჩვენც შურავის გვეძახდნენ ავღანეთში, — ჩავურთავ.**

— მიყურებს. შენ შურავის არ გავხარო, — სპარსულად მეუბნება. — საქართველოდან ვარ-მეთქი, ვუპასუხე სპარსულადვე. — საქართველოდან ხარ, პატრონო?! — გაიხარა მასპინძელმა. იმ წუთში გააღვიძა ვიღაცა, მომცა მანქანა და გამიშვა.

**— საბჭოთა კავშირი მაშინ ირანს აქტიურად ედგა მხარში.**

— დიდი მეტალურგიული ქარხანა შენდებოდა ისპაჰანთან. შაჰი რამდენიმეჯერ მოვიდა მშენებლობაზე. ფოლადის უზარმაზარ კორპორაციას, რომელიც, ფაქტობრივად, სახელმწიფო იყო სახელმწიფოში, ხელმძღვანელობდა შაჰთან დაახლოებული პირი, დოქტორი შეიბანი. ახლა, ალბათ, არცაა ცოცხალი: ეს დამთხვეულები რომ მოვიდნენ, არა მგონია დაენდოთ. მისი კორპორაციის ერთი სეგმენტი იყო მშენებარე მეტალურგიული კომბინატი.

ვუთარგმნიდი ამ დოქტორ შეიბანის რუსულიდან სპარსულად და პირუკუ. — ამ ბიჭმა ასე კარგად სად ისწავლა რუსულიო?! — გაუკვირდა დოქტორს ძალიან (*ვიცინით*).

სამი წელიწადი ვიმუშავე ირანში.

**— შაჰი რამდენიმეჯერ ჩამოვიდა მშენებლობაზეო, თქვით თქვენ, ბატონო ჯემალ, რა შთაბეჭდილება დაგრჩათ მონარქზე?**

— ევროპული, დახვეწილი ადამიანი ჩანდა. ჩამოსვლისთანავე ეფექტს ახდენდა იმით, რომ თვითონ მართავდა ვერტმფრენს. მანქანიდან ჩამოსვა მძღოლი, თვითონ მიუჯდა საჭეს. ეს მაშინ იშვიათობა იყო.

**— სააკაშვილი?..**

— გარკვეულწილად ალბათ კი... თითო სააკაშვილი ყველა ქვეყანაშია. მესამე ცოლი ჰყავდა მაშინ, რომელზეც ოცი წლით უფროსი იყო, განათლებული ქალბატონი წარჩინებული გვარიდან. პირველი ცოლი ეგვიპტელი პრინცესა გახლდათ, რომელიც, სხვათა შორის, შაჰის მესამე ცოლთან ერთად სწავლობდა სკოლაში. შაჰი მაშინ ახალგაზრდა კაცი იყო, დროსტარების მოყვარული. როგორც ამბობდნენ, წავიდა ის ქალი ეგვიპტეში და აღარ დაბრუნებულა. მეორე ცოლი — ცნობილი სორეია იყო, ულამაზესი ქალი. შარშანწინ გარდაიცვალა. თბილისშიც არის ნამყოფი... შარიათის წესით, თუ ხუთი წელიწადი ცხოვრობს შაჰი ცოლთან და ტახტის მემკვიდრე არ იბადება, უნდა გაიყარონ. ამათ არ ეყოლათ. შაჰმა სთხოვა მეჯლისს 2 წლით ვადის გაგრძელება. გაუგრძელეს, მაგრამ — უშედეგოდ. გაიყარნენ, სხვა გზა არ ჰქონდათ, თუმცა შაჰს ძალიან დაენანა. კულუარებში ყვებოდნენ, რომ სორეია წავიდა ჰოლივუდში, წაიღო შაჰის დიდძალი ქონება (უმდიდრესი კაცი იყო რეზა ფეჰლევი), გაჰყვა ვიღაც იტალიელ მილიონერს და მეცხრე თვეზე ეყოლათ ვაჟი. ამ ამბავმა თურმე დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია.

მესამე ცოლმა შაჰს ოთხი შვილი აჩუქა: პირველი ვაჟი იყო.

ირანში რომ ჩავედი, შაჰს ახლად მინიჭებული ჰქონდა ერთპიროვნული იმპერატორის ტიტული. ტრიუმფალური მსვლელობა მოეწყო, ზეიმი, რაკი ტახტის მემკვიდრე 7 წლის გახდა.

**— დღევანდელ ირანზე იტყვით რამეს?**

**— უმდიდრესი კულტურის ქვეყანაა, იმდენად ძლიერია იქ კულტურული ტრადიციები, რომ პარალელურად იმისა, რაც დღეს ხდება, დარწმუნებული ვარ, სხვა, გამჭოლი პროცესებიც მიმდინარეობს. ფუნდამენტალიზმი, რა თქმა უნდა, მძლავრობს, მაგრამ მაინც იმედი მაქვს, რომ ეს გარდამავალი ეტაპია. მე რატომღაც ოპტიმისტურად ვაფასებ ვითარებას. ასე ვარ განწყობილი იმიტომ, რომ კულტურა ადრე თუ გვიან მაინც თავისას იზამს, საუკუნეებში გამოტარებული კულტურა!** ჩემს იქ ყოფნაში ირანის სამეფოს 25 საუკუნის იუბილე გადაიხადეს. 1971 წელს გაიმართა ეს გრანდიოზული ზეიმი პერსეპოლისთან, სპარსელები მას თახთე ჯამშიდს უწოდებენ. სპარსეთის მეფე კიროს დიდი, იგივეQქორუში, რომელიც ბიბლიაში მოხსენიებულია როგორც გულქველი მეფე, ლამის მესია, ვინც დიდი სიკეთე მოუტანა ებრაელებს — ბაბილონიდან განდევნილი ებრაელობა კიროსის ბრძანებით დაუბრუნდა იერუსალიმს. ისრაელის დღევანდელ ქალაქებში არის კიროსის ქუჩები... **ახლა, როცა ასეთი დაპირისპირებაა ირანსა და ისრაელს შორის, სინანულით ვფიქრობთ იმ გამოუყენებელ რეზერვებზე, იმ დიდ ისტორიულ წანამძღვრებზე, რაც ამ ორი ქვეყნის ურთიერთობას გააჩნია. თავის დროზე უფრო ინტენსიურად რომ წარმართულიყო ამ ხალხების კულტურულ-კონფესიური დიალოგი, მათი ურთიერთგადაძახილი, შესაძლოა, სიტუაცია ასეთ ჩიხში არ მოქცეულიყო. კულტურას, თუნდაც გარკვეულწილად, შეეძლო თავისი სიტყვა ეთქვა.**

არავისთვის არაა საიდუმლო, რომ ამ გეოპოლიტიკურ პროცესებში საქართველოს ფაქტორი ფრიად მნიშვნელოვანია...

ჰოდა, იმ ზეიმზე შაჰი და დედოფალი წარსდგნენ კიროს დიდის აკლდამის წინაშე. შაჰმა სიტყვით მიმართა სამეფოს დამაარსებელს და ეს მიმართვა მთავრდებოდა სიტყვებით: „ასუდე ხაბ ქე მა ბიდარიმ!“ — „იძინე მშვიდად, რამეთუ ჩვენ ვფხიზლობთ!“

**— ეს სიფრთხილე სიმშვიდით არ დამთავრდა.**

— დიახ, მოვიდა ხომეინი.

## ლაშონ ჰაკოდეშ – წმინდა ენა

**სპეციალობა — სპარსული ენა და ლიტერატურა. თარგმნა კიდეც სპარსული კლასიკის ნიმუშები, მაგრამ მისმა ნიჭმა, მისმა პოეტურმა ფრაზამ ფრთები განსაკუთრებული სილაღით ანდალუსიის ებრაელი პოეტების, შუა საუკუნეების ებრაული პოეზიის თარგმანებში გაშალა.**

**დღეს ამაზე ვისაუბრებთ, თორემ მისი მთარგმნელობითი მოღვაწეობა მსოფლიო ლიტერატურაზეა განვრცობილი — ძველეგვიპტური საგალობლები, დავით მეფის ფსალმუნები, დანტეს, პეტრარკას, მიქელანჯელოს სონეტები, შექსპირის, ჩიკამაცუს, ტირსო დე მოლინას, კარლო გოცის დრამატული პოემები, რილკეს, ნელი ზაქსის, მაიაკოვსკის, მანდელშტამის, პასტერნაკისა და სხვათა ლექსები.**

**— ვინ გასწავლათ, ბატონო ჯემალ, ძველებრაული?**

— ეს ენა — ლაშონ ჰაკოდეში, წმინდა ენად წოდებული, ყოველდღიურ სამეტყველო პრაქტიკაში არ იხმარებოდა. ძველი დიდებიდან ებრაელებს მხოლოდ ერთადერთი სიმდიდრე დარჩათ — ბიბლია, „ჯიბის სამშობლო,“ როგორც მას ჰაინრიჰ ჰაინემ უწოდა. ამ ენამ წმინდა ენის სტატუსი შეიძინა, რომელსაც დევნილი ებრაელობა დედამიწის ზურგზე თავისი მოგზაურობის დროს თან დაატარებდა. მუსლიმთა წინასწარმეტყველი მუჰამედი ებრაელებს „წიგნის ხალხად“ მოიხსენიებს, არაბულად — აჰლუ ქითაბ.

ბიბლიის ენა ღვთაებასთან გასაუბრობი ენაა. გრიგოლ რობაქიძე „გველის პერანგში“ ირუბაქ ირუბაქიძეს რომ ახასიათებს, წერს: „ღმერთებს მარტო ჰებრაულით თუ დაელაპარაკები“. იგი ორადორ შემთხვევაში იხმარებოდა: ლოცვაში — ღვთისმსახურებასა და პოეზიაში.

რუსთაველი რომ ამბობს — საღმრთო საღმრთოდ გასაგონიო, ასეთი იყო მათთვის პოეზიის ენა. მასში იყო ჩავანებული „რუახ ელოჰიმ“ — სული უფლისა.

**— ეს არ არის იდიში.**

— არა, რა თქმა უნდა. იდიში შუა საუკუნეებში გერმანული ენის ბაზაზე შეიქმნა, ყოფითი ენა, местечковый язык, რომელიც თავისთავად დიდი კულტურის მატარებელია.

ლაშონ ჰაკოდეშით ლოცულობდნენ ქართველი ებრაელები.

ტრადიცია იყო ასეთი: ხუთი წლის რომ გახდებოდა ბავშვი, მოიწვევდნენ რჯულის მოძღვარს და ასწავლიდნენ ამ ენას. რაბინი ან რაბინზე დაბალი რანგის მოძღვარი დადიოდა ოჯახებში და ასწავლიდა ამ ენას. მიყვებოდა რაბინი საინტერესო ისტორიებს ბიბლიიდან — როგორ შექმნა ღმერთმა სამყარო, როგორ დაამარცხა დავითმა გოლიათი და ა. შ. თან ნელ-ნელა მაპარებდა ამ ენას. ასე „შემიშხაპუნეს“ ეს ენა, რომელსაც მეტწილად სულიერების მოძღვრები ფლობდნენ.

**ლაშონ ჰაკოდეშზე შეიქმნა ძველი ებრაული პოეზია, მაგრამ ეს არ იყო მხოლოდ ბიბლიაზე ორიენტირებული ლიტერატურა, ეს იყო სინთეზი დიდი ანდალუსიური კულტურისა. ესპანეთი მაშინ მუსლიმური ქვეყანა იყო. ე.ი. ბიბლიური სულისკვეთება და მუსლიმური აღმოსავლეთის დიდი კულტურული ნაკადი, ნილოსის ნაპირებიდან დაძრული — მათი ურთიერთშერწყმა და შეზავება, მაგრამ დომინანტური მაინც ებრაულია. დამეხმარა სპარსულის ცოდნა და ის არაბულიც, რომელსაც უნივერსიტეტში გვასწავლიდნენ.**

**— ეს პოეზია როგორ შემოვიდა თქვენში? ამას ხომ არ გასწავლიდნენ...**

— არა, ამას არავინ მასწავლიდა. ეს პოეზია იყო „ტერა ინკოგნიტო“ — ჩვენში არავინ იცოდა მისი არსებობა. განა იმიტომ, რომ დიდი პოეტები არ იყვნენ. ჰაინრიჰ ჰაინე მათ ბრწყინვალე თანავარსკვლავედს უწოდებს. მაგრამ თვით ბედმა ებრაელებისამ განსაზღვრა, რომ ვერ ჩაჯდა ევროპულ ლიტერატურულ პროცესებში, განცალკევებით არსებობდა. ისრაელის სახელმწიფოებრიობა რომ აღდგა, ყველაფერს თავისი სახელი დაერქვა და მკაცრად რეგლამენტირებულ ჩარჩოებში მოექცა.

ჩემი მეგობარი იცხაკ დავიდი, პოლიგლოტი, რომელიც ახლა ამერიკაში ცხოვრობს, ადრე კი ისრაელში ქვეყნის პრემიერ-მინისტრის თანაშემწე გახლდათ, აღმოსავლელი ებრაელების საკითხებში მისი მრჩეველი, ყოველ- ▶

> «ახლა, როცა ასეთი დაპირისპირებაა ირანსა და ისრაელს შორის, ჩემის აზრით, უნდა გაიმართოს კულტურათა დიალოგი, რადგან ამ ორი ქვეყნის ურთიერთობას აქვს საკმაოდ დიდი ისტორიული წანამძღვრები»

მოკლედ

## ესპანეთის 57 ქალაქში საპროტესტო აქციები გაიმართა

**ესპანეთში შრომის კანონმდებლობაში ცვლილებების წინააღმდეგ მასშტაბური საპროტესტო აქციები გაიმართა.** პროფკავშირების მოწოდების შემდეგ მადრიდის ცენტრში ნახევარ მილიონამდე ადამიანი შეიკრიბა. „რეფორმის მიზანი უფროსების გათავისუფლება და მათ ადგილზე ახალგაზრდების აყვანაა, რომელთაც, რასაკვირველია, ორჯერ ნაკლებს გადაუხდიან“, — აცხადებენ მანიფესტანტები. დემონსტრაციები ქვეყნის 57 ქალაქში გაიმართა. ბარსელონაში აქციაში 400 ათასი ადამიანი მონაწილეობდა, ვალენსიაში კი – 150 ათასი. ცვლილებები შრომის კანონმდებლობაში, რომელიც მარიანო რახოიას მთავრობამ დაამტკიცა, სამსახურიდან გათავისუფლებას ამარტივებს, სტაჟირების პერიოდს ზრდის და არსებითად ამცირებს კომპენსაციას უმუშევრებისთვის. ამ დროისთვის ქვეყანაში უმუშევრობის დონე 23%-ს შეადგენს, ხოლო ახალგაზრდებს შორის ის 50%-ია.

## ირანმა ევროპას ნავთობი შეუწყვიტა

**ირანმა ევროპის ექვს ქვეყანას ნავთობის მიწოდება შეუწყვიტა. ირანული მედიის ცნობით, ირანმა ევროკავშირის სანავთობო სანქციების საპასუხოდ ნავთობის მიწოდება ნიდერლანდებს, იტალიას, საფრანგეთს, ესპანეთს, საბერძნეთს და პორტუგალიას შეუწყვიტა.** ეს გადაწყვეტილება აღნიშნული ქვეყნების ელჩებს ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროში აცნობეს. შეგახსენებთ, რომ 23 იანვარს ევროკავშირის ქვეყნებმა ირანისათვის სანავთობო ემბარგოს დაწესების შესახებ მოილაპარაკეს, რაც ირანულ ნავთობზე ეტაპობრივად უარის თქმას გულისხმობდა.

**„მეგრულ გარემოში ვიზრდებოდი და მეგრულად ავიდგი ენა. შინ ქართულად ვმეტყველებდით. ზოგჯერ მამაჩემი და დედაჩემიც ისეთ სიტყვებს ხმარობდნენ, რომ არ მესმოდა მათი მნიშვნელობა, მაგრამ მერიდებოდა ამის სახალხოდ აღიარება, იმიტომ, რომ ვფიქრობდი, ეს იყო ებრაულის რაღაც დანაშრევები — უცხო სხეული, რომელიც ენას ანაგვიანებს. მაგრამ, როცა შემდეგ უნივერსიტეტში ვისწავლე ძველი ქართული, დიალექტოლოგია, აღმოვაჩინე, რომ ქართული სიტყვები ყოფილა.“**

**ინტერვიუ**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ყველა ქვეყანაშია...

**«უბედურებაა, რომ ტელე და რადიოდიქტორები ქართულ სიტყვებს ინგლისური პრონონსით უქცევენ. აი, გოიმობა ეგაა, პროვინციალიზმი»**

თვის დიდი და მდიდარი ინფორმაციის მატარებელი იყო.

ერთ მშვენიერ დღეს, მაშინ მეორე კურსის სტუდენტი ვიყავი, შინ რომ ვეწვიე (თბილისის ებრაულ უბანში ცხოვრობდა), წამიკითხა ამ პოეზიის ნიმუშები. მომეწონა და ვთარგმნე. მაშინ ჟურნალი „ხომლი“ ახალი დაარსებული იყო. მივუტანე ბატონ ვახტანგ ჭელიძეს და მან მეორე ნომერშივე „ხეთქა!“

ძალიან ვუმადლი ვახტანგ ჭელიძეს, რადგან ახალგაზრდულ წლებში, როცა არ იცი, საით მიდიხარ, როგორ მიდიხარ, მითუმეტეს, როცა ეკონომიურად მაგრად ვერ დგახარ, გამომიქვეყნა ეს ერთიც და შემდეგ — მეტი და მეტი, წამახალისა და წელში გამმართა. კარგი კრიტიკული გამოხმაურება მოჰყვა... და წავიდა და წავიდა.

**— პირველი წიგნი როდის გამოეცით?**

— 1979-ში დაიბეჭდა... მაშინ ჭირდა ებრაული, მეტადრე — ბიბლიაზე ორიენტირებული ლიტერატურის შოვნა.

ნისან ბაბალიკაშვილი, ცნობილი რაბინის შვილი, თავადაც ცნობილი მეცნიერი, ჩემი მეგობარი, დამეხმარა. ისრაელთან კარგი კავშირი ჰქონდა და მიშოვა შუა საუკუნეების ებრაელი პოეტების ოთხტომეული. მეტი წილი იქიდან ვთარგმნე.

79-ის შემდეგ კიდევ ორჯერ გამოიცა.

**— გამოდის, რომ ენას თქვენ თვითონ დაეუფლეთ. თვითნასწავლი არა, მაგრამ რაღაც ამგვარი, არა?**

— ჰო. მერე და მერე კი თანამედროვე ენაც ავითვისე. ისევეა, როგორც ძველი ქართული ახალ ქართულთან. ვინმე რომ მოვიდეს და „შუშანიკის“ ენით დაგველაპარაკოს, ამგვარი სხვაობაა.

**— შუშანიკის ენა კი არა...**

— ჩვეულებრივი ქართულით რომ ელაპარაკები ხალხს, ის უკვირთ დღეს. გოიმობის ნიშანია, ან უარესი.

**— გოიმი უგნურ არაებრაელს ნიშნავს, მგონი.**

— კი, ნიშნავს. **უბედურებაა, რომ ტელე და რადიოდიქტორები ქართულ სიტყვებს ინგლისური პრონონსით უქცევენ. აი, გოიმობა ეგაა, პროვინციალიზმი.**

ნებისმიერი კულტურა თავისთავად დიდი მოვლენაა. მაგრამ, შე დალოცვილო, ამოდენა ზურგი გაქვს შენი ქვეყნის კულტურის... გალაკტიონს რომ აქვს, ხომ გახსოვთ: „მაინც ვრჩებით ქართველებად, თუ არ გაგვაესკიმოსეს“.

**— ჩვენ თვითონ „ვესკიმოსდებით“?**

— ღმერთმა ნუ ქნას!.. თითოეული კულტურა, ვიმეორებ, უზარმაზარი განძია. უნდა იცნობდე. აუცილებლად! კაცმა თუ სხვა ერის კულტურა იცის, იმ ერის მტერი არასოდეს გახდება. მეც ვცდილობ, რაც შეიძლება მეტი კულტურული ფასეულობები გადმოვიტანო ქართულად — მუსლიმური იქნება ეს, ქრისტიანული თუ ებრაული. ყველა ერთმანეთს ავსებს.

## კულტურული კარჩაკეტილობა, ფუნდამენტალიზმი

**— არც მინდა, ეს ტერმინი ვიხმარო, საშინელებაა. ყველა კულტურა, კიდევ ერთხელ ვუსვამ ხაზს, ფასეულია თავისთავად. ქართული კულტურის ჰეგემონია ყოველთვის იგრძნობოდა. არავინ დამძრახავს, თუ ვიტყვი, რომ საქართველო არასოდეს ყოფილა პოლიტიკური ან ეკონომიკური გიგანტი, დავით აღმაშენებლის და თამარ მეფის ეპოქების ბედნიერ გამონაკლისს თუ არ ჩავთვლით, მაგრამ კულტურული ჰეგემონია მაინც გვქონდა, საბჭოთა პერიოდშიც — ნებისმიერ დარგში. როცა ამ ყველაფერს ძალიან დაბალი რანგის მასკულტურა ენაცვლება, სრულიად გაუგებარია!**

## „ო, ენავ ჩემო...“

**— ბატონო ჯემალ, თქვენი შემოქმედების, ასე ვთქვათ, „ებრაული შემადგენელი“ გავარკვიეთ, მაგრამ ქართული? ეს საოცარი ქართული საიდან შემოვიდა თქვენში? ვერ წარმომიდგენია, რომ თარგმანზე მუშაობისას ლექსიკონების გალავანში იყოთ ჩაკეტილი და საჭირო სიტყვებს მის სათოფურებში პოულობდეთ.**

— ლექსიკონებით შეკოწიწებულ ნათარგმნს, ბოდიში მომიხდია, ნაფტალინის სუნი ასდის.

მეგრულ გარემოში ვიზრდებოდი და მეგრულად ავიდგი ენა. შინ ქართულად ვმეტყველებდით. ზოგჯერ მამაჩემი და დედაჩემიც ისეთ სიტყვებს ხმარობდნენ, რომ არ მესმოდა მათი მნიშვნელობა, მაგრამ მერიდებოდა ამის სახალხოდ აღიარება, იმიტომ, რომ ვფიქრობდი, ეს იყო ებრაულის რაღაც დანაშრევები — უცხო სხეული, რომელიც ენას ანაგვიანებდა. მაგრამ, როცა შემდეგ უნივერსიტეტში ვისწავლე ძველი ქართული, დიალექტოლოგია, აღმოვაჩინე, რომ ქართული სიტყვები იყო. ებრაელები ცხოვრების სპეციფიკური წესის გამო ჰერმეტულად ინახავდნენ თავიანთ ცოდნას. საქართველოში თითქმის სამიათასწლოვანი ცხოვრების მანძილზე ბევრი ისეთი სიტყვა შემოინახეს, რაც „პრაქტიკულ ქართულში“ დიდი ხნის ამოღებულია ხმარებიდან.

ეს ერთი.

მეორე. რაბინი ბიბლიას მასწავლიდა ებრაულად და ქართულად. ოღონდ როგორი ქართულით, იცით? ჩემთვის უცნაური იყო ის ქართული — ხუთი წლის ბიჭს მასწავლიდნენ ძველი ქართულით ნათარგმნ ბიბლიას, რომელსაც ქართველი ებრაელები „თავსილს“ უწოდებენ. თავის დროზე ებრაული სჯულის მოძღვრები ბიბლიას ქართულად ისე თარგმნიდნენ, რომ იგი გასაგები ყოფილიყო მრევლისთვის. ეს მრევლი შემოსულია მცხეთაში 2600 წლის წინათ. სავარაუდოა, რომ 200 წლის შემდეგ ბიბლიური ენა პრაქტიკულად უკვე დავიწყებული ჰქონდათ და წმინდა ტექსტები თავიანთი ლიტურგიკული წესების აღსასრულებლად ქართულად თარგმნეს. მაგრამ რაკი ბიბლიის ნებისმიერი სიტყვის შეცვლა მიუტევებელ ცოდვად ითვლებოდა, ძველი ქართულით ნათარგმანები დააკანონეს და ასე მოდიოდა და მოდიოდა თაობიდან თაობაში.

როცა კუმრანის მიდამოებში ჩანაწერები იპოვეს, 1947 წელს, ფასდაუდებელი გრაგნილები...

**— კუმრანი თუ ყუმრანი?**

— ქართულად ყუმრანი. თუმცა თუ არაბულ არტიკულაციას მოვიშველიებთ, კუმრანი უფრო მართებულია. „ყამარ,“ „კამარ“ მთვარეს ნიშნავს. კამარაც აქედან მოდის. მთვარის კულტი იყო იმ მიდამოებში და იქიდან წამოვიდა — კუმრანი... ჰოდა, ის, 2000 წლის წინანდელი ჩანაწერები თანამედროვე ტექსტს ისე დაემთხვა, რომ სიტყვა არ იყო შეცვლილი.

ეს ძველი ქართულით ნათარგმნიც ამ პრინციპითაა შემორჩენილი...

სიტყვამ მოიტანა და ქართულის შესანიშნავი მასწავლებლები მყავდა სკოლაში. ჟიული შარტავა ჩემთან ერთად სწავლობდა და ძალიან ახლო მეგობრები ვიყავით.

შემდეგ — უნივერსიტეტი, ქართული ლიტერატურა...

სიტყვის ხმარებისას ალღოც გჭირდება, თორემ არაჩვეულებრივი „ლექსიკური ერთეული“ შეიძლება ისე უადგილოდ გამოიყენო, რომ მკვდრადშობილი აღმოჩნდეს. ისეთ კონტექსტში უნდა ჩასვა, რომ ქმედითი იყოს. ზოგჯერ დაახვავებენ სიტყვებს — თვალის მომჭრელია, მაგრამ ისეთ გარემოშია მოქცეული, რომ არაფრის მთქმელია.

**— თქვენი თარგმანები თავისუფალი თარგმანია თუ დედანთან მიახლოებული?**

— თვითონ ლექსი გიკარნახებს, როგორ მიუდგე. არის ისეთი, რომელიც კანონიკასავით მკაცრია, მაგალითად, ფსალმუნები, არის ისეთი, რომელმაც დღევანდელ ლიტარუტურულ პროცესში უნდა მიიღოს მონაწილეობა, მოითხოვს — მოახდინე ჩემი ვარირება, რათა ცოცხალი ვიყო, არ მოვკვდეო. არ გააკეთებ ასე და მართლაც ჩაკვდება და, ხშირად მითქვამს, ქრესტომათიულ კუბოებში ასვენია.

**— ლიტერატურული კრიტიკა როგორ აფასებდა თქვენს შემოქმედებას?**

— ძალიან თბილად. ბევრი დაიწერა.

**— თქვენი პირველი თარგმანები, როგორც თქვით, ჯერ კიდევ სტუდენტობისას დაიბეჭდა.**

— დიახ, უნივერსიტეტის გაზეთსა და „პირველ სხივში“ — 1964-66 წლებში.

**— ეს ის პერიოდია, როცა, რბილად რომ ვთქვა, ისრაელი არ შედიოდა საბჭოთა კავშირის მეგობართა წრეში, ე. ი. ძალაში იყო საბჭოური იდეოლოგიური წნეხი, თავისი გაყინული დოგმებითა და ცენზურით. რით შეგიძლიათ ახსნათ ლიბერალიზმი, რომელიც თქვენ მიმართ გამოიჩინეს?**

— საქართველოს განსაკუთრებულობით, რითაც ყოველთვის ვიყავით გამორჩეული საბჭოთა რესპუბლიკებს შორის და იმ პრიორიტეტულობით, რომელზეც უკვე ვილაპარაკე.

**— დღეს ბევრგან გაიგონებთ, რომ დასავლეთისკენ, კერძოდ, ამერიკისკენ ფანჯარა იმ წლებში სრულიად დახშული იყო.**

— მე მხოლოდ ერთ ფაქტს გავიხსენებ, რომელიც 1979 წლით თარიღდება. იმ წლებში საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე იყო ნუგზარ ფოფხაძე, ტელევიზიის ლიტერატურული გადაცემების მთავარ რედაქციას ხელმძღვანელობდა სოსო პაიჭაძე. მაშინ მომზადდა და ეთერში გავიდა თითქმის საათიანი გადაცემა ჩემ მიერ თარგმნილ შუა საუკუნეების ებრაულ პოეზიაზე.

**— მახსოვს. ეს მოხდა „პერესტროიკამდე“ 5-6 წლით ადრე.**

— აი, რას წერდა თავის წამყვან სტატიაში გაზეთი „ნიუ იორკ ტაიმსი“ გადაცემიდან ორი კვირის შემდეგ (*კითხულობს*):

**„1979 წლის გაუგონარი ტელესანახაობა საბჭოთა კავშირის ისტორიაში.**

ეს იყო 50-წუთიანი ტელეპროგრამა შუა საუკუნეების ებრაულ პოეზიაზე. საჩვენებელი დრო საგანგებოდ იყო შერჩეული — საღამო, როცა ყველაზე მეტი მაყურებელი უზის ტელეეკრანებს. მთელი გადაცემა გამსჭვალული იყო ებრაული კულტურის, რელიგიისა და ეროვნული ტრადიციების მიმართ უაღრესი პატივისცემითა და სიმპათიით. მაგრამ ეს ხდებოდა მხოლოდ საქართველოს ლოკალურ არხზე, რაც მიუთითებს საქართველოს ებრაელთა განსხვავებულ მდგომარეობაზე...“

*(„ნიუ იორკ ტაიმსი“, 1979 წელი, 17 დეკემბერი).*

აქ ორი ფაქტორია გამოსაყოფი. პირველი — ქართული ტრადიციული დამოკიდებულება ზოგადად ებრაული ფენომენისადმი. მეორე: არა მგონია, რომ უკანასკნელი როლი ითამაშა ლიტერატურულმა დონემაც (ამას ვამბობ ყალბი თავმდაბლობის გარეშე).

**წიგნის გამოცემის ფაქტი ცნობილმა რუსმა ლიტერატორებმა ასე შეაფასეს: ФАНТАСТИКА! რუსულადაც იყო ამ პოეტების ლექსები თარგმნილი... 30 წელიწადი იდო მოსკოვის საგამომცემლო უჯრაში. ბოლოს და ბოლოს, ჩემი წიგნის გამოსვლიდან 6 წლის შემდეგ, როგორც იქნა, გამოქვეყნდა, მაგრამ არა რუსეთში, არამედ ისრაელში... ვერ ვიტყვი, რომ დიდი ლიტერატურული მოვლენა იყო. ფაქტი ის არის, რომ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან პირველად საქართველოში გამოიცა.**

**— ისრაელში როგორ შეაფასეს?**

— 1998 წელს ისრაელის აწ განსვენებულმა პრეზიდენტმა ეზერ ვაიცმანმა მომანიჭა მთავრობის ჯილდო — ე.წ. „ღირსების სიგელი.“

**— ახლა რას თარგმნით?**

— ახლა უფრო ჩემს ლექსებზე ვმუშაობ.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**«მთელი გადაცემა გამსჭვალული იყო ებრაული კულტურის, რელიგიისა და ეროვნული ტრადიციების მიმართ უაღრესი პატივისცემითა და სიმპათიით. მაგრამ ეს ხდებოდა მხოლოდ საქართველოს ლოკალურ არხზე, რაც მიუთითებს საქართველოს ებრაელთა განსხვავებულ მდგომარეობაზე...»**

**მსოფლიო**

## გერმანიის პრეზიდენტი გადადგა



**გერმანიის პრეზიდენტმა ქრისტიან ვულფმა პრეზიდენტის პოსტის დატოვების შესახებ განცხადება გააკეთა.** მისი თქმით, გერმანიას ისეთი პრეზიდენტი სჭირდება, რომელიც ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის მხარდაჭერით ისარგებლებს. „ბოლო დღეებისა და კვირების განმავლობაში განვითარებული მოვლენები აჩვენებს, რომ ეს ნდობა და ჩემი სამსახურის შესაძლებლობა სერიოზულად დაზარალდა. ამიტომ, მომავალში შეუძლებლად ვთვლი შევასრულო ქვეყნის პრეზიდენტის მოვალეობა. დღეს ვტოვებ თანამდებობას, რათა გზა გავუთავისუფლო ჩემ მემკვიდრეს“, — განაცხადა ვულფმა.

## რუსეთში საპრეზიდენტო არჩევნები დაიწყო

**რუსეთის შორეულ და მიუწვდომელ რაიონებში საპრეზიდენტო არჩევნები დაიწყო.** ფედერაციის 37 სუბიექტში ხმის მიცემა უკვე შეუძლიათ. რუსული მედიის ინფორმაციით, ასეთ რაიონებში მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობა საერთო საარჩევნო ხმების 1 პროცენტს შეადგენს. როგორც ცნობილია, რუსეთის ფედერაციის ტერიტორიის უდიდეს ნაწილში საპრეზიდენტო არჩევნები 3 მარტს გაიმართება.

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

იმ ქვეყნების სიაში, რომელთა წინააღმდეგაც გამოცხადებულია ომი სექსუალური უმცირესობების დასაცავად, მოხვდნენ რუსეთი, ნიგერია, კამერუნი, უგანდა, ირანი და ზიმბაბვე. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ თვით გეების უფლებებისთვის მებრძოლთაგან მრავალი აშშ-ის ხელისუფლებას ამგვარი მიდგომისათვის აკრიტიკებს და ამბობს, რომ ის შეგნებულად ურევს თავის აგრესიულ იმპერიულ პოლიტიკას გარყვნილთა ინტერესებში.

# სოდომიზაცია — სახელმწიფო დეპარტამენტის გავლენის ინსტრუმენტი

**გლობალიზაციის მოწინააღმდეგე სუვერენული სახელმწიფოების ტრადიციული ინსტიტუტების რღვევისათვის ამერიკის საგარეო პოლიტიკა გარყვნილთა უფლებების კულტივირებას ახდენს.**



გასულ კვირას ვაშინგტონის შტატის სასამართლომ აღიარა გეების უფლება ერთსქესიან ქორწინებებზე. შტატის გუბერნატორმა — დემოკრატების წარმომადგენელმა კრისტინ გრეგუარმა სიხარულით ამცნო მსოფლიოს, რომ ხელს მოაწერს ამ უფლებას, რათა „კანონი ამოქმედდეს და დისკრიმინაციის ერა დასრულდეს".

ლიბერალ-სოდომიტები ირწმუნებიან, რომ მხოლოდ მათ ძალუძთ, დაძლიონ კრიზისები და პრობლემები მთელი კაცობრიობისთვის მაღალი იდეალების გაზიარებით და მისი ნათელ მომავალში შეყვანით.

ამრიგად, ამერიკის კიდევ ერთი შტატი ოფიციალურად გასოდომისტდა და, მართალია, მოცემულ შემთხვევაში მთავარი როლი დემოკრატებმა შეასრულეს (ისინი ვაშინგტონის სამთავრობო სტრუქტურებში უმრავლესობას წარმოადგენენ), ძირითადი კამათი რესპუბლიკელებისა და დემოკრატების ან, უტრირებულად რომ ვთქვათ, კონსერვატორ-ფუნდამენტალისტებსა და ლიბერალ-რეფორმატორებს შორის არ მიმდინარეობს. ის ფაქტი, რომ რამდენიმე თვალსაჩინო ვაშინგტონური კომპანია, მათ შორის „Microsoft"-ი, „Amazon"-ი და „Starbucks"-ი, სადაც შტატის ათიათასობით მცხოვრები მუშაობს, ასევე იწონებს კანონს, ამერიკული საზოგადოების დეჰუმანიზაციის პროცესის შეუქცევადობაზე მიანიშნებს.

ბარაკ ობამას ადმინისტრაციამ აშშ-ში გეების უფლებებისათვის ბევრი რამ გააკეთა. ეს დიდი ხნის წინ დაიწყო, პირველი ერთსქესიანი ქორწინება ხომ ჯერ კიდევ ჯორჯ ბუშის რეჟიმისას, 2004 წელს, შედგა მასაჩუსეტსის შტატში. ევროკავშირში სოდომიტების საზოგადოება სახელისუფლო სტრუქტურებშია ფესვგადგმული და ასევე, არაერთი წელია, იბრძვის თავისი თანამოაზრეების უფლებებისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხს გლობალური ხასიათი აქვს, რამდენადაც საერთაშორისო არენაზე ამ მოვლენის პოლიტიზირებაა გაჩაღებული, თანაც საყოველთაოდ. პოლონეთის პარლამენტში ახლახან ტრანსექსუალი და პედერასტი შეძვრნენ, სანკტ-პეტერბურგის საკანონმდებლო კრების გადაწყვეტილებამ კი, რომელიც ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდისათვის სასჯელს აწესებს, დასავლეთის მხრიდან მწვავე კრიტიკა განაპირობა.

**„გეების უფლებები ადამინის უფლებებია"**, — განაცხადა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა გაეროში ადამიანის უფლებათა კომისიაში სიტყვით გამოსვლისას. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოსცა შესაბამისი მემორანდუმი, რომელშიც აშშ-ის სახელმწიფო უწყებებისადმი განსაზღვრულია რეკომენდაციები სექსუალური უმცირესობებისთვის უცხოეთში უფლებების შესახებ. ფინანსური დახმარება, პოლიტიკური თავშესაფრის მიცემა და დიპლომატიური ზეწოლა სოდომიტების მხარდასაჭერი ზომებია. როგორც კლინტონმა განაცხადა, **„ვერც კულტურული, ვერც რელიგიური ტრადიციები ვერ გამოდგება სექს-უმცირესობების დისკრიმინაციის გამართლებლად"**.

იმ ქვეყნების სიაში, რომელთა წინააღმდეგაც გამოცხადებულია ომი სექსუალური უმცირესობების დასაცავად, მოხვდნენ რუსეთი, ნიგერია, კამერუნი, უგანდა, ირანი და ზიმბაბვე. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ თვით გეების უფლებებისთვის მებრძოლთაგან მრავალი აშშ-ის ხელისუფლებას ამგვარი მიდგომისათვის აკრიტიკებს და ამბობს, რომ ის შეგნებულად ურევს თავის აგრესიულ იმპერიულ პოლიტიკას გარყვნილთა ინტერესებში.

სექსუალური უმცირესობების ერთ-ერთი ცნობილი ამერიკელი აქტივისტი სკოტ ლონგი ამბობს, რომ „ობამისტები ძალზე პროგრესულები არიან ადამიანის უფლებებზე საუბრისას, მაგრამ გუანტანამოს ციხე ისევ არსებობს, სამხედრო ტრიბუნალი კვლავაც სამართლიანი სასამართლოს პაროდიას ჰგავს და უპილოტო საფრენი აპარატები კი ხალხის ხოცვას განაგრძობენ".

ამიერიდან ვაშინგტონის ინტერესების სამსახურში იქნებიან არა მხოლოდ ამერიკელი სოდომიტები, რომელთაც სამხედრო ფორმა აცვიათ, არამედ გარყვნილთა საერთაშორისო არმია, რომელიც სუვერენულ სახელმწიფოებში დამანგრეველ მოღვაწეობას გააჩაღებენ. სახელმწიფოებში, სადაც კანონმდებლობითაც და არაფორმალურადაც ერთსქესიანი ქორწინება დანაშაულად ან ცოდვად განიხილება, **ეს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ნაფერები გარყვნილები უფლებადამცველი ორგანიზაციების ხაზით გრანტებს მიიღებენ და გამოიყენებენ საკუთარი ინტერესების გასავრცელებლად, პარალელურად კი დასავლეთის ნეოლიბერალური პოლიტიკური გუნდების დაკვეთებსაც შეასრულებენ.**

თავისი ახალი აქტივისტების ტრანსნაციონალურ ქსელზე დაყრდნობით, ვაშინგტონი სახელმწიფოებს გარედანაც და შიგნიდანაც ერთდროულად შეუტევს და შესაძლოა, სანქციებიც კი დააწესოს სოდომიზაციის მოწინააღმდეგეთა მიმართ.

ამიტომ საინფორმაციო ომის ახალი ფრონტის გასახსნელად მზადება ახლავე უნდა დაიწყოს, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა თავისი აღმასრულებელი და ოპერატიული ორგანოებით ამ ფრონტის ხაზი უკვე მოამზადეს.

evrazia.org

# ალჟირი ნატოს სპეცრაზმს ერეკება

**ალჟირი სერიოზული რისკის წინაშეა, რომ ნატოს ქვეყნებთან ურთიერთობები გაიფუჭოს. უკანასკნელი 20 წლის მანძილზე ეს სახელმწიფო თითქოს დასავლეთის მთავარ პარტნიორად იქცა ჩრდილოეთ აფრიკაში ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ლიბიაში უკანასკნელი წლის მოვლენებმა, რომლის დროსაც ალჟირი პრაქტიკულად ღიად უჭერდა მხარს კადაფის, თვალსაჩინოდ აჩვენა, რომ პარტნიორებს შორის ურთიერთობებში სერიოზული გართულებები დაიწყო.**



ალჟირის ხელმძღვანელობისგან არაერთხელ მოითხოვდნენ ახსნა-განმარტებებს პოლკოვნიკისათვის გაწეული მხარდაჭერის გამო. ნოემბერში კი, კადაფის გარდაცვალების შემდეგ, ტერორიზმთან ბრძოლაში ყოფილ პარტნიორებს შორის დამატებითი უთანხმოებები წარმოიშვა: ალჟირმა აშშ-სა და საფრანგეთს აუკრძალა მისი ტერიტორიის თავზე უპილოტო საფრენი აპარატების ფრენა.

ამერიკელები და ფრანგები შეეცადნენ, გონს მოეყვანათ ალჟირის მხარე და განუმარტეს, რომ ეს აუცილებელია ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, მაგრამ ქვეყნის პრეზიდენტმა ბუტეფლიკამ უპასუხა, რომ აქამდე ალჟირი თავადაც მშვენივრად უმკლავდებოდა ტერორისტულ საფრთხეს. **იანვრის დასასრულს აშშ-ისა და საფრანგეთისგან მოვიდა უკვე ოფიციალური მოთხოვნა „ალ ქაიდასთან" ბრძოლაში უფრო მჭიდრო ძალისხმევის აუცილებლობის შესახებ. ალჟირისაგან, პირველ რიგში, ნატოს ავიაციისთვის საჰაერო სივრცის გახსნას მოითხოვდნენ,** ამასთანავე, ტერიტორიისა და ინფრასტრუქტურის გადაცემასაც სპეციალური დანიშნულების ფრანკო-ბრიტანული ძალებისათვის, რომლებსაც დავალებული აქვთ ტერორისტების ადგილობრივი მეთაურების მოძებნა და ლიკვიდირება.

თავიდან აფრიკის კონტინენტზე აშშ-ის შეიარაღებულ ძალთა გაერთიანების სამხედრო სარდლობის მეთაური, გენერალი კარტერ ხამი ცდილობდა, ალჟირის გენერალური შტაბის უფროსი გაიდი სალახი დაერწმუნებინა, რომ ქვეყნის ტერიტორიის თავზე სხვადასხვა ქვეყანაში ასობით მშვიდობიანი მოსახლის მკვლელ ამერიკის უპილოტოებს ეფრინათ, მაგრამ მისგან მტკიცე უარი მიიღო. „არა" ნათქვამი იყო ყოველგვარი ყოყმანისა და ბუნდოვანი დაპირებების გარეშე.

**ალჟირის კრედო რეგიონში უცხოური ძალების დაუშვებლობაა, რაც დაასუსტებდა თავად ალჟირს, რომელიც ისლამისტების წინააღმდეგ ბრძოლაში უკანასკნელ წლებში რეგიონის ლიდერია და რომლის ამ პოზიციას მეზობელი ქვეყნებიც ცალსახად აღიარებენ. სამხრეთ ალჟირში ფუნქციონირებს ერთიანი ცენტრი, სადაც რეგიონში ტერორისტული აქტივობის შესახებ მთელი ინფორმაცია იყრის თავს და სადაც იგეგმება ერთობლივი ოპერაციები, რომელთა შესახებაც ვაშინგტონს ყოველთვის არ აყენებენ საქმის კურსში.**

საგულისხმოა ისიც, რომ 2011 წლის დეკემბერში ალჟირის დაზვერვის ხელმძღვანელად დაინიშნა გენერალი ატმან ტარტაგა, რომელიც დასავლეთის სპეცსამსახურებთან მჭიდრო თანამშრომლობის კატეგორიული წინააღმდეგია. გენერლის გარემოცვიდან წყაროები იტყობინებიან, რომ ამ მხრივ წარსულში თანამშრომლობის შედეგები ყოველთვის დადებითი არ იყო და ხანდახან ისლამიტების მთელი რიგი მეთაურების ნეიტრალიზაციის ოპერაციები საერთოდაც იშლებოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ კადაფის მოკვლის შემდეგ რეგიონში მდგომარეობა მკვეთრად დაიძაბა. ტუაგერებმა მალის ტერიტორიაზე თავიანთი ბრძოლა განაახლეს, იწყება სიტუაციის დესტაბილიზაცია ნიგერიაში, საიდანაც დასავლეთი, ძირითადად საფრანგეთი, ურანის მნიშვნელოვან წილს იღებს. ამდენად, პარიზის მღელვარება ნაწილობრივ გასაგებია. **აშშ-ის სპეცსამსახურებიც და საფრანგეთისაც რეგიონში სიტუაციას ერთსულოვნად აფასებენ როგორც „დიდ შავ ხვრელს", რომლის ამოქოლვაც ალჟირის გარეშე შეუძლებელია.**

სავსებით გასაგებია ალჟირის ხელისუფლების შფოთვაც, რომ ნატო ტერორიზმთან ბრძოლის ეგიდით მის ქვეყანაში ნიადაგს მოამზადებს აგრესიის თუ არა, დემოკრატიის მხარდაჭერისათვის მაინც და „არაბული გაზაფხულის" ადგილობრივი ვარიანტის საფრთხეს შექმნის.

სიტუაციას ამძიმებს ალჟირის ხელისუფლების დამოკიდებულება ენერგეტიკული საკითხებისადმი. მიუხედავად ქვეყანაში დამატებითი უცხოური კაპიტალის მოზიდვის დიდი სურვილისა, ბუტაფლიკა მზად არაა, ის ინვესტორის პირობებით შემოუშვას და ენერგეტიკულ პროექტებში ნაციონალური კონტროლის შენარჩუნებას აპირებს.

ლიბიის წინააღმდეგ გაჩაღებულმა ომმა მხოლოდ გაამძაფრა ალჟირის ეჭვები. იმავე ბუტაფლიკას მშვენივრად ესმის დასავლეთის ლიდერების მხრიდან ალჟირის ხელისუფლების ქება ჩრდილოეთ აფრიკაში ტერორიზმთან ბრძოლის საქმეში პირველობისათვის, მაგრამ მას ისიც მშვენივრად ახსოვს, რომ დასავლეთისათვის კადაფი არანაკლებ ღირებული პარტნიორი იყო მთელი რიგი მიმართულებებით, მათ შორის, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მხრივაც.

სხვათა შორის, არ ღირს იმის გამორიცხვა, რომ **ალჟირის ამ უარს დასავლეთი მიზეზად გამოიყენებს, რათა ალჟირზე ზეწოლა დაიწყოს.** ამ ქვეყნის ქმედებები უკვე ძალიან ხშირად ეწინააღმდეგება აშშ-ისა და მისი მოკავშირეების სურვილებს.

pravda.ru




**ყოფილი იუგოსლავიისთვის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის ყოფილმა მთავარმა პროკურორმა კარლა დელ პონტემ მოაგროვა მასალები, რომლებშიც ნათქვამია, რომ 1990-იანი წლების დასასრულს კოსოვოდან ალბანეთში ასობით სერბი გადაიყვანეს ორგანოების იძულებით ამოკვეთის მიზნით. დასახელებულია ამ ბიზნესთან დაკავშირებული კონკრეტული პირებიც — იმჟამად კოსოვოს განმათავისუფლებელი არმიის ხელმძღვანელობა და პირადად ახლანდელი პრემიერი ხაშიმ ტაჩი.**

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «შავი ტრანსპლანტოლოგების» საქმეს მცდარ გზაზე უშვებენ

**გაეროს უშიშროების საბჭოს კოსოვოსადმი მიძღვნილი სხდომის მთავარი თემა მხარეში საერთო სიტუაციის განხილვა უნდა ყოფილიყო. უშიშროების საბჭოს წევრებს შორის გავრცელდა გაეროს გენერალური მდივნის თანაშემწის მოხსენება ედმონ მიულეს მშვიდობისმყოფელი ოპერაციების შესახებ. დოკუმენტი ახდენს იმის კონსტატირებას, რომ ბელგრადისა და კოსოვოს ხელისუფლებებს შორის მოლაპარაკებების განახლებამ დაძაბულობის შერბილება განაპირობა, მაგრამ პროცესის მონაწილეთა წინაშე დადგა სხვა მნიშვნელოვანი პოლიტიკური გამოწვევები. ამგვარი გამოწვევების რიცხვს მიაკუთვნა მომხსენებელმა კოსოვოელი სერბების საცხოვრებელ რაიონებში სიტუაციის დაურეგულირებლობას.**



უნდა აღინიშნოს, რომ კოსოვოში ამ დრომდე არსებული დაძაბულობის მთავარი მიზეზი კოსოვოელი სერბების მოქმედებები არაა. ის კოსოვოს ხელისუფლების პოლიტიკაში იმალება. ამ ხელისუფლებას სათავეში უდგას „კოსოვოს განმათავისუფლებელი არმიის" ყოფილი პოლიტიკური ხელმძღვანელი ხაშიმ ტაჩი. სერბეთის ხელისუფლებაც, კოსოვოელი სერბებიც „კოსოვოს განმათავისუფლებელ არმიას" ტერორისტულ ორგანიზაციად მიიჩნევენ, თავად ტაჩის კი — უამრავი დანაშაულის მონაწილედ. მისი სახელი დღევანდელი კოსოვოს სხვა პოლიტიკურ ლიდერებთან ერთად ფიგურირებს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მოხსენებაში, რომელიც „შავ ტრანსპლანტოლოგიას", ანუ ასობით ადამიანის გატაცებას და მათგან ორგანოების ამოცლას ეხება. იგულისხმებოდა, რომ **ევროკავშირის მისიის ძალებით პრიშტინაში წამოწყებული გამოძიება კოსოვოელი სეპარატისტების დამნაშავეობრივი ქმედებების ყველა პერიპეტიას მოიცავდა.**

მაგრამ ჯერჯერობით ეს არ მომხდარა. საერთაშორისო წარმომადგენლებს პრემიერი ტაჩისგან საკუთარი უფლებამოსილების შეწყვეტაც კი არ მოუთხოვიათ თუნდაც გამოძიების დასრულებამდე. გამომძიებლები კი დაჟინებით ცდილობენ, მთელი პრობლემა 2008 წელს დახურულ პრიშტინას ელიტურ კლინიკა „მედიკუსს" გადააბრალონ. სწორედ ამ კლინიკაში უნერგავდნენ თირკმელებს მდიდარ ევროპელებსა და ჩრდილოამერიკელებს.

„მედიკუსი" ალანეთის ჩრდილოეთით მდებარე „ყვითელი სახლი" არაა, სადაც მსგავსი ოპერაციების კვალს ჯერ კიდევ 2000-იანი წლების დასაწყისში მიაგნეს. შემთხვევითი არაა, რომ საქმის გამოძიებით დაკავებულმა ევროკავშირის პროკურორმა ჯონათან რატელმა განაცხადა: **„არ არსებობს არც ერთი მტკიცებულება, რომ „მედიკუსის" საქმესა და კოსოვოს განმათავისუფლებელი არმიის ლიდერების წინააღმდეგ გაჟღერებულ ბრალდებებს შორის რაიმე კავშირი არსებობს".**

არადა, ევროსაბჭოს მომხსენებელმა დიკ მარტიმ ამ კავშირის არსებობის შესახებ ჯერ კიდევ 2010 წლის ბოლოს განაცხადა. გამომძიებლები კვლავაც დაკავებულნი არიან კოსოვოს ყოფილი ჯანდაცვის შეფის — ილირ რეცაეს, ისრაელელი შუამავლის — მოშე ხარელის, თურქი ქირურგის — იუსუფ სონმეზონის, კოსოვოელი უროლოგის — ლიუტფი დერვიშისა და კიდევ სხვათა საქმეების შესწავლით, მაგრამ არა იმ საკვანძო ფიგურებისა, რომელთა ხელშეწყობის გარეშეც „შავი ტრანსპანტოლოგია" კოსოვოში, უბრალოდ, ვერ იარსებებდა. მსხვერპლთა შორის სერბები პრაქტიკულად არ მოიხსენიებიან.

**რუსეთი დაჟინებით მოითხოვს, რომ ადამიანების ორგანოებით უკანონო ვაჭრობის საქმეში კოსოვოს ხელმძღვანელების მონაწილეობის შესახებ გამოძიება გაეროს უშიშროების საბჭოს ეგიდით წარიმართოს.** ამის შესახებ უშიშროების საბჭოს სხდომაზე გაეროში რუსეთის მუდმივმა წარმომადგენელმა ვიტალი ჩურკინმა განაცხადა. რუსი დიპლომატის თქმით, **„ფაქტები პირდაპირ მიანიშნებენ ჩადენილ დანაშაულებებში კოსოვოს ზოგიერთი ამჟამინდელი ხელმძღვანელის მონაწილეობაზე". მაგრამ გამოძიებით დაკავებულია ქვეყნების სწორედ ის ჯგუფი, რომელიც თავის დროზე ამ ადამიანების ხელისუფლებაში მოსვლას უწყობდა ხელს".** ჩურკინმა გაიხსენა, რომ ამ საქმეში მთავარ როლს ამერიკელები ასრულებდნენ. „რა საოცარი დამთხვევაა! სწორედ ამერიკელები უდგანან სათავეში ახლანდელ გამოძიებას". საუბარია ამერიკელ პროკურორ ჯონ კლინტ უილიამსონზე. სწორედ მის განკარგულებაში აღმოჩნდა მთელი შეგროვებული მასალა, მათ შორის კოსოვოს განმათავისუფლებელი არმიის ხელმძღვანელობის 1998-1999 ომის პერიოდის სამუშაო ჟურნალებიც. ამ ჟურნალებში არის ისეთი ჩანაწერებიც, როგორიცაა: „შეპყრობილია ხანდაზმული სერბი ქალი, ინტერესს არ წარმოადგენს".

## «ფაქტები პირდაპირ მიანიშნებენ ჩადენილ დანაშაულებებში კოსოვოს ზოგიერთი ამჟამინდელი ხელმძღვანელის მონაწილეობაზე»

**საინტერესოა აშშ-ისა და ევროკავშირის ქვეყნების გამომძიებლების მიერ მოხმობილი მოწმეების ჩამონათვალიც. მთავარი მათ შორის კანადელი რაულ ფაინია, რომელსაც 2008 წელს პრიშტინას კლინიკა „მედიკუსში" პირადად ჩაუტარდა ოპერაცია. ბრალდებამ მოახერხა მისი ჩვენების საქმესთან დაკავშირება, იმ უამრავი ადგილობრივი მცხოვრებისაგან განსხვავებით, რომელთაც უკვე განაცხადეს უარი საკუთარ ჩვენებებზე ან სულაც უკვალოდ გაქრნენ.** რაულს რომ რაიმე ამდაგვარი არ დაემართოს, უფლება დართეს, კანადიდან ვიდეოკავშირის საშუალებით მიეცა ჩვენება.

კანადელი, რომელსაც თირკმლის სასწრაფოდ გადანერგვა სჭირდებოდა, აცხადებს, რომ მან პირველადი მოლაპარაკებები აწარმოა ისრაელელ შუამავალთან, რომელმაც კლინიკა „მედიკუსის" ხელმძღვანელობასთან დააკავშირა. თირკმლის გადანერგვის ღირებულება 87 ათასი ევროთი განისაზღვრა. ფაინმა ფული ისრაელელი შუამავლის — მოშე ხარელის ანგარიშზე გადაიხადა და ამის შემდეგ სტამბოლში გადაჯდომით პრიშტინაში ჩაფრინდა. იქ იგი ერთ-ერთმა მთავარმა ბრალდებულმა იუსუფ სონმეზემ გასინჯა. ამის შემდეგ კანადელი მეორე „რეციპიენტთან", გერმანიის მოქალაქესთან ერთად მოათავსეს კლინიკაში, სადაც ჩაუტარდა კიდეც თირკმლის გადანერგვის ოპერაცია. ამასთან, ბრალდების მტკიცებით, კანადელისა და გერმანელის დონორები დსთ-ს ქვეყნების მკვიდრი ქალები იყვნენ. მასმედიაში გაჟონილი ინფორმაციის თანახმად, ამ ორიდან ერთ-ერთი რუსეთის შორეული აღმოსავლეთის მკვიდრი, ვინმე ანა რუსალენკო იყო. გამოძიების ინფორმაციით, სწორედ მისი თირკმელი გადაუნერგეს კანადელს, მაგრამ დაპირებული 20 ათასი ევრო თირკმლის სანაცვლოდ ანას არ მიუღია.

თანხვედრ ინფორმაციას შეიცავს მეორე საერთაშორისო მოწმის, ნიუ-იორკელი მენეჯერის ჟოზეფ კორალაშვილის მიერ მიცემული ჩვენება. იგი 2008 წლის ოქტომბერში თან ახლდა კოსოვოში მამას, რომელსაც თირკმლის გადანერგვა ესაჭიროებოდა. ამ მოწმის უსაფრთხოებას უშუალოდ გამოძიების ფედერალური ბიურო უზრუნველყოფს, მაგრამ მისი ჩვენებაც ცალსახად ადასტურებს ევროკავშირის ოფიციალურ ვერსიას. კორალაშვილის თქმით, პრიშტინაში მისი ექვსდღიანი ყოფნისას არც ერთ ადგილობრივ ექიმს საკუთარი სახელი არ გაუმხელია და მას წარმოდგენა არ ჰქონდა მამამისისთვის გადანერგილი თირკმლის წარმომავლობაზე.

ფაინისა და კორალაშვილის ჩვენებები ადასტურებს „შავი ტრანსპლანტოლოგების" ქმედებათა მაღალი დონის საერთაშორისო კოორდინირებას, მაგრამ საქმეში სიტყვაც არაა ნათქვამი იმ მთავარზე, რომ დამნაშავეობრივ ბიზნესში ჩართული იყო კოსოვოს ხელმძღვანელობა, პრემიერ ხაშიმ ტაჩის მეთაურობით. წარმოუდგენელია, შეუმჩნეველი დარჩეს, რომ გამოძიების საერთაშორისო კურატორები ევროკავშირის წარმომადგენლების სახით ცდილობენ, როგორმე დარტყმა ააცილონ „შავი ტრანსპლანტოლოგიის" საქმის მთავარ ფიგურანტებს.

**ყოფილი იუგოსლავიისთვის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის ყოფილმა მთავარმა პროკურორმა კარლა დელ პონტემ მოაგროვა მასალები, რომლებშიც ნათქვამია, რომ 1990-იანი წლების დასასრულს კოსოვოდან ალბანეთში ასობით სერბი გადაიყვანეს ორგანოების იძულებით ამოკვეთის მიზნით. დასახელებულია ამ ბიზნესთან დაკავშირებული კონკრეტული პირებიც — იმჟამად კოსოვოს განმათავისუფლებელი არმიის ხელმძღვანელობა და პირადად ახლანდელი პრემიერი ხაშიმ ტაჩი.**

ევროკავშირის წარმომადგენლებმა ეს მონაცემები ამჟამინდელი გამოძიების ფარგლებს გარეთ დატოვეს და საქმე მტკიცებულებების არქონას კი არა, დასავლეთის სურვილის არქონას ეხება. მათ არ სურთ, საფრთხის ქვეშ დააყენონ კოსოვოს კრიზისის უკვე შექმნილი სურათი, რომელშიც ალბანელებისთვის მსხვერპლთა როლია განკუთვნილი, სერბებისათვის კი — აგრესორებისა და დამნაშავეების. სწორედ ეს დამახინჯებული რეალობა გახდა ნატოს ავიაციის მიერ იუგოსლავიის დაბომბვის გამართლება 1999 წელს და შემდგომში აშშ-სა და ევროკავშირის წამყვანი ქვეყნების მიერ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებისაც. შემთხვევითი არც ისაა, რომ თავად პონტემ თავისი მონაცემები 2000-იანი წლების დასაწყისში კი არა, მხოლოდ 2008 წლის აპრილში გამოაქვეყნა, მას შემდეგ, რაც დასავლეთმა უკვე აღიარა კოსოვოს დამოუკიდებლობა. საშინელი დანაშაულებების შესახებ სიმართლე უფრო ადრე რომ გამხდარიყო ცნობილი, დასავლეთის საზოგადოებას შესაძლოა არც დაეშვა მსგავსი აღიარება. დღესაც ევროკავშირის ეგიდით მიმდინარე გამოძიება ანალოგიურ წინააღმდეგობებს აწყდება, ამიტომაც, სავარაუდოდ, სასამართლო თურქი ექიმისათვის განაჩენის გამოტანით შემოიფარგლება, სერბ მსხვერპლთა შესახებ ყველა ინფორმაცია კი გაქრება.

**ახლახან მიცემულ ინტერვიუში თავად კარლა დელ პონტემ განაცხადა, რომ გამოძიებას პოლიტიკური ნება არ ჰყოფნის და რომ საერთაშორისო საზოგადოებას არ სურს ამ დანაშაულობათა შესახებ სიმართლის გაგება. ფრანგული ტელეარხის მიერ ახლახან გამოქვეყნებულ დოკუმენტებში ჩანს, რომ გაეროს მაღალჩინოსნებმა ჯერ კიდევ 2003 წელს იცოდნენ „შავი ტრანსპლანტოლოგიის" შესახებ და მასთან კოსოვოს განმათავისუფლებელი არმიის ხელმძღვანელობის კავშირის თაობაზეც.**

სერბეთში ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ უახლოეს მომავალში ქვეყნის პრეზიდენტი ბორის თადიჩი კოსოვოს პრემიერ ხაშიმ ტაჩის პირისპირ შეხვდება. ამ უკანასკნელმა რამდენიმე დღის წინ ინტერვიუში განაცხადა, რომ ის და თადიჩი, როგორც ორი ლიდერი, ვალდებულნი არიან, ხელი გაუწოდონ ერთმანეთს. იმის გათვალისწინებით, რომ მარტში სერბეთმა ევროკავშირს პრიშტინასთან ურთიერთობების ნორმალიზაცია უნდა უპატაკოს, ამგვარი ხელის ჩამორთმევა სავსებით შესაძლებელია. **კოსოვოელი „შავი ტრანსპლანტოლოგების" დანაშაულისათვის ვიღაც თურქისა და ისრაელელის დასჯა, კოსოვოს ალბანელი ლიდერების დანაშაულის მესამე რანგის ჩინოვნიკების დონემდე დაყვანა, ამავე დროს ტაჩისა და თადიჩის ერთ მაგიდასთან დასმა კოსოვოს საკითხის ის „საბოლოო გადაწყვეტაა", რომელზეც „ახალი მსოფლიო წესრიგის" არქიტექტორები ვერც კი იოცნებებდნენ.**

fondsk.ru

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ახლახან ნიკოლა სარკოზიმ თავის ვიზიტს ლიბიაში „საგარეო პოლიტიკის ყველაზე ამაღელვებელი მომენტი“ უწოდა, საიდანაც მას „თავისუფლების ატმოსფერო, გახარებული სახეები და საფრანგეთისადმი ლიბიელი ხალხის მადლიერება“ დაამახსოვრდა. „კადაფის სისხლიანი დიქტატურის“ კრახის შემდეგ ლიბიაში მართლაც დადგა ადგილობრივი თვითმმართველობის სრული ტრიუმფი, მაგრამ ქვეყანა, რომელიც არაბული სამყაროს ლიდერის პოზიციაზე იდგა, ახალ ავღანეთად იქცა.

# სირია არ ნებდება

**დასავლეთის ქვეყნებისა და სპარსეთის ყურის მონარქიების მიზანი ასადის რეჟიმის დამხობაა და არა სირიაში ძალადობის შეწყვეტა. თუ მათი გეგმა შესრულდება, სირიას, დემოკრატიული აყვავების ნაცვლად, ლიბიის სცენარის შესაბამისი ანარქია და ეკონომიკური კოლაფსი ელის.**





ბრძოლა სირიისათვის — სწორედ ამ ტერმინით მოიხსენიებენ დასავლური და არაბული მასმედია დამასკოში განვითარებულ მოვლენებს. დასავლეთი და სპარსეთის ყურის ქვეყნები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ არაბული გაზაფხულის ნიღბით ბაშარ ასადის რეჟიმი ჩამოაგდონ და აქ არაფერ შუაშია სირიელი ხალხის დიქტატორისაგან დაცვის სურვილი — სირია პაიკად იქცა დასავლეთსა და ირანს შორის გაჩაღებულ თამაშში. ირანული ექსპანსიის მრავალი წლის მანძილზე პირველად დასავლეთმა და რეგიონში მისმა მოკავშირე სპარსეთის ყურის მონარქიებმა მიიღეს შესაძლებლობა, არა მხოლოდ სერიოზული ზიანი მიაყენონ თეირანის ინტერესებს, არამედ ქვეყანა იმ პოზიციებზე დააბრუნონ, რომელზეც სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობამდე იყო. ამ მცდელობებს უპირისპირდებიან რუსეთი და ჩინეთი, რომელთაც არ სურთ, ახლო აღმოსავლეთში მოკავშირე დაკარგონ და სრულმასშტაბიანი რეგიონული ომის წინაშე აღმოჩნდნენ (ანალიტიკოსების უმეტესობა მიიჩნევს, რომ ირანი სირიას ომის გარეშე არ დათმობს).

**სირიაში მიმდინარე მოვლენები მხოლოდ ერთი ან ორი ქვეყნისთვის ბრძოლა არაა. მისი შედეგი განსაზღვრავს მთელი რეგიონის სახეს. ბედის ირონიით, ბაშარ ასადის რეჟიმი, რომელსაც დემოკრატიულს ვერ უწოდებ, ახლო აღმოსავლეთის ერთადერთი იმედია ელიტური ლიბერალური სახელმწიფოების შესაქმნელად.**

ახლანდელი არაბული სახელმწიფო პროექტი არის ნაციონალური იდეოლოგიის სახით პანარაბული იდეების მქადაგებელი ნასერას სტილის ბელადური ავტორიტარული სახელმწიფო, რომელიც, ფაქტობრივად, აგონიაშია. ამ პროექტის აპოთეოზად იქცა მისი რეალიზების შედარებით წარმატებული (ეკონომიკური თვალსაზრისით) ვარიანტის მოამარ კადაფის რეჟიმის განადგურება. მაგრამ იმ ქვეყნებში, რომელთაც „არაბული გაზაფხული“ მოიხადეს, ბელადური პროექტების ჩანაცვლება ლიბერალურით არსად არ მომხდარა. ტუნისსა და ეგვიპტეში ხელისუფლება ისლამისტებმა ჩაიგდეს ხელში, თანაც ეგვიპტეში ისინი იმდენად რადიკალურები აღმოჩნდნენ, რომ სახელმწიფო, შესაძლოა, მალე საუდის არაბეთის მსგავს ისლამურ სახელმწიფოდ იქცეს, ოღონდ ნავთობის გარეშე. „არაბული გაზაფხულის“ ორი სხვა მსხვერპლი — იემენი და ლიბია — ანარქიაშია ჩაფლული. და თუ იემენისათვის ეს მეტ-ნაკლებად ჩვეული მდგომარეობაა (ქვეყანა უკვე რამდენიმე ათწლეულია, პერმანენტული სამოქალაქო ომის პირობებში ცხოვრობს), ლიბიის მოსახლეობისათვის ეს ნამდვილ კატასტროფად იქცა, რომლის გაცნობიერებას ესესაა იწყებს. ახლა ქვეყანას წლები სჭირდება, ათწლეულები თუ არა, რომ თუნდაც კადაფის დროინდელ ცხოვრების დონეს დაუბრუნდეს.

**ამ სიტუაციაში ბაშარ ასადის რეჟიმი რჩება უკანასკნელ შესაძლებლობად, რომ ახლო აღმოსავლეთში ერთგვარი ლიბერალური შუქურა შეიქმნას — პრეზიდენტმა უკვე აიღო კურსი სახელმწიფოს ლიბერალიზაციაზე. მან გააუქმა საგანგებო მდგომარეობის რეჟიმი, გამოხატა მზაობა ოპოზიციასთან დიალოგისათვის, პირობა დადო, რომ მაისში ჩაატარებს პარლამენტის თავისუფალ არჩევნებს. მაგრამ თავად ოპოზიციაც და მისი საზღვარგარეთელი სპონსორებიც უარს აცხადებენ კომპრომისის ნებისმიერ ფორმაზე და ცალსახად აქვთ კურსი აღებული სირიის რეჟიმის ლიკვიდაციისაკენ.**

„სირიისათვის ბრძოლის“ ერთერთი მთავარი ეტაპი გაეროს კედლებში, უშიშროების საბჭოს სხდომაზე შედგა. უკიდურესად ხისტი რეზოლუციის პროექტის კენჭისყრა, ისევე, როგორც პროექტის განხილვა, ისეთი სკანდალის თანხლებით მიმდინარეობდა, რომ მსგავსი რამ გაეროს უშიშროების საბჭოს ირანული კამპანიის დროიდან არ ახსოვს.

სკანდალის ინიციატორი ამ რეზოლუციის მხარდამჭერთა ჯგუფი იყო დასავლეთის ქვეყნებისა და სპარსეთის ყურის მონარქიების წარმომადგენელთა შემადგენლობით. როდესაც ყველასათვის ნათელი გახდა, რომ რუსეთი და ჩინეთი რეზოლუციას მხარს არ დაუჭერენ (მსგავს შემთხვევაში გაეროს უშიშროების საბჭოს დაუწერელი კანონების თანახმად, პროექტს კენჭისყრაზე არც აყენებენ), ასადის მოწინააღმდეგეებმა მასობრივი საინფორმაციო კამპანია წამოიწყეს. ეკრანებზე სირიის ქალაქების ქუჩებში დაყრილი მშვიდობიანი მოსახლეობის დასისხლიანებული გვამები ჩანდა, მსოფლიო პრესა სავსე იყო გადარჩენილი თვითმხილველების მონათხრობებით სირიის არმიის მიერ ჩადენილი სისასტიკისა და მხეცობის შესახებ, მათი სახლების დამანგრეველი ბომბებისა და რაკეტების შესახებ. უფლებადამცველი ორგანიზაციები ირწმუნებოდნენ, რომ სირიის სპეცსამსახურები მასობრივად იტაცებდნენ მშვიდობიან სირიელებს.

მაგრამ **მას შემდეგ, რაც მსოფლიომ დაინახა, თუ რა მოჰყვა მსგავს კამპანიას ლიბიაში, მას, ისევე, როგორც „ალ-ჯაზირას“ სისხლიან კადრებს, დიდად აღარავინ ენდობა.**

**სირიაში მიმდინარე მოვლენები მხოლოდ ერთი ან ორი ქვეყნისთვის ბრძოლა არაა. მისი შედეგი განსაზღვრავს მთელი რეგიონის სახეს**

ნდობა დაკარგეს ამ კამპანიის მიერ მოშველიებულმა ინფორმაციის წყაროებმაც. **რეზოლუციის განხილვის წინა დღეებში „ალ-ჯაზირა“ ირწმუნებოდა, რომ ქალაქ ხომსის ერთ-ერთი მკვიდრის თქმით, ქალაქი იბომბებოდა და მსხვერპლი რამდენიმე ათეულს აღწევდა. გაეროში სირიის წარმომადგენელმა დაბომბვის ფაქტი უბრალო ლოგიკით უარყო — არ არსებობს ქვეყანა, რომელიც მის წინააღმდეგ რეზოლუციის განხილვის მომენტში საკუთარ ქალაქებს დაბომბავს.**

მაგრამ სირიის ოპოზიციის ადვოკატებმა უარი განაცხადეს არა მხოლოდ ლოგიკის, არამედ ციფრების გათვალისწინებაზეც. **სირიის ხელისუფლების მონაცემებით, არეულობების დროს ორი ათასი ძალოვანი დაიღუპა**. თუ დავუჯერებთ მშვიდობიან მოსახლეობას შორის დაღუპულთა რაოდენობის შესახებ ოპოზიციის მონაცემებს, მათი რიცხვი დაახლოებით შვიდი ათასია, გაეროს მონაცემებით კი — მხოლოდ დეკემბრამდე 5,4 ათასი. გამოდის, რომ საუბარია არა დაუცველი მშვიდობიანი მოსახლეობის ხოცვაზე, არამედ კონტრპარტიზანულ ქმედებებზე.

საბოლოო ჯამში, როგორც ცნობილია, თებერვლის დასაწყისში რუსეთმა და ჩინეთმა გაეროს უშიშროების საბჭოში სირიასთან დაკავშირებულ რეზოლუციას ვეტო დაადეს, რის შემდეგაც ორივე სახელმწიფო შეურაცხყოფის ზღვარზე მდგომი კრიტიკის ობიექტი გახდა იმ ქვეყნების მხრიდან, რომლებთან გამკლავებაც არც ისე ადვილია. **„სიძულვილს იწვევს ის, რომ საბჭოს ორიოდე წევრი განაგრძობს ჩვენთვის ხელის შეშლას ჩვენი ერთადერთი მიზნის განხორციელებაში — შევუდგეთ სულ უფრო გაღრმავებადი კრიზისის დარეგულირებას სირიაში და რეგიონში მშვიდობისათვის მზარდ საფრთხესთან გამკლავებას“,** — განაცხადა გაეროში აშშ-ის მუდმივმა წარმომადგენელმა სიუზან რაისმა. მისივე თქმით, **რუსეთმა და ჩინეთმა უშიშროების საბჭო თავიანთი ინტერესების მძევლად აქციეს.**

და თუ ჩინელებმა გვერდზე გადგომა და მუშტების ქნევაში ჩაურევლობა აირჩიეს, რუსეთი მაინც შეეცაა, მსოფლიო საზოგადოებისათვის ადეკვატურად გაეცნო თავისი პოზიცია. რუსი დიპლომატების აზრით, რეზოლუციის პროექტი ცალმხრივი იყო და მასში მოთხოვნები მხოლოდ ბაშარ ასადის რეჟიმის წინაშე იდგა. **„ჩვენ შევთავაზეთ, ჩვენი აზრით, სავსებით ბუნებრივი დამატება — შეჩერებულიყო ძალადობა შეიარაღებული ძალების მხრიდან, მათ მიერ ქალაქების კვარტლების მიტაცება, რაც რეალურად ხდება და რაც ჩვენ ყველამ ვიცით“,** — განმარტა რუსეთის პოზიცია ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა. მისი თქმით, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოვიდოდა, რომ გაეროს უშიშროების საბჭო სამოქალაქო ომში ერთ მხარეს ერთვება. რუსეთი არ დაეთანხმა ტექსტში შესაძლო ინტერვენციისათვის დატოვებულ ფანჯრებსაც. სირიას მდგომარეობის შესაცვლელად 21-დღიანი ვადა ეძლეოდა, ამის შემდეგ კი „სხვა ზომების“ გატარება ელოდა. ამ ზომების შინაარსი ტექსტში განმარტებული არ იყო. და მიუხედავად არაბულ სახელმწიფოთა ლიგის გენერალური მდივნის — ნაილ ალ-არაბის, ყურის მონარქიებისა და დასავლეთის ქვეყნების წარმომადგენლების ფიცისა, რომ არ განმეორდებოდა ლიბიის სცენარი, მოსკოვმა და პეკინმა მაინც გადაწყვიტეს, იარაღი არ შეენახათ.

სირიის ოპოზიციის ადვოკატების უარი, რეზოლუციაში ეს თითქოსდა ლოგიკური შესწორებები შეეტანათ, მოსკოვის აზრით, იმის ერთ-ერთი მტკიცებულებაა, რომ ასადის მოწინააღმდეგეებს კონფლიქტის დარეგულირება საერთოდაც არ ადარდებთ. **„საერთაშორისო საზოგადოების ზოგიერთი გავლენიანი წევრი, მათ შორის ამ მაგიდასთან მჯდომიც, სირიის კრიზისის დაწყებიდანვე ეწინააღმდეგებოდა პოლიტიკური დარეგულირების შესაძლებლობას და მოუწოდებდა რეჟიმის შეცვლისაკენ“,** — განაცხადა სხდომაზე გაეროში რუსეთის წარმომადგენელმა ვიტალი ჩურკინმა. მოლაპარაკებებისთვის მზად არაა ოპოზიციაც — რუსეთმა არაერთხელ შესთავაზა მას ასადის წარმომადგენლებთან შეხვედრის ორგანიზება, მაგრამ უარი მიიღო. ▶





**იანვრის შუა რიცხვებში ქვეყანაში, როგორც იქნა, დასრულდა სამსაფეხურიანი არჩევნები და მისმა შედეგებმა ნათლად დაადასტურა ეგვიპტელი ხალხის მისწრაფებები: ტოტალური გამარჯვება ისლამისტურმა პარტიებმა მოიპოვეს. პირველ ადგილზე ეგვიპტური საზომებით ზომიერი „ძმები მუსლიმანები“ არიან. თავისუფლებისა და სამართლიანობის პარტიის ნიღბით ამ გაერთიანებამ პარლამენტში 498 ადგილიდან 235 მოიპოვა. მეორე ადგილზე ისაა, ვისაც ეგვიპტეში რადიკალურს უწოდებენ — სალაფიტებმა პარლამენტში 127 ადგილი დაიკავეს.**

## მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ერთი შეხედვით ასადის მოწინააღმდეგეთა პოზიცია არალოგიკურია — ახლა დრო პრეზიდენტის მხარესაა. სირიის არმია მეთოდურად ანადგურებს ბოევიკების ბაზებს. ანალიტიკოსები არ გამორიცხავდნენ, რომ ოპოზიციის წარმომადგენელთა გაჯიუტება უცხოელი ადვოკატებისადმი რწმენითაა განპირობებული. ისინი გააძლიერებდნენ ასადზე ზეწოლას და მოღვაწეობას ორი მიმართულებით (სანქციების გაძლიერება და ბოევიკების პირდაპირი მხარდაჭერა) წარმართავდნენ.

**სირია ისედაც მძიმე სანქციების ქვეშ იყო ევროკავშირისა და არაბულ სახელმწიფოთა ლიგის მხრიდან, რამაც ქვეყნის ისედაც არც თუ ისე ძლიერ ეკონომიკაში დიდი ხვრელი გააჩინა. 2011 წლის დასასრულის მდგომარეობით, უმუშევრობა ქვეყანაში 22%-ით გაიზარდა, ტურისტული სექტორი, რომელსაც ქვეყნისათვის წელიწადში დაახლოებით 6 მილიარდი დოლარი მოჰქონდა, პრაქტიკულად გაქრა, სასტუმროებში შევსებადობა დაახლოებით 15%-მდე დაეცა. კერძო ბანკებში სახსრების მოცულობა 20%-ით შემცირდა, სერიოზული ზარალი იწვნია ნავთობის დარგმაც. მოთხოვნილების არარსებობისა და ნედლი ნავთობის თუ ნავთობპროდუქტების ექსპორტირების შეუძლებლობის გამო (კომპანიებმა შეწყვიტეს სირიაში ოპერაციები) ნავთობის მოპოვების მოცულობა, ქვეყნის ნავთობის სამინისტროს მონაცემებით, ჩვეული ყოველდღიური 368 ათასიდან 270 ათასამდე დაეცა და 2011 წლის სექტემბრიდან 2012 წლის იანვრის ბოლომდე ქვეყანამ ორი მილიარდი დოლარი დაკარგა.**

ხელისუფლება, ცხადია, ცდილობს დაამტკიცოს, რომ სიტუაცია სულაც არაა ესოდენ კრიტიკული. „ჩვენ არ გვეშინია, რომ ჩვენი მოსახლეობა იშიმშილებს ან გაიყინება. სანქციები, ცხადია, ზიანს მიაყენებს სირიის მოსახლეობას, მაგრამ ჩვენ მივეჩვიეთ ამგვარ ზეწოლას“, — განაცხადა სირიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვალიდ მუალემ. ახლა სირიის საცავებში ხორბლის ორი წლის მარაგია, არის პირველადი მოხმარების საქონლის საკმაო მარაგიც. მოხუცი სირიელები, რომლებმაც ხაფეზ ასადის დროინდელი სანქციები გამოიარეს, ამბობენ, რომ მათ დღესაც შეუძლიათ მაშინდელივით ყველაფრისთვის, მათ შორის ტუალეტის ქაღალდისთვისაც კი, იორდანიის საზღვარზე იარონ. ახალგაზრდობისთვის კი ეს რთული წარმოსადგენია. სიტუაცია სერიოზულ სირთულეებს უქმნის ადგილობრივ ბიზნესმენებს. **დასავლეთში სჯერათ, რომ სანქციების გაძლიერების შემთხვევაში ასადის ერთ-ერთი დასაყრდენი — ადგილობრივი ბიზნესი — პრეზიდენტის მხარდაჭერაზე უარს განაცხადებს.** ამ მომენტის დასაჩქარებლად ახალი სანქციები უკვე მზადაა. ახალი სანქციების მისაღებად ემზადება ევროკავშირიც. მასში შევა სირიის ცენტრალური ბანკისათვის საერთაშორისო ტრანზაქციების აკრძალვა და სავაჭრო ემბარგო. ცხადია, ამ სანქციებს აშშ-ც შეუერთდება. **„მას შემდეგ, რაც უშიშროების საბჭო კასტრირებულ იქნა, ჩვენ მოგვიწევს გავაორმაგოთ ძალისხმევა გაეროს საზღვრებს გარეთ და ვიმუშაოთ იმ მოკავშირეებსა და პარტნიორებთან ერთად, რომლებიც მხარს უჭერენ სირიელი ხალხის უკეთეს მომავალს“,** — განაცხადა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა.

მოქმედებათა უკეთ კოორდინაციისათვის საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ „სირიის მეგობართა ჯგუფის“ შექმნის ინიციატივა წამოაყენა. **„ამ ჯგუფის მიზანი იქნება სირიაში ხელისუფლების გადაბარების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული არაბულ სახელმწიფოთა ლიგის ინიციატივის რეალიზაცია და დამასკოს ამჟამინდელ რეჟიმზე შემდგომი ზეწოლის განხორციელება“,** — განმარტა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ალენ ჟიუპემ. ამასთან, ჯგუფის დასახელებაც არაა დიდად წარმატებული ვარიანტი — ექსპერტებს უმალ გაუჩნდათ ანალოგიის შეგრძნება აბსოლუტურად არაერთმნიშვნელოვან „ლიბიის მეგობართა ჯგუფთან“. თავიდან ამ ორგანიზაციას „ლიბიის საკონტაქტო ჯგუფი“ ერქვა და ბომბავდა ქვეყნის ქალაქებს, ომის შემდეგ კი სახელწოდება შეიცვალა და აქტიურად ჩაერთო ლიბიის ნავთობსაგაზო აქციების გაყოფაში.

**სავარაუდოდ, „სირიის მეგობართა ჯგუფი“ მხოლოდ სანქციების გაძლიერებით არ იქნება დაკავებული, ის პირდაპირ დაუჭერს მხარს მებრძოლ ბოევიკებს. ეს მხარდაჭერა უკვე სახეზეა. ყურის მონარქიები (უპირველეს ყოვლისა, საუდის არაბეთი და ყატარი) იარაღითა და ფულით ამარაგებენ ოპოზიციას.**

თავად სირიელ ბოევიკებს ადგილებზე უკვე ფრანგი და ბრიტანელი ინსტრუქტორები წვრთნიან. ისრაელის მასმედიის ცნობების თანახმად, მათ შეუერთდა ყატარის სპეცრაზმიც, რომელიც მშვენივრად ართმევდა თავს არა მხოლოდ ბოევიკების გაწვრთნის საქმეს, არამედ ტრიპოლში მოამარ კადაფის რეზიდენციის აღებაშიც გარკვეული როლი შეასრულა. სამხედრო მოსამსახურეთა შორის მხოლოდ იანვარში მსხვერპლი შემთხვევით არ გაორმაგებულა, სამართალდამცავებისა კი გასამმაგდა.

ანალიტიკოსები ამბობენ, რომ ეს ამბავი მხოლოდ ლოგისტიკური დახმარებით არ დამთავრდება. აშშ-ში ახლახან ბოლო ათი წლის მანძილზე უდიდესი სამხედრო სწავლებები გაიმართა საზღვაო დესანტის გადასმისას საბრძოლო მოქმედებების დამუშავების მიზნით. ამ წვრთნებში, ამერიკელი ჯარისკაცების გარდა, მონაწილეობდნენ ფრანგული უცხოური ლეგიონის მეომრებიც. სიენენი იტყობინებოდა, რომ პენტაგონმა სირიის ოპერაციის წინასწარი დაგეგმვა დაიწყო. ამბობენ, რომ სირიის საზღვართან ახლოს მდებარე თურქულ აეროპორტებში ლიბიელი მოხალისეებით სავსე თვითმფრინავები ეშვებიან. კადაფის ჩამოგდების ოპერაციისას დასავლეთის ქვეყნებმა და ყატარმა იქაურებთან სამუშაო ურთიერთობები გააბეს.



**ის, რაც ახლა ეგვიპტესა და ლიბიაში ხდება, ასადის დამხობის შემდეგ უკეთესი ცხოვრების შესახებ დასავლური დაპირებების შეუსრულებლობის ყველაზე ნათელი დადასტურებაა**

**ამავე დროს არაბულ სახელმწიფოთა ლიგა ცალსახა საბოტაჟს უწყობს კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების ყველა შესაძლებლობას. მიუხედავად იმისა, რომ დამასკომ ოფიციალურად განაცხადა თანხმობა კიდევ ერთი თვით გაუგრძელოს მანდატი დამკვირვებლებს, ლიგის გენერალური მდივნის, ნაილ ალ-არაბის პირადი გადაწყვეტილებით, მისია შეწყვეტილ იქნა. ანალიტიკოსები ამას მისიის ხელმძღვანელის, სუდანელი გენერლის — მუჰამედ ახმედ მუსტაფას გადამეტებულად „პროსირიულ“ მოხსენებას უკავშირებენ.** კერძოდ, მან სირიული მოვლენები დაახასიათა არა როგორც „ასადის რეჟიმის წინააღმდეგ საერთო სახალხო ამბოხი“, არამედ როგორც „შეიარაღებული ფორმირებების ოპერაცია“. სერგეი ლავროვისა და საგარეო დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელის — მიხაილ ფრადკოვის დამასკოში ვიზიტს კი თავიდანვე შეაბეს „უსარგებლოს“ და „მავნებელის“ იარლიყიც კი. ლონდონში ბაზირებულმა არაბულმა გაზეთმა „აშ-შარკ ალ-აუსატმა“ დაწერა, რომ ფრადკოვმა ბაშარ ასადს საჩუქრად ჩაუტანა თანამგზავრიდან გადაღებული ფოტოები, რომლებზეც სირიის რაიონები ოპოზიციური ძალების დისლოკაციითაა ასახული. დიალოგისათვის უკანასკნელი კარი 7 თებერვალს დაიხურა, როდესაც სპარსეთის ყურის ქვეყნების თანამშრომლობის საბჭოს ექვსივე ქვეყანამ სირიიდან თავიანთი ელჩები გაიწვია. იმავე დღეს ამ მაგალითს ევროპის წამყვანმა ქვეყნებმა მიბაძეს — ესპანეთის, საფრანგეთის, გერმანიის, იტალიისა და ნიდერლანდების ელჩებმა ქვეყანა დატოვეს, აშშ-ს დიპლომატიური კორპუსი კი ქვეყნიდან უფრო ადრე წავიდა.

მიუხედავად ხანგრძლივი სანქციებისა და ოპოზიციის მრავალმილიონიანი დაფინანსებისა, სირიის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ამ დრომდე ლოიალურია ბაშარ ასადის რეჟიმის მიმართ. ყველას ესმის, რომ ასადი იდეალური არაა, მაგრამ მისი რეჟიმი ბევრად ჯობია იმას, რაც ეგვიპტესა და ლიბიაში მსგავსი რევოლუციების შემდეგ შეიქმნა. **ის, რაც ახლა ამ ქვეყნებში ხდება, ასადის დამხობის შემდეგ უკეთესი ცხოვრების შესახებ დასავლური დაპირებების შეუსრულებლობის ყველაზე ნათელი დადასტურებაა.**

ახლახან ნიკოლა სარკოზიმ თავის ვიზიტს ლიბიაში „საგარეო პოლიტიკის ყველაზე ამაღელვებელი მომენტი“ უწოდა, საიდანაც მას „თავისუფლების ატმოსფერო, გახარებული სახეები და საფრანგეთისადმი ლიბიელი ხალხის მადლიერება“ დაამახსოვრდა. „კადაფის სისხლიანი დიქტატურის“ კრახის შემდეგ ლიბიაში მართლაც დადგა ადგილობრივი თვითმმართველობის სრული ტრიუმფი, მაგრამ ქვეყანა, რომელიც არაბული სამყაროს ლიდერის პოზიციაზე იდგა, ახალ ავღანეთად იქცა.

როგორც ექსპერტები წინასწარ ვარაუდობდნენ, კადაფის მკვლელობით გაწყდა ის უკანასკნელი ძაფი, რომელიც ყველანაირ ჯგუფს აერთიანებდა. რევოლუციური ბრიგადების საველე მეთაურები უარს აცხადებენ თავიანთი რაზმების დათხოვნასა და იარაღის ჩაბარებაზე, საუბარიც აღარაა მათი ჯარების დედაქალაქიდან გაყვანაზე. ტრიპოლი გავლენის სფეროებად დაინაწილეს ბოევიკთა დაჯგუფებებმა, რომელთა შორისაც მუდმივად ხდება საბრძოლო შეტაკებები. ამ შეტაკებების დროს არც თუ იშვიათად საზენიტო დანადგარებსა და მსხვილკალიბრიან ტყვიამფრქვევებსაც იყენებენ. ახალი შინაგან საქმეთა სამინისტრო ასეთ შემთხვევებში საქმეში ჩარევით თავს არ იტკიებს და მხარეებისადმი სიტყვიერი მოწოდებებით შემოიფარგლება. მაგრამ საერთაშორისო უფლებადამცველები ირწმუნებიან, რომ ის, რაც დედაქალაქში ხდება, არაფერია რეგიონებთან შედარებით. ზოგიერთი მათგანი საერთოდაც აცხადებს, რომ საკუთარ მიწაზე თავადაა ბატონ-პატრონი და „დედაქალაქის დიქტატს“ აღარ დაემორჩილება.

**რაც შეეხება ადამიანის უფლებებს, კადაფის დროს ამ მხრივ საქმე ბევრად უკეთესად იყო. გაეროს მონაცემებით ახლა ლიბიაში სამოცამდე კერძო ციხეა, რომლებშიც პოლკოვნიკის რვა ათასამდე მხარდამჭერია დამწყვდეული. გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის, ნავი პილაის განცხადებით, იქ შექმნილია მდგომარეობა, რომლის დროსაც შესაძლებელია დაკავებულებთან სასტიკი მოპყრობა და მათი წამება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ პატიმრებს მუდმივად აწამებენ, შემდეგ კი სამკურნალოდ აგზავნიან.** როგორც ორგანიზაციამ „ექიმები საზღვრებს გარეშე“ განაცხადა, ამ პატიმრებს სამკურნალოდ იმიტომ გზავნიან, რომ ახალ დაკითხვებს და შესაბამისად წამების ახალ ციკლს გაუძლონ. მხოლოდ ამ ორგანიზაციამ, სულ მცირე, 115 ამგვარ პაციენტს გაუწია დახმარება. წამებით მოკლულთა შორის არის ჯამახირიის ყოფილი ელჩი საფრანგეთში ომარ ბრებეში. მისი ცხედრის გაკვეთის შედეგად გამოვლინდა, რომ ბრებეშს, რომელიც ოპოზიციური ძალების მიერ შეპყრობიდან ერთ დღე-ღამეში გარდაიცვალა, ნეკნები დაუმტვრიეს, ფრჩხილები დააძრეს და მათრახით სცემდნენ.

რაც შეეხება ეგვიპტეს, რევოლუციამ ეს ქვეყანა ნამდვილად გახადა დემოკრატიული, მაგრამ გაირკვა, რომ „ხალხის მმართველობა“ ეგვიპტურ ვარიანტში მნიშვნელოვნად განსხვავდება დემოკრატიის იმ გაგებისაგან, რომელიც დასავლეთის ლიბერალურ სახელმწიფოებშია ფეხმოკიდებული.

**იანვრის შუა რიცხვებში ქვეყანაში, როგორც იქნა, დასრულდა სამსაფეხურიანი არჩევნები და მისმა შედეგებმა ნათლად დაადასტურა ეგვიპტელი ხალხის მისწრაფებები: ტოტალური გამარჯვება ისლამისტურმა პარტიებმა მოიპოვეს. პირველ ადგილზე ეგვიპტური საზომებით ზომიერი „ძმები მუსლიმანები“ არიან. თავისუფლებისა და სამართლიანობის პარტიის ნიღბით ამ გაერთიანებამ პარლამენტში 498 ადგილიდან 235 მოიპოვა. მეორე ადგილზე ისაა, ვისაც ეგვიპტეში რადიკალურს უწოდებენ — სალაფიტებმა პარლამენტში 127 ადგილი დაიკავეს.**

**რელიგიური პარტიების გამარჯვების შემდეგ ეგვიპტის ისლამიზაცია დაიწყება.** როგორც ქვეყანაში გავლენიანი ღვთისმეტყველი იუსუფ კარდავი აცხადებს, ქვეყანაში მალე ქურდობისათვის ხელებს დააჭრიან დამნაშავეებს. „ეს შარიათის კანონებია და თავად ბუნების კანონებია, — აცხადებს იგი. — მე ვთვლი, რომ პირველი ხუთი წლის მანძილზე არ უნდა იყოს ხელების მოჭრა, ეს პერიოდი შარიათის ჭეშმარიტი კანონის ქადაგებას უნდა დაეთმოს“.

„ძმები მუსლიმანები“ ხვდებიან, რომ ტურიზმი, რომელიც ქვეყნის საერთო შიდა პროდუქტის 10%-ს ავსებს, მნიშვნელოვანია და აცხადებენ, რომ ამ მიმართულებით არაფერს შეცვლიან. სალაფიტებმა კი უკვე გამოაცხადეს, რომ ქვეყნის უცხოელი სტუმრების ქცევის წესები უნდა კორექტირდეს, მაგალითად, სქესობრივი ნიშნის მიხედვით დაიყოს პლაჟები. ბიზნესმენებისთვის უკვე ყველაფერი ნათელია. მათ შეკითხვების გარეშე გააქვთ აქტივები ეგვიპტიდან. 2012 წლის იანვარში ქვეყნის ოქროს სავალუტო რეზერვების მოცულობა წინა თვის მაჩვენებელზე 1,77 მილიარდით ნაკლები იყო და 16,35 მილიარდს შეადგენდა. **მუბარაქის რეჟიმის შემდეგ ოქროს სავალუტო რეზერვის მოცულობა განახევრდა.**

სირიელთა მნიშვნელოვანი ნაწილისათვის ეგვიპტის მსგავსი ისლამური სახელმწიფო არაფრითაა ლიბიურ ანარქიაზე უკეთესი. ისინი შიშობენ, რომ ხელისუფლებაში მოსული სუნიტები, რომელთაც საუდის არაბეთიდან და ყატარიდან დააფინანსებენ, ახლოაღმოსავლური ტრადიციის შესაბამისად დაიწყებენ ნაციონალური უმცირესობების, განსაკუთრებით ირანთან ასოცირებულთა, მოსპობას, ამიტომ სირიელები მზად არიან, თავიანთი პრეზიდენტის — ბაშარ ასადის მიერ დაპირებულ რეფორმებს დაელოდონ.

expert.ru

არაპოლიტკორექტული სიმართლე
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ხრუშჩოვი როდოსს „ბერიას კაცად" მიიჩნევდა. არადა, როგორც სარეაბილიტაციო მასალებშია აღნიშნული, გამომძიებლის კარიერა როდოსმა დაიწყო მაშინ, როცა შინსახკომს სათავეში ეჟოვი ედგა. როდოსი სასამართლოს გადაეცა სკკპ ცკ პრეზიდიუმის 1956 წლის 1 თებერვალს, ანუ ზუსტად იმ დღეებში, როცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა მიმდინარეობდა. რა საჭირო იყო ასეთი აჩქარება?**





გროვერ ფერი

# 37 წლის გამოცანა

# ანტისტალინური უნამუსობა

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-6 (139-144)

## კოსიორსა და ჩუბარს როდოსი ბერიას ინსტრუქციების მიხედვით აწამებდა

**ხრუშჩოვი: „ამასწინათ, ყრილობამდე რამდენიმე დღით ადრე, ცკ პრეზიდიუმის სხდომაზე გამოვიძახეთ გამომძიებელი როდოსი და დავკითხეთ. მას თავის დროზე მიჰყავდა გამოძიება და დაჰკითხავდა კოსიორს, ჩუბარსა და კოსარევს. უვარგისი კაცია, ქათმის ჭკუით, მორალურად გადაგვარებულია. და ასეთი კაცი განსაზღვრავდა პარტიის ცნობილ მოღვაწეთა ბედს, განსაზღვრავდა ამ საკითხების პოლიტიკასაც, რადგან მათი „დამნაშავეობის" დამტკიცებით, აწვდიდა მასალებს მნიშვნელოვანი პოლიტიკური დასკვნების მისაღებად.**

**საკითხავია, განა შეეძლო ასეთი კაცს თავისი ჭკუით, დამოუკიდებლად წარემართა გამოძიება იმგვარად, რათა დაემტკიცებინა ბრალეულობა ისეთი ადამიანებისა, როგორებიც იყვნენ კოსიორი და სხვები? არა, ის ვერაფერს გააკეთებდა სათანადო მითითებების გარეშე. ცკ პრეზიდიუმის სხდომაზე მან განგვიცხადა: „მე მითხრეს, რომ კოსიორი და ჩუბარი ხალხის მტრები არიან, ამიტომ მე, როგორც გამომძიებელს, მათი აღიარება უნდა მიმეღო, რომ ისინი მტრები არიან"** (აღშფოთების ხმაური დარბაზში).

**ამის მიღწევა მას შეეძლო მხოლოდ ხანგრძლივი წამების გზით, რასაც აკეთებდა, ბერიასგან მიღებული ინსტრუქტაჟის მიხედვით. უნდა ითქვას, რომ ცკ პრეზიდიუმის სხდომაზე როდოსმა ცინიკურად განაცხადა: „მე მიმაჩნდა, რომ პარტიის დავალებას ვასრულებდი". აი, პრაქტიკულად როგორ ასრულებდნენ სტალინის დავალებას დაპატიმრებულთა მიმართ ფიზიკური ზემოქმედების მეთოდების გამოყენების შესახებ.**

**ეს და ბევრი სხვა მსგავსი ფაქტი მოწმობს, რომ პარტიული საკითხების სწორი გადაწყვეტის ნორმები ლიკვიდირებული იყო, ყველაფერი ერთი პიროვნების თვითნებობას ემორჩილებოდა".**

ხრუშჩოვის თაღლითობა აქ შენიღბულია მინიშნებით, თითქოს ბ. ვ. როდოსის მიერ წამებით მიღებული ჩვენებები ერთადერთი საფუძველი იყო კოსიორისა და ჩუბარის მიმართ სასჯელის უმაღლესი ზომის გამოსატანად. არადა, ამ პირთა მიმართ არსებობს უამრავი ჩვენება, რაც დაკავშირებული არ არის მათ წინააღმდეგ „ფიზიკური ზემოქმედების ფაქტების" გამოყენებასთან. კერძოდ, 1939 წლის 6 აპრილს აღიარებით ჩვენებებში ორივე მათგანი დასახელებული იყო მემარჯვენეთა შეთქმულების მონაწილედ და გერმანიის ჯაშუშად.

**ხრუშჩოვი როდოსს „ბერიას კაცად" მიიჩნევდა. არადა, როგორც სარეაბილიტაციო მასალებშია აღნიშნული, გამომძიებლის კარიერა როდოსმა დაიწყო მაშინ, როცა შინსახკომს სათავეში ეჟოვი ედგა.**

შესაძლებელია, რომ როდოსი, როგორც მან ცკ პრეზიდიუმს განუცხადა, მხოლოდ „ასრულებდა დავალებას", იგი მართლაც ემორჩილებოდა შესაბამისი უწყების ხელმძღვანელობის მიერ გაცემულ ბრძანებას. ამ შემთხვევაში მას არ ჩაუდენია დანაშაული, რომელსაც მიაწერენ. შესაძლებელია, რომ მისი ჭეშმარიტი დანაშაული იყო ის, რომ იგი განაგრძობდა გამომძიებლობას როგორც ბერიას, ასევე ეჟოვის დროს. ხრუშჩოვმა კი ძალისხმევა არ დაიშურა, რათა ყველაფერი ბერიასთვის დაებრალებინა.

**როდოსი სასამართლოს გადაეცა სკკპ ცკ პრეზიდიუმის 1956 წლის 1 თებერვალს, ანუ ზუსტად იმ დღეებში, როცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა მიმდინარეობდა. რა საჭირო იყო ასეთი აჩქარება? ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ როდოსის მოცილება დასჭირდათ, რათა რაც შეიძლება სწრაფად მოეცილებინათ ასეთი მოწმე და დაემალათ სიმართლე.** როდოსი, როგორც შინსახკომის საგამოძიებო ნაწილის უფროსი, აქტიურად მონაწილეობდა ეჟოვის „მოღვაწეობის" გამოძიებაში, იძიებდა, აგრეთვე, იმათ საქმეებს, ვინც ეჟოვის მეუღლის უახლოეს წრეში შედიოდა, ე.ი. ბაბელის, ვ.ე. მეიერხოლდისა და სხვების. ხრუშჩოვს უეჭველად გაუღიმა ბედმა, რომ მან შეძლო ბერიასა და როდოსის პოვნა, რათა მათთვის გადაებრალებინა მთელი პასუხისმგებლობა რეპრესიების განხორციელებაზე, მათ შორის, — ზოგიერთი თავისი ცოდვისა. **უაღრესი დაჩქარებით როდოსის მოცილება იძლევა საფუძველს, ვიფიქროთ, რომ ხრუშჩოვსა და ეჟოვს შორის არსებობდა რაღაც უხილავი კავშირი, რომელსაც თავისი ფესვებით ხრუშჩოვის პირველი მდივნობის წლებთან მივყავართ.**

ცნობისთვის: 1954 წელს როდოსი დააპატიმრეს, როგორც „ბერიას ბანდის" წევრი, მაგრამ მისი საქმის მასალები დღემდე გასაიდუმლოებული არ არის.

## კოლექტივიზაცია, გაკულაკება, განკულაკება

**„სტალინური საშინელების" მხილების მოყვარული მკვლევარები განსაკუთრებული მონდომებით წერენ გლეხების გაკულაკების შესახებ, რაც კოლექტივიზაციის თანმდევი პროცესი იყო. წარმოგვიდგენენ ამ მოვლენებს, როგორც მასშტაბურ, უაზრო და დაუნდობელ დანაშაულს.**

**შევეცადოთ, ობიექტურად გავერკვეთ ჩვენი ისტორიის ამ ეტაპის თავისებურებებში, რით იყო ისინი გამოწვეული და რამდენად იყო გამართლებული.**

როგორც წესი, მთავარი არგუმენტი ასე ჟღერს, რუსეთი, რომელიც მსოფლიო მასშტაბით ხორბლის ერთ-ერთი უმსხვილესი ექსპორტიორი იყო, კოლექტივიზაციამ მიწასთან გაასწორა, გაკულაკებამ კი იმ დონემდე მიიყვანა, რომ ქვეყნის მოსახლეობა შიმშილისგან ამოწყვეტის კატასტროფის წინაშე დააყენა. ეს თემა საფუძვლიანადაა განხილული იგორ პიხალოვის ნაშრომში **„რისთვის აპატიმრებდნენ სტალინის დროს".**

## მართლა კვებავდა რუსეთი ნახევარ ევროპას?

**გაკულაკების რეპრესიულ ხასიათზე საკითხის გასარკვევად, რა თქმა უნდა, საჭიროა ამ შეკითხვაზე სრული და ამომწურავი პასუხის გაცემა.**

**რატომ დასჭირდა საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობას 20-იანი წლების ბოლოს გლეხობის კოლექტიურ მეურნეობებში შერეკვა, თუ გლეხობას ამ სტრუქტურული ცვლილების გარეშეც შეეძლო ქვეყნის მოსახლეობის გამოკვება?**

ანტისტალინელების ბრალდებით საამისო მიზეზები არ არსებობდა და ყველაფერი ბოროტი სტალინის აჩემებისა და დაჟინებული მოთხოვნის შედეგად განხორციელდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ქვეყანას მართავდნენ პათოლოგიური დამნაშავენი და მანიაკები, რომლებსაც მიზნად ჰქონდათ დასახული, რაც შეიძლება მეტი ხალხის ამოწყვეტა, განსაკუთრებით კი გლეხობისა. შედეგად კოლექტივიზაციამ „მოსპო სოფლის მეურნეობა", კოლმეურნეები კი მონებად იქცნენ.

არადა, მეფის ხელისუფლების პირობებში, გვამუნათებენ ისინი, როცა არავითარი კოლექტიური მეურნეობები არ არსებობდა, კერძოდ 1913 წელს რუსეთმა უფრო მეტი ხორბალი მოიწია, ვიდრე აშშ-მა, კანადამ, არგენტინამ ერთად აღებულმა და პურით უზრუნველყო თითქმის ნახევარი მსოფლიო". ან კიდევ: 1909 წლისთვის რუსეთი მსოფლიოში პირველ ადგილს იკავებს მარცვლეულის წარმოებაში და მოჰყავს მსოფლიოს ყოველწლიური ჭვავის მოსავლის ნახევარზე მეტი, ხორბლის, შვრიის, ქერის მოსავლის მეოთხედზე მეტი.

1913 წელს მარცვლეულის მოსავალი ერთი მესამედით მეტი იყო, ვიდრე აშშ-ში, კანადასა და არგენტინაში ერთად აღებული.

გავაანალიზოთ ეს სიტუაცია რეალური მონაცემებით.

პირველი თეზისი — რუსეთი უაღრესად დიდმოსავლიანი ქვეყანა იყო. რუსეთი წინ უსწრებდა მარცვლეულის წარმოებაში „აშშ-ს, კანადასა და არგენტინას ერთად აღებულს".

**თვითმპყრობელური რეჟიმის მეხოტბენი, ცხადია, არ შეადარებდნენ იმდროინდელ რუსეთს ბენილუქსის ქვეყნებს — ბელგიას, ლუქსემბურგს, ჰოლანდიას, რადგან სამივე რუსეთის ერთ გუბერნიაში ჩაეტევა. სხვა ეფექტი აქვს აშშ-თან, კანადასთან და არგენტინასთან დაპირისპირებას, ეს უკვე სოლიდურია. მაგრამ მოდით, გავიხსენოთ, მოსახლეობის რა რაოდენობა ცხოვრობდა ამ ქვეყნებში 1913 წელს. ამ პერიოდში აშშ-ში 98,8 მილიონი ადამიანი აღირიცხებოდა, კანადაში — 7,2 მილიონი კაცი. რუსეთში (ფინეთის ჩაუთვლელად) 170,9 მილიონი მოქალაქე იყო, ანუ ერთნახევარჯერ მეტი. მაშასადამე, არც სატრაბახოდ ჰქონია თვითმპყრობელ რუსეთს საქმე, რადგან ერთ სულ მოსახლეზე, გაწიგამოწიე, ნაკლები გამოდის.**

მაგრამ ვნახოთ, რა რაოდენობის მოსავალს მოიწევდნენ სინამდვილეში ამ ქვეყნების მიწათმოქმედნი? **1913 წელს რეალურად მოსავლის რაოდენობა ასეთი იყო (ათას ფუთობით):**

**იხ. ცხრილი №1**

როგორც ვხედავთ, ზემოთ დამოწმებული მონაცემები სინამდვილეს არ შეესაბამება. თუ ხორბლის მოსავლის რაოდენობით 1913 წელს რუსეთი აშშ-ს უსწრებდა, ერთობლივად ჩამორჩებოდა კანადას, აშშ-სა და არგენტინას. მაგრამ თუ ხუთივე მარცვლეულის წარმოებას შევადარებთ (და არა მარტო ხორბლისას), აღმოჩნდება, რომ რუსეთი მარტო ამერიკის შეერთებულ შტატებსაც კი ჩამორჩებოდა. თუ ამ რიცხვებს თითოეული ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობაზე გავყოფთ, შედეგი ფრიად დამამწუხრებელი იქნება: აღმოჩნდება, რომ **1913 წელს რუსეთში ერთ სულ მოსახლეზე მოიწიეს 30,3 ფუთი მარცვლეული, შეერთებულ შტატებში — 64,3 ფუთი, არგენტინაში — 87,4 ფუთი, კანადაში კი — 121 ფუთი. ამრიგად, ერთ სულ მოსახლეზე მარცვლეულის მოსავლის მიღებით აშშ მეფის რუსეთს ორჯერ უსწრებდა, არგენტინა — სამჯერ, კანადა კი — ოთხჯერ.**

შემდეგი თეზისის მიხედვით, რუსეთი ნახევარ მსოფლიოს თუ არა, ევ- ▶

ცხრილი №1

| ქვეყნები | ხორბალი | ჭვავი | ქერი | შვრია | სიმინდი | ხუთივე მარცვლ. კულტურა |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 1707429 | 1568245 | 797810 | 1108163 | 129575 | 5311222 |
| აშშ | 1267342 | 64117 | 236450 | 993233 | 3791510 | 6352652 |
| კანადა | 384690 | 3562 | 64172 | 392889 | 25992 | 871305 |
| არგენტინა | 218559 | — | 10684 | 62271 | 408058 | 699572 |
| ერთობლივად აშშ, კანადა და არგენტინა | 1870591 | 67679 | 311306 | 1448393 | 4225560 | 7923529 |

ცხრილი №2

| ქვეყნები | ექსპორტი ათას ფუთებში | % მსოფლიო ექსპორტთან შედარებით |
|---|---|---|
| რუსეთი | 554549,0 | 22,10% |
| არგენტინა | 535280,0 | 21,34% |
| აშშ | 304885,0 | 12,15% |
| კანადა | 240296,0 | 9,58% |
| ჰოლანდია | 219382,0 | 8,74% |
| რუმინეთი | 165990,0 | 6,62% |
| ოსტ-ინდოეთი | 141074,0 | 5,62% |
| გერმანია | 130984,0 | 5,22% |
| ავსტრალია | 73125,0 | 2,91% |
| ბულგარეთი | 38273,0 | 1,53% |
| ბელგია | 36480,0 | 1,45% |
| ალჟირი | 16330,0 | 0,65% |
| სერბეთი | 14455,0 | 0,58% |
| ავსტრია-უნგრეთი | 11362,7 | 0,45% |
| ჩინეთი | 8074,0 | 0,32% |
| ჩილე | 7100,0 | 0,28% |
| სხვა ქვეყნები | | 0,46% |
| სულ | | 100,00% |

**კოლექტივიზაციამ მილიონობით მუშახელი გამოათავისუფლა და ქალაქისკენ წარმართა. 1927-28 წლებში სოფლიდან ქალაქში გადასახლდა 18,7 მილიონი ადამიანი. თუ 1926 წლისთვის ქალაქებში ცხოვრობდა საბჭოთა კავშირის მოსახლეობის 18 პროცენტი, 1939 წლისთვის ქალაქის მოსახლეობის რაოდენობამ 33 პროცენტს მიაღწია.**

არაპოლიტკორექტული სიმართლე
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

როპის ნახევარს მაინც გამოკვებავდა, რაც ასევე სიცრუე აღმოჩნდება რეალური ციფრების განხილვისას. აქვე შევნიშნოთ, რომ ყველა მონაცემი სპეციალური სტატისტიკური კრებულებიდან არის მოხმობილი.

**№2 ცხრილში წარმოდგენილია სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც ხუთი ძირითადი მარცვლეული კულტურის 1913 წელს განხორციელებული ექსპორტის სურათს გვიხატავს.**

**იხ. ცხრილი №2**

აქვე შევნიშნოთ, რომ ეს ცხრილი არცთუ ზუსტად გადმოგვცემს მსოფლიო ხორბლის ბაზრის საერთო სურათს, რადგან ქვეყნების ამ რაოდენობაში ერთგვარად გაზავდა ევროპის სახელმწიფოები (ჰოლანდია, გერმანია, ბელგია, ავსტრო-უნგრეთი), რომლებიც სინამდვილეში იმპორტიორი ქვეყნები იყო — პური უფრო მეტი შეჰქონდათ, ვიდრე გაჰქონდათ. მაგალითად, **ჰოლანდიამ, რომელიც აქტიურად იყო დაკავებული პურის ტრანზიტური ვაჭრობით, 1913 წელს 57430,0 ათასი ფუთი საკუთრივ მოწეული ხორბლის მოსავლის პირობებში, მოახერხა 219382,0 ათასი ფუთის გატანა, რადგან ქვეყანაში შეიტანა 325130,0 ათასი ფუთი.**

აქედან გამომდინარე, თუ გვსურს, გავიგოთ, ვინ ვის აპურებდა, უწინარეს ყოვლისა, უნდა გავარკვიოთ პურის ექსპორტის არა მარტო მოცულობა, არამედ სხვაობა ექსპორტსა და იმპორტს შორის. თუ როგორ სურათს მივიღებთ ამ შემთხვევაში, მკითხველებს ვიწვევთ №3 ცხრილთან.

**იხ. ცხრილი №3**

ამ ცხრილიდან ირკვევა, რომ **რუსეთი მართლაც მარცვლეულის უმსხვილესი ქვეყანაა, მაგრამ პირველობას იგი იყოფდა არგენტინასთან, რომლის მოსახლეობა რუსეთისაზე 21,4-ჯერ ნაკლები იყო. აქედან გამომდინარე, ნახევარი მსოფლიოს გამომკვებავ რუსეთზე ლაპარაკიც კი წარმოუდგენელია, თუნდაც იმიტომ, რომ რუსეთიდან ექსპორტირებული ხორბლის 98 პროცენტი ევროპაში იგზავნებოდა.**

მაგრამ სპეციალისტები გვარწმუნებენ, რომ არც განცხადებას „ნახევარი ევროპის გამოკვების" შესახებ აქვს რაიმე სერიოზული საფუძველი: **1913 წელს ევროპამ მოიხმარა ძირითადი მარცვლეული კულტურების 8336.8 მილიონი ფუთი, აქედან საკუთარი მოსავალი 6755,2 მილიონი იყო, ანუ 81 პროცენტი, სუფთა იმპორტი — 1581,6 მილიონი ფუთი (19 პროცენტი), მათ შორის რუსეთის წილი — 6,3 პროცენტი.** სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რუსეთიდან მიწოდებულმა საექსპორტო მარცვლეულმა ევროპის პურის მომხმარებელთა მხოლოდ ერთი მეთექვსმეტედი დააკმაყოფილა.

## მეფე-შიმშილი

**მონაცემები მონაცემებად, მაგრამ იქნებ იმ პერიოდის რუსეთის იმპერიაში სხვა პროდუქტების ისეთი სიუხვე იყო, რომ მოსახლეობის დასაკმაყოფილებლად ამდენი პური საჭირო არც იყო?**

**ჩავიხედოთ ისეთ ავტორიტეტულ რევოლუციამდელ გამოცემაში, როგორიც ბროკგაუზისა და ეფრონის „ახალი ენციკლოპედიური ლექსიკონია". სტატია „შიმშილი" („Голод"), რომელშიც საკმაოდ დიდი მონაკვეთი ეთმობა საკითხს „შიმშილი რუსეთში".**

ამ პუბლიკაციის მოკლე შინაარსი ასეთია:

1872 წელს შიმშილმა მოიცვა მაინცდამაინც ის გუბერნია, რომელიც მანამდე რუსეთის უმდიდეს პურის ბეღლად ითვლებოდა. ლაპარაკია სამარის გუბერნიაზე. 1891 წლის შიმშილმა 29 გუბერნია კატასტროფის პირას მიიყვანა. XX საუკუნის განმავლობაში სამარის გუბერნია 8-ჯერ შიმშილობდა, სარატოვისა — 9-ჯერ. 30 წლის განმავლობაში უდიდესი შიმშილობა იყო 1880 წელს (ქვემო ვოლგისპირეთი, ტბისპირეთისა და ნოვოროსიის გუბერნიების დიდი ნაწილი), 1885 წელს (ნოვოროსია და არაშავმიწანიადაგიანი გუბერნიები კალუგიდან ფსკოვამდე); 1892 წელს — შიმშილობა ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ გუბერნიებში, დაახლოებით ამავე რაიონებში — 1897 და 1898 წლების შიმშილობა; მეოცე საუკუნეში — 1901 წლის შიმშილობა ცენტრის, სამხრეთისა და აღმოსავლეთის 17 გუბერნიაში; 1905 წელი — შიმშილობა 22 გუბერნიაში, მათ შორის, არაშავმიწა რაიონის ფსკოვის, ნოვგოროდის, ვიტებსკის, კოსტრომის გუბერნიებში; ამას მოჰყვა 1906, 1907, 1908 და 1911 წლების შიმშილობები უპირატესად აღმოსავლეთ და ცენტრალურ გუბერნიებში, ნოვოროსიაში (იხილე დასახელებული ენციკლოპედიის მე-14 ტომი).

**მკითხველი უთუოდ დარწმუნდა, რომ შიმშილობა რუსეთში იშვიათი მოვლენა არ იყო. რით იყო ეს გამოწვეული?**

სპეციალურ და ენციკლოპედიურ გამოცემებში განმარტებულია, რომ შიმშილობის მიზეზები ხორბლის გაცვლაში კი არ დევს, არამედ მის წარმოებაში, და, უწინარეს ყოვლისა, გამოწვეულია რუსული მოსავლების უკიდურესი ცვალებადობით მათი დაბალი აბსოლუტური სიდიდითა და მოსახლეობის მიწით არასაკმარისი უზრუნველყოფით. ეს კი ხალხს საშუალებას არ აძლევს, მოსავლიან წლებში დააგროვოს ფულის ან პურის მარაგი. **მოსავლიანობის ერთგვარი ზრდის პირობებში, აღნიშნავდნენ ექსპერტები, რუსეთში მოწეული მოსავალი ევროპულთან შედარებით ძალიან დაბალია. მოსახლეობის 68 პროცენტი, რომელიც შავმიწანიადაგიან რაიონში ცხოვრობს, ვერ მოიწევს საკმარისი რაოდენობის მარცვლეულს უხვმოსავლიან წლებშიც კი. „1911 წლის შიმშილობის გამოცდილებამ დაგვანახა, რომ შედარებით უხვმიწიან სამხრეთ-აღმოსავლეთ გუბერნიებში 1909 და 1910 წლების უხვმოსავლიანობის შემდეგაც კი მოსახლეობის ერთ მესამედზე ნაკლებმა შეძლო პურის მარაგის დაზოგვა",** — ნათქვამია ბროკგაუზისა და ეფრონის ენციკლოპედიაში.

ცხრილი №3

| ქვეყნები | სხვაობა გატანასა და შეტანას შორის, ათას ფუთებში | % მსოფლიო ექსპორტთან |
|---|---|---|
| არგენტინა | 535280,0 | 26,01% |
| რუსეთი | 529742,0 | 25,74% |
| აშშ | 304885,0 | 14,81% |
| კანადა | 225830,0 | 10,97% |
| რუმინეთი | 165653,0 | 8,05% |
| ოსტ-ინდოეთი | 141074,0 | 6,85% |
| ავსტრალია | 73125,0 | 3,55% |
| ბულგარეთი | 38210,0 | 1,86% |
| სერბეთი | 14452,6 | 0,70% |
| ალჟირი | 14249,0 | 0,69% |
| ჩინეთი | 8074,0 | 0,39% |
| ჩილე | 7049,8 | 0,34% |
| სხვა ქვეყნები | | 0,04% |
| სულ | | 100,00% |

**ნახევარი მსოფლიოს გამომკვებავ რუსეთზე ლაპარაკიც კი წარმოუდგენელია, თუნდაც იმიტომ, რომ რუსეთიდან ექსპორტირებული ხორბლის 98 პროცენტი ევროპაში იგზავნებოდა**

ნიშანდობლივია, რომ იმ პერიოდში ხაზგასმითაა გამოყოფილი კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც მნიშვნელოვნად აბრკოლებდა პურის მარაგის დაგროვებას. ეს იყო ხორბლის ექსპორტი, რომელიც უპირატესად არყის გამოსახდელად იყო მიმართული.

ხალხს კატასტროფულად აკლდა საკვები. უმსხვილესი კონსერვატიული გაზეთის წამყვანი თანამშრომელი მიხაილ მენშიკოვი 1902 წლის აგვისტოში წერდა:

**„ახალწვეულთა 40 პროცენტს სამხედრო სამსახურში გაწვევამდე არ ეჭამა ხორცი. სამსახურში მყოფი ჯარისკაცი, კარგი პურის გარდა, ხორციან კომბოსტოს სუფსა და ფაფას ჭამს, ანუ იმას, რაზეც ბევრს წარმოდგენაც არ აქვს სოფელში".**

900-იანი წლების პუბლიკაციებში აღნიშნულია, რუსული არმიის ჯარისკაცები დაჩიავებულები არიან, წვევამდელთა უდიდესი რაოდენობა სამხედრო სამსახურისთვის გამოუსადეგარია. ეს კი გამოწვეულია არასრულფასოვანი კვებით. **„ნუთუ არაფერს ნიშნავს,** — წერს უკვე ნახსენები მენშიკოვი, — **ჩვენი სამარცხვინო ბავშვთა სიკვდილიანობა, რომლის მსგავსი არსად მსოფლიოში არ გვხვდება, როცა ცოცხალი სახალხო მასის უმეტესი რაოდენობა ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობის ერთ მესამედამდეც ვერ აღწევს?"**

ამ ემოციურ ჩანაწერს სტატისტიკური მონაცემები ადასტურებს: **XIX საუკუნის დასასრულისთვის რუსეთში 5 წლის ასაკამდე 1000 ბავშვიდან მხოლოდ 550 აღწევდა. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ეს მონაცემი 700-ს აღემატებოდა.**

აი, ამ ფონზე სრულიად გაუგებარია თანამედროვე რუსი „პატრიოტების" მიერ მეფისდროინდელი იმპერიის გაფეტიშება: **„ევროპის პურის ბაზარზე რუსეთი თავისი იაფი და ხარისხიანი მარცვლეულით უეჭველი მონოპოლისტი იყო... ხორბლის ფასი ევროპაში გაცილებით ძვირი იქნებოდა, იაფი პურის ექსპორტს ამერიკელი, კანადელი და არგენტინელი მიმწოდებლების მადა რომ არ დაეოკებინა".**

აი, ესაა სიხარული ხალხის უბედურებასა ზედა.

სად უნდა ეძებნა რუსეთს გამოსავალი?

## რატომ იყო აუცილებელი კოლექტივიზაცია?

**ცნობილია, რომ ბოლშევიკების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მემამულეებისა და კულაკების მიწები ექსპროპრირებული იქნა და განხორციელდა ლოზუნგი — „მიწა — გლეხებს!" — მიწა დაურიგდა გლეხებს. მაგრამ ახალი ხელისუფლების წინაშე უცბადვე წამოიჭრა სასაქონლო ხორბლის უკმარობის პრობლემა: გლეხებმა ხორბლის მოყვანა გასაყიდად კი არა, საკუთარი მოხმარებისთვის დაიწყეს. ამ პერიოდში ქალაქების უზრუნველსაყოფად ხორბლის გაყიდვის პროცენტი მკვეთრად დაეცა და ომამდელი პერიოდის 37 პროცენტიც ვერ შეადგინა.**

ეს კი ნიშნავდა, რომ მსხვილი მეურნეობების წვრილ მეურნეობებად დანაწილება, წვრილებისა კი — უწვრილესებად, რაც 1918 წელს დაიწყო, სრულიად უპერსპექტივო იყო სოფლის მეურნეობის განვითარების თვალსაზრისით, რადგან პრიმიტიული, ნახევრადნატურალური მეურნეობის ჩარჩოებში რჩებოდა და სასაქონლო მარცვლეულის მხოლოდ მინიმუმის მოცემა შეეძლო.

**სასაქონლო მარცვლეულის უკმარისობის პრობლემა განსაკუთრებული სერიოზულობით 1927 წელს დადგა, როცა საერთაშორისო ვითარება საბჭოთა კავშირის გარშემო მკვეთრად გამწვავდა. აპრილში ჩინეთში ჩან კაიშიმ გადატრიალება მოახდინა. 27 მაისს ინგლისმა შეწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან. 7 ივნისს თეთრემიგრანტმა ვარშავაში მოკლა პოლონეთში საბჭოთა კავშირის ელჩი ვოიკოვი. როგორც მაშინ ამბობდნენ, ჰაერში ომის სუნი დატრიალდა.**

ამ სიტუაციაში გლეხებმა ხორბალი გადამალეს, რათა შემდგომ ძვირად გაეყიდათ: **„დადგა მომენტი, როცა ჩვენთან მანუფაქტურას პურზე ცვლიან,** — წერდნენ მაშინ საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგეები, — **„სოვდეპია" (სსრ კავშირი) ჩვენს დაკრულზე იწყებს ცეკვას. იყოს ასე, გავუძლებთ, სანამ რუბლს არ გადაიხდიან ერთ ფუთ ჭვავში და ორ რუბლს — ერთ ფუთ ხორბალში".**

**თუ 1927 წლის იანვრისთვის დამზადებული იყო 428 მილიონი ფუთი მარცვლეული, 1928 წლის იანვრისთვის — მხოლოდ 300 მილიონი ფუთი, შექმნილი ვითარებიდან ერთადერთი გამოსავალი შეიძლება ყოფილიყო მსხვილი მეურნეობების შექმნა, რომლებიც ქვეყნისთვის სასაქონლო მარცვლეულის აუცილებელ მარაგს შექმნიდნენ.**

ეს იყო პირველი მიზეზი.

მეორე მიზეზი კი იყო ინდუსტრიალიზაციის ფორსირებული განვითარება. განვითარებულ ქვეყნებს საბჭოთა კავშირის ჩამორჩენამ კრიტიკულ დონეს მიაღწია. პირველი მსოფლიო ომით გამოწვეულმა გაპარტახებამ რევოლუციისა და სამოქალაქო ომის შედეგად კიდევ უფრო „გაშალა ფრთები". **აშკარა გახდა, რომ სიტუაციის რადიკალურად შეცვლის გარეშე მომდევნო ომი** (რომლის „სუნიც ჰაერში ტრიალებდა") **რუსეთისთვის უკანასკნელი იქნებოდა — რუსეთი, როგორც ქვეყანა, როგორც სახელმწიფო, შეწყვეტდა არსებობას.**

მაგრამ მრეწველობის განსავითარებლად მხოლოდ დაზგები საკმარისი არ არის, ისინიც აუცილებლად საჭირონი არიან, ვინც ამ დაზგებს აამუშავებენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აუცილებელი იყო სოფლიდან ქალაქში სამუშაო ძალის მუდმივი მოდინება. ადამიანი თავისი ბუნებით კონსერვატიულია და ძნელად ეგუება ცხოვრების წესის შეცვლას. **რევოლუციამდელ პერიოდში სოფელს, უპირველეს ყოვლისა, მცირემიწიანი გლეხები ტოვებდნენ. რევოლუციამ გლეხებს, მათთვის მიწების დარიგებით, გამოაცალა ქალაქში გადასახლების სტიმული.**

**კოლექტივიზაციამ მილიონობით მუშახელი გამოათავისუფლა და ქალაქისკენ წარმართა. 1927-28 წლებში სოფლიდან ქალაქში გადასახლდა 18,7 მილიონი ადამიანი. თუ 1926 წლისთვის ქალაქებში ცხოვრობდა საბჭოთა კავშირის მოსახლეობის 18 პროცენტი, 1939 წლისთვის ქალაქის მოსახლეობის რაოდენობამ 33 პროცენტს მიაღწია.**

**რევოლუციამდელ პერიოდში სოფელს, უპირველეს ყოვლისა, მცირემიწიანი გლეხები ტოვებდნენ. რევოლუციამ გლეხებს, მათთვის მიწების დარიგებით, გამოაცალა ქალაქში გადასახლების სტიმული**

გაგრძელება იქნება

რუბრიკას უძღვება არმაზ სანებლიძე

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჩერჩილი აღიარებდა, რომ სძულდა საბჭოთა კავშირი, მაგრამ არა ფაშისტური გერმანია, რომელიც მან მტრად აღიარა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ინგლისის გავლენას ევროპასა და მთელ მსოფლიოში სწორედ ჰიტლერი დაემუქრა. სტალინსაც და ჰიტლერსაც შესანიშნავად ესმოდათ, რომ მათი დაპირისპირება ხელს აძლევდა, უწინარეს ყოვლისა, ინგლისს, რომელიც თავის მოკავშირეებთან ერთად შეიძლებოდა თავს დასხმოდა დასუსტებულ გამარჯვებულ მხარეს.**



რუდოლფ ბალანდინი, სერგეი მირონოვი

# სტალინის ეპოქა

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-6 (139-144)

## დიპლომატიური ორთაბრძოლები

**ჰიტლერის სისტემა ორიენტირებული იყო რასიზმზე, სხვა ხალხების ჩაგვრაზე, ზეადამიანის ფორმირებაზე. სტალინის სისტემა მიმართული იყო ექსპლუატატორების, საზოგადოების პარაზიტული ჯგუფების (სისხლის სამართლის დამნაშავეებისა და სპეკულანტების ხაზინის ქურდებისა და ნომენკლატურული ჩინოვნიკების, მომხვეჭელებისა და კორუფციონერების) წინააღმდეგ.**

ჰიტლერის სისტემა მიმართული იყო საიმისოდ, რომ ექსპლუატატორად გაეხადა მთელი „რჩეული“ ერი. ამით იგი ემსგავსებოდა ბრიტანეთის იმპერიას და არა საბჭოთა კავშირს. ეს ყველაფერი უნდა გავითვალისწინოთ, რათა გავიგოთ, რატომ მიიჩნევდა ჰიტლერი თავის საბოლოო მიზნად საბჭოთა კავშირის განადგურებას, რაშიც მას წლების განმავლობაში მხარს უჭერდა ჩემბერლენი.

შეიძლება უცნაურადაც კი მოგვეჩვენოს, რომ ჩერჩილი მხარს არ უჭერდა თავის წინამორბედს, მაგრამ ამას ხელს უშლიდა ოთხი მნიშვნელოვანი **მომენტი.**

**პირველი,** საზოგადოებრივი აზრი ინგლისში, უწინარეს ყოვლისა, მუშათა კლასი საბჭოთა კავშირთან მეგობრული ურთიერთობის მომხრე იყო. მეორე. გერმანიას შეიძლებოდა გასჩენოდა პრეტენზია დიდი ბრიტანეთის ზოგიერთი კოლონიის ხელში ჩაგდების. **მესამე,** თავის საგარეო პოლიტიკაში ჰიტლერი კარგად იყენებდა „საბჭოთა საკითხს“. **მეოთხე**, პოლონეთსა და რუსეთს ხელში თუ ჩაიგდებდა, გამორიცხული არ იყო ჰიტლერს გასჩენოდა სურვილი საფრანგეთის და ინგლისის დამორჩილების.

ჰიტლერის დიპლომატია თავის სასარგებლოდ იყენებდა შეუთავსებელ დაპირისპირებას, ერთის მხრივ, კაპიტალის, მეორე მხრივ, მშრომელთა სახელმწიფოებს შორის, იგი ხან დასავლეთს ეფიცებოდა ძმობაში, ხანაც იგივეს აკეთებდა აღმოსავლეთთან მოლაპარაკების დროს. ეტყობა, იგი მუდმივად ანგარიშობდა, რით დაეწყო: ჯერ დაეპყრო დასავლეთი და ცენტრალური ევროპა იტალიისა და თურქეთის მოკავშირეობით, შემდეგ თავს დასხმოდა საბჭოთა კავშირს, თუ თავიდანვე წარემართა თავისი აგრესია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

პირველ შემთხვევაში მისი მოწინააღმდეგეები იქნებოდა ძლიერი ქვეყნები: ბელგია, საფრანგეთი და ინგლისი (მათთან შესაძლო კავშირში მყოფი ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი და საბჭოთა კავშირი). მეორე შემთხვევაში ჯერ უნდა დაემორჩილებინა ავსტრია, ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი, ბალტიისპირეთის პატარა სახელმწიფოები და ფინეთი. საბოლოოდ მან ეს გზა აირჩია.

მას უხდებოდა გადაელახა დასავლეთის ქვეყნების წინააღმდეგობა, მათ შორის, ფაშისტური იტალიისაც კი (სამხრეთის მიმართულებით გერმანიის გაფართოების შემთხვევაში). არსებობდა ინგლისისა და საფრანგეთის მხრიდან სამხედრო ჩარევის საფრთხეც მათი მეგობარი ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის დაცვის გამო. ეს ყველაფერი ძალიან ართულებდა ჰიტლერის პოლიტიკურ მანევრებს. მით უფრო, მას პრინციპული შესაძლებლობა ჰქონდა ან დასავლეთის, ან აღმოსავლეთის მოკავშირე გამხდარიყო. პირველ ვარიანტით მას მოუხდებოდა რუსეთთან ომის დაწყება.

მეორე ვარიანტში შეიძლებოდა ხელთ ეგდო დანაწევრებული ბრიტანეთის იმპერიის მსუყე ნაჭრები. მაგრამ ძნელი იყო მინდობოდა საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობას, რომელიც მისი იდეოლოგიური მტერი იყო.

საით უნდა გადაედგა გადამწყვეტი ნაბიჯი?

უწინარეს ყოვლისა, ჰიტლერს სჭირდებოდა ვერმახტის სამხედრო ძლიერების გაზრდა და თავისი სამფლობელოს გაფართოება. მაგრამ ჰიტლერს ამ მიმართულებით გადადგმული პირველი ნაბიჯები ჩაეშალა, მიუხედავად იმისა, რომ აცხადებდა — გერმანია დიდ დახმარებას უწევს ევროპას იმით, რომ იარაღდებოდა, რითაც კომუნიზმის საშიშროებისგან იცავდა.

ცნობილია, რომ შიდა ბრძოლები საბჭოთა კავშირში დასრულდა 1938 წლისთვის. ანტისტალინელები ამტკიცებენ, თითქოს ომის წინა წლებში წითელი არმია სისხლისგან იქნა დაცლილი, აცხადებენ, რომ მოსპეს 40 ათასი ოფიცერი, განსაკუთრებით ბევრი — უმაღლესი ხელმძღვანელი, რომელთა შორის გამოირჩეოდა უნიჭიერესი მარშალი ტუხაჩევსკი.

როგორც ირკვევა, 1937-1939 წლებში წითელი არმიიდან დაითხოვეს 37 ათასი მეთაური. მათ შორის (მიაქციეთ ყურადღება!) 8 ათასი — „ბუნებრივი კლებით“ (გარდაცვალების გამო, ავადმყოფობის, ზღვრულ ასაკს მიღწევის, დანაშაულის ჩადენის, მორალური გახრწნის თუ სხვა მიზეზით). დარჩენილებიდან დააპატიმრეს 6-8 ათასი; სხვადასხვა მონაცემით, 1-დან 4 ათასამდე კაცი დახვრიტეს. წითელი არმიის ოფიცერთა საერთო რაოდენობა 1941 წლისთვის 680 კაცს აღწევდა.

ამ ციფრების შემყურე ვერ იტყვის, არმიამ აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადაო.

ტუხაჩევსკის მხედართმთავრული მონაცემები ვარშავისკენ „ელვისებური გადასვლის“ (ა. ბულაკის გამოთქმა) დროს გამჟღავნდა. სამაგიეროდ მან წარმატებით ჩაახშო ამბოხი ცენტრალურ რუსეთში, როცა მილიონამდე რუსი გლეხი დაიღუპა. ციხეში ყოფნის დროს, როცა ტუხაჩევსკიმ აღიარა თავისი დანაშაული, მან დიდი მოცულობის სტატია დაწერა გერმანიასთან ომის შესახებ. მისი აზრით, გერმანელები შეუტევდნენ უკრაინასა და კავკასიას, მაგრამ არა ბელორუსის გავლით მოსკოვისკენ (რაც მოხდა), არამედ — ლენინგრადისკენ... მანამდე, როცა შემტევით ომს გეგმავდა, წითელ არმიას აიარაღებდა მსუბუქი ტანკებით, ტანკეტკებით და მძიმე ბომბდამშენებით. ეს რომ სტალინმა შეიტყო, გასცა განკარგულება, რათა სასწრაფოდ დაეწყოთ მძიმე ტანკების, ავიაგამანადგურებლებისა და მოიერიშე ბომბდამშენების წარმოება. ეს გადაწყვეტილება მართლაც ბედისმიერი გამოდგა ომის წლებში, როცა არმიამ მიიღო შესანიშნავი ტანკები ტ-34, მოიერიშეები ილ-2 და ა.შ.

რა მოვლენები განვითარდა საბჭოთა კავშირის თავდაცვის სფეროში შეიძლება ვიმსჯელოთ, მაგალითად, გერმანიის შეიარაღებული ძალების სამმართველოს საიდუმლო ბარათით, რომელიც 1937 წლის აპრილ-მაისშია შედგენილი: **„მარშალ ტუხაჩევსკის დაცემის ჭეშმარიტი მიზეზი ჯერჯერობით გაურკვეველია; უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი თავისი ზღვარგადასული პატივმოყვარეობით დაუპირისპირდა ვოროშილოვს, რომელსაც ახასიათებს სიმშვიდე, გააზრებული მოქმედება და რომელიც სრულად ერთგულებს სტალინს. ტუხაჩევსკის დაცემას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ეს ადასტურებს, რომ წითელი არმია სტალინს ხელთ უპყრია“.**

გამოდის, რომ **ტუხაჩევსკი, ვოროშილოვისგან განსხვავებით, სტალინის ერთგული არ იყო, ხოლო მის დაცემას ჰიტლერელებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ხოლო ბოლო წინადადება, რომ სტალინს ხელთ უპყრია წითელი არმია, ხაზგასმით ადასტურებს, რომ სწორედ ამას ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა, რადგან ბელადის დამხობა შეეძლოთ არმიისა და შინსახკომის ხელმძღვანელებს, რომელთა შორის იყვნენ აშკარად პროგერმანულად განწყობილი ტუხაჩევსკი და უბორევიჩი.**

გერმანელ მეთაურთა შორისაც იყვნენ ჰიტლერის პოლიტიკით უკმაყოფილონი. შეიარაღებული ძალების წარმომადგენელთა ასეთი ერთობა ადვილი გასაგებია. გერმანელებისა და საბჭოთა კავშირის არმიების გაერთიანება იქნებოდა გადამწყვეტი ფაქტორი არა მხოლოდ ევროპაში, არამედ, აგრეთვე, აზიაში, აფრიკაში, ახლო აღმოსავლეთში; შესაძლებელი გახდებოდა მსოფლიოს განაწილება (ჩრდილოეთ ამერიკის გამოკლებით) გერმანიასა და ნაწილობრივ იტალიას, რუსეთსა და იაპონიას შორის. არის ცნობები, რომ ამგვარი განაწილების გეგმები არსებობდა. მათ განხორციელებას ხელს უშლიდა სტალინისა და ჰიტლერის იდეოლოგიების სრული შეუთავსებლობა.

დღევანდელი პოლიტიზებული ისტორიკოსები ტყავიდან ძვრებიან, რათა ხაზი გაუსვან მესამე რაიხისა და საბჭოთა კავშირის დიქტატორული რეჟიმების მსგავსებას, რომლებიც თითქოს უპირისპირდებოდნენ ბურჟუაზიული „დემოკრატიების“ „ღია საზოგადოებას“. საამისოდ იყენებენ არგუმენტს, რომ ფაშიზმის წინააღმდეგ ომში პირველი ჩაება ინგლისი და მხოლოდ შემდეგ — საბჭოთა კავშირი.

მაგრამ სინამდვილეში დიდი ბრიტანეთის მთავრობა დიდი სიხარულით, ჩემბერლენი კი დამამცირებელი მზადყოფნით აწარმოებდნენ მოლაპარაკებას ჰიტლერთან და ესწრაფვოდნენ აღმოსავლეთისკენ მის ორიენტირებას. ჩერჩილი აღიარებდა, რომ სძულდა საბჭოთა კავშირი, მაგრამ არა ფაშისტური გერმანია, რომელიც მან მტრად აღიარა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ინგლისის გავლენას ევროპასა და მთელ მსოფლიოში სწორედ ჰიტლერი დაემუქრა.

სტალინსაც და ჰიტლერსაც შესანიშნავად ესმოდათ, რომ მათი დაპირისპირება ხელს აძლევდა, უწინარეს ყოვლისა, ინგლისს, რომელიც თავის მოკავშირეებთან ერთად შეიძლებოდა თავს დასხმოდა დასუსტებულ გამარჯვებულ მხარეს.

**1937 წლის ზაფხულში იაპონიამ გააძლიერა აგრესია ჩინეთის წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირისთვის განგაშის ნიშნად იქცა 1938 წლის აგვისტო-სექტემბერში იაპონელების თავდასხმა ხასანის ტბის რაიონში. იმავე წლის სექტემბრის ბოლოს მიუნჰენში ხელი მოეწერა სამშვიდობო ხელშეკ-** ▶

**სტალინმა თავისი კონტრსვლა განახორციელა. მან შეძლო ფაშისტების ჩათრევა საბჭოთა კავშირის საზღვრებს დაცილებული ესპანეთის სამოქალაქო ომში. 1936-1937 წლებში სამმა ათასმა საჭოთა მრჩეველმა, რომლებიც ესპანეთის რესპუბლიკის არმიას ხელმძღვანელობდნენ, შეძლეს 25 ათასი გერმანელი მფრინავის, ტანკისტის, არტილერისტისა და სხვა სამხედრო სპეციალისტის შებოჭვა, რომლებიც რესპუბლიკის მტრის, გენერალ ფრანკოს მხარეს იბრძოდნენ. ხაზი უნდა გაესვას, რომ საბჭოთა კავშირი მხარს უჭერდა ესპანეთის მთავრობას, რომელიც დემოკრატიული წესით იყო არჩეული, დასავლეთის „დემოკრატიები“ კი მის დამხობას ცდილობდნენ.**

## უკომენტაროდ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ **რულებას გერმანიის, ინგლისის, საფრანგეთისა და იტალიის ხელისუფლებათა შორის. სსრ კავშირის წარმომადგენლები არ მიუწვევიათ. ლაპარაკი იყო ჩეხოსლოვაკიის გაყოფაზე, რაც განსაზღვრავდა ჰიტლერული აგრესიის აღმოსავლეთისკენ წარმართვას.**

ინგლისელი მკვლევარების — ა. რიდისა და დ. ფიშერის დასკვნით: **„მიუნჰენის ხელშეკრულება ისტორიაში შევიდა როგორც სიბეცის, ღალატისა და ვერაგობის სიმბოლო. გერმანელების მიერ ოკუპირებული ჩეხოსლოვაკია იქცა მახვილად, რომელიც მიმართული იყო აღმოსავლეთისკენ, საბჭოთა კავშირის გულისკენ“.**

ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ჩემბერლენმა მიუნხენიდან გაფრენის წინ ჰიტლერს გულახდილად და სიხარულით განუცხადა: „საბჭოთა კავშირზე თავდასასხმელად თქვენ საკმარისი რაოდენობით გაქვთ თვითმფრინავები, მით უფრო, რომ უკვე აღარ არსებობს ჩეხოსლოვაკიის აეროდრომებზე საბჭოთა თვითმფრინავების ბაზირების საშუალება“. ფაშისტებმა მართლაც მოახდინეს ამ ქვეყნის ოკუპირება 1939 წლის მარტში და ხელთ იგდეს მისი მძლავრი ინდუსტრიული პოტენციალი, კერძოდ, — ასობით ტანკი, 1,5 ათასი თვითმფრინავი, 43 ათასი ტყვიამფრქვევი, საომარი მასალის უდიდესი რაოდენობა. გერმანიის ჯარები შევიდნენ ლიტვაში, დაიპყრეს მემელის (კლაიპედას) ნავსადგური.

თითქოს ჰიტლერს ისღა დარჩენოდა, რომ დაერტყა საბჭოთა კავშირისთვის. მაგრამ ამისთვის მას სჭირდებოდა ფართო სივრცე მანევრების განსახორციელებლად. საჭირო იყო ჯარის შეყვანა პოლონეთში. ამასთანავე, დარწმუნებული არ იყო, რომ გააჩნდა ხანგრძლივი ომის წარმოებისთვის საკმარისი რესურსი. თანაც არავინ იძლეოდა გარანტიას, რომ სისხლისგან დაცლილ გერმანიას თავს არ დაესხმოდნენ დასავლელი „მეგობრები“, მასავით მტაცებელი ქვეყნები.

**საკ.კპ(ბ) XVIII ყრილობის საანგარიშო მოხსენებაში 1939 წლის 10 მარტს სტალინმა გარკვევით განაცხადა, რომ გერმანიას საბჭოთა კავშირთან საომრად დასავლეთიდან უბიძგებენ, რათა „შემდეგ, როცა ისინი დასუსტდებიან, თავიანთი ძალებით გამოვიდნენ სცენაზე, გამოვიდნენ, რა თქმა უნდა, „მსოფლიოს ინტერესებისთვის“ და უკარნახონ ომის დასუსტებულ მონაწილეებს თავიანთი პირობები. იაფიცაა და სასიამოვნოც!“**

სტალინმა ნათლად ახსნა სიტუაცია. ჰიტლერსაც ესმოდა, რაც ხდებოდა. საბჭოთა ლიდერის სიტყვები არაორაზროვნად მიუთითებდა, რომ მათ ქვეყნებს თავიდან უნდა აერიდებინათ ურთიერთკონფრონტაცია. პოლონეთზე თავდასხმის შემთხვევაში ინგლისისა და საფრანგეთის გავლენის სფეროში იმყოფებოდა, გერმანიას დაემუქრებოდა საპასუხო დარტყმა დასავლეთიდანაც და აღმოსავლეთიდანაც, რადგან სტალინი ამ აგრესიას საბჭოთა კავშირთან ომის პრელუდიად აღიქვამდა.

ამიტომ იყო, რომ **ჰიტლერმა მიზანშეწონილად მიიჩნია სტალინთან სამშვიდობო ხელშეკრულების დადება,** საბჭოთა კავშირისა და გერმანიის გავლენის ზონების დადგენა ინგლისისა და საფრანგეთის ინტერესების იგნორირებით, რომლებსაც შექმნილ ვითარებაში, საეჭვოა, ომი გამოეცხადებინათ გერმანიისთვის, რომელსაც გარანტირებული ექნებოდა თავდაუსხმელობა ზურგიდან, ანუ საბჭოთა კავშირის მხრიდან.

ასეთი იყო გამარტივებულად წარმოდგენილი იმ პერიოდის დიპლომატიური ვითარების სურათი. ყველაზე დიდი ევროპული სახელმწიფოების გარდა, „პოლიტიკურ თამაშებში“ მეტ-ნაკლები აქტივობით მონაწილეობდნენ ისეთი ჯუჯა სახელმწიფოები, როგორიც ვატიკანია, რომელთა როლი სულაც არ იყო მეორეხარისხოვანი. ბევრი რამ, რაც ამჟამად, მრავალი წლის შემდგომი გადასახედიდან ნათელია და გასაგები, იმ დროს საიდუმლოების ბურუსით იყო დაფარული და დეზინფორმაციით არეული. სახელმწიფოთა მეთაურების ზოგიერთი ჩანაფიქრი შეიძლება ვარაუდით გავშიფროთ, მაგრამ დაბეჯითებით რაიმეს თქმა შეუძლებელია. მაგალითად, **გამორიცხული არ არის, რომ ჩემბერლენი მართლაც იმედოვნებდა, რომ შეძლებდა ფაშისტური გერმანიის დაოკებას მაშინვე, როგორც კი დაკმაყოფილდებოდა მისი ტერიტორიული მოთხოვნები.** ამასთან, ჰიტლერი და სტალინი განაგრძობდნენ თავიანთი შეიარაღებული ძალების გაძლიერებას ერთმანეთის წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელი მხარის გვერდით დადგომა იქნებოდა მიზანშეწონილი, მომავალში გამოჩნდებოდა, მანამდე კი გააგრძელებდა ძალთა ბალანსის შენარჩუნების პოლიტიკას, გააძლიერებდა გავლენას ევროპაში და იზრუნებდა ბრიტანეთის იმპერიის შესანარჩუნებლად. **ინგლისის მმართველებისთვის გერმანული ფაშიზმი საბჭოთა სოციალიზმზე გაცილებით უმჯობესი იყო. ეს არცაა გასაკვირი. საბჭოთა კავშირის საშინაო საქმეებში ჩაურევლობას მხარს უჭერდა ინგლისის მუშათა კლასის მნიშვნელოვანი ნაწილი და გავლენიანი ინტელიგენციის საკმაო რაოდენობა. სოციალისტური მშენებლობის არაჩვეულებრივი წარმატებები ხაზს უსვამდა კომუნიზმის იდეებისა მშრომელთა სახელმწიფოს შექმნის უპირატესობას. არსებობდა საშიშროება, რომ ეს იდეები გავრცელდებოდა დამოკიდებულ და კოლონიურ ქვეყნებში, რაც რეალურად დაემუქრებოდა ბრიტანეთის იმპერიას. ამ ფონზე ჰიტლერის მისწრაფება ინგლისის „მამულების“ ხელში ჩასაგდებად რეალური არ ჩანდა (ყოველ შემთხვევაში, ჩემბერლენისა და მისი მომხრეებისთვის. მაგრამ ჩერჩილი ასე არ ფიქრობდა).**


ბრძოლა ხასანის ტბასთან

**ჩემბერლენმა ჰიტლერს გულახდილად და სიხარულით განუცხადა: «საბჭოთა კავშირზე თავდასასხმელად თქვენ საკმარისი რაოდენობით გაქვთ თვითმფრინავები, მით უფრო, რომ უკვე აღარ არსებობს ჩეხოსლოვაკიის აეროდრომებზე საბჭოთა თვითმფრინავების ბაზირების საშუალება»**

ფაქტი ფაქტად რჩება: საბჭოთა კავშირის არც ერთ წინადადებას, რომლებიც ევროპაში მშვიდობის შენარჩუნებისკენ იყო მიმართული, არც ინგლისი, არც საფრანგეთი არ ეთანხმებოდნენ. ასეთ ვითარებაში სტალინს იმის იმედი ლა თუ ექნებოდა, რომ ჰიტლერი შეეცდებოდა, თავისი კონტროლისთვის დაექვემდებარებინა მთელი დასავლეთი ევროპა, ჯერ თავს დაესხმებოდა ბელგიასა და საფრანგეთს და მხოლოდ ამის შემდეგ გარისკავდა აღმოსავლეთისკენ გალაშქრებას. ამ დროისთვის კი (1942-43 წლებისთვის) საბჭოთა კავშირი დაასრულებდა გადაიარაღებას და მზად იქნებოდა აგრესიის მოსაგერიებლად.

ჰიტლერი დარწმუნებული არ იყო, რომ მოცემულ მომენტში — 1938-1939 წლებში სწრაფად გაუსწორდებოდა საბჭოთა კავშირს. ასეც რომ მომხდარიყო, ყველაფერი შეიძლება დამთავრებულიყო ისე, როგორც სტალინი აფრთხილებდა — ინგლისის ჰეგემონიით ომით დასუსტებულ გერმანიაზე. საეჭვო იყო, რომ ინგლისი და საფრანგეთი შეურიგდებოდნენ მესამე რაიხის შემდგომ მნიშვნელოვან გაძლიერებას.

საქმე ის იყო, რა ბედს განუსაზღვრავდნენ პოლონეთს, რომელიც საბჭოთა კავშირისკენ გზას ულობავდა ფაშისტებს. პოლონეთში შეჭრას შეიძლება ინგლისისა და საფრანგეთის უკმაყოფილება გამოეწვია, მაშასადამე, — მათი დაჯახება გერმანიასთან. ეს უთუოდ მომგებიანი იყო საბჭოთა კავშირისთვის.

### ომის მისადგომებთან

**შტირლიცის, როგორც ჩვენი მზვერავის კინოლეგენდა, ფაქტებით არ დასტურდება. სამაგიეროდ უეჭველია, რომ ჰიტლერის ახლო გარემოცვაში იყვნენ ადამიანები, რომლებიც მისი გეგმების შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს აწვდიდნენ საბჭოთა კავშირის შესაბამის ორგანოებს.**

ჯერ კიდევ 20-იან წლებში მოსკოვმა ყურადღება მიაქცია პატარა, ჯერ კიდევ რეგიონული პარტიის (რომლის გავლენა მხოლოდ ბავარიაში ვრცელდებოდა) ლიდერს, ადოლფ ჰიტლერს, თუმცა კომინტერნის ხელმძღვანელი ბუხარინი მას აგდებულად მოიხსენიებდა. მაგრამ **სტალინმა ჯერ კიდევ 1926 წელს დაავალა პოლიტიკურ დაზვერვას, ჩანერგილიყო ჰიტლერის პარტიაში, რადგან დასაშვებად მიიჩნევდა პერსპექტივაში მის გაძლიერებას: იმ პერიოდში ძლიერი გერმანიის აღდგენის იმედი ბევრ გერმანელს უთბობდა გულს. ჰიტლერი კი სწორედ ამას ქადაგებდა. ამას გარდა, არ შეიძლებოდა ჰიტლერის პოლიტიკური ალღოსა და მისი პიროვნების არაორდინალურობის ხელაღებით უგულებელყოფა.**

ჯერ კიდევ ხელისუფლებაში მის მოსვლამდე რუსმა პოლიტემიგრანტმა, მწერალმა და პუბლიცისტმა **მარკ ალდანოვმა** (ლანდაუმ) ასე დაახასიათა იგი: „ეს საკმაოდ ჭკვიანი ადამიანია, თავდაჯერებული, ბოროტი, შურისმაძიებელი და უკიდურესად პატივმოყვარე. ვფიქრობ, რომ იგი გულწრფელია და უანგარო... **ჰიტლერი „ილიჩად“ არ გამოდგება, სულიერი თვისებებით განსაკუთრებით ახლოს დგას ტროცკისთან...“** და კიდევ ერთი ზუსტი შენიშვნა: „როგორ სოციალიზმს განახორციელებს ჰიტლერი, თუ ძალაუფლებას ხელთ იგდებს, ვერ ვიტყვი. ვფიქრობ, რომ არავითარ სოციალიზმს არ განახორციელებს“ (ამიტომაც მხარს უჭერდნენ კაპიტალისტები).

საბჭოთა დიპლომატის, **ვ. პავლოვის** პირადი შთაბეჭდილება კი ასეთი იყო: „ჰიტლერი ყოველთვის დამოუკიდებლად, კარნახის გარეშე ლაპარაკობდა. მისი სიტყვა ლოგიკური იყო. **სტალინი ამბობდა, რომ ჰიტლერი ნიჭიერი ადამიანია, მაგრამ — ჭკუამოკლეა“.**

გერმანელი დიპლომატი **ბარონი ფონ პუტლიცი** იხსენებდა, რომ მას ყოველთვის აცვიფრებდა ჰიტლერის არაჩვეულებრივი მეხსიერება. რომელიმე დოკუმენტს ერთხელ მაინც თუ წაიკითხავდა, ერთი საათის შემდეგ შეეძლო მისი თითქმის სიტყვა-სიტყვით გამეორება.

მესამე რაიხის უშიშროების სამსახურის სამმართველოს უფროსი **შელენბერგი** ასე ახასიათებდა ჰიტლერს:

„ნაწილობრივ საფუძვლიან, ნაწილობრივ დილეტანტურ ცოდნასთან ერთად, რაც შეზღუდული იყო ბურჟუაზიული თვალთახედვით, ჰიტლერს გააჩნდა ალღოს მსგავსი პოლიტიკური ინსტიქტი. მას ჰქონდა ჩაგონების უნარი, რომელსაც კარგად იყენებდა. სიამოვნებით იყენებდა ამ უნარს თანამოსაუბრეებზე გავლენის მოსახდენად, ისეთ ადამიანად საკუთარი თავის წარმოსაჩენად, რომელსაც არაჩვეულებრივი და ღრმა ცოდნა აქვს. ამ შთაბეჭდილებას აძლიერებდა დისკუსიის წარმართვის უნარით. ამას ოსტატურად ახერხებდა. კამათის დროს მას გამოცდილი სპეციალისტების გადარწმუნებაც კი შეეძლო. კონტრარგუმენტები მათ ახსენდებოდათ მხოლოდ მას შემდეგ, რაც რაიხსკანცელარიის გარეთ აღმოჩნდებოდნენ, დაფიქრდებოდნენ და მიხვდებოდნენ, რამდენად არასარწმუნო იყო ჰიტლერის მოსაზრებები“.

**მოლოტოვი**, რომელსაც ჰიტლერთან ურთიერთობის გამოცდილება ჰქონდა, მრავალი წლის შემდეგ აღნიშნავდა მის არაჩვეულებრივ მობილიზებას, მიზანსწრაფვასა და თანმიმდევრულობას. უეჭველია, რომ ჰიტლერი კარგი პრაქტიკული ფსიქოლოგი იყო. მისი ენერგია და შრომისუნარიანობა უზარმაზარი იყო. ამას უნდა დავუმატოთ ერთი როლიდან მეორეში გადასვლის უნარი: ახალგაზრდობაში იგი მსახიობის ოსტატობას ეუფლებოდა.

**1933 წელს ხელისუფლებაში მისი მოსვლა აღინიშნა გერმანია-საბჭოთა კავშირის ყველა სფეროში ღრმა და მრავალმხრივი ურთიერთობის შეკვეცით. სტალინმა იცოდა, რომ ჰიტლერი თავის მთავარ მიზნად მიიჩნევდა კომუნიზმის მოსპობას და საბჭოთა კავშირის გერმანიის კოლონიად გადაქცევას.**

**საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. მილიტარიზმის ცენტრს შორეულ აღმოსავლეთში დაემატა ახალი, გაცილებით საშიში კერა — იაპონიაში.**

სტალინს განსაკუთრებით აშფოთებდა ჰიტლერის საგარეოპოლიტიკური ხაზი, რომელიც მიმართული იყო გერმანიის პოლონეთთან კავშირის დასამყარებლად და აშკარად ანტისაბჭოთა ხასიათს ატარებდა. 1934 წლის იანვარში გაფორმდა გერმანია-პოლონეთის ხელშეკრულება. ტრადიციული გერმანული მისწრაფება აღმოსავლეთის ტერიტორიებისკენ შეერწყა ოდინდელ რუსოფობიას. **საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ორიენტირება ლონდონსა და პარიზზე მაშინ სავსებით გამართლებული და ერთადერთი გონივრული ვარიანტი იყო.**


ნევილ ჩემბერლენი და ადოლფ ჰიტლერი

**გაგრძელება იქნება**

რუბრიკას უძღვება **არმაზ სანებლიძე**

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ისმის კითხვა: როგორ მოვიქცეთ, ვიჯდეთ და ვიყოთ ისე, როგორც ვართ, თუ ვიმოქმედოთ, რათა ნდობის ფაქტორი მაინც აღვადგინოთ და ვიაროთ შერიგებისკენ? სხვა გზა რომ არ არსებობს, თქვენც კარგად იცით, ომით ჩვენ აფხაზეთს ვერ დავიბრუნებთ და რომც დავიბრუნოთ, ვის უნდა ტერიტორია აფხაზების გარეშე?! ამის შესახებ ყველამ კარგად იცის! მაშ, რაშია საქმე? რატომ ყურად არ ვიღებთ არასამთავრობო ორგანიზაციების მისაღებ წინადადებებს?**

## სირია განრიგით გაწერილ რეფორმებს ახორციელებს

**სირია დროში გაწერილი რეფორმების გეგმას მკაცრად ახორციელებს, — უცხოური მედიის ინფორმაციით, ამის შესახებ ქვეყნის პრეზიდენტმა ბაშარ ასადმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრ ჩჟაი ცზიუნთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.** მისივე განმარტებით, რესპუბლიკის ხელმძღვანელობა პარალელურად ქვეყანაში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის აღდგენის, ასევე, მოქალაქეების ტერორისტებისგან დაცვის ზომებზე მუშაობს. „ისინი, ვინც სირიის წინააღმდეგ მოქმედებენ, ცდილობენ მის გეოპოლიტიკურ ღირებულებებში ბზარი გააჩინონ და რეგიონში ჩვენი ქვეყნის ისტორიულ როლს საფრთხე შეუქმნან“, — განაცხადა ასადმა.

## გერმანიის პრეზიდენტი იოაკიმ გაუკი გახდება

**გერმანიის ახალი პრეზიდენტი, სავარაუდოდ, უფლებადამცველი იოაკიმ გაუკი გახდება.** მის კანდიდატურას მხარს კანცლერი ანგელა მერკელიც უჭერს. „ამ ადამიანს შეუძლია, მოგვცეს სერიოზული იმპულსები შესაძლო გამოწვევების დასაძლევად და გააძლიეროს ნდობა დემოკრატიისადმი“, — აღნიშნა ანგელა მერკელმა. იოაკიმ გაუკი პრეზიდენტობისთვის 2010 წლიდან იბრძვის, თუმცა მაშინ არჩევანი კანცლერმა კრისტიან ვულფზე გააკეთა. გერმანიის პრეზიდენტმა კრისტიან ვულფმა თანამდებობა 17 თებერვალს დატოვა. აღნიშნულის მიზეზად მან დაასახელა ბოლო პერიოდში მის ირგვლივ აგორებული სკანდალები, რომლებმაც, ვულფის განმარტებით, მის მიმართ მოქალაქეების ნდობაზე უარყოფითად იმოქმედა.

## სირიამ ეგვიპტიდან ელჩი გაიწვია

ეგვიპტესა და სირიას შორის დიპლომატიური ურთიერთობა უკიდურესად იძაბება. დასავლური მედიის ინფორმაციით, ეგვიპტიდან ელჩი სირიამაც გაიწვია. როგორც ცნობილია, თავდაპირველად სირიიდან ელჩი ეგვიპტემ გაიწვია. დიპლომატიური სკანდალი სირიაში მიმდინარე მოვლენებს უკავშირდება. ეგვიპტე ბაშარ ასადის რეჟიმის მიერ მომიტინგეების დაბომბვის ფაქტს აკრიტიკებს.

# ომით ჩვენ აფხაზეთს ვერ დავიბრუნებთ და რომც დავიბრუნოთ, ვის უნდა ტერიტორია აფხაზების გარეშე?!

## ქართველ უხუცესთა ღია წერილი მიხეილ სააკაშვილს

**ხანგრძლივი ლოდინის შემდეგ „აფხაზეთში დაბრუნების მსურველთა ფონდი“ (იგივე „ნდობის აღდგენისა და შერიგების კავშირი“) და მასთან არსებული ქართველ უხუცესთა საბჭო (აფხაზეთიდან) მოგმართავთ თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, ეგებ გავარკვიოთ, რატომ ხდება ჩვენ მიერ წამოყენებული წინადადება-პროექტების იგნორირება საქართველოს კომპეტენტური ორგანოებისა და სამინისტროების მხრიდან, რომელთა განხორციელება გარკვეულწილად შეუწყობდა ხელს ჩვენსა და აფხაზებს შორის ნდობის აღდგენას, შერიგებისკენ ნაბიჯის გადადგმას.**



**გაუგებარია, უფრო მეტიც, შემაძრწუნებელია, როცა ორი წლის განმავლობაში პასუხს ელი და ვერ მიიღებ. გამონაკლისი მხოლოდ ერთი პროექტია, რომელიც პრეზიდენტის კანცელარიამ შესასრულებლად გადაუგზავნა აფხაზეთის მთავრობას. კანცელარიამ, ალბათ, თქვენ არ ჩაგაყენათ საქმის კურსში (არ მოგახსენათ), თორემ არ დავიჯერებთ, რომ ხსენებული პროექტის აფხაზეთის მთავრობისთვის გადაგზავნის განკარგულება თქვენ გაგეცათ, ვინაიდან მას მისი შესრულების შესაძლებლობა არ გააჩნია. ძალიან მოკლედ ჩამოვთვლით ზოგიერთ წინადადება-პროექტს და თქვენ და ქვეყანამ განსაჯეთ, ღირდა თუ არა ამ წინადადებაზე რეაგირება.**

1. 2010 წლის 6 აგვისტოს თქვენს სახელზე გაიგზავნა წერილი, რომლითაც გამოვდიოდით თხოვნით, ენგურის ხიდთან არსებულ პატარა მოედანზე დაიდგას ომში დაღუპულ ქართველთა, აფხაზთა და სხვა ეროვნების წარმომადგენელთა პატივსაცემად და მათი ხსოვნის უკვდავსაყოფად მონუმენტი (წარწერით — „მოტყუებული ძმები ერთმანეთს ებრძოდნენ“. წარწერა შეიძლება სხვა იყოს);

2. პარლამენტში გაიგზავნა აფხაზთა უხუცესთა საბჭოს წევრებისადმი მიმართვა, რომელიც მანამდე პრესითა და ტელეარხებით გაშუქდა. მიმართვის სრული ტექსტი იმ საღამოსვე გადასცა რადიო „თავისუფლებამ“ (პრაღა), რომელსაც კორესპონდენტების ძალისხმევით სოხუმიდან იმ საღამოსვე გამოეხმაურა აფხაზეთის უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარე, ბატონი კონსტანტინე ოზგანი, რომელმაც დადებითად შეაფასა ქართულ უხუცესთა საბჭოს შექმნა. ჩვენი და ლტოლვილთა გარკვეული ნაწილის დიდ გაკვირვებას იწვევს ის, რომ არც აფხაზეთის და არც საქართველოს მთავრობა ამ პროცესით არ დაინტერესებულა, ვითომ არაფერი მომხდარა. გვეგონა, აფხაზეთის ხელმძღვანელობა ამოგვიდგებოდა მხარში, მოგვცემდა რჩევა-დარიგებას, მაგრამ ისინი დუმან. ვურჩევდით, ვთხოვდით ჩვენს ძველ მეგობარს, ბატონ გია გვაზავას, მოგვაქციოს ყურადღება, რამეთუ აფხაზებთან ნდობის აღდგენაზე, შერიგებაზე უფრო აქტუალური საკითხი (ჩვენი აზრით) ამჟამად არ გვეგულება;

3. 2010 წელს ვწერთ ეკონომიკური პროექტის შესახებ მდ. ენგურის ძველი კალაპოტის ტერიტორიასთან დაკავშირებით, რომლის განხორციელების შემთხვევაში დასაქმდებოდა აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის ათასობით წარმომადგენელი და ასევე არანაკლები რაოდენობის გალის რაიონის მცხოვრებნი. მათი ურთიერთობა ხელს შეუწყობდა ქართველებსა და აფხაზებს შორის ნდობის აღდგენას და მათ შერიგებას. ჩვენს აქტივისტებს შემუშავებული აქვთ ამ სამუშაოების განხორციელების პროექტი;

4. 2011 წლის 18 მარტს ვწერდით, რომ აფხაზთა და ქართველთა ურთიერთობას მიეცეს რეალური შესაძლებლობა, ბიძგი შერიგებისკენ. აფხაზებს, რომლებიც ცხოვრობენ აფხაზეთში, საქართველოს ძირძველ მიწაზე და აქვთ აფხაზური პასპორტები (რომელიც სხვა სახელმწიფოში გასვლის უფლებას არ იძლევა), ნება დაერთოს, თავისუფლად ყოველგვარი ვიზის გარეშე, შემოვიდეს საქართველოს სხვა კუთხეებში. კარგია, რომ ჩერქეზების გენოციდი ვცანით, თურქეთში უვიზოდ დავდივართ, მაგრამ ჯერ სახელმწიფოს შიგნით საქმის მოგვარება უფრო მიზანშეწონილი და აუცილებელია, რაც, სხვას რომ თავი დავანებოთ, გააჩენდა იმედის მცირე ნაპერწკალს დაბეჩავებულ ლტოლვილებში;

5. 2011 წლის ივნისში ვწერდით, რომ ზუგდიდის რაიონის სოფ. რუხის მოედანზე, სადაც ომამდე იგეგმებოდა ქართველთა და აფხაზთა ძმობის უკვდავსაყოფად მონუმენტის აღმართვა, მოეწყოს კეთილმოწყობილი ბაზრობა (ლილოს ტიპის), რომელიც დიდ შედეგს გამოიღებდა აფხაზთა და ქართველთა შორის ნდობის აღდგენის საქმეში. გვაქვს უწყვეტი კავშირი აფხაზებთან, რომლებიც მოწადინებულნი არიან, შერიგების საქმეში თავიანთი წვლილი შეიტანონ;

6. 2011 წლის 30 ივნისს რეინტეგრაციის სამინისტროს მივწერეთ იმის შესახებ, რომ ექიმთა ჯგუფი ბატონ ფრიდონ თოდუას საქვეყნოდ ცნობილი კლინიკიდან თავად ბატონ ფრიდონის ხელმძღვანელობით ჩავიდოდა აფხაზეთში და გალის საავადმყოფოში ერთი თვის განმავლობაში ჩაუტარებდა მოსახლეობას სამედიცინო გასინჯვა-გამოკვლევას, ძვირადღირებულ ოპერაციებს (ყველაფერს უფასოდ). რაც მთავარია, აპარატურას, რომელსაც საავადმყოფოში შეიტანდნენ, სამუშაოს დამთავრების შემდეგ უსასყიდლოდ დაუტოვებდნენ ადგილობრივ მედიკოსებს. ამის ორგანიზაციაც ვერ ან არ მოხერხდა. არ გაუვლია ერთ თვეს და რუსებმა დაიწყეს რაიონში უფასო სამედიცინო შემოწმება. ალბათ, მათ ყურამდე მიაღწია ჩვენმა ზოზინმა ამ საქმეში.

**ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტები მოწმობს, რომ ჩვენ არ გვაინტერესებს აფხაზებთან ნდობის აღდგენა და შერიგება — სხვა დასკვნას ვერ გამოიტანს კაცი.**

თქვენი განცხადებით, ბატონო პრეზიდენტო, რამდენი ხნის წინ უნდა გამთლიანებულიყო საქართველო, მაგრამ, **საუბედუროდ, ტერიტორიების დაბრუნება კი არა, ნდობის აღდგენაზეც თითს თითზე არ ვაკარებთ.**

**დროა, ყველამ შეიგნოს, ლტოლვილებთან იაფფასიანი თამაშით შორს ვერ წავლენ. გარწმუნებთ, რომ ლტოლვილები სათანადო დასკვნას გააკეთებენ და ხმას ამჟამინდელ მთავრობას არ მისცემენ.**

ყველასთვის გასაგებია, რომ ბევრი უბედურება დაგვატეხეს თავს აფხაზმა სეპარატისტებმა (არა ხალხმა), ჩრდილოკავკასიელ გადამთიელთა დახმარებით გამოგვრეკეს მშობლიური მიწა-წყლიდან; ძალიან ბევრი უდანაშაულო ადამიანი დაიხოცა ომში, ომის შემდეგ 300 000-ზე მეტი ადამიანი ლტოლვილად იქცა. ეს უდავო ფაქტია, მაგრამ უდავოა ისიც, რომ არც ჩვენი მთავრობა და მისი ხელმძღვანელობაა უდანაშაულო აფხაზეთში ომის პროვოცირებასა და დაწყებაში, მაგრამ დაისაჯა ვინმე? არა. ნაძარცვი და ნაყაჩაღარი ქონებით, ფულით დღესაც განცხრომაში ცხოვრობენ. ესაა სინამდვილე. **ისმის კითხვა: როგორ მოვიქცეთ, ვიჯდეთ და ვიყოთ ისე, როგორც ვართ, თუ ვიმოქმედოთ, რათა ნდობის ფაქტორი მაინც აღვადგინოთ და ვიაროთ შერიგებისკენ?**

სხვა გზა რომ არ არსებობს, თქვენც კარგად იცით, ომით ჩვენ აფხაზეთს ვერ დავიბრუნებთ და რომც დავიბრუნოთ, ვის უნდა ტერიტორია აფხაზების გარეშე?! ამის შესახებ ყველამ კარგად იცის! მაშ, რაშია საქმე? რატომ ყურად არ ვიღებთ არასამთავრობო ორგანიზაციების მისაღებ წინადადებებს?

როგორც ვხედავთ, მხოლოდ ერთი რამ დაგვრჩენია: გავააქტიუროთ მუშაობა სხვა არასამთავრობოებთან ერთად და სათავეში ჩავუდგეთ ლტოლვილთა საზოგადოებას. ალბათ, საჭირო იქნება საკოორდინაციო საბჭოს შექმნა, რის განხორციელებასაც უთუოდ შევძლებთ.

**პატივისცემით, კრების დავალებით,**

**მამანტი ჯოლია,**
**ქართველ უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, აფხაზეთის ომის, შრომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა კავშირის საპატიო თავმჯდომარე**

მოკლედ

## საიდუმლო მოლაპარაკებები

**აშშ-მა, ავღანეთის მთავრობამ და „თალიბანის“ წარმომადგენლებმა საიდუმლო სამმხრივი მოლაპარაკებები დაიწყეს.** ამის შესახებ The Wall Street Journal-თან ინტერვიუში ავღანეთის პრეზიდენტმა ჰამიდ ყარზაიმ განაცხადა. „არსებობდა კონტაქტები აშშ-ის ხელისუფლებასა და „თალიბანს“ შორის, ასევე ავღანეთის მთავრობასა და „თალიბანს“ შორის; ჩვენ სამმხრივ შეხვედრებზე ხშირად ვიკრიბებით. ავღანეთის მოსახლეობას, „თალიბანის“ ჩათვლით, მშვიდობა უნდა. ისინიც ისეთივე ადამიანები არიან, როგორიც ჩვენ. მათ ჰყავთ ოჯახები, ნათესავები, ბავშვები და ამ ვითარებისგან ყველანი იტანჯებიან“, — აცხადებს ყარზაი.

## ირანს საერთაშორისო სისტემა SWIFT-იდან რიცხავენ

**საერთაშორისო სისტემა SWIFT-ი, რომელიც ბანკებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით ფულის გადარიცხვის საშუალებას აძლევს, ემორჩილება საერთაშორისო ზეწოლას და მზადაა, დაბლოკოს ირანული ბანკების მიერ ფულის გადარიცხვისათვის თავისი ქსელის გამოყენება.** ირანული ბანკების გამორიცხვა მსოფლიოს ბანკთაშორისი ფინანსური ტელეკომუნიკაციების საზოგადოებიდან ირანს დანარჩენ მსოფლიოში ბიზნესის წარმოების საშუალებას ჩამოართმევს. დასავლეთის სახელმწიფოების აზრით, ამ ნაბიჯმა შესაძლოა გადამწყვეტი გავლენა იქონიოს ირანის ბირთვული ამბიციების შეჩერებაზე.

ესენი დაბოლმილი, მხოლოდ ხორციელი სიამის მონები არიან. უხამსი სიტყვებით, გაშიშვლებული ველურობით აღიქვამენ მოვლენებს, რაც გულისამრევია. ეს შედეგია იმისა, რომ მომრავლდნენ პედერასტები, გაორებული ორიენტაციის ადამიანები, მამათმავლები და ლესბოსელები... რომელი ნორმალური მწერალი იკადრებს იმას, რასაც ეს დამთხვეულები კადრულობენ? ერთ სატელევიზიო გადაცემაში ახალგაზრდა გამოვიდა, მწერალი ვარო, თავი მოჰქონდა რაღაც ნაჯღაბნით. ეს არის ის ნაწარმოებები, რომლებიც პამპერსივით ერთჯერადია — წაიკითხავ, გულს აგირევს და სანაგვეში გადააგდებ.

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ღმერთო, გვიხსენი ამ გარყვნილებისგან!

**უფლის გარდა, ვის მივმართო, მართლაც არ ვიცი. უზნეობა და გარყვნილება ყოველი მხრიდან გვიტევს, გვიტევს ტელევიზიით, წიგნების ფურცლებიდან თუ თეატრის სცენიდან, რათა დაინგრეს და გაცამტვერდეს ზნეობა, ზრდილობა და სულიერი ღირებულებები, რაც საუკუნეების მანძილზე ამშვენებდა და ალამაზებდა ერის ღირსებას.**



ის უმსგავსობა, რაც რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე აჩვენეს, მარტო მსახიობების პროტესტის საგნად არ უნდა დარჩეს. მართალია, ის **ამაზრზენი ანტისპექტაკლი — „შემეხე“** არ მინახავს (ღმერთო დამიფარე!), რადგან სპექტაკლებსა და ღონისძიებებზე ხშირად შვილიშვილთან ერთად დავდივარ.

ჩვენმა ღირსეულმა წინაპრებმა სწორედ ქართული თეატრის სცენიდან დაიწყეს ეროვნული იდეის პროპაგანდა და დამკვიდრება, ყველაზე სათუთ და მგრძნობიარე თემებზე მსჯელობა. **ახლა ყველაფერი მოგვარებული გვაქვს? სექსუალური უკუღმართობის საყურებლად და გასართობად გვცალია, როცა თავზე გვექცევა ქვეყანა და დაკარგული ტერიტორიები გვაქვს დასაბრუნებელი?**

საინტერესოა, კულტურის მინისტრმა და რუსთაველის თეატრის სამხატვრო საბჭოს წევრებმა თუ მიიყვანეს საკუთარი ოჯახის წევრები, შვილები და შვილიშვილები ამ სპექტაკლის საყურებლად? კულტურის მინისტრ რურუას ორი ქალიშვილი ჰყავს, საინტერესოა, აყურებინა იმ სისაძაგლეს — შიშველი მამაკაცი წინ და უკან რომ დარბის სცენაზე?..

და თუ ნახეს, ნეტა, რა უთხრეს მამას — დარჩნენ ყმაყოფილები? თუ არა და, მაშინ რატომ უჩვენებენ ამ სიბინძურეს სხვის შვილებს?

ვერც ინგლისელები და ვერც ამერიკელები ვერ გვასწავლიან ქცევასა და კულტურას... როცა კოლუმბმა ამერიკა აღმოაჩინა, მაშინ ჩვენი კულტურა ყვაოდა. ახლა კი მოდის ის ვიღაც ზნეობრივად დეგრადირებული ინგლისელი ზელდინი, საქართველო ველური ქვეყანა ჰგონია და ჯუნგლების ცხოვრების წესების დემონსტრირებას გვაკადრებს სცენაზე.

**რას ემსახურება კულტურის სამინისტრო? რატომაა ხელისუფლება დაინტერესებული საზოგადოების ზომბირებით, გარყვნით?**

**რატომ აძლევს უფლებას უზნეოებს, რომ დასცინონ და აბუჩად აიგდონ საზოგადოება?**

მოუთმენელი უმსგავსობა დამკვიდრდა ლიტერატურაშიც. გამოჩნდნენ ვაიავტორები, რომლებიც მშობლის ასოსა და უკანალს ხალისით აღწერენ და უხარიათ. გამრავლდნენ სოდომური ცოდვის შვილები და მიაფურთხეს ყოველივე ღირებულს. ვიღაც შებრუნებული აზროვნების მქონე დეისაძემ დაჯღაბნა და უპრობლემოდ გამოაქვეყნა „საიდუმლო სირობა“, რომელიც ილიას უნივერსიტეტის წინ, მიაქციეთ ყურადღება, ერის მამის, ილიას სახელობის სასწავლებლის წინ განიხილეს და გამოცემას ტაში დაუკრეს. ამავე უნივერსიტეტმა 2011 წლის ლიტერატურული პრემია მიანიჭა ვინმე ზაზა ბურჭულაძის ნაწარმოებს „გასაბერი ანგელოზი“. ეს ის ბურჭულაძეა, რომელმაც უხამსი ქმედება ჩაიდინა ქუთაისში — ოპერის თეატრში პოეტი ქალბატონის იუბილეზე მოულოდნელად ავარდა სცენაზე და იღრიალა: „ქურდებს — სიცოცხლე, ბოზებს — სიკვდილი“. **ამგვარმა ადამიანმა, რომელსაც ელემენტარული პატივისცემა არ აქვს არც საზოგადოების და არც საკუთარი თავისა, რა ღირებული უნდა შექმნას და შესთავაზოს მკითხველს? ან ამგვარმა გაუკუღმართებული აზროვნების ვითომც მწერალმა რით მოაწონა საკუთარი შემოქმედება უნივერსიტეტის რექტორს, თევზაძეს?.. ალბათ, თავადაც ასეთია, რაკი უხამსობა და სიბილწე იზიდავს.**

**ეს ორიენტაციადარღვეული ადამიანები, რომელთა შორის ძალიან ბევრი ხელისუფლების წარმომადგენელია, შეურაცხყოფენ უფალს. ამათ რომ ნამდვილი, მამაკაცური ღირსებები ჰქონდეთ, სიზმრად და ცხადად ფალოსი არ მოელანდებოდათ.**

**მოდის ის ვიღაც ზნეობრივად დეგრადირებული ინგლისელი ზელდინი, საქართველო ველური ქვეყანა ჰგონია და ჯუნგლების ცხოვრების წესების დემონსტრირებას გვაკადრებს სცენაზე**

როგორი თაობები გვეყოლება მომავალში? უზნეო, უკულტურო, უესთეტიკო, მხოლოდ გართობის მოყვარული, სექსზე მოფიქრალი და უხამსობის მეხოტბე?

თითქმის ყველა ქართველ კლასიკოსს აქვს აღწერილი ქალისა და მამაკაცის ურთიერთობა, ინტიმური პასაჟები, მაგრამ ყველაფერს აქვს ზღვარი.

ესენი დაბოლმილი, მხოლოდ ხორციელი სიამის მონები არიან. უხამსი სიტყვებით, გაშიშვლებული ველურობით აღიქვამენ მოვლენებს, რაც გულისამრევია. ეს შედეგია იმისა, რომ მომრავლდნენ პედერასტები, გაორებული ორიენტაციის ადამიანები, მამათმავლები და ლესბოსელები.

რომელი ნორმალური მწერალი იკადრებს იმას, რასაც ეს დამთხვეულები კადრულობენ? ერთ სატელევიზიო გადაცემაში ახალგაზრდა გამოვიდა, მწერალი ვარო, თავი მოჰქონდა რაღაც უსახური ნაჯღაბნით. ეს არის ის ნაწარმოებები, რომლებიც პამპერსივით ერთჯერადია — წაიკითხავ, გულს აგირევს და სანაგვეში გადააგდებ.

**დღეს რუსთაველის გვერდით სულბინძური, ნაგვის მქექველები ცდილობენ დამკვიდრებას.**

**უზნეობა არც ერთ ქვეყანაში არასდროს ყოფილა წახალისებული. ჩვენ რა ღმერთი გვიწყრება?...**

ადამიანების, განსაკუთრებით ახალგაზრდების, ფსიქიკაზე, მათ მორალურ გაუკუღმართებაზე პირდაპირ მოქმედებს ცალკეული სატელევიზიო გადაცემები. უზნეობის პროპაგანდის ამ საშუალებას ხალისით იყენებენ ქართული ტელევიზიები. ზღვარი არ უჩანს იაფფასიან ტელესერიალებს, გადაცემებში იწვევენ კახპებს და მათ ვარსკლავებად წარმოგვიჩენენ; არენა დაუთმეს ქმარგაყრილებს, ნარკომანებსა და უზნეოებს; პროპაგანდას უწევენ იმას, რომ გათხოვებამდე ქალიშვილობის შენარჩუნება სამარცხვინოა.

ვეკითხები გადაცემა „სიმართლის დეტექტორის“ ავტორებს:

— ამიხსენით, რას ემსახურება თქვენი უფერული, უხამსი გადაცემა, სხვა ნორმალური ვერაფერი მოიფიქრეთ, რომ ნაგავში არ იქექოთ... არ გაწუხეთ ეს სიბინძურე?..

საქართველოში ჯერ კიდევ უამრავი მისაბაძი და ღირსეული ოჯახია, მოიწვიეთ ისინი, საზოგადოებას ესაუბრეთ ქალურ და მამაკაცურ ღირსებებზე, ამ ორი ფენომენის სიდიადეზე, ოჯახურ სიმტკიცეზე... ეს უფრო არ წაადგება ქვეყანას?

**თეატრი, კინო, მხატვრული ნაწარმოები, ტელევიზია ჩვენი კულტურის სარკე უნდა იყოს. ვინ გავალებთ ამ უზნეობის, ძალადობის, აღვირახსნილობის პროპაგანდას?.. ქართველები არა ხართ?..** ხომ ხედავთ, რა ხდება დედაქალაქში, ახალგაზრდები როგორ იქცევიან: არ იციან მეგობრობა, ერთმანეთის დანდობა, მიტევება; მომრავლდნენ იმპოტენტები, ორიენტაციადარღვეული ახალგაზრდები, ხვალ კი თქვენს შვილს ემუქრება იმპოტენცია და პედერასტობა ან გათხოვდება და უამრავჯერ ნააბორტევი ვერ გააჩენს შვილს, ან კიდევ გახდება ძალადობის მსხვერპლი... მერე უნდა იფიქროთ ამ საშინელ მდგომარეობაზე?

**დღესდღეობით კატასტროფულად უარესდება საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობა. მომრავლდნენ მარტოხელა დედები, შეუთავსებლობის საბაბით ინგრევა ათასობით ოჯახი, რასაც აუცილებლად მოჰყვება საშიში, არასასურველი შედეგი მომავალში.**

ცნობილი მეცნიერები მითოლოგიაზე დაყრდნობით წერენ, რომ უძველესი ქართული ღვთაება იყო კოლხური „დია ნანა“, იგივე დედა. იქიდან მოდის საოცარი კდემა და პატივისცემა მამაკაცისა ქალისადმი და, ვისაც ეს დამოკიდებულება აღვირახსნილობამდე, სექსუალურ მანიაკობამდე დაჰყავს, ის მარაზმის მსახურია.

**დავფიქრდეთ! დღეს ჩვენი სულიერი ცხოვრება თანდათანობით ქაოსში ეფლობა, ჩვენს წმინდა ეროვნულს ენაცვლება სხვა კულტურა, სხვა ალმსარებლობა და ცხოვრების უკუღმართი წესი, რომელსაც გამოუჩნდნენ კიდეც ბინძური მიმდევრები, მახინჯი სულიერი ფასეულობების მეხოტბენი, ურცხვად, ჯიუტად რომ ცდილობენ, ცხოვრების ავანსცენა დაიკავონ.**

**ეს არ უნდა დავუშვათ!**

**ბორის დავითაია,**
**მწერალი,**
**აკ. წერეთლის სახელობის პრემიის ლაურეატი**

## დაღესტანში «მუცალაულსკის» მეთაური მოკლეს

**რუსმა ძალოვანებმა სპეცოპერაციის დროს დაღესტანში ბანდდაჯგუფების მეთაური და მისი დამხმარე გაანადგურეს.** ისინი პოლიციელებისა და რელიგიური მოღვაწეების მკვლელობებში იყვნენ გარეულნი. ინფორმაციას ამის შესახებ რუსეთის ნაციონალური ანტიტერორისტული კომიტეტი ავრცელებს. „რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სამსახურისა და შს სამინისტროს თანამშრომლებმა ბანდიტური იატაკქვეშეთის წევრების ბლოკირება მოახდინეს. დაკავებისას ბანდიტებმა წინააღმდეგობა გაწიეს. საპასუხო ცეცხლის გახსნის შედეგად ორი მათგანი გაანადგურეს“, — იუწყება კომიტეტი. მათი ინფორმაციით, მოკლულები ამოცნობილნი არიან როგორც მაგომედ კასუმოვი — „მუცალაულსკის“ მეთაური და რაშიდ მაგაევი — ბოევიკების აქტიური დამხმარე. იგი მათ დროებით საცხოვრებელს, საკვებსა და ტანისამოსს აწვდიდა.



## საბერძნეთში ოლიმპიის უძველესი მუზეუმი გაძარცვეს

**საბერძნეთში ოლიმპიის უძველესი არქეოლოგიური მუზეუმი გაძარცვეს.** მძარცველებმა 65 ფასდაუდებელი არტეფაქტი გაიტაცეს. პოლიციის ინფორმაციით, მუზეუმში ორი ნიღმიანი მამაკაცი შეიჭრა, მცველი აიძულა, სიგნალიზაცია გაეთიშა, რის შემდეგაც შენობაში შესვლა და ანტიკური არტეფაქტების გატანა მოახერხა. თავდამსხმელებმა დარაჯი სკამზე დააბეს და ვიტრინები ჩაამსხვრიეს. საბერძნეთის კულტურისა და ტურიზმის მინისტრმა მომხდარის გამო თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განცხადება პრემიერ-მინისტრს გადაუგზავნა, თავად კი გაძარცვული მუზეუმის დასათვალიერებლად გაემგზავრა.

მოკლედ

## პირველად ეგვიპტის ისტორიაში

**ცნობილი ეგვიპტელი ჟურნალისტი, პოპულარული ტელეწამყვანი და საზოგადო მოღვაწე ბუსეინა კამელი ეგვიპტის ისტორიაში პირველი ქალია, რომელიც ქვეყნის საპრეზიდენტო არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას.** ამის შესახებ თავად კამელმა ქალაქ პორტ-საიდში ახალგაზრდების მიტინგზე განაცხადა. წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, ასეულობით მხარდამჭერის წინაშე სიტყვით გამოსვლისას ტელეჟურნალისტმა ეგვიპტის ამჟამინდელი სამხედრო ხელისუფლება გააკრიტიკა. კამელი საკუთარი კანიდატურის ოფიციალურად დარეგისტრირებასა და ივნისის ბოლოს ეგვიპტის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებას აპირებს.

## ჰონდურასის ციხეში ხანძარს 270 ადამიანის ემსხვერპლა

**ჰონდურასის ერთ-ერთ ციხეში გაჩენილ ხანძარს 270 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. გარდა დაღუპულებისა, არიან დაშავებულებიც.** ადგილობრივი სამართალდამცავების განცხადებით, ეს მხოლოდ პირველადი მონაცემებია და დაღუპულთა რიცხვი შესაძლოა კიდევ გაიზარდოს. სამაშველო სამსახურის წარმომადგენლები ციხეში გაჩენილ ხანძარს ერთი საათის განმავლობაში აქრობდნენ. ხანძრის გაჩენის მიზეზი უცნობია. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით გამოძიება უკვე დაიწყო. ერთ-ერთი ვერსიით, ტრაგედიის მიზეზი, შესაძლოა, მოკლე ჩართვა გამხდარიყო.

## ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## საკურა თოვლის ქვეშ აყვავდა

**ძლიერი ყინვებისა და დიდთოვლობის მიუხედავად, იაპონიის ქალაქ ნაგოიაში საკურა აყვავდა. ამ მოვლენამ ადგილობრივი ბოტანიკოსები გააოგნა.** ქალაქის ქუჩებში, სადაც -5 გრადუსი ყინვაა, ხეებზე სანტიმეტრზე დიდი დიამეტრის ყვავილები გაიშალა. „წელიწადის ასეთ დროს და ასეთ ამინდებში საკურას აყვავება ყველა წესის დარღვევაა. ამას ახსნას ვერავინ უძებნის“, — აცხადებს ქალაქის ბოტანიკური ბაღის თანამშრომელი. საკურა დეკორატიული ხეა, რომელიც ვარდის მსგავს ყვავილებს ისხამს. ის იაპონიის კულტურის სიმბოლოდ მიიჩნევა.

# შეშლილი გენიოსები



**იტალიელ ფილოსოფოსს ჯეროლამო კარდანოს** ეჩვენებოდა, რომ მთელი მთავრობა მას უთვალთვალებდა, ხოლო ხორცი, რომელსაც მისთვის ვახშმად ამზადებდნენ, ცვილითა და გოგირდით იყო გაჟღენთილი.



**გერმანელ კომპოზიტორ რობერტ შუმანს ფსიქიკური აშლილობის სიმპტომები 24 წლის ასაკში გამოუვლინდა, 46 წლის ასაკში კი საღად აზროვნების უნარი საერთოდ დაკარგა.** მას მოლაპარაკე მაგიდები დასდევდა და ხედავდა ბგერებს, რომლებიც მის გონებაში აკორდებად და მუსიკალურ ფრაზებად ლაგდებოდა.



**ფილოსოფოსი არტურ შოპენჰაუერი** წონასწორობას კარგავდა, თუ დოკუმენტებში მისი სახელი ორი „პ“-თი იყო დაწერილი. ერთხელ ასეთ მდგომარეობაში შოპენჰაუერმა სცემა მოხუც ქალს, რის გამოც სასამართლომ ფილოსოფოსს სიცოცხლის ბოლომდე იმ ქალისთვის პენსიის გადახდა დააკისრა.



**ინგლისელ მწერალ ჯეიმს ჰარინგტონს** ეჩვენებოდა, რომ აზრები მას პირიდან ფუტკრებისა და ჩიტების სახით უფრინდებოდა და მათ განსადევნად ხელში ცოცხით დარბოდა.



**ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი** დევნის მანიით იყო შეპყრობილი. ის მიიჩნევდა, რომ ვიღაც იტალიელებს მისი მოწამლვა სურდათ.



**ფრანგი მეიგავე ჟან დე ლაფონტენი,** როდესაც შთაგონების ქვეშ იყო, საათობით ხეტიალობდა ქუჩაში, ისე, რომ ვერ ამჩნევდა მისი ჟესტიკულაციით გაოცებულ გამვლელებს. ამასთან, ხშირად ერთ ადგილზე ჩერდებოდა, ფეხებს აბაკუნებდა და ყვიროდა ფრაზებს, რაც იმ წუთებში თავში მოსდიოდა.



**მხატვარ ვინსენტ ვან გოგს** 150-ზე მეტი დიაგნოზი დაუსვეს. ექიმებმა მას ეპილეფსია, ტვინის სიმსივნე, მანიაკალურ-დეპრესიული ფსიქოზი, შიზოფრენია და წითელი ფუტკარათი მოწამლულობაც კი დაუდგინეს.



**მხატვარი და მოქანდაკე ანრი მატისი** დეპრესიითა და უძილობით იტანჯებოდა, ზოგჯერ კი ძილში ქვითინებდა და სველი იღვიძებდა. ერთხელ, ყოველგვარი მიზეზის გარეშე, ის დაბრმავების შიშმა შეიპყრო და ვიოლინოზე დაკვრაც კი შეისწავლა იმისთვის, რომ მხედველობის დაკარგვის შემდეგ ქუჩის მუსიკოსობით თავი ერჩინა.



**ინგლისელი მწერალი ლორდ ჰოუტონი** მორიგ ნაწარმოებზე მუშაობის პარალელურად დანით ან მაკრატლით ხელსაქმობდა. შემოქმედებითი წვის დროს, მან არაერთი საწერი მაგიდა და სავარძელი გამოკვეთა, ერთხელ კი ცოლის საყვარელი კაბა აკუწა.

## ორსახიანი კატა



**ფლორიდაში კატამ უცნაური კნუტი გააჩინა. ცხოველს ორი სახე აქვს. ნეშ ჰენდის და ამანდა ფორსაიტს ბევრი არ უფიქრიათ, კნუტს ფილმ „ბეტმენის“ ორსახიანი გმირის, ჰარვი დენტის სახელი დაარქვეს.**

ჰარვი ორივე პირს შესანიშნავად იყენებს: ერთით — ჭამს, მეორეთი — კნავის. საინტერესოა, რომ დედა კატამ ის არ გამოარჩია სხვა კნუტებისგან და მასზეც ისე ზრუნავს, როგორც დანარჩენებზე.

**პატრონები კნუტის გაჩუქებას არ აპირებენ. მათ გადაწყვიტეს, შინაური ცხოველი თავად გაზარდონ. ამჯერად ჰარვი კარგად არის, მაგრამ ცხოველები მსგავსი სიმპტომებით დიდხანს ვერ ცოცხლობენ.**

ორსახიან კატებს იანუსებს ეძახიან. ეს სახელი მათ რომაელი ღმერთის, იანუსის პატივსაცემად შეარქვეს, რომელსაც ასევე ორი სახე ჰქონდა.

# ყველაზე პატარა მადუღარა



**მსოფლიოში ყავის ყველაზე პატარა მადუღარა სიმაღლეში სულ რაღაც ერთი სანტიმეტრია. მისი დიზაინი იტალიელ იუველირს, პიერტო მარმოს ეკუთვნის.**

გარდა იმისა, რომ მინიატურულ ყავის მადუღარაში 2 ფილტრია და მისი კორპუსი ვერცხლისგან არის დამზადებული, მას გემრიელი ყავის მომზადება სულ რაღაც 25 წამში შეუძლია. არომატული სასმელის მოსამზადებლად რამდენიმე გრამი ყავა და 10 წვეთი წყალია საჭირო. **მადუღარა გინესის რეკორდების წიგნში შევიდა, როგორც მსოფლიოში ყველაზე პატარა.**

ამ შედევრის შესაქმნელად იტალიელ იუველირს რამდენიმეთვიანი დაძაბული მუშაობა დასჭირდა. მან ყავის მადუღარას ასევე მინიატურული ჭიქაც დაუმზადა, რომელიც მთლიანად სუფთა ოქროსგან არის შექმნილი.

ამ დროისთვის იუველირი მუშაობს ჩაის სერვიზის შექმნაზე, რომელიც, გარდა იმისა, რომ მინიატურული და მთლიანად ძვირფასი ლითონისგან დამზადებული იქნება, ძვირფასი თვლებითაც გაფორმდება.

# უჩვეულო ბიზნეს-იდეები

## ღალატის საიტი




**Ashleymadison.com არის გაცნობის საიტი, თუმცა მასზე რეგისტრაცია მხოლოდ დაქორწინებული ადამიანებისთვისაა ნებადართული ან მათთვის, ვისაც ასეთი ადამიანის გაცნობა სურს.** საიტის დევიზი დაახლოებით ასე ჟღერს — „სიცოცხლე ხანმოკლეა, მოასწარი ღალატი“. გასაკვირია, მაგრამ საიტის მეპატრონე ყოფილი იურისტია, ჰყავს ცოლი, ბედნიერად ცხოვრობს და არავის ეძებს საკუთარ საიტზე, რომელთან დაკავშირებითაც უამრავი გამოთქვამს უკმაყოფილებას. მიუხედავად ამისა, ფაქტი სახეზეა — დარეგისტრირებული მომხმარებლების რაოდენობა 7 მილიონს აჭარბებს.

## ბებოს მურაბა



**ფრეიზერ დოგერტი 14 წლის იყო, როდესაც ბებოს რეცეპტის გამოყენებით მურაბების მომზადება დაიწყო.** როცა 16-ის გახდა, სკოლა მიატოვა, რათა მთელი დრო და ენერგია ჯემის ბიზნესზე დაეხარჯა. ახლა კომპანია „SuperJam“-ი წელიწადში 500 000 ქილა ჯემს ყიდის, რაც დიდი ბრიტანეთის ჯემის ბაზრის 10%-ს შეადგენს. დღესდღეობით ამ ახალგაზრდას ჰონორარი 1-2 მილიონ დოლარს შეადგენს.

## ხელოვნური ძვლები



**ალბათ, გაგიგიათ, რომ ქათმის ძვლებს თამაშშიც იყენებენ.** ორი ადამიანი ერთ ძვალს აქეთ-იქიდან ექაჩება და ძვლის გატეხვის შემდეგ გამარჯვებული ის იქნება, ვისაც უფრო დიდი ნაწილი შერჩება ხელში. თითქოს ძალიან უინტერესოა, თუმცა კენ არონმა ამით მილიონები იშოვა. მან ბიზნესი პლასტმასის ძვლების გამოშვებით დაიწყო და პროდუქტს LuckyBreak-ი უწოდა. ახლა ყოველდღე 30 000 ასეთი ძვალი იყიდება და შეკვეთა ფერის, წარწერების, რეკლამის მიხედვითაც კი შეიძლება. ამ ბიზნესის წლიური შემოსავალი 2.5 მილიონ დოლარს შეადგენს.

## ბალიში მიკროტალღოვან ღუმელში



**დიასახლისმა კიმ ლევინმა (ალაბამიდან) მარტივი და ორიგინალური რამ მოიფიქრა.** მან ბალიში სიმინდის მარცვლებით გაავსო და ისე შეკერა. ასეთი ბალიში ადვილად იწოვს საჭირო სინესტეს და ადვილადვე შრება, მაგრამ ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ის შეგვიძლია მიკროტალღოვან ღუმელში ჩავდოთ და ძილის წინ სითბოთი და კომფორტით დავტკბეთ. ამ ბალიშს Wuvit ეწოდა და ძალიან მალე მოიპოვა პოპულარობა, ადგილობრივ სუპერმარკეტებში გაყიდვების ჰიტად იქცა. კიმი მალე მიხვდა, რომ ბაზარზე თავისი ნიშა აღმოაჩინა და ახლა მილიონებიანი ბიზნესის მეპატრონეა. მოგვიანებით მან წიგნიც დაწერა თავისი წარმატებისა და აღიარების შესახებ.

## თავის გამართლების სერვისი




**თუ თქვენ სამსახურში დააგვიანეთ და არ იცით, როგორ გაიმართლოთ თავი, თქვენს პრობლემას სპეციალისტები მოაგვარებენ კომპანია The Excused Absence Network-დან. მხოლოდ 25 დოლარად ისინი დამაჯერებელ ახსნა-განმარტებას მოიფიქრებენ და სათანადო დოკუმენტებსაც დაურთავენ.** ასეთი დოკუმენტები თქვენს უფროსს დაარწმუნებს, რომ მართლაც მნიშვნელოვანი საქმის გამო გააცდინეთ დღე. სერვისი ითვალისწინებს სხვადასხვა ვარიანტიდან კლიენტის მიერ მისთვის სასურველის ამორჩევას სულ რაღაც 9.95 დოლარად. კომპანიის მფლობელი ამბობს, რომ თვეში დაახლოებით 15000 შეკვეთას იღებს, რაც თავისთავად საკმაოდ დიდ შემოსავალს ნიშნავს.



## ვარდების კაბა

ფლორისტმა ჯოი მასიმ ვარდებისგან წმინდა ვალენტინის დღის კიდევ ერთი სიმბოლო — ვარდების კაბა შექმნა. მასზე 170-საათიანი შრომა და 1725 ვარდი დაიხარჯა. კაბის კორსეტი და შუა ნაწილი 1000 ვარდის ფურცლისგან შედგება, ხოლო მისი ბოლო 200 ქრიზანთემითაა გაფორმებული. მასზე 300 წითელი მიხაკიც დაიხარჯა. **„მინდოდა ვალენტინის დღისათვის განკუთვნილ თაიგულში ყველაფერი მომექცია — კლასიკა, ელეგანტურობა და სექსუალურობა“,** — განაცხადა მასიმ.

ქრონოგრაფი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# უცნაური გადასახადები

**როგორც სპეციალისტები ამბობენ, ალოგიკურ, უსამართლო და სულელურ კანონებსა თუ გადასახადებს ხელისუფალნი მაშინ აწესებენ, როდესაც ძლიერ უჭირთ ან გახსნილ მადას ველარ იოკებენ.**



უცნაური გადასახადები ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან იღებს სათავეს. მაგალითად, რომის **იმპერატორმა ვესპისიანემ** პირველ საუკუნეში რომაელებს საზოგადოებრივი ტუალეტებით სარგებლობისთვის დაუწესა გადასახადი, ხოლო შვილს, რომელსაც ტუალეტებით გამდიდრება სამარცხვინოდ მიაჩნდა, ცხვირთან ოქროს ფული მიუტანა და ჰკითხა: უსიამოვნო სუნი ხომ არ უდისო? ამ დროიდან დამკვიდრდა ფრაზა: ფულს სუნი არ აქვს.

მაგრამ, როდესაც საქმე გადასახადებსა და კანონებს ეხება, პირველ ადგილას ყოველთვის ინგლისელები არიან. სწორედ მათ ანგარიშზეა როგორც ყველაზე ჭკვიანური, ისევე ყველაზე სულელური და უსამართლო კანონები.

მაგალითად, 1113 წელს მეფე **ჰენრი პირველმა** შიშის გადასახადი დააწესა. მას იხდიდა ყველა სრულწლოვანი მამაკაცი, რომლებიც ომში წასვლაზე უარს იტყოდნენ. გადასახდელი თანხის ოდენობა არც ისე დიდი იყო. ამის გამო ბევრმა მდიდარმა შეწყვიტა ლაშქრობებში მონაწილეობა. მაშინ მეფე ჯონ უმიწაწყლომ გადასახადი გაასამმაგა



და ხელქვეითებს თანხას მაშინაც ახდევინებდა, როდესაც ქვეყანაში მშვიდობა იყო. ამ კანონმა 300 წელი იარსება. მსგავსი გადასახადი დღესაც არსებობს გვინეის რესპუბლიკაში, სადაც მოქალაქეები მშვიდობისთვის ყოველწლიურად 700 ბელგიურ ფრანკს უხდიან სახელმწიფოს.

მე-14 საუკუნეში, ინგლისელმა მონარქმა ხაზინის შევსების უნივერსალური ხერხი მოიფიქრა: **შემოიღო სიცოცხლის გადასახადი და უკლებლივ ყველა ბრიტანელს ფული უნდა ეხადა მანამ, სანამ ცოცხალი იყო.** ეს ამბავი სახალხო აჯანყებით დასრულდა.



1655 წელს ინგლისის რევოლუციის მეთაურმა **ოლივერ კრომველმა** მონარქიის მომხრეთათვის მიუმხრობელთა გადასახადი დააწესა. გადასახადს იხდიდა ყველა, ვინც ხმამაღლა აღიარებდა მონარქისტობას. აღებული თანხით კი აყალიბებდა სახალხო ლაშქარს, რომლითაც მონარქიის მომხრეებს უსწორდებოდა. ეს თავად მონარქისტებმაც იცოდნენ, მაგრამ პრინციპების ერთგულნი რჩებოდნენ და განაგრძობდნენ გადასახადის გადახდას.

**იორკში შუასაუკუნეებში მოქმედებდა კანონი, რომელიც ინგლისელს ნებას რთავდა, მოეკლა შოტლანდიელი ნებისმიერ დღეს, კვირა დღის გარდა.** კვირა დღეს შოტლანდიელის მოკვლა იმ შემთხვევაში შეიძლებოდა, თუ ჰაერის გაფუჭებისას წაასწრებდა.

**1660 წელს გადასახადი ბუხრებსა და ღუმელებზე დააწესეს.** გადასახადს მოსახლეობა იმის მიხედვით იხდიდა, თუ რამდენი საკვამური გამოდიოდა მათი სახლიდან. გამჭრიახმა ინგლისელებმა სახლებში საკვამური მილების ერთმანეთთან გაერთიანება დაიწყეს, რაც არაერთხელ ხანძრით დაგვირგვინდა — 1684 წელს ლამის ნახევარი ლონდონი დაიწვა. მოგვიანებით გადასახადი გააუქმეს.

**1696 წელს ლონდონში დააწესეს ფანჯრების გადასახადი. სახლების მფლობელებს კედელში გაჭრილი ყოველი ფანჯრისთვის ფული უნდა ეხადათ.** ღარიბებმა ფანჯრების ამოშენება დაიწყეს, მდიდრებმა კი პირიქით, საკუთარი სიმდიდრის ხაზგასასმელად ყოველ მეტრში ფანჯრები დაატანეს სახლებს. გადასახადმა 1851 წლამდე იარსება.

**ინგლისში დღემდე მოქმედებს კანონი, რომლის თანახმად, ქუჩაში მყოფ ნებისმიერ ფეხმძიმე ქალს, საჭიროების შემთხვევაში, უფლება აქვს პოლიციელის ქუდში მოისაქმოს.**

**1990 წელს ბრიტანეთში ქონების გადასახადი სულადობრივი გადასახადით შეცვალეს.** შედეგად, ღარიბები უფრო მეტად იბეგრებოდნენ, ვიდრე მდიდრები. ამას ინგლისის ისტორიაში ყველაზე დიდი საპროტესტო გამოსვლები მოჰყვა. ტრაფალგარის მოედანზე 200 ათასი კაცი გამოვიდა, რამაც დაასრულა კიდეც მარგარეტ ტეტჩერის პოლიტიკური კარიერა.

გასული საუკუნის 20-იან წლებში ტიბეტი უკიდურეს გაჭირვებას განიცდიდა. სახელმწიფო ხაზინა იმდენად დაცარიელდა, რომ არმიაც კი დაშალეს. გამოსავალი ისევ დალაი ლამამ მონახა: 1926 წელს მან ტიბეტელებს ყურების გადასახადი დაუწესა, რომელსაც იხდიდა ყველა, ვისაც ყურები ჰქონდათ. კანონი გამონაკლისსაც ითვალისწინებდა — ცალყურები თანხის ნახევარს იხდიდნენ. შესაბამისად, უყუროები საერთოდ გათავისუფლებულნი იყვნენ გადასახადისაგან.

# მსოფლიოს უდიდესი მეჩეთი

**შეიხ ზაიდის მეჩეთი მსოფლიოს მეჩეთთა შორის ყველაზე დიდია და არაბეთის გაერთიანებული ემირატების დედაქალაქ აბუ-დაბიში მდებარეობს.**

მას სახელი შეიხ ზაიდ იბნ სულთან ან-ნაჰაიანის პატივსაცემად ეწოდა. ეს არაბეთის გაერთიანებული ემირატების პირველი პრეზიდენტია, მისი საფლავი მეჩეთის სიახლოვეს მდებარეობს.

შეიხ ზაიდის მეჩეთიც განებივრებულია არქიტექტურული ექსკლუზივებით. მას ამშვენებს მსოფლიოს ყველაზე დიდი ხალიჩა და ყველაზე დიდი ჭაღი. მეჩეთის ოთხ კუთხეში ოთხი 115-მეტრიანი მინარეთია აღმართული. მთავარი შენობის გარშემო არსებულ კედელზე 57 მარმარილოს გუმბათია განთავსებული. მეჩეთის ეზოც მარმარილოთია დაფარული, რომელსაც სხვადასხვა ფერის ყვავილების მოზაიკაა ამშვენებს.

შეიხ ზაიდის მეჩეთს 80 გუმბათი, 1096 გარე და 96 შიდა სვეტი აქვს. რაც შეეხება მსოფლიოში ყველაზე დიდ ხალიჩას, რომელიც შენობაშია დაგებული, მისი მოცულობა 5627 მ2-ია. მასზე 1200 ფეიქარი, 20 ტექნიკური პერსონალი და 30 მუშა მუშაობდა. მისი წონა 47 ტონას აღწევს. ხალიჩის სტრუქტურა 2 268 000 კვანძისგან შედგება.

ყველაზე დიდი ჭაღი, რომელიც იმავე ოთახშია განთავსებული, სადაც ხალიჩა, სიგრძეში 15, ხოლო სიგანეში — 10 მეტრისაა.

ინტერიერის დიზაინში მარმარილოს გარდა, 24-კარატიანი ოქრო და სხვადასხვა თვლებია გამოყენებული, მათ შორის, ამეთვისტო, მთის ბროლი და ბუნებრივი მარგალიტი.

მეჩეთი ყველასათვის ღიაა, თუმცა მასში ქალებს თავსაბურავის გარეშე არ უშვებენ. მეჩეთში რელიგიური რიტუალების დროს ტურისტები შენობას ტოვებენ. **შეიხ ზაიდის მეჩეთის მშენებლობა 600 მილიონი ევრო დაჯდა.**











# Goodbye, Mikheil,

## ანუ როგორ ჩაატარებს აშშ არჩევნებს საქართველოში

### ნაწილი მეორე: USAID-ის კონტროლქვეშ

**იმ ზედმიწევნით წინააღმდეგობრივი ელემენტების პირობებში, რომლებიც დღეს ქართულ სინამდვილეში აღინიშნება (პროტესტი, ოპოზიციონერთა გამოსვლები, დაპატიმრებები, ძალოვანების დემოკრატიისგან შორსმდგომი მოქმედებები და სხვ.), პრეზიდენტ ობამას შეფასებები თანამედროვე საქართველოს მისამართით უფრო მეტად – მომავლის ავანსია (რომელიც თავად მისთვის, აშშ-ის პრეზიდენტად გახდომისთანავე, მშვიდობის ნობელის პრემიის მინიჭების მსგავსია). დღეს კი ქვეყნის „მონიტორინგით" მრავალი სტრუქტურაა დაკავებული, რომელთა შორისაა USAID-იც („აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო")**

**USAID-ის ფხიზელი მეთვალყურეობითა და ამერიკული ფულით დაზუსტდება თბილისში 474 ათასი ობიექტისა და 1 მლნ 200 ათასი მოქალაქის მისამართები(!)**

როგორც ახლახან იუწყებოდნენ, ამერიკის შეერთებული შტატები ქართველ ამომრჩეველთა სიის დასაზუსტებლად **1 მილიონ დოლარს** გამოყოფს. ამასთან, მოცემული პროექტი სწორედ არსობრივად სახელმწიფო სტრუქტურის — „ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს" — მეშვეობით ხორციელდება, რომელსაც მსოფლიოს პრაქტიკულად ას ქვეყანაში საზღვარგარეთ მუშაობის მრავალწახნაგოვანი გამოცდილება აქვს. **თუ გასულ წლებში სააგენტო ოფიციალურად მსოფლიო მასშტაბით ჰუმანიტარული დახმარების აღმომჩენ ორგანიზაციად მიიჩნეოდა და კონფიდენციალური კონტაქტები ჰქონდა „ცე-რე-უ"-თან, უკვე 2009 წელს „USAID" ფორმალურად შევიდა აშშ-ის სააგენტოთაშორისო ამბოხსაწინააღმდეგო ინიციატივის შემადგენლობაში** (შესაბამისად, ინტერესის ქვეყნებში ამბოხების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების უზრუნველყოფის ამოცანით). თუმცა, სააგენტოს ჰუმანიტარულ კონსტიტუციურ საქმიანობაზე დაყრდნობითაც კი, ძნელი დასაჯერებელია, რომ ამომრჩეველთა სიებთან დაკავშირებულ (საქართველოს) მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს რაიმე ქვეტექსტი, რადგან ასეთი სამსახურები „დემოკრატიისა და თავისუფლებისათვის" ბრძოლის წინა ხაზზე იმყოფება.

ამგვარად, USAID-ის ინიციატივა მიზნად ისახავს, ნეიტრალური მიდგომის პირობებში უზრუნველყოს ამომრჩეველთა სიების სამართლიანი და მიუკერძოებელი შედგენა. **ხოლო დაინტერესებული, მიკერძოებული მიდგომით – შესძინოს მას პარტიული ამერიკული მიმართულება** (ამასთან, სავარაუდოდ, ისე, რომ პრეზიდენტ სააკაშვილის სურვილი – გახდეს პრემიერი, შესაბამისად, მატერიალიზებული არ იქნეს). **და თუ 1992 წლის სამოქალაქო ომის შემდეგ, რომლის ინიცირებაც საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტებმა მოახდინეს, ამბოხებები ჩვენში ნარნარად გადაიზრდებოდა სახელმწიფო გადატრიალებებში, USAID-ის მეურვეობის ქვეშ უახლოეს ამოცანად ასეთი შესაძლებლობის გამორიცხვა დგას.**

აქ ამერიკელებს 2007 წლიდან მოყოლებული, დამუშავებული „მეამბოხური" სცენარებიდან გამომდინარე, შეუფასებელ დახმარებას აღმოუჩენენ ადგილობრივი სხვაგვარად მოაზროვნენი, რომლებსაც არათუ საზოგადოებისთვის მომაბეზრებელი ლიდერის ჩამოგდება, არამედ სააღდგომო ბატკნის დაკვლაც არ ძალუძთ. ასე რომ, ბარიკადები ჯერ კიდევ წინ გველის, ხოლო ფალსიფიკაციებს ფორთოხლის ყუთებივით დაგვიწყობენ, განსაკუთრებით კი, სომხებითა და აზერბაიჯანელებით დასახლებულ რეგიონებში...

როგორც იუწყებოდნენ, **USAID-ის ფხიზელი მეთვალყურეობითა და ამერიკული ფულით დაზუსტდება თბილისში 474 ათასი ობიექტისა და 1 მლნ 200 ათასი მოქალაქის მისამართები(!).** ამასთან დაკავშირებით საკითხავია: რატომ მაინცდამაინც თბილისში, ქალაქში, რომელიც გამოირჩევა, წინა არჩევნების მონაცემებით, უფრო მეტი ოპოზიციური ვნებათაღელვით პრეზიდენტ მიშასთვის ასე საძულველი საპრეზიდენტო მარცხის შემდეგ (სწორედ თბილისის ამომრჩეველთა სიის მიხედვით)?! ქარიზმითა და მასშტაბით რომაელი იმპერატორის ბადალი რომ ყოფილიყო, იგი თბილისს გადაწვავდა, ახლა კი შური იმით იძია, რომ დედაქალაქს ეტაპობრივად უუქმებს ქვეყნის პირველი ქალაქის სტატუსს...

**ჰოდა, გამოდის, რომ ამერიკელებს, რომლებსაც საქართველოში „ნუსხობრივი" სამართლიანობის მიღწევა სურთ, ჯერჯერობით არ აინტერესებთ სამხრეთ საქართველოს, სამეგრელოსა და კახეთის რეგიონები. ხოლო მეამბოხე და არაპროგნოზირებადი დედაქალაქი სწორეს ის ობიექტია, სადაც შესაძლებელია დემოკრატიის მსოფლიო სტანდარტების მიხედვით ამომრჩეველთა ოპტიმიზაციის საკითხში ამერიკული გონებრივი და ტექნიკური შესაძლებლობების მასტერკლასი უჩვენო, ლათინურ ამერიკაში, ერაყში, ავღანეთსა და უკვე... საქართველოშიც რომ გამოცადეს...**

ამერიკული არიერგარდის მოქმედებების მოტივაციაც სამაგალითოდ გამჭვირვალეა: გამორიცხოს მოულოდნელობა იქ, სადაც ის ყველაზე მეტადაა მოსალოდნელი. რაც, დიდად სავარაუდოა, „ხუთიანი პლუსით" განხორციელდება, სპეციალური კომისიის შემადგენლობისა და უფლებამოსილებების გათვალისწინებით. საგულისხმოა არჩევნებთან დაკავშირებული საზღვარგარეთული სახსრების გამოყოფის კამპანიასთან დაკავშირებულ პირთა წრე: **შესაბამისი მემორანდუმი გააფორმეს აშშ-ის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში ჯონ ბასმა, საქართველოს იუსტიციის მინისტრმა ზურაბ ადეიშვილმა, თბილისის მერმა გიგი უგულავამ და „აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს" (USAID) მისიის დირექტორმა საქართველოში სთივენ ჰეიკინმა.**

2012 წლის თებერვლიდან ამ მიზნით შექმნილი კომისია ამომრჩეველთა ერთიან სიებს შეამოწმებს, ხოლო 2012 წლის აპრილიდან — პრინციპით „კარდაკარ", როგორც მედიისთვის გაკეთებულ განცხადებაში კომისიის თავმჯდომარემ, ოპოზიციური პარტია „ახალი მემარჯვენეების" ერთ-ერთმა ლიდერმა მამუკა კაციტაძემ აღნიშნა. შემოწმება ორ თვეს გასტანს და მასში მთელი ქვეყნის მასშტაბით ათასობით კონტროლიორი ჩაერთვება. კაციტაძის თქმით, „მობილური ჯგუფების" წევრები, რომლებიც ამომრჩევლებს ჩამოუვლიან, წინდაწინ სპეციალურ ტრენინგებსაც გაივლიან. ამას გარდა, მოცემული შემოწმების თაობაზე მოსახლეობის ინფორმირებასაც მოახდენენ.

შეგახსენებთ, რომ ამომრჩეველთა სიების დამზუსტებელი კომისია ჯერ კიდევ 2011 წლის ივნისში შეიქმნა პრეზიდენტ სააკაშვილის განკარგულებით — მმართველი ძალისა და რიგი ოპოზიციური პარტიების შეთანხმების საფუძველზე. კომისიის შემადგენლობაში 21 კაცია, მათ შორის, 7 ოპოზიციის წარმომადგენელია, 7 – მმართველი პარტიისა და კიდევ 7 – არასამთავრობო ორგანიზაციებისა.

საპარლამენტო არჩევნები საქართველოში, როგორც ცნობილია, 2012 წლის შემოდგომას ჩატარდება, ხოლო 2013 წელს საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართება. როგორც ივარაუდებოდა, ვაშინგტონში გამართული შეხვედრის მთელი ინტრიგა სწორედ ამ საკითხის გარშემო ტრიალებდა. შემთხვევითი როდია, რომ მისი დაფინანსება და მონიტორინგი USAID-ის მხრიდან ხორციელდება. ერთობლივი პროექტის მიზანს, როგორც საქართველოში ამერიკის საელჩოში მიაჩნიათ, მისამართების მოწესრიგების გზით თბილისში ამომრჩეველთა სიების სრულყოფა წარმოადგენს. ხოლო მთლიანობაში, თბილისური ღონისძიება დემოკრატიული მმართველობის ოპტიმიზაციის დიდი ამერიკული პროექტის ნაწილია. ასეთ შემთხვევაში კი აშშ, როგორც ყოველთვის, არ ძუნწობს და იმავე „USAID"-ის მეშვეობით 16 მილიონ დოლარს გამოყოფს(!).

ნათელია, რომ ამ ფულს თავისი კონკრეტული მისამართები აქვს. **სავარაუდოდ, მისი ნაწილი პროამერიკული ქართული პარლამენტის შექმნას მოხმარდება, რომელიც შემდგომში, პატრონების მითითებით, საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით გარკვევაშიც დაგვეხმარება. ასევე, დაგვეხმარება პრემიერ-მინისტრის დანიშვნასა და მისთვის ახალი, გაფართოებული უფლებამოსილებების დელეგირებაში – საგანგებოდ შესაბამისობაში მოყვანილი ახალი კონსტიტუციის მიხედვით, რომელიც ძალაში სწორედ საპრეზიდენტო არჩევნების წელს შევა. ამგვარად, თავისი ნების გამოხატვისა და ცხოვრებაში მისი გატარების უფლება ჩამოერთმევა.**

ისმის კითხვა: **რატომაა, რომ ამერიკელი ლიდერები და ადმინისტრაცია, პრაქტიკულად, არასდროს ახდენენ ამ ქართული თემების აქცენტირებას და სამოქალაქო თავისუფლებების ინსტიტუციონალური გარდაქმნისა და განვითარების სფეროში რეფორმებსა და წინსვლებზე ლაპარაკს ამჯობინებენ?** იმიტომ, რომ ყველა ეს თემა იმ კატეგორიისაა, რომლებიც, მათი შედეგობრიობის მიხედვით, ფასიანი ანდა მიკერძოებული პროპაგანდის მეშვეობით შეიძლება იოლად ტრანსფორმირდეს როგორ დადებით, ისე უარყოფით მხარეს. ხოლო სოციალური და ეკონომიკური კატეგორიები მიღწეულის რეალური სახეა! ჩვენს ამერიკელ მეგობრებს ეს ესმით და ამიტომ დასავლურ ფასეულობებსა და იმავე დემოკრატიაზე საუბარს ამჯობინებენ, თუმცა შესასრულებლად მიღებულ ქარტიაში შავით თეთრზე წერია: **„აშშ-ის მიზანია, საქართველოს დაეხმაროს ომისშემდგომ რეკონსტრუქციასა და ფინანსურ სტაბილიზაციაში. ჩვენ განზრახული გვაქვს, ერთად ვიმუშაოთ საქართველოს მოსახლეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, ქვეყანაში სიღარიბის შესამცირებლად მიზანსწრაფული პოლიტიკისა და პროგრამების გასატარებლად, საქართველოს ყველა მოქალაქის კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად ჯანდაცვისა და განათლების სისტემებში ინვესტიციების ჩადების გზით".**

ამ დოკუმენტის მიღების შემდეგ სამ წელზე ცოტა მეტი გავიდა. **ვინმეს ენა მოუბრუნდება იმის სათქმელად, რომ საქართველოში დაიწყო ანდა ტარდება სიღარიბის დაძლევის, ყველა მოქალაქის კეთილდღეობის უზრუნველყოფის, სამუშაო ადგილების აქტიურად შექმნის პროგრამა?!** ამის თაობაზე, რაღაც, არაფერი ისმის, აი დემოკრატიასა და ფასეულობებზე, და კიდევ, შეიარაღების აუცილებლობაზე, რამდენიც გნებავთ, იმდენს ლაპარაკობენ! თუმცა ამით, სამწუხაროდ, მშიერ კუჭებს ვერ ამოავსებ... თანაც, **ორივე მხარის ფუჭსიტყვაობის პირობებში, სასოწარკვეთილებამდე მისული ხალხისათვის უკვე მნიშვნელობა აღარ აქვს, თავისით წავა პრეზიდენტი სააკაშვილი, თუ გადააყენებენ, და რით შემოგვიბრუნდება ამერიკული ფინანსური ფარი არჩევნების გაყალბების გზაზე!**

ყველა ეს თანმდევი კითხვა ისევე, როგორც ორი პრეზიდენტის შეხვედრის დემაგოგიური შარავანდედი, „თავისთავადად" რჩება, რადგან მშიერ კუჭზე „მაღალი მატერიები" საკმაოდ ცუდად აღიქმება, „მაღალი დემოკრატიული ფასეულობები" არ მუშაობს საზოგადოებაში არც იდეოლოგიურად, არც მისი პროამერიკული კონსოლიდაციის თვალსაზრისით. ყველა ნორმალური ადამიანური კანონით, ხალხი ჯერ უნდა დააპურო, სამუშაო მისცე და შემდეგ ელაპარაკო დემოკრატიის მიღწევებსა და წარმატებებზე. ასე რომ, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის სიტყვებში, მიუხედავად იმისა, რომ იგი ჩვენი „აღიარებული მეგობარია", სიმართლე ისევე ცოტაა, როგორც პრეზიდენტ სააკაშვილის სიტყვებში: **ვაშინგტონის მიერ დანიშნული მარიონეტების ხელმძღვანელობის ქვეშ დოტაციურ ბანანის რესპუბლიკად საქართველოს გადაქცევა ნამდვილად გამოუვიდათ. აი, სსრკ-ის დაშლის შემდეგ საქართველოში წარმატებით განადგურებული ეკონომიკის აღდგენა კი მათ ძალებს აღემატება. ანდა, სჭირდებათ კი?! განვითარებული ეკონომიკა ხომ ააღორძინებს საქართველოს სახელმწიფოს და მაშინ დანაყრებული ქართველი ხალხი რეალურად თავისუფალი გახდება, დამოუკიდებლად განსაზღვრავს თავისი ქვეყნის მომავალს, თავისი, ქართული და არა ამერიკული, ინტერესების შესაბამისად!**

**„საქინფორმი"**

**ელგუჯა მეძმარიაშვილი, ვალერიან გომელაური, გურამ ნიკოლეიშვილი, ალექსანდრე ტოლსტოი, ემზარ ჭოჭუა, ვანო გურგენიძე, თენგიზ შუბლაძე, ვახტანგ კაპანაძე, ჯემალ ჭელიძე, იოსებ ბარნაბაშვილი ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ კარგი მეგობრისა და შესანიშნავი პიროვნების, თადარიგის პოლკოვნიკ**

**გივი ლეფონავას**

**გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.**

საქართველო მსოფლიოში
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია გამოცდები ფოტოები ფილმები PDF TV online
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail:info@geworld.net